


ჭეშნაღ ფოცსვერია



როდუეღის?

ჯემალ ფოცხვერია

რთქმეეღოს?



თბილისი
2010

უპკ (UDC) 821.353.1-92

ფ – 852

წიგნი წარმოადგენს ჯ.ფოცხვერიას მორიგ პუბლიცისტურ ნაშრომს, რომელშიც ღიად არის განხილული და შეფასებული საქართველოში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური პროცესების სხვადასხვა მხარე. სავსებით მოსალოდნელია მკითხველის არაერთგვაროვანი რეაქცია და ავტორის მიზანსაც ის წარმოადგენს რომ ვიმსჯელოთ, მივაგნოთ და აღმოვფხვრათ ის მიზეზები, რაც ჩვენში საზოგადოების გაუცხოებას იწვევს.

რედაქტორი: **როლანდ ბურჭულაძე**

ISBN 978-9941-0-2367-5

წინასიტყვა

გულახდილად რომ მოგახსენოთ, მას შემდეგ, რაც დავწერე მოგონებათა წიგნი „შავი სათვალე ეკეთა“, არ ვაპირებდი კიდევ რაიმე ოპუსის გამოქვეყნებას, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი, მითუმეტეს, რომ შევასრულე ჩემი შვილის გიორგი (გიას) თხოვნა (საუბედუროდ მისი გარდაცვალების შემდეგ) და გამოვაქვეყნე მოგონებების წიგნი – მიძღვნილი ჩემი საყვარელი ბიჭების გიორგი (გია) და ზაზა (ძმისშვილი) ფოცხვერიების ნათელი ხსოვნისადმი.

თუკი ოდესმე კიდევ რამეს დავწერდი, ალბათ ისევ და ისევ ჩემი პროფესიული საქმიანობის შესახებ, რომლის ზოგიერთი ეპიზოდიც გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ვერ აღვწერე ზემოხსენებულ წიგნში. მაგრამ პოლიტიკურ მოვლენათა განვითარებამ, აგვისტოს ომმა, ტერიტორიათა დაკარგვამ, ოპოზიციის რადიკალურმა გამოსვლებმა, მთავრობის ახალმა მიდგომამ მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების რეალიებთან, და ყოველივე იმან, რომ საქართველო ისევ და ისევ უფსკრულის პირას აღმოჩნდა, მაიძულეს, ჩემი მოსაზრებანი გამომეთქვა. დაპირებულ მხარეებს არ უნდათ ერთმანეთის მოსმენა, ერთმანეთის გაგება, ყრუნი და მუნჯნი არიან, ხშირ შემთხვევაში, როგორც ერთნი, ისე მეორენი. გერჩება მხოლოდ ერთი შთაბეჭდილება (და, საუბედუროდ, არა მარტო შთაბეჭდილება), რომ რამდენადაც ერთი (მთავრობა) პარანოიდულად ჩასჭიდებია ხელისუფლებას და არ აპირებს არავითარ შემთხვევაში მის ერთი მტკაველითაც დათმობას, იმდენად მეორე მხარე (რადიკალური ოპოზიცია, აბა სხვა ჯიბის ე.წ. საპარ-

უპკ (UDC) 821.353.1-92

ფ – 852


წიგნი წარმოადგენს ჯ.ფოცხვერიას მორიგ პუბლიცისტურ ნაშრომს, რომელშიც ღიად არის განხილული და შეფასებული საქართველოში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური პროცესების სხვადასხვა მხარე. სავსებით მოსალოდნელია მკითხველის არაერთგვაროვანი რეაქცია და ავტორის მიზანსაც ის წარმოადგენს რომ ვიმსჯელოთ, მივაგნოთ და აღმოვფხვრათ ის მიზეზები, რაც ჩვენში საზოგადოების გაუცხოებას იწვევს.

რედაქტორი: **როლანდ ბურჭულაძე**

ISBN 978-9941-0-2367-5

ჯემალ ფოცხვერია

რთქმეღის?



თბილისი
2010

ლამენტო ოპოზიცია სათვალავში არა მყავს) ისეთივე პარანოიდული შემართებით ცდილობს ხელისუფლებაში მოსვლას და, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა უღერდეს, ორივე მხარე ქართველ „ხალხის კეთილდღეობის“ მიზნით სწადის ამას. ყოველივე ამის ანალიზს კი იმ სავალალო დასკვნამდე მივყავართ, რომ ხალხზე ზრუნვა, მის მომავალზე ფიქრი პოლიტიკოსებმა იდეაფიქსად აქციეს და პროფანაციაზე დაიყვანეს.

ცხოვრების მიმდინარეობამ დაგვიმტკიცა, რომ არანაკლებ მძიმე დღე ადგას დღეს მსოფლიოში, და კერძოდ საქართველოში, ისეთ ცნებას, სიტყვა „დემოკრატია“ რომ ეწოდება. ამ უბედურ ტერმინს ყველა თავის არშინზე ზომავს და ირგებს. პოლიტიკოსთა დემაგოგიამ ისეთ მწვერვალს მიაღწია, რომ ხშირად როგორც ერთი მხარე, ისე მეორე „წარმატებით“ გვიმტკიცებს, რომ თეთრი შავია და შავი – თეთრი. ამ ანტიაქსიომას ცხოვრების წესად აცხადებენ. თანაც ისეთი გულმოდგინებით, ისე დაჯერებულად, რომ ოპონენტს საერთოდ არ უსმენენ. ამ ტერმინის დემაგოგიური აღქმა მხოლოდ ერთ პოლიტიკურ მიზანს ემსახურება: რა აწყობს და როგორ აწყობს იმ მომენტში ორატორს (აზრი არა აქვს იმას, თუ რა პოზიციაზე დგას იგი).

შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ისეთი პოლიტიზირებული საზოგადოება, როგორიც დღეს საქართველოშია, დედამიწის ზურგზე არ არსებობს. ამ პოლიტიკური დემაგოგიით ერთმა და მეორე მხარეამაც მიაღწიეს იმას, რომ ჩვენი მცირე ერი ორ – ერთმანეთის საწინააღმდეგო – დაჯგუფებად დაჰყვეს და არა მარტო ხალხი, ზოგჯერ ერთ ოჯახშიც კი პატარა პოლიტიკური მიკროკლიმატები იქმნება. ხოლო „მცირე“ ერების წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ (სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვები) ძირითადად ან ნეიტრალური არიან, ან საინტერესო სეირის მაყურებლად გვევლინებიან, რამეთუ ორივე შემთხ-

ვევაში (ვინც არ უნდა გაიმარჯვოს) არაფერს ზარალ-ობენ.

ახლა, როცა თანამედროვე საქართველოში სხვა „ბედნიერებასთან“ ერთად ერთი ახალი ფენომენიც გაჩნდა, მხედველობაში მაქვს ე.წ. ექსპერტთა (სხვა-დასხვა რჯულის – სამხედრო, ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, სოციალური და მრავალი სხვა დარგის) ჯგუფების ჩამოყალიბება. ალბათ გარკვეულად ძნელია ამ დიდ ნაკადში ვინმემ თავისი სიტყვა ჩართოს. აქამდე მეგონა, რაიმე საკითხის ექსპერტი რომ იყოს ადამიანი, მას უნდა ჰქონდეს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, დიდი ან საკმაოდ დიდი პროფესიული მომზადება საექსპერტო მიმოსილვის დარგში, გარკვეული უნარი საკითხების მიმართ ანალიტიკური მიდგომისა, ინფორმაციის აღქმის ნიჭი, მთავარი მიმართულებების განსაზღვრის უნარი, რომ იტყვიან, „Хорошо уметь читать между строк“... და, რაც მთავარია, ასეთ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება ან საშუალება ინფორმაციული წყაროების გაცნობისა...

ასეთი პიროვნება (ექსპერტი), ყოვლდღიურად ითვისებს რა ზღვა მასალას, გამოჰყოფს რა მათ შორის მთავარს, გარკვეული დაპირისპირების თეორიის გამოყენებით აყალიბებს თავის შეხედულებებს, რასაც შემდეგში ლოგიკურად ჩამოყალიბებულს აწვდის აუდიტორიას. ახლა კი ვთქვათ ის სათქმელი, რისთვისაც დაგეჭირდა ასეთი შესავალი: ბეჭდვით მედიაში, ტელევიზიაში, რადიოში გამოჩნდნენ წვერგაუპარსავი, დაახლოებით 25-30 წლის ყმაწვილები, რომლებიც სერიოზული სახით უწევენ ექსპერტიზას ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენას, ანალიზს უკეთებენ მსოფლიოს თუ საქართველოს პოლიტიკურ ლიდერთა გამოსვლებს და ა.შ. და ა.შ. ვერ წარმომიდგენია და გაუგებარია ყოველივე ამის მოსმენა იმ პირთაგან, ვისაც არ გაუფლია ზემოთ ჩამოთვლილი ცხოვრების გზა, არ დაუხვეწია თავისი პროფესიონალიზმი და მრავალი სხვა.

მკითხველი იფიქრებს და მართალიც იქნება, რაში სჭირდება ეს „დემოგოგია“ (ან შესავალი) – წარმოაჩინოს ჩვენი ქართული პოლიტოლოგიის პროფანაციო (იქ, სადაც ამდენ გასაჭირს ვიტანთ, ეს პრობლემაც როგორმე ასატანიაო). მოგახსენებთ: თითქმის ნახევარი საუკუნე გარკვეულ წილად ვაკვირდებოდი და ვცხოვრობდი იმ ცხოვრების წესით, რომელიც წილად ხვდა ჩემს თაობას (ომის წლებში, 40-იან წლებში დაბადებულ თაობას). ნახევარ საუკუნეზე მეტი ვიცხოვრე „ბედნიერი ბავშვობით“, ყმაწვილკაცობით, სიმწიფის ხანით კომუნისტურ ეპოქაში (სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვის, გორბაჩოვის ეპოქაში), შემდეგ – ელცინის ე.წ. „დემოკრატიული რეფორმების“ წლებში, და, ასე წარმოიდგინეთ, დღესაც ცოცხალი ვარ... მოვესწარი საქართველოში ჩარკვიანის, მგელაძის, მირცხულავას, მჭავანაძის, შევარდნაძის მმართველობას... 1966-1994 წლებში ვმუშაობდი ახლანდელი „დემოკრატების“ „საყვარელ“ ორგანიზაციაში – სუკ-ში, სადაც გავიარე გზა რიგითი ოპერატიული მუშაკიდან საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის ცენტრალური აპარატის განყოფილების გამგემდე, 1991-1994 წლებში გახლდით რუსეთის უშიშროების სამინისტროს სამმართველოს უფროსი – მინისტრის თანაშემწე, მინისტრის მრჩეველი. შემდეგ – თადარიგში გასვლის შემდეგ – გახლდით ისეთი მსხვილი ჰოლდინგების უშიშროების სამმართველოს უფროსი, გენერალური დირექტორის მოადგილე უშიშროების საკითხებში, როგორებიც არიან „მიკროდინი“ და „ნორისკი-ნიკელი“. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მგონია, ამ ცხოვრებაში საკმაოდ გზა გავიარე.

აღბათ დავაგროვე გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება, რომლის გათვალისწინებითაც გადავწყვიტე (გავბედე) შემოგთავაზოთ ჩემი შეხედულებები ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. დამერწმუნეთ, თხრობის დროს ვცდი-

ლობდი, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ ვყოფილიყავი (შესაძლებლობის ფარგლებში) ნეიტრალური, შეემჩნია და მომეთხრო, როგორც დადებითი ისე, უარყოფითი ქმედებები, როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციისა. თუ რამდენად მოვახერხე, ეს მკითხველმა განსაჯოს. მე კი მზადა ვარ, თუ ვინმე ისურვებს ჩემთან პოლემიკას, მასთან დიალოგი გაგმართო, დავიცვა ჩემი შეხედულებები, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყოველ ლოგიკურ-ანალიტიკურ საღ აზრს – თუნდაც უარყოფითს – დავეთანხმები, თუკი იგი დამტკიცებული იქნება ფაქტობრივი მასალებით.

კეისარს კეისრისა

„მაშინ ფარისევლები წავიდნენ და მოითათბირეს, როგორ დაიჭირონ იგი სიტყვაზე. მიუგზავნეს მას თავისი მოწაფეები, ჰეროდიანელებთან ერთად, და უთხრეს: „მოძღვარო, ვიცით, რომ ჭეშმარიტი ხარ, ჭეშმარიტებით ასწავლი ღმერთის გზას და არავისათვის არ ზრუნავ, ვინაიდან არ უყურებ ადამიანებს სახეში. პოდა, გვითხარი ჩვენ: როგორ ფიქრობ, უნდა ვაძლიოთ ხარკი კეისარს თუ არა?“ იესომ, იცოდა რა მათი მზაკვრობა, უთხრა მათ: „რატომ მცდით მე, თვალთმაქცნო? მიჩვენეთ ხარკის მონეტა“.

და მოუტანეს მას ღინარი. მან უთხრა მათ: „ვისია ეს გამოსახულება და წარწერა?“

მათ თქვეს: „კეისრისა“.

მაშინ უთხრა მათ: „მიეცით კეისარს კეისრისა – ღმერთისა ღმერთს“!

აღბათ, ასეც უნდა ხდებოდეს ცხოვრებაში, ნორმალურ საზოგადოებაში... არ ვიცი, რამდენად დადგა ახლა ამის დრო, არა კონიუნქტურის თვალსაზრისით, არამედ განწმენდის, განთავისუფლებული, დამოუკიდებელი აზროვნების გამოხატვის საშუალებით?! ვეცადოთ, ყველას მეტად თუ ნაკლებად თავისი ადგილი მივუჩინოთ, გავაანალიზოთ მათი საქმენი, ზოგი საგმირონი, ზოგი შეცდომებით სავსე, რომ ისე არ დაგვემართოს, როგორც ამას კომუნისტური პროპაგანდა აკეთებდა. საერთოდ მათი ბელადები (მითუმეტეს – ლენინი, სტალინი და სხვა მრავალი) უშეცდომო ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ყველაფერს მშრომელი კლასის (ხალხის) საკეთილდღეოთ აკეთებდნენ და სწადიოდნენ... შემდეგმა ცხოვრებამ ადამიანების შეცდომები

და გაუთვალისწინებელი ნაბიჯები კი არა, დანაშაულებრივი ქმედებების ისეთი ჩამონათვალი გამოააშკარავა, მათი ნამოდგაწარი კრიმინალურ განზომილებებში გადაიყვანა... ეჰ, ჩვენ ხომ ასე ვიცოდით და ასე ვიცით ახლაც, ჯერ გავაღმერთებთ ადამიანს, შევქმნით მის კულტს, ანგელოზურ სახეს, შემდეგ? შემდეგ კონიუქტურის ცვლილებებისდა მიხედვით ჩაეკოლაგეთ და დავასამარებთ მას... გავა არც თუ ისე დიდხანი და ჩაქოლილს და დასამარებულს გავაცოცხლებთ ისევ, და ისევ გავაღმერთებთ ფანატიკური დაჟინებით, და ვაი მას, ვინც ამ კოცონის გარშემო რბოლაში არ აგვეყვება! რა თქმა უნდა, ასეთ ადამიანის ნამოქმედარის შეფასების ამპლიტუდების მაგივრად, რომ ჩავჯდეთ, შევისწავლოთ, გავაანალიზოთ მისი ქმედებები და ობიექტური შეფასება მივცეთ, მაშინ ალბათ საზოგადოების წინსვლა უფრო გაგვიადვილდებოდა. მაგრამ ეს ჩვენ არა ერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში. და საერთოდ ასეთ მიდგომას, ხომ გარკვეული სამოქალაქო გამბედაობა სჭირდება, საზოგადოებაც ხომ უნდა იყოს ამისათვის მზად... არა მგონია, რომ ჩვენ ამისათვის მზად ვიყოთ.

ამიტომაცაა, იმ ერებს, რომლებსაც ეყოთ ეს სამოქალაქო გამბედაობა, ყველა ისტორიულ პიროვნებას თავისი ადგილი მიუჩინეს: გერმანელებმა – ფაშიზმს და ჰიტლერს ნახევარი საუკუნის შემდეგ მონანიებიც ცოდვები ებრაელი ხალხის წინაშე. თუმცა იმ თაობას, რომელმაც ეს გააკეთა, ამ საზიზღარ ქმედებებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, მათ თავიანთი წინაპრების ცოდვები მოინანიეს. ფული გადასაყრელი არავის არ აქვს, მითუმეტეს, გერმანელს თავისი მენტალიტეტით, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი გადაეხადათ ფულადი კომპენსაცია ებრაელებისათვის და, წარმოიდგინეთ, გერმანიის ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებული ხალხისათვისაც... რა არის ეს? ეს

არის ერის სულიერი წმენდის, მონანიების უცილო ფაქტი, ამით მათ მომავალ თაობასაც დაანახეს, რომ შეუძლიათ ასეთი გმირობის ჩადენა.

ანდა გავისხენოთ ფაქტი იმის შესახებ, რომ რომის პაპმა პავლე მეორემ თავისი მემორანდუმით ბოდიში მოიხადა ერისა და რჯულის წინაშე 400-500 წლის წინათ ინკვიზიციის მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამო.

რა თქმა უნდა, ბოდიშის მოხდას და მონანიებას გაცილებით მეტი ვაჟკაცობა სჭირდება, ვიდრე ბაქიბუქს და ამბიციებს.

ამიტომაცაა ჩვენთვის გიორგი სააკაძე ხან შავი ხან თეთრი შევარდნაძე გამსახურდია, სააკაშვილი ფერს იმის მიხედვით იცვლიან, თუ ვინ და რისთვის აფასებს მათ და ამით – თავისთვის რა გამოსარჩენს მოედის...

ადრეც მოგახსენებდით, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის მიღწევის ყველა წინაპირობა დამოკიდებული იყო (1918-1921 წლებში და 1990-1991 წლებში) ჩვენი დიდი და ძლიერი მეზობლის რუსეთის იმპერიის მაჯისცემაზე. როდესაც იმპერიაში ქაოსი ბატონობდა, კოლონიები (მათ შორის საქართველოც), ცუდად თუ კარგად, თავის შიდა პრობლემებს აგვარებდნენ. მართალია, 20-იან წლებში ხშირი იყო ლოკალური შეტაკებები თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, მაგრამ ამას, ამ სიძნელეებს და გართულებებს საკმაოდ წარმატებითაც ვუმკლავდებოდით: არავის დაეუთმეთ არც ერთი მტკაველი ქართული მიწისა, ის კი არა, ვოცნებობდით და გარკვეული დიპლომატიური მცდელობაც გვქონდა, დაგვებრუნებინა ძირძველი ქართული მიწები და ბევრ ქართველთა საუკუნოვან ოცნებას ვატარებდით ჩვენს გულებში.

ვინ იცის? ვინ იცის, მსოფლიო ისტორიის ჩარხი რომ სხვანაირად დატრიალებულიყო და ჩრდილოეთში დასუსტებული რუსეთის ნაცვლად რომ არ მიგველო ბოლშევიკების მიერ მილიტარიზაციის ღიან-

დაგზე დაყენებული ახალი იმპერიალისტური სახელმწიფო საბჭოთა კავშირის სახით, მაშინ (ვიოცნებოთ მაინც!) შეიძლებოდა ჩვენი ბედიც ასე უკუღმა არ დატრიალებულიყო, შეიძლება ჩვენს ქუჩაზეც გვეხილა ზემიმი!.. მაგრამ რაა ფუჭი ოცნება? ოცნება სიზმარშია კარგი, თორემ რეალურად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: ქვეყნის ანექსია და სამოცდაათწლიანი კოლონიალიზმის ახალი ფორმა – სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახით. თითქოსდა ჩვენი ხსნა ჩრდილოელი მეზობლის სისუსტეში და ანარქიაში უნდა ვეძებოთ? ასეთი თეორიული პოსტულატი სრულებითაც არ გახლავთ ჩემს მიერ მოგონილი, ამ აზრს არამარტო საქართველოს მიმართ, არამედ რუსეთის მეზობლების მიმართ, ხშირად განიხილავენ დასავლეთის და რუსეთის ცნობილი პოლიტოლოგები.

ვეცდებით წარმოგიდგინოთ ისტორიის ისეთი განვითარება, როდესაც რუსეთი დაიშლება, ისე, როგორც დაიშალა საბჭოთა კავშირი. მაგრამ ერთიც არ დაგვავიწყდეს: „ვაის გავეყარო და უის შევეყარო“.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიმდინარეობა ძალიან ნელა თუ აჩქარებით (ეს ჯერჯერობით არავინ იცის) არა მარტო ეკონომიკური დესტაბილიზაციისაკენ მიგვაქანებს, არამედ ხშირად მრავალი ქვეყნის და მათ შორის – რუსეთის პოლიტიკური დესტაბილიზაციისაკენ ისრება.

უმუშევართა მრავალათასიანი არმია, პროდუქტების სიმცირე, ჰიპერინფლაცია, საბანკო და ფინანსური კრიზისი, ძირითადი მსხვილი საწარმოების გაბანკროტება და სხვა სირთულეები გამოიწვევს აგრესიის მუხტის გაძლიერებას და იმის საშიშროებას, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და ამან მიიღოს მასობრივი სახე. ასეთ ბუნტს ვერავითარი ხელკეტებით, რეზინის ტყვიებით, მომწამლავი გაზის შემხურებით ან ცივი წყლის ჭავლით ვერ დაამშვიდებ, სტიქია თანდათანობით წალეკავს ყველას და ყველაფერს, რა თქმა უნდა,

დიდი სისხლის ფასად. ასეთ დროს ბრბო უმართავია და სისხლით მას ვერ დააშინებ. არსებობს „თეორია“, რომ ასეთი მოვლენები თითქოსდა ყველაზე მეტად სავარაუდოა რუსეთში. რომ იტყვიან, რუსეთმა თითქოს უკვე დაიწყო თავისი გედის უკანასკნელი სიმღერა და სულ რაღაც 2015-2020 წლებში მარტივ მამრავლებად, დაახლოებით რვა სახელმწიფოდ უნდა დაიშალოს. თითქოს ერთადერთი რუსული სახელმწიფო, რომელიც ინტეგრირდება ევროპაში, იქნება სანკ-პეტერბურგის შედარებით მცირე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მეორე, ე.წ. კალინინგრადის ოლქი კი, რომელსაც არ აქვს საზღვრები რუსეთთან, უცილობლად გერმანიის შემადგენლობაში დაბრუნდება. იაპონია არა მარტო აისრულებს თავის სანუკვარ ოცნებას და შთანთქავს კურილიის კუნძულებს, არამედ გახდება დიდი პოლიტიკური მოთამაშე რუსეთის შორეული აღმოსავლეთის თავის გავლენაში მოქცევისათვის, სადაც წააწყდება დიდ წინააღმდეგობას ისეთ გიგანტთან, როგორცაა ჩინეთი. კამჩატკა, ჩუკოტკა და ციმბირი – აი არე, სადაც გადაიკვეთება შეერთებული შტატების, ინგლისის, ჩინეთისა და იაპონიის დიპლომატიური ინტერესები. რუსეთის ასეთი დაყოფა-დაქუცმაცების იდეა არც ისე ახალია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში ფუნქციონირებდნენ ე.წ. ურალის რესპუბლიკა (სტავროპოლის და კრასნოიარსკის მხარე), ციმბირის რესპუბლიკა, შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა, და სხვა უდღეური ე.წ. სახელმწიფოები. ანდა, ვინა თქვა, რომ ჩრდილოეთ კავკასია ყოველთვის შედიოდა რუსეთის რესპუბლიკაში? ყოველივე ეს პირობით სახეს ატარებს (ისევე, როგორც უნგრეთი ან გერმანია იყვნენ სოციალისტური ქვეყნების ბანაკში). ისიც შეგიძლიათ გაიხსენოთ, რომ რუსეთის იმპერიის დაშლის აჩრდილი სულ რაღაც ათი-თხუთმეტიოდე წლის წინ თითქმის რეალობად არ იქცა, როდესაც ცდილობდნენ გამოეცხადებინათ

ურალის რუსული სახელმწიფო, ხოლო ბაშკირეთმა, თურქმენეთმა, იაკუტიამ (სადაც მკვიდრი მოსახლეობა სულ რაღაც ათ პროცენტს შეადგენს), ცენტრთან (მოსკოვთან) ისეთი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება დადეს, რომელიც აძლევდა მათ საშუალებას სუვერენიტეტი გამოეცხადებინათ და ქვეყანაში არსებული წიაღისეულთა მეპატრონედაც თავისი ხალხი ეცნოთ.

2000 წელს სახელმწიფოს სათავეში მოსულ ვ. პუტინს და მის გარემოცვას დიდი ძალისხმევა დასჭირდა ამ „თავისუფალი“ ტერიტორიების ისევ რუსეთთან „შეერთებისათვის“ და ამ ხელშეკრულებათა გაბათილებისათვის. და ეს მოხერხდა ეროვნული ელიტის ხელების გადაგრეხით, რადგან ყველა კორუფციაში იყო ჩათრეული და ამიტომ მათი მხილება არც ისე რთული საქმე გახლდათ. ამიტომ ელიტამ ეროვნული იდეებისათვის თავის გაწირვას, პირადი მსუყე მდიდარი „თავისუფლება“ არჩია, მითუმეტეს, დამარცხება ყველა შემთხვევაში გარანტირებული ჰქონდათ – თუნდაც გეოპოლიტიკური მდებარეობისა გამო.

რა თქმა უნდა, რუსული პოლიტიკური ელიტა ყველა ამ მცდელობას ქვეყნის დაშლისა უცხოეთის ვერაგ სახელმწიფოებს და მათ სპეცსამსახურებს აბრალვდა, იმასაც კი არ მაღავედნენ, რომ თითქოსდა ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა იმდენად არის კორუმპირებული, რომ სავსებით თავისუფლად შეიძლება აღმოჩნდნენ უცხოეთის სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ. წარმოიდგინეთ, ისე როგორ უნდა იყოს მოშლილი ქვეყანაში ეროვნული იდეა, რომ ასეთი წინასწარმეტყველების საფუძვლიანობა აღიაროთ?! იმას კი არ ითვალისწინებენ, რომ აგერ უკვე 20 წელია, რუსეთის სახელმწიფო „თავის წიაღში თვითონ გამოიმუშავებს უნიკალურ მექანიზმს სიღარიბისა და სიღუბნისა“ (აკად. აღ. ლვოვის გამოთქმით). როცა მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი უფრო მეტად

ღარიბდებიან, ეკონომიკა კვდება, საზოგადოებრივი კონტროლი სახელმწიფო მუშაკებზე ნულს უდრის (ასეთი ინსტიტუტების ჩანასახებიც კი გააქრეს), და არავინ იცის, რა მოხდება, თუ ეს უარყოფითი მასა ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებს. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ კომუნისტურ დროსაც არავის სჯეროდა საბჭოთა კავშირის დაშლა. ასეთი პროგნოზების ავტორებს ციხეებში და საგიჟეთში ათავსებდნენ. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა დისიდენტი ისტორიკოსი ალმარიკი, რომელმაც (1981-1982 წლებში) დაწერა წიგნი (ბროშურა) „Просуществует ли Россия до 1984 года?“, რისთვისაც ჯერ გაასამართლეს, შემდეგ კი საგიჟეთში ახეხიეს იატაკი. მერე დასავლეთის დაუინებელი თხონით გაასახლეს რუსეთიდან ევროპაში, სადაც ესპანეთში, ქალაქ ტოლედოში, „შემთხვევით“ ავტოკატასტროფაში მოჰყვა.

უბედურება (ყოველ შემთხვევაში, რუსეთისათვის და შემდეგ გარე სამყაროსთვის, ისაა, რომ ეს თითქოსდა უტოპიური იდეები რუსეთის დაშლისა არც თუ ისე არაარგუმენტულ დასკვნებზეა დამყარებული და საკმაოდ მეცნიერულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს ეყრდნობა: პირველი და შეიძლება – მთავარი მაინც არის დემოგრაფიული საკითხი – იკლებს შობადობა, მატულობს სიკვდილიანობა, სიკვდილიანობის ზღვარმა 60-65 წლებს მიაღწია, მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ეს ზღვარი 75-80 წლებს აღწევს (იაპონიაში 85 წელია). მატულობს მიგრაცია. ექსპერტთა გამოთვლით კლების ამპლიტუდა 2050-იან წლებში თავის უმაღლეს წერტილს მიაღწევს და 150 მილიონიდან დაახლოებით 100 მილიონამდე დაიკლებს. ეს მაშინ, როდესაც ინდოეთში მილიარდნახევარს მიაღწევს და ჩინეთში 2 მილიარდს გადააჭარბებს. ეკონომიკა დაღუპვის ზღვარზეა მისული, ძირითადი საწარმოო ძალები (ავიამშენებლობა, მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, მეტალურგია და სხვა) თითქმის ამ-

ორტიზებულის. აი, უკვე რამდენიმე ათეული წელია, ქვეყანაში არ აშენებულა ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით არც ერთი ქარხანა. წარმოების ამორტიზაციას გიგანტური თანხები სჭირდება, ოლიგარქები, ვის ხელშიც არის ძირითადად ალუმინის, ფოლადის, თუჯის, მანქანათმშენებლობის ძირითადი ქარხნები, მხოლოდ საფინანსო ინტერესებით არიან დაკავებული. კრიზისამდე მათ აიღეს საკრედიტო ვალები, მაგრამ კაციშვილმა ვერ გაიგო, სად გაქრა ეს ფული. ამბობენ, და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ ეს ფული კონვერტირებულ იქნა და იგივე დასავლეთის ქვეყნებს დაუბრუნდა, უფრო სწორედ – მათ ბანკებს, ოლიგარქებს ან ანონიმურ მეანაბრეებს საბანკო ანგარიშების სახით. მაგალითად, პრესაში იყო განცხადებული, რომ ოლიგარქ დერიპასკას (ალუმინის წარმოება, მეტალურგიული ქარხნები, მობილური კავშირი და სხვა) ბიზნესის კაპიტალიზაცია თითქმის სამჯერ ნაკლებია იმ ვალებზე, რაც მან კრედიტის სახით მიიღო უცხოური ბანკებიდან. დაახლოებით ასეთსავე მდგომარეობაშია ბიზნესმენების აბრამოვის (მეტალურგია), პოტანინის (ფერადი მადნეულის გადასამუშავებელი ქარხნები ნორისკში და მურმანსკში) და სხვათა წარმოებანი. საკრედიტო ვალებმა კი, როგორც ვიცით, პროცენტული დაგროვება იცის გადაუხდელობის დროს და აბა როგორ გადაიხდი, თუ წარმოება ეცემა, გასაღების ბაზარი ქრება და ნაწარმის ფასი იკლებს? ყოველივე ეს იწვევს გაკოტრებას, ასეთი გაკოტრებები და ისიც ასეთი გიგანტებისა კი – საწარმოთა სიკვდილს (კოლაფსს) და მუშახელის განდევნას. შემდეგ ამას მოჰყვება ბანკების გაკოტრება, რადგანაც ბევრი ბანკი ამ გიგანტურ წარმონაქმთა შვილობილია. შემდეგ? შემდეგ ინფლაცია, პროდუქტების გაქრობა საწყობებში, შემდეგ მაღაზიებში და ყოველივე ამას ვიცით რაც მოჰყვა 1917 წელს და 1990-1993 წლებში და ისიც რუსეთში. მარტო ის ჩამონათვალი

ხალხისა, რომლებიც უმუშევრად შეიძლება დარჩნენ ამ შემცირებების გამო, დაახლოებით 10 მილიონ ადამიანს მიადწევს. ამას თუ დაემატებთ მცირე და საშუალო მეწარმეთა საინვესტიციო ცენტრების, ბანკების, სავაჭრო-საცალო ფორმირების სამსახურიდან დათხოვილი მუშაკების რაოდენობას, მაშინ მათი სათვალავი 3-4 მილიონით გაიზრდება. ყოველივე ეს საკმაოდ საშიში, უარყოფითი (აგრესიული) მუხტია ყველა ქვეყნისათვის და, მითუმეტეს, რუსეთისათვის, გამომდინარე მისი ეროვნული მენტალიტეტიდან.

ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავს ამერიკელი პოლიტოლოგის ზ. ბუჟინსკის განცხადება იმის შესახებ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ეკონომიკის განვითარების ვექტორი ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ გადაიხრება რუსეთის დაკარგული (დაქუცმაცებული) ტერიტორიების ხარჯზე.

ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში სპეციალური მეცნიერული გამოკვლევები ტარდება ამ პრობლემის გარშემო. მათი ანალიზით, დღევანდელი გიგანტური ტერიტორიის მქონე უმართავი, ეკონომიკურად ჩამორჩენილი რუსეთი ვერ უზრუნველყოფს (ჩამორჩება) დინამიურად განვითარებად მსოფლიო ეკონომიკის წინსვლას. მაგალითად, უკვე დიდი ხანია, რაც ათვისებული უნდა ყოფილიყო თავისი სანაოსნო სტრუქტურებით ჩრდილოეთის საზღვაო გზა (მხედველობაშია საზღვაო გზა წყნარი ოკეანიდან ატლანტიკურ ოკეანეში). აი, ეს ძალიან აფერხებს კომუნიკაციურ-სატრანსპორტო ტვირთზიდვას და მსოფლიო იძულებულია საუკუნის და მეტი ხნის წინ გაკვალული გზით იაროს სუეცისა და პანამის არხით. ხოლო ამით გამოწვეული ზარალი მსოფლიო ეკონომიკას რამდენიმე ასეული მილიარდი დოლარი უჯდება. და რაც მთავარი და საგანგაშოა, რუსეთი არამარტო არ ცდილობს, არამედ არც აპირებს ამ ინფრასტრუქტურის განვითარებას. რა უცნაური ხალხია ეს დასავლეთის ხალხი?! ყველა-

ფერს თავის არშინით ზომავენ. აბა კარგად რომ იყვნენ ჩახედულნი რუსი კაცის ბუნებაში, მაშინ სხვანაირად იფიქრებდნენ ალბათ.

უკვე გამოჩნდა ისეთი პოლიტოლოგი – ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი, რომელმაც განაცხადა: ციმბირი თავისი მიუწვდომელი ინფრასტრუქტურით, უზოობით, უსინათლობით, მაგრამ ძლიერ მდიდარი წიაღ-ისეულით, ნავთობით, გაზით, სრულებითაც არ არის მარტო რუსეთის საკუთრებაო, ე.ი. მან უნდა მოგვეცეს საშუალება ამ მდიდარი მხარის ათვისებისო. ეს კი ნამდვილად მეტი მოუნდათ. აბა ვის მოუვიდოდა ასეთი უტოპიური აზრი, გარდა დემოკრატი თავისუფალი, უკომპლექსო ქალბატონისა?! თუმცა, ამაში გარკვეული სიმართლეც არის: ავი ძაღლი არც თვითონა ჭამს და სხვასაც არ აჭმევსო.

ანდა რა არის გასაკვირი იმაში, როცა ისე გაიყინა წარმოება, მრეწველობა, რომ არამარტო ჩინეთი დაეწია რუსეთს, არამედ ღატაკი, მეოცე საუკუნის შუალებში შექმნილი ინგლისის გუშინდელი კოლონია ინდოეთი (ეს რომ სტალინმა გაიგოს, ალბათ საფლავში ამოტრიალდება!). ეს გუშინდელი ე.წ. „მესამე სამყაროს ქვეყანა“ პროგრამულ პროდუქტებზე წელიწადში 40-45 მილიარდი დოლარის მოგებას ღებულობს, რაც თითქმის ხუთჯერ აღემატება ამ დარგში რუსეთის შემოსავალს.

ამ ბოლო 10 წლის მანძილზე არ აღირიცხება რაიმე წამოწყება ეკონომიკური სიმძლავრეების, სოფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის დარგებისა, არაფერი რომ ვთქვათ მსუბუქ მრეწველობაზე (რომელიც თითქმის არ არსებობს). არ არსებობს სოფლის მეურნეობის არცერთი დარგი, რომლის ნაწარმის იმპორტიც არ წარმოებდეს: რძე, ხორცი, კარტოფილი, ხახვი, ნიორი, ხილი, და ა.შ.

საერთოდ, ქვეყანა, სადაც იმპორტული ხარჯები

გაცილებით მეტია, ვიდრე ექსპორტული, ადრე თუ გვიან განწირულია გაკორტებისთვის (ანდა სამუდამო სიღარიბისთვის). იწველება რუსეთი, იწველება ისე, როგორც კოსტრომული ჯიშის ჯერ კიდევ მსუქანი და მოქნილი ძროხა, გაედინება საზღვარგარეთ გაზი, ნავთობი, ფერადი ლითონები, მეტალურგიული წარმოების ნახევარფაბრიკატები და სხვა... შემოედინება ტანსაცმელი, საკვები, კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი, საოჯახო ხელსაწყოები და ამას ჰქვია ეკონომიკა?! ერთი ბარელი ნავთობის გადამუშავებით ზეთი, წებო, ტანსაცმელი და ასე წარმოიდგინეთ, საკვებიც გამომუშავდება, რომ თუ რუსეთი გადაუმუშავებელ ნავთობში 100 დოლარს იღებდა, გადამუშავებისას თითქმის სამჯერ მეტს მიიღებდა. მაგრამ ამას ხომ თავის მობმა უნდა?! რუსეთის რესურსების პოტენციალი დაახლოებით 350-400 ტრილიონ დოლარს შეადგენს. თუ ამ თანხას ერთ სულ მოსახლეზე გავყოფთ, მაშინ რაღაც უცნაური ციფრი გამოგვივა. რუსეთის მოქალაქე თითქმის ორჯერ მდიდარი უნდა იყოს, ვიდრე ამერიკელი, ექვსჯერ – ვიდრე გერმანელი და იაპონელი და სხვა. რუსეთს განვითარებულ ქვეყნებზე გაცილებით უკეთესი მონაცემები უნდა ჰქონდეს ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავლის ოდენობით, მაგრამ როგორც ვიცით, საქმე პირიქითაა.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს თემას, რუსები ამბობენ: „Мечтать не вредно“-ო. ალბათ, მართალია, აბა ოცნებას ხომ ვერ დაუშლი ადამიანს?!. თუმცა რაღა ნატვრების დროა, როცა ცხოვრების მკაცრი სინამდვილე კარზე მოგვადგა. აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტების აღიარება კი არა, თურმე თვით იმპერიას ემუქრება დაშლა და დანგრევა და ამას ვიღაცა შარლატანი მედროვეები კი არ აცხადებენ, არამედ საკმაოდ ცნობილი და ერთ დროს (არც თუ ისე შორეულ წარსულში) პრემიერები, მინისტრები, სახელმწიფო მდივნები და სხვა. თუმცა საკითხავია ძირითადი თემა:

აწვობს თუ არა მსოფლიოს ამ პატარა პლანეტის მცხოვრებლებს ასეთი გიგანტი იმპერიის დაშლა?! ვინ იწინასწარმეტყველებს დაახლოებით მაინც, თუ რა კატაკლიზმები მოჰყვება ამას.

ანდა წარმოიდგინეთ კიდევ რვა ან ათი ახალი ქვეყანა თავისი ატომური იარაღის პოტენციალით, თავისი ბალისტიკური რაკეტებით, თავისი ისკანდერებით, თუ ტოპოლებით და, თუ სიცოცხლე არ მოგძულდება, პირჯვარი უნდა გადაიწერო, მიწაზე დაემხო და იყვირო, რომ ეს ასე არ მოხდეს. მე შენ გეტყვი, დაჯდებიან ეს ე.წ. ქვეყნები (მათი მესვეურები) ისე, როგორც ჩეხები და სლოვაკები და გაიყოფენ ქონებას და ტერიტორიას. ასი პროცენტით დარწმუნებული იყავით, რომ ეს ასე არ მოხდება. დაერევიან ერთმანეთს, ატყდება ჯერ კინკლაობა, მერე ჩხუბი და, როგორც ერთხელ უკვე ვთქვით: „Нам это мало - не покажется“. წადი მერე და შეარიგე ეს ხალხი, ჩამოართვი მათ ატომური ბომბები, სათამაშოები, რომელიც ასე უყვარს მას ბავშვობიდან, ქვემეხები, ტანკები, გრადები, ისკანდერები და სხვა. არ დაიჯეროთ და არ მოიტყუოთ თავი, რომ ვინმე რამეს დაგითმობს და მოგცემს ან მოსპობს. მსგავსი რამ რუსული მენტალიტეტისათვის წარმოუდგენელია და დაუჯერებელი.

ჩვენ დაახლოებით ის ვთქვით, რაც მეტროპოლიის ცენტრში ან ტიტულოვან ერის შიგნით მოხდება. მაგრამ ბაშკირები და თათრები რომ დასცხებენ ერთმანეთს, ყალმუხები და ინგუშები? რომ აირევა ჩრდილოეთ კავკასია და ძაღლი პატრონს ვერ იცნობს? მაშინ ვინატრებთ ალბათ ყველა ძლიერ სტაბილურ რუსეთს, მაგრამ უკვე გვიან იქნება.

ჩვენც მოვიცლით ალბათ უპატრონოდ მიტოვებული სეპარატისტებისათვის, შევალთ და დავიბრუნებთ ამ მიტაცებულ ტერიტორიებს, მაგრამ რად გინდა, თუ ხალხთა შორის ნდობა არ დამყარდა? არავითარი ძალადობრივი გადაწყვეტა ამ პრობლემისა ჩვენ ვერ

გვიშველის ისევე, როგორც არ შველის ესპანეთს ბასკებთან და ვერ უშველა ინგლისელებს ირლანდიელებთან.

„რაც მოვივა ღავითაო, ყველა შენი თავითაო“

აი, უკვე დადგა 2009 წელი. მიუხედავად გლობალური დათბობის შიშისა და გარკვეული პანიკისა, ამ წელმა სხვა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი სუსხი მოიტანა ჩვენს ქუჩებში, ბინებში და, რაც მთავარია, ჩვენს განწყობაში, ჩვენს აზროვნებაში. გარკვეულწილად გაძლიერდა ნიჰილიზმი, აპათია ყოველგვარი პოლიტიკური მოვლენის მიმართ. ადამიანი კი არა, დროთა განმავლობაში მეტალიც „იღლება“, ცვდება და შეიძლება მოულოდნელად გატყდეს, ფხვნილივით დაიშალოს. და ეს თუ ასეა, მაშინ რად გვიკვირს, რომ დავიდალეთ, გავცივდით, ინერტულები გახდით. პოლიტიკოსების ამდენი ტყუილების შემდეგ კიდევ კარგად გვიდგას სული...

მაღე ორი ათეული წელი გავა, რაც ე.წ. დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ. კაცობრიობის ისტორიაში ორი ათეული წელი შეიძლება წვეთი იყოს ოკეანეში, მაგრამ ერისათვის, რომელსაც აქვს ამბიციაც განაცხადოს, რომ მისი სახელმწიფოებრიობა ათას წლებს ითვლის, ეს პერიოდი ალბათ საკმარისი უნდა ყოფილიყო, რომ გამორკვეულიყო ე.წ. „თავისუფლების“ ეიფორიისაგან და წყნარად და მშვიდად შესდგომოდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს. გაუბედოთ და ერთხელ მაინც ვაღიაროთ, რომ ამისთვის მზად არ ვიყავით. თავისუფლებას, რა თქმა უნდა, მოპოვება უნდა და, თუ მოიპოვე, არანაკლები დაცვა სჭირდება, რომ თოვლივით არ შემოგადნეს ხელში შენივე ამბიციებისა და უგუნურობის გამო. თავისუ-

ფლების მინიჭება დეკლარაციით ან დეკრეტით არ შეიძლება. ამისათვის თვით ხალხი და პიროვნებანი უნდა იყვნენ მზად. მონურ შეგნებაში თავისუფლება და მისი წარმონაქმნი – დემოკრატია ვერ ისუღდგმულეს, ვერ განვითარდება. გარკვეული დროა საჭირო იმისთვის, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა წვეთწვეთობით გამოდევნოს თავის არსებიდან მონური ფსიქოლოგიის ნარჩენები.

გასაგებია, რომ სპარტაკის აჯანყება ვერავითარ შემთხვევაში მონების გამარჯვებით ვერ დამთავრდებოდა. რატომ? უბრალოდ იმიტომ, რომ ამისათვის არ არსებობდა არავითარი წინაპირობა, არ იყო შექმნილი სათანადო პოლიტიკური პირობები ე.ი. თვით საზოგადოებაც არ იყო მზად. დაუშვათ და გაემარჯვათ, დაუშვათ და, როგორც სურდათ, გამარჯვებულებს დაეტოვებინათ რომის იმპერიის ტერიტორია და სადმე გადასახლებულიყვნენ, იქ ეცადათ – ეცხოვრათ, აქმეზებიათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა. რას შექმნიდნენ? რას ჩამოაყალიბებდნენ? არაფერს უკეთესს იმისა, რაც იცოდნენ: მხოლოდ მონათმფლობელურ სახელმწიფოს, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე აგებულ ქვეყანას და მეტს არაფერს. თუკი გაძლიერდებოდნენ, ისეთივე აგრესორები გახდებოდნენ, როგორი ქვეყნის წიაღშიც გაჩნდნენ და მეტი არაფერი.

რატომ მომყავს ეს მაგალითი? უბრალოდ პარალელური თვით მკითხველმა გაატაროს, გამგები – გაიგებს.

გავაგრძელოთ და ერთი ისტორიული პარალელიც გავისხენოთ, რომლის გახსენება ან არ სურთ ან მორცხვად მიჩქმალულია ცივილიზებული სამყაროს მიერ. რატომ მაინცდამაინც იტალიის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით იხევდნენ სპარტაკის ამბოხებული მონები? რა იყო ამის მიზეზი?.. ამის მიზეზი და მიზანი იყო ის, რომ რაც კი სიმდიდრე (ოქრო, ვერცხლი) დააგროვეს, გადაეცათ საკმაოდ ცნობილ ვაჭრებისათვის,

რომლებიც შეპირდნენ გემებს, რათა აჯანყებულები გაცლოდნენ ქვეყნის ტერიტორიას. სანაპიროზე განდევნილ ხალხს ამის საშუალება, სურვილი და, წარმოიდგინეთ, დროც კი საკმაო ჰქონდა. მაგრამ რად გინდა? ვაჭრებმა ვერაგულად უღალატეს: გემები კი არა, ნაგებიც არ დაახვედრეს განსაცდელში ჩავარდნილებს... ფული და ოქრო უნამუსოდ მითვისეს და უღალატეს. საინტერესოა, რომელ საწყის კაპიტალს დაედო საწყისად ეს ხალხის ნაძარცვი შემდეგში?!

არსებობს ერთი მეტად საინტერესო და ცხოვრების სწორი წარმართვისათვის საჭირო მეცნიერება – ფსიქოლოგია. ისევე, როგორც ყველა მეცნიერება, ფსიქოლოგიაც იყოფა მრავალ ქვესაფეხურებად, მიმართულებებად (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს). ერთი კი ახლა მაინც შეიძლება დავასახელოთ: არსებობს ფსიქოლოგიის ერთი გასაიდუმლოებული ნაწილი, რომელსაც პირობითად ეროვნული ფსიქოლოგია ჰქვია. ამ მეცნიერების შესწავლისათვის სახელმწიფოები ფინანსებს არ იშურებენ, რამეთუ აქ შეგროვილი მასალები იძლევიან საშუალებას, მეტად თუ ნაკლებად შეიცნონ გარკვეული ინდივიდი, მთლიანად საზოგადოება, ან ერი – თავისი ფსიქოლოგიურ-გენეტიკური, საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ხასიათის თვისებებით, მიდრეკილებებით, ჩვევებით, ტრადიციებით და ა.შ.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ფსიქოლოგიის განვითარება მხოლოდ ახლახან დაიწყო. ამ მასალების შეგროვებით, მათი დამუშავებით, შესწავლით იყო დაკავებული გარკვეული განვითარებული სახელმწიფოები, ამ მიზნით იგზავნებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში ე.წ. მოგზაურები ათანასე ნიკიტინი, პრუვეალსკი, ბერინგი, კუკი, ამერიკო ვესპუჩი თუ კოლუმბი... ტოპოგრაფიული თუ საზღვაოსნო რუკების გარდა – მთავარი მიზანი იყო, იქ ხალხიც (ტომი) შეესწავლათ, მათი ზნე-ჩვეულებები, საბრძოლო უნარიანობა,

საომარი აღჭურვილობა და სხვა, რაც შემდეგში არანაკლებ გამოადგებოდათ და გამოადგათ კიდევ ამ აბორიგენების დაპყრობაში. ერთი პრჟევალსკიც გვეყოფა ამის მაგალითად – შუა აზიის ქვეყნების დაპყრობაში რუსეთის იმპერიის მიერ. სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ სამხედრო მხვევრავმა პრჟევალსკიმ არამარტო შესანიშნავი ტოპოგრაფიული რუკები შეადგინა და ჩამოიტანა, არამედ საქმის კარგი ცოდნით შეისწავლა შუა აზიის სახელმწიფოებრივი წყობა (აღწერა სახანოების: ბუხარის, ხივას, სამარყანდის და სხვათა ეკონომიურ-პოლიტიკური თუ სამხედრო მდგომარეობა. ამასთანავე ჩამოაყალიბა შესანიშნავი საცნობარო მასალები ამ ქვეყნების მოსახლეობაზე, მათ ჩვევებზე, ეროვნულ თვისებებზე, შეძლო გაერკვია და აღეწერა ეროვნული თუ ტომობრივი განსხვავებანი თურქმენებს, ტაჯიკებს, უზბეკებს, ყირგიზებსა და ყაზახებს შორის. თითოეულ ამ – ახლა უკვე ერებში – დიდი ეთნიკური განსხვავებებია, განსაკუთრებით ტაჯიკეთის პამირის ოლქში, სადაც თითქმის 100 სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხი ცხოვრობს. პრჟევალსკის ნაშრომებში რომ ჩაეხედათ ბოლშევიკებს, მაშინ არ დაემართებოდათ ის სასაცილო კაზუსი, რაც დაემართათ 1921-1922 წლებში, მაშინ, როცა შექმნეს „მოკავშირე“ რესპუბლიკა ყირგიზეთის სსრ და მასში ავტონომიური ოლქის სახით შეიყვანეს ყაზახეთი და უზბეკეთი.

ერთი პატარა ექსკურსიც გავაკეთოთ, მკითხველო, საკუთრივ ჩვენი ქართული ისტორიიდან: ასეთი „მოგზაური-სტუმრები“ არ აკლდა ჩვენს მიწა-წყალსაც. გაეჩერდეთ ერთ საკმაოდ ცნობილ პიროვნებაზე, რომლის სახელობის ქუჩაც ამშვენებს დღეს თბილისის პრესტიჟულ უბანს, პასტორ შარდენზე. არ მინდა გულუბრყვილო ვიყო და დავიჯერო, რომ შარდენი საქართველოს და ქართველთა სიყვარულმა ჩამოიყვანა ჩვენთან... რა თქმა უნდა, მას ჰქონდა თავისი

საიდუმლო მისია. ალბათ, უპირველესი – კათოლიკური რელიგიის გავრცელება გახლდათ. მაგრამ არანაკლებ მთავარი იყო ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო მდგომარეობის შესწავლა.

ის, რაც ღიად გამოაქვეყნა შარდენმა წიგნის სახით, საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რაც ვთქვით: ყოველ შემთხვევაში, იგი შეეცადა აღეწერა ქართული ტომების, ლაზების, მეგრელების, აფხაზების, ქართლებების, კახელების და სხვათა ტომობრივი განსხვავებანი, რაც მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენს ჩვენი ეროვნული ფსიქოლოგიის შესწავლისათვის. ასე თუ ისე ჩაგვახედებს ჩვენს სულში... მაგრამ ამ საკითხის შესწავლის დროს გარკვეულ კუროზულ შემთხვევასაც წავაწყდებით.

შარდენის აღწერით, როცა ქართველები (მეგრელები) ერთმანეთს ესაუბრებიან, მეტად ემოციურები არიან, ხმამაღლა საუბრობენ, ერთმანეთს ეპაექრებიან და, რაც მთავარია, საუბრის დროს აუცილებლად ორივე ხელი ხანჯალზე უდევთ, – და აქვე ასკვნის: ამას ალბათ იმიტომ აკეთებენ, რომ ერთმანეთს არ ენდობიან და საშიშროების შემთხვევაში ერთმანეთს უნდა დაასწრონო.

ბოდიშს მოვიხდი, საუბარი ისევ და ისევ გამიგრძელდა და რუსული ხატოვანი გამოთქმით რომ ვთქვათ, „Унесло не в ту степь“.

ერთსაც დავამატებ: ეროვნული ფსიქოლოგიის საჭიროება მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც მისი შესწავლა დაიწვეს დიპლომატიურ სასწავლებლებში და, რაც მთავარია, სპეცორგანოებში (დაზვერვა, კონტრდაზვერვა). ყოველ შემთხვევაში, პირადად მე მაშინ, როცა ასეთ დაწესებულებებში ვსწავლობდი და ვმუშაობდი, რაც შემეძლო ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ვითვისებდი ამ საგანს.

ერთიც უნდა აღინიშნოს: ეჭვი არავის შეეპაროს, რომ ამ მეცნიერების პოსტულატებით საკმაოდ შესწა-

ვლილი ვყავართ არამარტო ჩვენ მეზობელ ქვეყნებს (დიდს თუ პატარას), არამედ ოკეანის გაღმაც და ევროპის ცენტრშიც. ე.ი. რომ იტყვიან, გაშიფრულები ვართ. ვიმეორებ, არც კი ვიცი ჩვენთან საქართველოში ამ საგანს თუ რაიმე ყურადღებას აქცევენ, სწავლებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, რამეთუ ცოტაოდენ მაინც რომ ცდილობდნენ ამ კუთხით შეესწავლათ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის საკითხები, ამდენ უხეშ შეცდომას არ დაუშვებდნენ. კი, ბატონო, ფსიქოლოგიაში ვერ ერკვევი, ვინაიდან ფსიქოლოგიის ცოდნა გარკვეულ ინტელექტუალურ დატვირთვას მოითხოვს. დაუშვათ, ამის უფლებას არ გაძლევს ცხოვრებისეული მომზადება და ა.შ. მაგრამ, თქვე მამაცხონებულნო, ზოოლოგიის საწყისები მაინც არ გისწავლიათ საბავშვო ბაღში ან სკოლაში, ან ბებიას და ბაბუას არ წაუყვანიხართ ზოოპარკში და იქ მაინც არ მიგიღიათ ელემენტარული განათლება, რომ ლომის, მგლის, ვეფხვის და სხვა გარეული ცხოველების გალიებში ხელი ან ცხვირი არ უნდა შეყოთ?!

ერთი გურული ძველი ანეკდოტისა არ იყოს: „გურულმა თქვა, ვენაცვალე ჩემს დედ-მამას, წერა-კითხვა რომ მასწავლეს, თორემ ამას ვერ წავიკითხავდი და შევეყოფდი თავს დათვის გალიაში, აბა რას ვიზამდიო“. ამით იმის თქმა გვინდოდა: ელემენტარული ზოოლოგიის უცოდინარობამ ბრიყვულად შეგვაყოფინა თავი მგლის თუ დათვის ხახაში (აგვისტოს მოვლენებზე მოგახსენებთ) და ახლა გაფევირივართ, ჩვენი ბრალი არ არისო, ჩვენ არ დაგვიწყიაო, ჩვენ მხოლოდ მსხვერპლი ვართო და ა.შ. ეჰ, მართალი გითხრათ, ახლაც ჩვენი მოთქმა-გოდება თუ არ გაგაკვირვებთ, ტრახი ხომ (ომი მოვიგეთო) უფრო მეტად სატირალია, სასაცილო რომ არ იყოს. თუმცა ამ უგუნურებით მართლაც ბევრი ასეული ოჯახი ავატირეთ, შავები ჩავაცვით, გავაუბედურეთ და იმის გამბედაობაც არ გვეყოფნის, ბოდიში მაინც მოვუხადოთ. თუმცა რა ბო-

დიშის მოხდაზე საუბარი, როცა ვერავითარი დასკვნებიც კი ვერ გამოვიტანეთ, არაფრით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხელისუფლებას აღიაროს თავის დანაშაული, ან თუნდაც შეცდომაც კი.

აი, განცხადებები იმის შესახებ, რომ ომი მოვიგეთ, საერთოდ უკომენტაროდ უნდა დატოვოს ადამიანმა, ვინაიდან ასეთი რამის განცხადება, მეტი თუ არა, უსასტიკესი ცინიზმია საკუთარი ხალხისა და საზოგადოების წინაშე. ასეთი განცხადება საერთოდ მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას და, მე თუ მკითხავთ, საერთოდ უკუღმა ატრიალებს საქვეყნოდ ცნობილ აქსიომებს, რომ ორჯერ ორი ოთხია, მათი გაგებით ორჯერ ორი იმდენია, რამდენიც მათ აწყობთ. ამაზე იტყოდნენ ჩემს ბავშვობისას თბილისში: ბნელა, კაცო?! ანდა რა კრიტიკრიუმებით განისაზღვრება ომის მოგება? აქამდე კაცობრიობას ჰქონდა საუკუნეების მიერ გამომუშავებული კრიტიკრიუმები ომის მოგებისა და წაგებისა. ამ ხალხმა კი ყველაფერი ყირაზე დააყენა: დაგვარგეთ ტერიტორიები, ადრე დაკარგულ ტერიტორიებს სხვა „ახალიც“ მივუმატეთ, ჯარი მოიხსნა პოზიციებიდან და არეული (ქაოსური) უკანდახევა დაიწყო, ე.წ. რეზერვისტები უიარაღოდ ჩავიყვანეთ საომარი მოქმედების ტერიტორიაზე და თითქმის საზარბაზნე ხორცად დავუტოვეთ მოწინააღმდეგეს, დაბომბეს და გაანადგურეს სამხედრო ინფრასტრუქტურა. ამას გარკვეულწილად მოჰყვა მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება და დარბევა. უკვე არსებულ დევნილებს (300-350 ათას კაცს) დაეუმატეთ ალბათ 100-150 ათასი დევნილი, დაგვარგეთ ახალგორის რაიონი, ერთადერთი რაიონი, რომელსაც მთლიანად ვაკონტროლებდით ე.წ. სამხრეთ ოსეთში. დაგვარგეთ კოდორის ხეობა ე.წ. „ზემო აფხაზეთი“, მნიშვნელოვანი სტრატეგიული დასაყრდენი ტერიტორია აფხაზეთში. რაც მთავარია, ამას შეეწირა ასეული ახალგაზრდის (ჯარისკაცის) სიცოცხლე. მტერი თბილისის მისადგო-

მებთან სულ რაღაც ათეულ კილომეტრში გამოჩნდა და ქალაქს აღებით ემუქრებოდა, და ამას ჰქვია ომის მოგება, ხალხო? და ახლა გავეყვით: თბილისი ხომ დავიტოვეთო! ვაი ჩვენ თავს, თუ ამას ვიჯერებთ, თბილისი კი არ დაიცავით, ბუნკერებში იჯექით და ყოველწუთს რეკავდით ტელეფონით ევროპაში და ამერიკაში, რომ როგორმე „კეთილ“ ბიძიებს შეეჩერებინათ მტერი, რაც მართლა მოხერხდა ბიძია სემის და ფრანსუასა და ფრანცების მეშვეობით და არა თქვენი გულადობით. ანდა, არა მგონია, რომ ვინმეს წინააღმდეგობა გაეწია მტრისთვის, თუ ის თბილისში შემოსვლას დააპირებდა. ნახევარი მთავრობა გახიზნული იყო, კიდევ ერთი ნახევარი წითელ ხიდთან ბლატაობდა, რომ ვიხები გაეფორმებინა და გაქცეულიყო. ანდა სტრატეგიულად რა აზრი ჰქონდა მაშინ, აგვისტოში თბილისის დაცვას ანდა ვის უნდა დაეცვა იგი, დემობილიზირებულ მთავრობას თუ ჯარს?! თბილისის დაცვა იმ დღეებში უფრო მეტ მსხვერპლს მოგვცემდა, უფრო მეტ უდანაშაულო ხალხის დაღუპვას გამოიწვევდა და მეტს არაფერს. მაგრამ მჯერა, თუ მაშინ მტერი რუსთაველზე აღმოჩნდებოდა, სწორედ იმ დღეს, იმ წუთიდან დაიწყებოდა იმ წამსომის ათვლა, რაც მას საბოლოო დამარცხებამდე მიიყვანდა: სწრაფად მოხდებოდა ხალხის კონსოლიდაცია, მისი ყველა ძალების ერთიანობა, და ერთ მუშტად შეკრულ ხალხს კი ვერასოდეს ვერავინ დაამარცხებს.

ერთი კითხვაც უნდა დაისვას. არადა, იმდენად აბსურდულია ეს კითხვა, რომ მისი გახმოვანებაც კი თავმოყვარე ადამიანში მწარე ღიმილს უნდა იწვევდეს: „ომი ჩვენ არ დაგვიწყია, რუსეთმა დაიწყო“. შე კაი ადამიანო, ის მაინც თქვი, ისე ლამაზად ჩაგვითრიეს ომში, ისე ოპერატიულად მოგვატყუეს, რომ ვერც კი გავიგეთ, თუ როგორ წამოვეგეთ ანკესზეო. ამ საკითხის გარკვევისთვის სრულებითაც არ არის საჭირო რაღაც, ვითომდა საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის შექმნა

„ოპოზიციონერ“ პ. დავითაიას, ანდა ევროკავშირის კომისია ქალბატონ ტალიაინის მეთაურობით. უბრალოდ აიღეთ და გაიმეორეთ 7-8 აგვისტოს სატელევიზიო გადაცემები, სადაც ეკრანზე თქვენი თვალთ იხილავთ და თქვენი ყურით მოისმენთ: ბატონი პრეზიდენტი აცხადებს ქართული ჯარი შევიდა ცხინვალში, დაიკავა ძირითადი სტრატეგიული პუნქტები, შენობები და შევიდა იმიტომ, რომ აღედგინა ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური სივრცეო. ე.ი. სულ რაღაც 2-3 საათში შევედით ცხინვალში, დავიკავეთ სტრატეგიული პუნქტები, თითქმის არავითარი წინააღმდეგობა მოწინააღმდეგეს არ გაუწევია. აი, როდის უნდა დავფიქრებულიყავით, აი, როდის უნდა გაგვერკვია, რა ხდებოდა: ეს მტრის სტრატეგიული ჩანაფიქრი იყო თუ კარგად ჩაწყობილი ხრიკი. მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, რომ ყოველივე ეს კარგად გათვლილი სტრატეგიული საომარი გეგმა იყო, რომელშიც ჩაგვითრიეს.

გაიხსენეთ პატარა ეპიზოდი მ. ჭიაურელის ფილმიდან „გიორგი სააკაძე“: როცა სააკაძემ ზურგი აჩვენა მტერს, მტერი მას გამოედევნა და სდია იქამდე, სანამ მას თავზე არ დაესხა ხეობაში ჩასაფრებული ქართველთა ლაშქარი და მუსრი არ გაავლო. აი ასე, ნებისთ თუ უნებლიეთ, იმდენად დიდი იყო ზოგ-ზოგის სურვილი და ამბიციაც საკითხის ერთი ხელის დარტყმით გადაწყვეტისა, რომ შევედით, შეგვიტყუეს ხევში (ბოლიში, ცხინვალში), ცოტახანს გვაცადეს, რომ ეიფორიას მივცემოდით, გვეტრახახა და ბაქიბუქი აგვეტეხა და შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: პირისპირ ომში საქართველოს შეიარაღებული ძალები სულ რაღაც 10-15 ათასი მეომარი (დაახლოებით 2-3 ბრიგადა) ვერასოდეს ვერ დაამარცხებდა და ვერ დაამარცხებს რუსეთის ჯერ ერთ 58-ე არმიის 25-30 ათას ჯარისკაცს, და შემდეგ კი – დამხმარე ჯარებს, რომლებიც მათ ჩართეს. რა საბრძოლო გამარჯვებაზე შეიძლება

ლაპარაკი, როცა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა, შეიარაღება, საჰაერო სივრცის ფლობა, არტილერია, რაკეტები ერთი ასად და ერთი ათასად მეტია. ასეთ თანაფარდობაში ვერაფერი სტრატეგია ვერ გიშველის და, საუბედუროდ, ვერც სამაგალითო გამირობა და შემართება.

არადა, ერთი მითხარით, ყოველივე ამას რა დიდი გათვლები სჭირდებოდა?! განა არ ვიცოდით, რომ რუსეთის 58-ე არმია სულ რაღაც ივნის-ივლისში აწარმოებდა სამხედრო მანევრებს ჩვენს საზღვრებთან?! და განა არ გვითხრეს ათჯერ, ასჯერ პოლიტოლოგების, დუმის დეპუტატების, ფედერაციული საბჭოს წევრების პირით, არამც და არამც არ შეუტოთ ჩვენს მოკავშირეებს (სატელიტებს) აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, იქ ჩვენი მოქალაქეები არიანო და ჩვენ მათ არავის დავაჩაგვრინებთო და აუცილებლად დავიცავთ მათ – თუნდაც საომარი ქმედებების სახით?! რა იყო ამაში დაუჯერებელი, რა იყო ამაში გაუგებარი, რისი იმედით შევიდნენ ცხინვალში, ეგონათ რუსეთი უარს იტყოდა თავის მიზანზე?!

აი, აქ კი ნამდვილად უნდა დაგუბრუნდეთ საკითხს ეროვნული ფსიქოლოგიის შესახებ, რაც ადრე მოგახსენეთ. არა, ბატონებო, არ იცნობთ თქვენ და ალბათ არ გაგიგიათ ასეთი მეცნიერების სახელი და გვარი. ცოტათი ჩახედული რომ ყოფილიყავით ამ საკითხებში, ადვილად მიხვდებოდით, მოწინააღმდეგე მხარე არ ხუმრობდა, როცა გაფრთხილებდათ. პირიქით, მან შესანიშნავად შეისწავლა, გაითვალისწინა შენი ხასიათის გენეტიკური თვისებები და ჩავითრია იმაში, რაც მას პირადად აწყობდა, და, რაც მთავარია, როგორც უკვე მოგახსენეთ, არაერთხელ განუცხადებია საჯაროდ... ჯერ ერთი, რატომ არ უნდა გაგვეთვალისწინებინა ქვეყნის პირველი პირის განცხადება იმის შესახებ, რომ „თუ კოსოვოს დამოუკიდებლობას მიანიჭებთ, ჩვენ გვაქვს ამის საპასუხოდ ჩვენი საშინაო ჩანაფიქრი,

რის შესახებაც ჩქარა გაიგებთ“?! ამ განცხადებას დიდი გაშიფვრა არ სჭირდებოდა, ცხადი იყო, რომ ეს საშინაო ჩანაფიქრი ჩვენ გვეხებოდა, ჩვენს სეპარატისტულ ტერიტორიებს. და თუ ეს ასე იყო, რატომ ერთხელაც არ ჩავუფიქრდით ჩვენს მდგომარეობას?! ნუთუ ამ განცხადებას არ უნდა გამოვეფხიზლებინეთ?! რატომ არ დაგუპირისპირეთ ყოველივე ამას უფრო აწონილი, შეჯერებული საგარეო პოლიტიკა?! მაგრამ ვის უნდა წარემართა ეს პოლიტიკა? – იმ საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებიც სრულიად შემთხვევით მოხვდნენ თავიანთ საგარძღვებში (იშვიათი გამონაკლისის გარდა) და შერჩეულნი იყვნენ მხოლოდ პირადი ერთგულების მოტივით?! იმის მაგივრად, რომ სწორი და თანამიმდევრული საგარეო პოლიტიკა გაეტარებიათ დიდ, ძლიერ მეზობელთან ურთიერთობაში, დაადგნენ კონფრონტაციის გზას და მიიღეს ის, რაც მიიღეს: ჯერ ეკონომიური ბლოკადა, მერე გზების (სახმელეთო, საჰაერო) ჩაკეტვა, გასაღების დიდი ბაზრის დაკარგვა, დიდი სამუშაო ადგილების დაკარგვა, ე.ი. ქართული დიასპორის რუსეთიდან სამარცხვინო გამოძევება, და ყველაფრის დამაგვირგვინებელი იყო ის, რომ მივიღეთ ომი, რომელიც, რა თქმა უნდა, წავაგეთ, რამეთუ ასეთი სახის ომის მოგება ასეთ ძლიერ (დიდ და მრავალრიცხოვან) არმიასთან შეუძლებელი იყო...

და მაინც, რამ მიგვიყვანა ამ დღემდე?.. ვიმეორებ, ისევ და ისევ თვითკრიტიკის დეფიციტმა, როცა თვითდაჯერებული ხარ, თვითკმაყოფილი, თავზე ზედმეტად შეყვარებული, მაშინ „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

არც ისტორიულმა გამოცდილებამ გვიკარნახა, რომ ადრეული შეცდომები გაგვეთვალისწინებინა. „ქართლის ცხოვრებაში“ არის ერთი ეპიზოდი: XV საუკუნეში კახეთის მეფემ რუსეთის დიდ მთავარს წერილი მისწერა: სამი წელიწადი დასჭირდა მეფის დესპანს,

რომ მოსკოვში ჩასულიყო წერილი გადაეცა და პასუხი ჩამოეტანა. წერილი მეტად ბანალური შინაარსის გახლდათ: ძირითადად მოიკითხავდა დიდ მთავარს, მის ოჯახს, ჯალაბს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას უსურვებდა, ლოცავდა და ა.შ. რამეთუ ის, რაც საჭირო იყო, დესპანს ეთქვა ზეპირად. დესპანს უნდა გაეგლო მაშინ მუსულმანური სახანოები ასტრახანისა, ყაზანისა და პოლიტიკური შინაარსის წერილს ვინ გაატანდა მას მოსკოვში? მხოლოდ წერილის არსებობის ფაქტიც პირადად დესპანის დიპლომატიური მისიის მიზნის დამადასტურებელი საბუთი გახლდათ. მაგრამ მაშინაც იყვნენ მსტოვრები რუსეთის დიდი მთავრის კარზე, რომლებმაც სასწრაფოდ შეატყობინეს ირანის შახს მისი ურჩი ვასალის დამოუკიდებელი დიპლომატიური ქმედების შესახებ და შახმაც არ დააყოვნა: განრისხებულმა მისწერა კახეთის მეფეს დაახლოებით შემდეგი: „გავიგე რუსეთისათვის შემწეობა და მფარველობა გითხოვია. ერთი იცოდე, შენი ღმერთი ძალზე შორსაა, მაღლა ცაშია, რუსეთი ასევე ძალიან შორსაა და, სანამ ის რამეს გიშველის, მე აგერ ახლოსა ვარ, მოვალ და აგაოხრებო“.

ერთი ისტორიული გამოცდილებაც გვაქვს: 20-იან წლებში ევროპამ ხელიც კი არ გაანძრია დემოკრატიული საქართველოს დასაცავად ბოლშევიზმისაგან. გაიხსენეთ გენერალი მაზნიაშვილის ე.წ. მოლაპარაკებები საფრანგეთის გენერალურ შტაბში, როცა ფრანგმა გენერალმა ფურიემ მაზნიაშვილს ცინიკურად უთხრა ან მიახვედრა: „აბა ერთი ციციქნა საქართველოსთვის ვინ გაიდებს ძალებს, რომ რუსეთის უზარმაზარ იმპერიას ბრჭყალებიდან გამოგლიჯოსო“. კი, ბატონო, კარგია ევროინტეგრაცია, ევროკავშირი, ნატოს სამხედრო ქოლგა, ამერიკასთან კარგი ურთიერთობა, მაგრამ ყოველივე ეს არ უნდა ხდებოდეს ჩვენი ეროვნული ინტერესების გაუთვალისწინებლად. ჯერ

მეზობელთან ააწყვე ურთიერთობა. თუ ჭკვიანი და პრაგმატული ხარ, სწორი დიპლომატიური თამაში შეგიძლია, მაშინ დიპლომატიის რამდენიმე ფრონტზე იმუშავე, რომ „არც მწვადი დაწვა და არც შამფური“. ოპონენტები და, რად გინდა ოპონენტები, თვით მთავრობაც სულ იმას ამტკიცებდა: რა ვქნათ, რუსეთი აღვივებს სეპარატიზმს, ურიგებს თავის პასპორტებს ჩვენი სეპარატისტული ტერიტორიის მოსახლეობას და მერე ჩვენ დევნილები ხომ უნდა დავაბრუნოთ, ტერიტორიები ხომ უნდა დავიბრუნოთ და ა.შ. დიას, ბატონო, ტერიტორიები უნდა დავიბრუნოთო, მაგრამ ომით და უდანაშაულო ხალხის სისხლით ორივე მხრიდან (ვიმეორებ – ორივე მხრიდან) დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებ. ვერავინ ვერ აიძულებს ამ ხალხს (აფხაზებს, ოსებს), რა გარეშე ძალებმაც უნდა უთხრან ან დააძალონ, ისევე შეუერთდნენ დედა-საქართველოს... ეს მოხდება და აუცილებლად მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: 1) აღვადგენთ ნდობას ხალხებს შორის. 2) ჩვენი მშვიდობისმოყვარე საშინაო და საგარეო პოლიტიკით დავარწმუნებთ ამ ხალხს, რომ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, სადაც დაცული იქნება მცირერიცხოვან ერთა უფლებები. 3) რა თქმა უნდა, ამავე დროს, ამ ერთა დაახლოებაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს რუსეთმა. ის კი არა, გარკვეულად, როგორც კეთილმა მეზობელმა, ხელი უნდა შეგვიწყოს, შეგვარიგოს, დაგვაახლოოს. რა თქმა უნდა, ბევრი იტყვის, რომ ეს მესამე პუნქტი ფანტაზიაა. კი, ბატონო, ახლა ყოველივე ეს ფანტაზიად გვეჩვენება, მაგრამ გაზომილი, გათვლილი, მოფიქრებული, შესაძლებლობების ზღვარზე დიპლომატიით შეიძლება ამის მიღწევა, როცა ყველასთან (სეპარატისტი+რუსეთი+ევროპა+ამერიკა) ერთდროულად სწორ დიპლომატიურ ურთიერთობას ააწყო. და არა ისე, როგორც ახლა მოვიქვებით, ყველა კვერცხი ერთ კალათში (ამერიკაში) რომ ჩავდეთ და სხვა უგულებელყავით.

ამან მიგვიყვანა ამ სავალალო შედეგამდე...

დიახ, ჩვენი ეკონომიკური განვითარებით, ხალხის კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებლებით უნდა დავარწმუნოთ სეპარატისტები, რომ ჩვენთან ცხოვრება უფრო მომგებიანია მათი ეკონომიკური განვითარებისთვის, ეროვნული თვითმყოფადობისათვის.

ამის შესანიშნავი მაგალითია აგერ უკვე სამი ათეულ წელზე მეტი ხნით გახლეჩილი კვიპროსი. მართალია, დროში უფრო მეტად გაიწვლა ეს პროცესი, მაგრამ უკვე რამდენიმეჯერ შედგა კვიპროსის ბერძენი და თურქი თემების შეხვედრები და მოლაპარაკებები და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კონფლიქტი დადებითად გადაწყდება. მითუმეტეს, რომ თურქეთის სურვილი – გაწევრიანდეს ევროკავშირში, პირდაპირ მიბმულია ამ საკითხის გადაწყვეტაზე ე.ი. თურქეთი იძულებულია გაითვალისწინოს ევროპის ზეწოლა, რამეთუ, ევროკავშირში მისი შესვლა და ინტეგრაცია პოლიტიკურად გაცილებით მომგებიანია, ვიდრე ერთი ციციქნა თურქული კვიპროსის ტერიტორიის კონტროლი.

ერთი პირობაც არსებობს, რითაც შეიძლება ამ სეპარატისტული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოსთან შეერთება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რუსეთში ისე აირევა პოლიტიკური და შინაური საკითხები, როგორც მოხდა XVI საუკუნეში, როცა რუსეთის ძლიერი სახელმწიფოს ძალაუფლება, რომელიც ივანე მეოთხემ შექმნა, ანარქიაში აღმოჩნდა: ჯერ ბორის გოდუნოვმა დაიჩემა მეფობა, შემდეგ ორი ცრუ დიმიტრები, მედროვეები ამეფეს, პოლონელები აბატონეს და, როგორც იქნა, ორი-სამი ათეული წლის შემდეგ ჩამოყალიბდნენ. ასევე მოხდა გასული საუკუნის ათიან წლებში, როცა რუსეთის იმპერიაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, უფრო სწორად – ანარქია და განუკითხაობა მეფობდა და როდესაც იმპერია რამდენიმე ე.წ. „სახელმწიფოდ“ დაიშალა: ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, სამხრეთის და ა.შ. რუსე-

თის რესპუბლიკებად. აი, მაშინ, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის ბევრ სხვა ხალხებს, ქართველ სოციალ-დემოკრატებსაც, რომ იტყვიან, „პოდნოსით“ მიართვეს ხელისუფლება და შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ამით რისი თქმა გვინდოდა: ფაქტია, რომ არავითარ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არ მოუტანია ჩვენთვის მაშინ დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობა მივიღეთ იმპერიაში შექმნილი ანარქიის შედეგად. შემდეგ? შემდეგ მაინც განწირული ვიყავით, რადგან დარწმუნებული ვარ, ვისაც არ უნდა გაემარჯვა მაშინ სამოქალაქო ომში, წითლებს თუ თეთრებს, არავინ გვაპატიებდა ამ „თავხედობას“.

სხვათა შორის, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გადავიკითხავთ რუსეთის იმპერიის თეთრი გენერლების დენიკინის, ვრანგელის, დროებითი მთავრობის ყოფილი ლიდერების მემუარებს, სადაც დაუფარავად წერია იმაზე, რომ მაშინ მათთვის მთავარი იყო მიეხედათ დედა რუსეთისათვის. აი, რუსეთში რომ დაეწყო ბოდა საქმე, მაშინ მოგვხედავდნენ ისევე, როგორც „მოგვხედეს“ ბოლშევიკებმა 1921 წლის თებერვალში.

90-იანი წლებიდან მოყოლებული ყველა ახალი ხელისუფალი და მისი გუნდი თავის მიზნებით ჭრის თარგს და წარსულის პოლიტიკურ მოვლენებს თავისი პროპაგანდის და პოლიტიკური მიზნების მიხედვით ამართლებს. როცა სჭირდებათ, პრეზიდენტ გამსახურდიას საქმეთა გამგრძელებლები გახლავან, როცა არ სჭირდებათ, მაშინვე ჩვეული „ლოგიკური“ ფანდებით თავს არიდებენ მასთან სიახლოვეს, რათა თავიანთი შეცდომები და დანაშაულებრივი ქმედებები წინა ხელისუფლებას გადააბრალონ. არა, ბატონებო, თუ ცოტაოდენ ობიექტური შეფასება გსურთ იმ სავალალო შედეგისა, რაც მივიღეთ 2007-2008 წლებში, ამაში ყველამ, ვიმეორებ – ყველამ, დაწყებული ადრეული (კომუნისტური) შევარდნაძიდან, პატიაშვილმა, გუმბარიძემ, გამსახურდიამ, შემდეგში – დემოკრატიის ნიდ-

ბით შემოსილი შევარდნაძიდან და დღევანდელი ხელისუფლების ლიდერებმა, – ეს შეცდომები, შეცდომები კი არა – დანაშაულებრივი ქმედებები ქვეყნისა და ერის წინაშე – ყველამ უნდა გაიზიაროს... ამ მოვლენათა სწორი ანალიზი, მათი ობიექტური შეფასებები მოგვცემს ალბათ საშუალებას – სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ახლა მაინც გამოვიფხიზლდეთ, ვისწავლოთ შეცდომათა ანალიზი. ერთი კი უნდა ითქვას: დღევანდელ ხელისუფალთ არა თუ შეუსწავლიათ მიახლოებით მაინც ეს საკითხები, არამედ, ამ შეცდომების ურემს შეცდომათა და უპასუხისმგებლო ქმედებების დიდი ზვინი დაამატეს, რითაც თითქმის კატასტროფის პირამდე მიიყვანეს ერი. კატასტროფაა აბა რა, როცა ჩვენი ტერიტორიები ანექსირებულია, სეპარატისტები თავხედობენ, და იმის მაგივრად, რომ ტერიტორიები დაგვებრუნებინა, დაკარგულს თითქმის ერთი მესამედი დავუმატეთ, ამასთან ერთად 350 ათას დევნილს კიდევ ერთი 100 ათასი დავამატეთ და საქართველოში დღეს თითქმის ყოველი მეექვსე მოქალაქე დევნილია. ეს უბრალო არითმეტიკული ანგარიშის შედეგია: თუ ქართველები სულ 5 მილიონი ვართ, აქედან 1 მილიონი (როგორც ამბობენ) რუსეთში ცხოვრობს, ნახევარი მილიონი ევროპაში და ამერიკაში, მაშინ დარჩა 3,5 მილიონი და აქედან 450 ათასი დევნილი, ე.ი. ყოველი მეექვსე დევნილის სტატუსით ცხოვრობს.

ზემოთ შევეხეთ იმ საკითხს თუ როგორ და რა პოლიტიკურ ვითარებაში მოვიპოვეთ XX საუკუნის დასაწყისში, ანუ 1918-1921 წლებში დამოუკიდებლობა: არა საქართველოში მომწიფებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპობრივი განვითარების საფუძველზე, არამედ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში ზეგავლენათა გადანაწილებისა და რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გადატრიალების შედეგად. პირველი მსოფლიო ომის გამჩაღებლებმა,

გერმანიამ, ინგლისმა, რუსეთმა, ავსტრიამ და სხვა მოპირისპირე სამხედრო კოალიციის წევრებმა, იმ იმედით, რომ ომს მოიგებდნენ და მსოფლიოს ახალ გადანაწილებას მოახდენდნენ, თვით თავიანთ ქვეყნებში მიიღეს ომი და რევოლუციები, თანაც – იმდენად ძლიერი, რომ ორი მსოფლიოს განმკარგულებელი იმპერია, როგორებიც იყვნენ რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი, უბრალოდ აღიგავნენ მსოფლიოს რუკებიდან, ხოლო გერმანია – სამარცხვინოდ დამარცხებული და დამცირებული ვერსალის ზავით – არა მარტო გამოეთიშა მსოფლიოს, როგორც დამოუკიდებელი ძლიერი პოლიტიკური მოთამაშე, არამედ მთლიანად დაკარგა სისხლის ფასად მოპოვებული ტერიტორიები და ინგლისზე და საფრანგეთზე დამოკიდებულ ქვეყნად იქცა. ევროპამ იგი განაიარაღა და დააჩოქა. იმასაც თუ დავუმატებთ, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო კოლონიალური ინგლისის იმპერიის რღვევა და საფრანგეთს შეექმნა დიდი და გარკვეული პოლიტიკური პრობლემები, როგორც მეტროპოლიაში ისე კოლონიებში (მაროკო, ალჟირი და სხვა), მაშინ აღბათ უფრო სრულად წარმოვიდგინოთ იმ მთლიან პოლიტიკურ სურათს, რაც შეიქმნა მსოფლიოში XX საუკუნის ოციანი წლებისათვის. ამით მხოლოდ იმის თქმა გვსურდა, რომ ჩვენთვის არავის ეცალა, ყველა თავის „მამიდას უვლიდა“. საინტერესოა რატომ ერთხელაც არ დაფიქრებულვართ იმაზე, რომ რუსეთის თებერვლის ე.წ. ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ მის სამხრეთ პერიფერიებს ერთი წუთითაც არ უზრუნვიათ ეროვნული თავისუფლების გამოსაცხადებლად (ისევე, როგორც ეს გააკეთა პოლონეთმა ან ფინეთმა), არამედ შექმნეს ამიერკავკასიის ფედერაცია სამი რესპუბლიკით (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) და სასწრაფოდ შეატყობინეს დროებით მთავრობას მათი ერთგულება ე.წ. რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, და არამარტო აღიარეს მათი წყობის უზენაესობა,

არამედ აღიარეს რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები სამხრეთ ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან (ფედერაციასთან) ერთად. როგორც ვიცით, ამ უდღეურ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ წარმონაქმნს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. არ ვიცი, როგორ აპირებდნენ მაშინდელი ამიერკავკასიის ლიდერები (ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები და აზერბაიჯანელი მუსავატები) ასეთ ქვეყანაში ცხოვრებას ან რა კანონებით, ან რა წესით?! თუ გავითვალისწინებთ იმ სისხლიან წინააღმდეგობას, რომელიც იყო შექმნილი სომხებსა და თურქებს შორის 1915 წლის სომხური გენოციდის შემდეგ, ანდა – საქართველოსა და სომხეთს შორის, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ ტერიტორიულ პრეტენზიებს (სამწუხაროდ, დღესაც არსებობს), ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა ეარსება „ამიერკავკასიის ფედერაცია“. ამაზე ალბათ არც არავინ დაფიქრებულა მაშინ, ისე საჩქაროდ შეაკოწიწეს ეს „ფედერაცია“. საინტერესოა ვინ იქნებოდა ამ სახელმწიფოში ტიტულოვანი ერი? ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არ არის, რომ არცერთი არ დათმობდა პირველობას, ყველა თავის მხარეს გაქაჩავდა ზეწარს, ეს კი სულ ჩქარა მიგვიყვანდა საომარ დაპირისპირებამდე, რომელიც მართლაც მოხდა რამდენჯერმე... ამით იმის თქმა გვინდოდა, რომ არცერთი ეროვნული ძალა არ იყო მაშინ მზად, როგორც საქართველოში, ისე მეზობლებთან, ხელში აეღო ინიციატივა და გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, 1917 წლის 25 ოქტომბრიდან რადრო გავიდა 1918 წლის 26 მაისამდე (დაახლოებით 7 თვე), როდესაც კავკასიის უდღეური ფედერაციული რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციაში (თუ იმპერიაში) შედიოდა და მისი ხელისუფლების მორჩილი რჩებოდა.

მხოლოდ 1918 წლის მაისში, როდესაც რუსეთს სა-

ერთოდ არ ეცალა პერიფერიებისათვის ქვეყანაში გაჩაღებული სამოქალაქო ომის გამო, როგორც იყო „შეიკრიბნენ“ სოციალ-დემოკრატთა მესვეურები და უპატრონო ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ნათქვამია, „ქარის მოტანილს, ქარი წაიღებსო“ და, საუბედუროდ, სულ რაღაც ორ წელიწადნახევარში ეს ასეც მოხდა.

ამბობენ, ისტორია მეორდებაო და უფრო ხშირად – მეორედ ფარსის სახითო. ასე დაგვემართა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და შემდეგ – ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. აქაც, თუ ობიექტურები ვიქნებით, თუ შევაფასებთ არა მიკერძოებული ამბიციებით ამ მოვლენას, უნდა გვეყოს გამბედაობა, რომ გულახდილად ვთქვათ, აქაც ლანგრიტ მივიღეთ ეროვნული დამოუკიდებლობა, რამეთუ უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ რუსეთის იმპერიაში (მაშინდელი საბჭოთა კავშირი) დაიწყო ეკონომიკური, პოლიტიკური ქაოსი, რომელმაც დააჩქარა მისი მარტივ მამრავლებად დაშლა.

რა იყო ამის წინაპირობა? თუ ასეთ ისტორიულ ექსკურსს მაინც ჩავატარებთ, 1917 ან 1921 წლიდან, მაშინ გასაგები გახდება, რომ ის ეკონომიკურ-პოლიტიკური საძირკვლები, რაზეც აშენდა ე.წ. საბჭოთა კავშირი, აღრე თუ გვიან ჩანასახშივე განწირული იყო თანდათანობითი დეგრადაციისათვის. მსოფლიო ცივილიზაცია სულ სხვა მიმართულებით ვითარდებოდა, ჩვენ კი გაუკვალავი გზით „სოციალიზმს“ ვაშენებდით, მაგრამ ვაშენებდით კი? ეს კითხვა ახლა მაინც არ უნდა იწვევდეს კამათს. რა სოციალიზმის მშენებლობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა დაამყარეს ერთპარტიული დიქტატურა, მთელი ეკონომიკის და ფინანსების ნაციონალიზაცია, რომელსაც ხალხის ალბათ დასაცინად „პროლეტარიატის დიქტატურა“ შეარქვეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ სახელმწიფოში თვით პროლეტარიატს (მუშებს) და გლეხობას

საცხოვრებელი არეალი საერთოდ არ დაუტოვეს. ვინც კი წინააღმდეგობის მცდელობა გამოიჩინა ან განსხვავებული აზრი ხმადაბლა გამოთქვა, ციხეებში და გადასახლებაში ამოაღვეს. ერთი მაშინდელი ხატოვანი გამოთქმით, ქვეყნის მოსახლეობა თითქმის სამ თანაბარ ნაწილად დაიყო: ერთი ციხეში იჯდა, მეორე დარაჯობდა და მესამე დაპატიმრებას ელოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, არანაკლებად უბედური ნაწილი ხალხისა, დამსჯელ ოპერაციებს ატარებდა, მაგრამ არც ის იყო მთლად დაცული და ადრე თუ გვიან საპყრობილეში ამოჰყოფდა თავს. აი, ასეთი გახლდათ „სოციალიზმის“ აშენების ძირითადი სახე საბჭოეთში. შემდეგ დაიწყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. მაგრამ რა ფინანსური მხარდაჭერით ან, ახლა რომ იტყვიან, რა ფინანსური ინვესტიციებით უნდა მოეხდინათ იგი? რა თქმა უნდა, ისევ და ისევ საბჭოთა ხალხის გადატაკებით, უფრო სწორად – მათი ძვლების ფუნდამენტზე. ამისათვის რამდენიმე ათეული მილიონი უფასო მუშახელი ჰყავდათ პატიმრების სახით და სხვათა შორის – საკმაოდ კვალიფიცირებული მუშახელი, რადგან დატყვევებულებში და გადასახლებებში ძალიან ბევრი პროცენტი იყო მეტად განათლებული, განსწავლული ხალხი – დაწყებული ტექნიკური ინტელიგენციით და დამთავრებული ჰუმანიტარული განათლებით (აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები, მწერლები, პოეტები, მხატვრები, კომპოზიტორები და ა.შ. და ა.შ.). ე.წ. ენკავედეს სტრუქტურაში ჩამოყალიბდა Главное управление лагерей (ГУЛАГ-ები), რომლებიც მართავდნენ ამ შავბნელ საქმეს. მათ ხარჯზე, უფასო საზარბაზნე ხორცზე, აშენდა ინდუსტრიული ცენტრები ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში: ნორილსკის მეტალურგიული ქარხნები, მაგადანის ოქროს მომპოვებელი ფაბრიკები, მაგნიტოგორსკი, კომსომოლსკი, ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნები, საზღვაო ნავსადგურები, ბელომორის არხი, ვოლგა-დონის არხი, თვით-

მფრინავმშენებელი და სატანკო ქარხნები. არავის დაუთვლია, თუ რამდენი ათეული და ასეული ათასი უდანაშაულოდ მსჯავრდადებულის სიცოცხლე შეიწირა ამ მშენებლობებმა. დღეს უტიფრად ამაცობენ, ზოგიერთი ექსტრემისტი პოლიტიკოსები, მათი სიტყვით, ქვეყნის ამ უდიდესი მშენებლობებით. იმას კი არ უფიქრდებიან, რა სისხლის და წამების ფასად დაჯდა ეს მშენებლობა. საერთოდ ვინ იტყვის, რომ ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნისათვის ინდუსტრიალიზაცია არ იყო საჭირო? რა თქმა უნდა, იგი საჭირო იყო, მაგრამ არა ძალადობრივი მეთოდებით, არა ხალხის ბოლო ლუკმა-პურის ექსპროპრირებით, არამედ ევოლუციური გზით, მაშინ, როდესაც ქვეყანა გაივლიდა გარკვეულ ეტაპებს ეკონომიკური განვითარებისა, ჩამოყალიბებისა, დამშვიდდებოდა, დაწყნარდებოდა, აინაზღაურებდა რევოლუციითა და სამოქალაქო ომით მიყენებულ ზარალს. მაგრამ ამისათვის ვის ეცალა! მთავარი იყო შედეგი, ისიც – არა ხვალ და ზეგ, არამედ ახლა და სასწრაფოდ, რათა დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ზებუნებრივი დაუოკებელი ამბიციები მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა. ოპონენტებს, რომლებიც იცავენ ბოლშევიკების ამ პოლიტიკას, არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ინდუსტრიალიზაციის გარეშე საბჭოთა კავშირი ვერ გაუმკლავდებოდა გერმანულ ფაშიზმს და ომში დავმარცხდებოდით. კი, ბატონო, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და სამრეწველო პოტენციალმა დიდი როლი ითამაშა, მაგრამ არა გადამწყვეტი, და, რაც მთავარია, ამერიკა რომ არ დახმარებოდა საბჭოეთს, არავინ უწყის, როგორ განვითარდებოდა საომარი მოქმედებები. იძულებითი კოლექტივიზაციის დანერგვამ ქვეყანა მიიყვანა შიმშილამდე, გლეხი მოსწყვიტეს მიწას, გადაანჩიეს შრომას, ლიკვიდირებული იქნა სოფლის ყველაზე მშრომელი და გამრჯე კლასი – კულაკობა, ამან გამოიწვია ქვეყანაში კანიბალიზმი, ყაზახეთში,

დონის ოლქებში და უკრაინაში ამოიხოცა მილიონობით ადამიანი... აი, რა ფასად დაუჯდა საბჭოთა ხალხს ბოლშევიკების ექსპერიმენტები ე.წ. „სოციალიზმის“ აშენებისა. ამ თემაზე საუბარი და განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს, მე უბრალოდ სქემატურად შევეხე იმ უმძიმეს გზას, რომელიც გამოიარა ხალხმა იმ შავბნელ პერიოდში, თითქმის ორი-სამი თაობის ცხოვრება შეეწირა ამ დროს, – ლაყობის, სისასტიკის, ტერორის, დაპატიმრება-გადასახლების, წამების, შიშის, განუკითხაობის დროს. შემდეგ ომი, ისევ და ისევ ხალხის განუსაზღვრელი მსხვერპლი. ომის პირველ თვეებში თითქოს სამი-ოთხი მილიონი ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცი, რომლებმაც ამის შემდეგ სიცოცხლე (სტალინის სიკვდილამდე) გულაგებში გაატარეს. შემდეგ დამარცხებები, „სახელოვანი“ გამარჯვებები, რომლებიც სიცოცხლის ფასად მოიპოვა ხალხმა. ხშირად ეს გამარჯვებები განპირობებული იყო არა სამხედრო სტრატეგიით, არამედ შიშველი პოლიტიკური გათვლით და ემთხვეოდა, რაც უნდა საკვირველი იყოს, ბოლშევიკების სახელმწიფო დღესასწაულებს (პირველი მაისი, შვიდი ნოემბერი და სხვას). ცნობილია რომ, როცა დადგა საკითხი, თუ რომელ საომარ ქმედებაში მონაწილე სახელმწიფოს დაელაშქრა ფაშისტების ბუნაგი – ბერლინი, ამერიკელების გათვლით (გენერალ ეიზენჰაუერის და უისტონ ჩერჩილის მემუარებით) მოკავშირეებს ეს სამხედრო ოპერაცია რამდენიმე ათეული ათასი მეომარის დაღუპვის ფასად დაუჯდებოდათ და ამიტომაც ეს საპატიო მოვალეობა საბჭოთა სარდლობამ განახორციელა, ყველა დროისა და ხალხების უბრწყინვალესი მხედართმთავრების სტალინისა და ჟუკოვის ხელმძღვანელობით და ისიც მაისის დღესასწაულებს დაამთხვიეს.

ომი მოვიგეთ, მაგრამ ამან არავითარი შვება არ მისცა ხალხს. ამ გამარჯვების შედეგად აღმოსავლეთ

ევროპის ბევრი სახელმწიფო (უნგრეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, რუმინეთი, ალბანეთი და სხვებიც) „გავაბედნიერეთ“ და იქაც „სოციალიზმის“ აშენება დავიწყეთ, რამაც მოგვიტანა 1953 წლის აღმოსავლეთ ბერლინის, 1956 წლის ბუდაპეშტის, 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ამბოხი, – არასტაბილური, დენტის სუნით გაღუენთილი აღმოსავლეთ ევროპა. ამას მოჰყვა „დიდი ბელადის“ სიკვდილი თუ მოკვდინება (მისი ე.წ. გუნდის მიერ), მერე გაუნათლებელი მუუიკი – ხრუშჩოვის 10 წლიანი მმართველობა, თავისი კუროსზული ქცევის მეთოდებით, თვითდაჯერებით, „პიროვნების კულტით“. შემდეგ ვითომდა „დათბობის“ წლები, მერე – ინტელიგენციის შევიწროვება, დევნა და სხვა მრავალი. სხვათა შორის, ილია ერენბურგის ხატოვანი გამოთქმით, „იყო პიროვნება (სტალინი) და იყო პიროვნების კულტი, ახლა არ არის პიროვნება და რა კულტი შეიძლება იყოსო“. მოხდა კიდევ ერთი სახელმწიფო „გადატრიალება“ და ქვეყნის სათავეში მოვიდა, რუსები რომ იტყვიან, „Балагуры и бадники“, ყოველ შემთხვევაში 60-იან წლებში, ვითომდა მისი დამქაშების გამოთვლით, დროებითი ხელისუფალი. მაგრამ ამ ნახევრად რუსმა (გაზრდილმა და დავაჟკაცებულმა ისე, როგორც ხრუშჩოვი უკრაინაში) თანდათანობით ყველას გადაუჯოკრა. ძირითადი ოპონენტები მოიშორა და თითქმის 20 წელი იმეფა. ხოლო სერიოზული სნეულების შემდეგ, 1976 წლის მიწურულს, ქვეყნის მმართველობაში ისეთი სურათი შეიქმნა, რომ არავის მის გარემოცვაში (პოლიტიკურში) არ აწუხებდა მისი გადადგომა ან გადატრიალება, ისე ეშინოდათ ერთმანეთისა – როგორც მგლების ხროვას. ჩინგიზ აიტმატოვს ხატოვნად აქვს გადმოცემული თავის რომანში, თუ როგორ გლეჯენ მგლები დასუსტებულ, სნეულ წინამძღოლს, მაგრამ ამით ბრძოლა არ თავდება, შემდეგ ერთმანეთს დაერევიან და ხროვის ბელადი (წინამძღოლი) ხდება გამარჯვებუ-

ლი. უკვე 70-75 წელს გადაცილებული პარტიულ ბელადებს სრულებითაც არ აწყობდათ ეს პერსპექტივა და ამიტომ მზად იყვნენ, შედარებით უმტკივნეულოდ მოეშორებინათ მათი სიმშვიდის და უზრუნველი მოხუცებულობის საფრთხეში ჩამყენებელი (მაგალითად, მაშეროვი, მაზუროვი, კოზლოვი და სხვები), ვიდრე ბრეჟნევისთვის დაეშავებინათ რაიმე. ასე იცხოვრა და მართავდა ამ უზარმაზარ ქვეყანას ფაქტიურად ავადმყოფი თუ საესებით დავრდომილი, თითქმის მარაზმამდე მისული ლიდერი, რომელიც შეიძლება საკმაოდ გულწრფელად ითხოვდა (ხანდახან მაინც) გადადგომას, მაგრამ ეს არავის აწყობდა. იმასაც ამბობენ, პარტიის იდეოლოგიის ბელადის სუსლოვის ავტორიტეტის შიშითაც ხდებოდა ესო, რაც საკმაოდ დასაჯერებელია, თუ სუსლოვის პიროვნებას მთლიანობაში განვიხილავთ, ადამიანისა, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული რაიმე სისტემური განათლება, მაგრამ საბჭოთა კავშირის აკადემიის წევრი გახლდათ და თითქმის ეჟოვის (ყოფილი ენკავედეს უფროსის, შემდეგ დახვრეტილის) ხელთათმანებით მართავდა ქვეყანას ბრეჟნევთან დუეტში. იმასაც ამბობდნენ, ამ ცოცხალ მუმიასთან კონფლიქტს და უსიამოვნებას თვით გენერალური მდივანიც კი ერიდებოდაო. ერთადერთი პიროვნება, რომელიც ცდილობდა რაღაც გარდაქმნები და რეორგანიზაცია ჩაეტარებინა, იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. კოსიგინი, რომელიც თანდათან მოაშორეს ხელისუფლებას და შეეცადნენ, საერთოდ დაევიწყებინათ მათი მშვიდი მოხუცებულობის შემაშვოთებელი და დამრღვევი პიროვნება.

მაგრამ ამბობენ წლები მიჰქრიან, როგორც წუთებიო. წავიდა ამ ქვეყნიდან სუსლოვი. რამდენიმე თვეში მას ბრეჟნევიც მიჰყვა, და რუსები რომ იტყვიან, დაიწყო ე.წ. „Чехарда“; ჯერ სახელმწიფოს სათავეში მოვიდა ანდროპოვი (რომელმაც თურმე უკვე იცოდა, რომ სასიკვდილოდ განწირული სნეული იყო) და

შეცადა სუკ-ში მიღებული გამოცდილებით ქვეყანაში „დისციპლინისა და წესრიგის“ აღდგენას... მაგრამ არ დასცალდა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ვერავითარ გარდაქმნებს კომუნისტურ-ბოლშევიკური წყობისა ის ვერ მოახდენდა, ვინაიდან სახელმწიფოს ბურჟები უკვე ძირმომპალი იყო და მას ვერავითარი კომუნისტური „რემონტი“ ვერ იხსნიდა. შემდეგ, პოი, სასწაულო! – ქვეყნის სათავეში აღმოჩნდა ადამიანი (ჩერენკო), რომელიც მთელი მისი მმართველობის განმავლობაში, დაახლოებით ერთი წელი და რამდენიმე თვე, საავადმყოფოს პალატიდან მართავდა (ისევე როგორც ანდროპოვი) ქვეყანას. და აი, დადგა 1985 წელი და, როგორც იყო, ქვეყანას მოეველინა ახალგაზრდა ლიდერი გორბაჩოვის სახით. ახლა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მივიწყებულია და არავის აინტერესებს ამის გახსენება, მაგრამ მაშინ საბჭოთა საზოგადოება საკმაოდ დადებითად შეხვდა მთავრობის და მისი ლიდერის შეცვლას. რა იცოდა უბედურმა ხალხმა, რომ ზუსტად ეს ლიდერი იქნებოდა თავისი გაუთავებელი ღაყობით და არარეალური ღოზუნგებით ამ ქვეყნის მეკუბოვე და მესაფლავე?! თუმცა ერთ პატარა თეზისს თუ გავისხენებთ რაც ადრე მოგახსენეთ, ბოლშევიკების მიერ შეკოწიწებული საბჭოთა კავშირი თავიდანვე იყო განწირული დაშლისა და განადგურებისათვის.

გორბაჩოვი მოვიდა ხელისუფლებაში და ისევ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის სისტემაში, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობეს ჩვენი ბედი და მომავალი. მხოლოდ საბჭოთა კავშირში შექმნილმა მდგომარეობამ მოგვიტანა ისევ და ისევ ლანგარით თავისუფლება ქართველებსაც და არა მრავალი წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ამჯერადაც არა დიდგორის, ასპინძის, კრწანისის და სხვა სახელგანმა ბრძოლებმა მოგვანიჭეს სანატრელი და

სასურველი ეროვნული თვითგამორკვევა. ბევრს შეიძლება არ მოეწონოს, მაგრამ ფაქტი ფაქტია და ერთხელ ხომ მაინც უნდა ითქვას სიმართლე?! ახლა ხშირად ისმის ამბიციური სიტყვები, ზოგიერთი პარტიული ლიდერებისა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდნენ ისინი ათეული წლების განმავლობაში ეროვნული თავისუფლებისათვის, როგორ იტანჯებოდნენ და ეწამებოდნენ საბჭოთა ციხეებში იდეური ოპოზიციის გამო. ისე, ცოტა ნაკლები ამბიციები რომ გააჩნდეთ, საქმეს ეს უფრო წაადგებოდა. თუ სამზარეულოში ჩაკეტილს ან ზეწარმოფარებულს ჩუმად წაგიკითხავს საბჭოთა დროს ე.წ. „სამიზდატის“ (სინიავსკი, დანიელი, სოლჟენიცინი, ჟურნალი „კონტინენტი“, ან კოსტავა და გამსახურდია) მიერ გამოცემული ჟურნალი, ეს სრულებითაც არ ნიშნავს შენს დისიდენტობას და ან საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობას.

ჩემი მრავალი წლის გამოცდილებიდან (ვიმუშავე სუკ-ში 1966-1996 წლებში) შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს და მის სპეცსამსახურს ეს ხალხი (დისიდენტები) ყველა სათალი თევზით ჰყავდა დათვლილი და სათანადო ყურადღებასაც აქცევდა მათ, რათა შეეზღუდა მათი „ანტისაბჭოთა ქმედებები“.

ნება მიბოძეთ, დავუბრუნდე ისევ ამხანაგ გორბაჩოვზე თხრობას: დიახ, ვიმეორებ, მის ე.წ. „არჩევას“ კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად საბჭოთა ხალხი და საზოგადოება, ენთუზიაზმით თუ არა, გარკვეულ წილად კმაყოფილებით შეხვდა, ხალხი იმის იმედით განიმსჭვალა, რომ ქვეყანაში რაღაც ცვლილებები მაინც მოხდებოდა... ახლა შეიძლება ზოგმა თქვას, მაშინაც ვიყავი დარწმუნებული, რომ კომუნისტური წყობის რღვევა დაიწყებოდაო (რა თქმა უნდა, როდესმე დაიწყებოდა, მაგრამ თუ ასე ახლო იყო ეს თარიღი, ჯერ არავინ იცოდა და ვერც წარმოედგინა). ქვეყანა ჯერ კიდევ შედარებით სტაბილურად უძრაო-

ბის ხანის პერიოდში ცხოვრობდა. კომუნისტური პარტიის სამდივნოს მონაცემებით, ჯერ კიდევ დიდი რიგები იდგა პარტიაში გაწევრიანების მსურველები-სა, განსაკუთრებით ინტელიგენციის წარმომადგენლობისა, რომელთა მიღებაც გარკვეულწილად ლიმიტირებული იყო. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში 1985 წლისათვის დაახლოებით 20-21 მილიონი წევრი ირიცხებოდა. აქედან 1983 წელს გაწევრიანდა თითქმის 250 ათასი მოქალაქე, 1984 წელს – 300 ათასი, 1985 წელს კი – 400 ათასი და, ასე წარმოიდგინეთ, 1987 წელს – 450 ათასი ადამიანი. ე.ი. პარტიის ნდობისა და მისი ავანგარდული წინამძღოლის ავტორიტეტი ჯერ კიდევ დიდი და უცილობელი იყო, რამეთუ, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, საბჭოთა მოქალაქის, მით უმეტეს, ინტელიგენციის მომავალი – ფინანსური და კარიერული ზრდა პირდაპირ იყო დაკავშირებული პარტიულობასთან. ვერავითარ პასუხსაგებ თანამდებობაზე ვერ დაგნიშნავდნენ, თუ არ იყავი კომუნისტური პარტიის წევრი. ხუმრობდნენ კიდევ, ეპისკოპოსებიც და მიტროპოლიტებიც კი ასეთი პირობით ინიშნებოდნენო (მაპატიეთ, „ირჩევდნენო“).

პატარა ექსკურსი ჩავატაროთ: რა ქვეყანა ჩაიბარა გორბაჩოვმა სნეულთა მმართველობის (ანდროპოვისა და ჩერნენკოს) შემდეგ? ქვეყნის ეკონომიკა დეგრადაციას განიცდიდა, საწარმოო დანადგარები თითქმის ამორტიზებული იყო. სტალინის მიერ 30-იან წლებში გატარებული ინდუსტრიალიზაცია სულს დაფავდა. მოძველდა და ხშირად მწყობრიდან გამოდიოდა სოფლის მეურნეობა-მექანიზაცია. ქვეყანა საკვებ-პროდუქტების იმპორტზე იყო დამოკიდებული. ექსპორტს მხოლოდ მიწის წიაღისეული წარმოადგენდა (გაზი, ნავთობი, ფერადი ლითონები და სხვა). მათი წარმოებაც ყოველ წელს კლებულობდა, რადგან ის, რაც შედარებით ზედაპირზე იდო, ამოიწურა, ღრმა ჭაბურღილების გათხრა და დამუშავება კი ახალ სრულყო-

ფილ დანადგარებს მოითხოვდა, რაც ქვეყანაში არ აღმოჩნდა და არც უცხოელები იხენდნენ აქტივობას, რომ ისინი ჩვენთვის მოეყიდათ (ეს დასავლეთის გარკვეული პოლიტიკა გახლდათ). მას შემდეგ, რაც ამერიკის პრეზიდენტმა რეიგანმა საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერიად გამოაცხადა, ქვეყანა ჩათრეულ იქნა ე.წ. „в гонку вооружения“-ში და ეს მაშინ, როცა ერთი ბარელი ნავთობის ფასი 9-10 დოლარამდე დაეცა. ერთადერთი მრეწველობა, რომელიც ჯერ კიდევ ასე თუ ისე ვითარდებოდა, იყო სამხედრო წარმოება და მისი ნაწარმიც (თვითმფრინავები, ტანკები, რაკეტები, ზარბაზნები და სხვა) მოდერნიზებას მოითხოვდა. მათი ერთადერთი მყიდველები აფრიკისა და აზიის ცოტალიტარული დიქტატორული ხელისუფალნი გახდნენ, რომლებსაც საბჭოეთთან ლოიალური ურთიერთობის გამო თითქმის უფასოდ მიჰქონდათ ეს ნაწარმი.

თუ დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნები და ამერიკა ამაყობდნენ იმით, რომ იმდენი მსუბუქი ავტომობილი შექმნეს, შეედლოთ ქვეყნის მთლიანი მოსახლეობა თითქმის 1 ან 2 მანქანით უზრუნველყოთ, ჩვენ ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებდით, თუ ხალხს ტანკებში ჩავსხამდით. ამისთვის კი ტანკები საკმაოდ იყო, იმდენიც კი, რომ რამდენიმე წელიწადში ჯართის კატეგორიაში გადაგვეყავდა და მეორად წარმოებაში ვუშვებდით. ამ დარგში გეგმის გადაჭარბებისათვის ტანკმშენებლებს და ასევე სხვა წარმოებებს ყოველ წელიწადს დიდი ტაშფანდურით ვაჯილდოვებდით სახელმწიფო ორდენებით, გარდამავალი დროშებით და, ასე წარმოიდგინეთ, ფულადი პრემიებითაც კი... თუმცა ის, რაც შეიქმნა, რაშიც ჩაიდო გარკვეული წილი შრომა და ჯაფა, თითქმის გამოსვენებისთანავე ბალასტად იქცეოდა... მაგრამ ეს ხომ სისტემა იყო და ამ სისტემის ღალატი არაფრით არ შეიძლებოდა ე.წ. „გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში“.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია, იმ პრობლემებთან შედარებით, რაც შეექმნა გორბაჩოვის ახალ მთავრობას, როცა ხელისუფლებაში მოვიდა. არ მინდა დაიჯეროთ, რომ მისი მაშინდელ დემოკრატიასთან გარკვეული „დათბობა“ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ნაკარნახევი იყო გორბაჩოვის ლიბერალიზმით ან დემოკრატიზმით. არა, ეს მე არ მჯერა, არ მჯეროდა და ვერც დავიჯერებ, რამეთუ ბატონი გორბაჩოვი თავის დემაგოგიით, თავისი მრწამსით, წარსულით, კომკავშირულ-პარტიული კარიერისტის ნამდვილ ნიმუშს წარმოადგენდა, თუმცა ახლა თავს დიდ სოციალ-დემოკრატობაზე დებდა, და ალბათ ყველაზე პარადოქსული და კურიოზული ის არის, რომ ეს ადამიანი გახლავთ ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში, თუმცა მისი დემაგოგიით გამოწვეულმა ხანძარმა ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მაშინდელი დანთებული ცეცხლის ალი ზოგან ჯერაც არ ჩამქრალა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. გორბაჩოვი იძულებული გახდა ჩაეტარებინა კოსმეტიკური ცვლილებები, რასაც საშინაო და საგარეო პოლიტიკა მოითხოვდა, რათა ქვეყანა ჩიხიდან გამოეყვანა. საუბედუროდ, როგორც ადამიანი განწირულია ზოგჯერ განუკურნებელი სენით და მისი სიცოცხლის დღეები დათვლილია, ისე იმპერიის ბედიც ჩიხში შედის და უფსკრულშიც გადაიჩეხება ხოლმე. რუსეთის ახლანდელი კომუნისტები (თუ მათ ახლა საერთოდ კომუნისტები შეიძლება ეწოდოთ) ხშირად ოპონირებენ გორბაჩოვთან, თუ რატომ არ აირჩია მან ე.წ. ჩინური კომუნიზმის მიერ არჩეული გზა და არ წარმართა ქვეყნის გარდაქმნები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის როლის შენარჩუნებით. მათ არ სურთ გაანალიზონ, თუ რას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის კომპარტია გასული საუკუნის 80-იანი წლების შუალედში. ეს იყო მეტად ამორფული, გიგანტური,

თითქმის უმართავი 20 მილიონიანი გაერთიანება. პარტიის რიგების ზრდის სურვილმა ისე შეიპყრო მათი ლიდერები, რომ ვერ განსაზღვრეს, რომ ძირითადი ფაქტორი იდეური შევსება კი არ იყო, არამედ კარიერისტული თვითმიზანი. განა სულელი იყო სტალინი, რომელმაც საკმაოდ კარგად იცოდა თავისი ხალხის ფსიქოლოგია და თავისი 30 წლიანი მმართველობის დროს თითქმის ყოველ 7-10 წელიწადში ატარებდა ე.წ. „პარტიულ წმენდებს“, ასეთივე მასშტაბით უფრო დიდ „წმენდებს“ ატარებდა მისი დიდი ჩინელი მოწაფე მათ. თუ გასული საუკუნის 80-იანი წლების შუაელში საბჭოთა კავშირში 20 მილიონზე მეტი კომპარტიის წევრი იყო, ე.ი. მოსახლეობის ყოველი მეტხუთმეტე ადამიანი პარტიის წევრი გახლდათ, – ჩინეთში მაშინ 1 მილიარდ 400 მილიონ მოსახლეობის მხოლოდ 5-6 პროცენტი იყო პარტიის წევრი, მკაცრი პარტიული დისციპლინით, კონტროლით, თავისი უმკაცრესი დოგმებით, კანონებით და ა.შ.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ზრდამ შექმნა ახალი ფორმაცია პარტიული ფუნქციონირებისა, რომლებიც ძირითადად კომკავშირული შევსებიდან მოდიოდნენ და თითქმის მთლიანად იყვნენ მოწყვეტილნი რაიმე იდეურს. პარტიულობა გადაიქცა პირადი გამდიდრების, პრივილეგიების, მატერიალური და ფინანსური კეთილდღეობის მიზნად. ამან შექმნა და დაამკვიდრა განუკითხაობა, კორუფცია, ლაყბობა და სიცრუე. თუ კი პატარა რაიონის რაიკომის მდივანი იყავი, უკვე განუკითხავად მართავდი, ამარაგებდი ზემოთ ცეკაში შენს „კრიშას“ ფულით და სანოვაგით. ამაში არც რიგითი ინსტრუქტორები ჩამორჩებოდნენ, რომ იტყვიან, „თევზი თავიდან ყარს“.

აი, ასეთ პარტიულ აპარატზე დაყრდნობა კი გორბაჩოვს არ სურდა თუ არც უნდოდა და, სიმართლე რომ ვთქვათ, არც შეეძლო. ამიტომ აირჩია თავისი (მადლობა ღმერთს, რომ აირჩია) ინდივიდუალური

გზა ქვეყნის მართვისა, რამეთუ ამაში დიდი გამოცდილება ჰქონდა, რაკი ადრე სტავროპოლის მხარის პარტიული თავკაცი გახლდათ. სხვათა შორის, ერთიც უნდა გავიხსენოთ: როცა ე. შევარდნაძე მოვიდა 1972 წელს ხელისუფლებაში და ბრძოლა გამოუცხადა საქართველოში კორუფციას, მექრთამეებს და ე.წ. „ჩრდილოვან ეკონომიკას“, – შერისხულები შორს არ გაქცეულან, საქართველოდან მთები გადალახეს და სტავროპოლში, კრასნოდარის მხარეებში გახსნეს თავიანთი „ცეხები“. იმასაც თუ ვიტყვით, რომ „ცეხავიკების“ საქმიანობა ყოველთვის კონტროლდებოდა პარტიული აპარატის მიერ, რადგან სარფიან შემოსავალს აძლევდა მას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გორბაჩოვის პარტიულმა აპარატმა არა მარტო მიიღო ისინი, არამედ მზრუნველობით „ჩაიხუტა გულში“. ამ ადამიანის ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, მაშინვე ნათელი გახდება, თუ საბჭოთა პროპაგანდის როგორი პროდუქტი გახლდათ იგი. თითქოსდა ყმაწვილკაცობიდანვე „ზრდიდნენ“ კომკავშირულ-პარტიულ ფუნქციონერად. ჯერ კიდევ 14-15 წლისა გახლდათ, როცა ვითომდა მექანიზატორმა იმდენი მიწა გადახნა სტავროპოლის მშობლიურ კოლმეურნეობაში, რომ საბჭოთა ქვეყნის მაღალი ჯილდო – ორდენი დაიმსახურა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სიყალბე იყო, მაგრამ ხომ გამოადგებოდა შემდეგში კარიერისთვის?! ეს მან ბავშვობიდანვე კარგად შეითვისა და მართლაც გამოადგა. წარმატებული კომკავშირული და პარტიული კარიერა ელვისებურად გაიარა და გარანტირებული ლიმიტით სწავლა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. აქ შეხვდა იგი მომავალ მეუღლეს – რაისა ტიტარევას, რომელიც ქმარზე არანაკლებად იყო მიზანმიმართული კარიერის მისაღწევად. როგორც უსინათლო ადამიანებს სპეციალურად უწვრთნიან მეგზურ ძაღლს, ისეთი მეგზური და გზის გამკვლევე აღმოჩნდა გორბაჩოვისათვის

რაისა თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში... გარკვეულ პერიოდში მან დადებითი როლიც ითამაშა ქმრის თანამდებობრივ წარმატებაში. შემდეგ კი, 80-იანი წლების შუალედიდან ქმართან ერთად მართავდა ამხელა იმპერიას. მისი გამოსდომები, გაუთავებელი ჩართვები საუბრებში, როდესაც სიტყვასაც კი აწყვეტინებდა ხალხში ქვეყნის პირველ პირს, ყველა სხვას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა, გარდა გორბაჩოვისა, რომელიც მორჩილად უსმენდა მის „ულამაზეს და უჭკვიანეს“ მეუღლეს. ეს კი არა, და, ერთერთ ინტერვიუში (უცხოელ კორესპონდენტებთან) ისიც კი განაცხადა, რომ თითქმის ყოველთვის ეთათბირებოდა ცოლს სახელმწიფო მართვის პროცესების გამო. ეს ე.წ. „აღიარება“ ნამდვილად შოკისმომგვრელი იყო, მაგრამ ამას დემოკრატიისა და გარდაქმნების ახალ პირობად მიიჩნევდნენ. გავიხსენოთ, თუ რა უთხრა ტელეფონით საუბრის დროს ი. სტალინმა ლენინის მეუღლეს ნ. კრუპსკაიას (როცა ლენინი უკვე საკმაოდ სნეული და ფაქტიურად იზოლირებული იყო ქვეყნის მმართველობიდან). ამბობენ, როცა კრუპსკაიამ ძლიერ „გაუხურა“ სტალინს თავისი მითითებებითა და რჩევებით (ვითომდა ლენინის მითითებით), მან ცოტა ითმინა და დაახლოებით შემდეგი უთხრა: „თქვენ, ამხანაგო კრუპსკაია, ბელადის ცოლი ბრძანდებით და მეტი არავინ. ის, რომ ბელადის ლოგინში წევხართ, სრულებითაც არ გაძღვეთ იმის უფლებას, რომ ზედმეტი პრივილეგიებით ან უფლებით ისარგებლოთ“. როგორც ამბობენ, ამას კარგი რუსული ქარგონული გინებაც მოჰყოლია. ეს კი ვერ აუტანია დიდი ბელადის ცოლს, ქვითინით მივარდნია სნეულ მეუღლეს და გადაუცია ამ უხეში საუბრის შინაარსი. მაშინ ილიჩი ისეთი სნეული იყო, არა მგონია, კარგად გარკვეულიყო სიტუაციაში, მაგრამ ამას მაინც მოჰყოლია ლენინის წერილი (შემდეგ ანდერძი უწოდეს) ბოლშევიკების ცეკას წევრებისადმი, სადაც ახასიათებ-

და პარტიის ლიდერებს (ტროცკის, ბუხარინს, სტალინს) და სტალინის შესახებ შენიშნავდა, რომ იგი თავისი უხეშობით, კადრებთან არასწორი მიდგომით, არ იმსახურებსო პარტიის ერთპიროვნული ლიდერის სავარძელს. როგორც ვიცით, ამ წერილის შესახებ მაშინვე გაიგო სტალინმა თავისი მსტოვარის (ფოტიევას შეტყობინებიდან, რომელიც თან ახლდა ბელადს იზოლაციაში, როგორც მისი მდივანი), მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ისიც უნდა ითქვას, რომ ლენინის გარდაცვალების შემდეგ ეს წერილი წაიკითხეს ცეკას ბიუროს სხდომაზე, მაგრამ იქაც არ მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება (აღლათ არავის ჰქონდა სტალინთან დაპირისპირების თავი). გავიდა დაახლოებით 35 წელი და ნიკიტა ხრუშჩოვმა დიდი სენსაციის სახით (როცა სტალინის კულტის შესახებ მოხსენება წაიკითხა) გამოამხეურა ეს წერილი (რომელიც გასაიდუმლოებული იყო), მაგრამ გარკვეულ დიდ ეფექტს მაინც ვერ მიაღწია.

და ასე, ჩვენი გმირი გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში აღმოჩნდა – საკავშირო კომპარტიის პოლიტბიუროს სრულუფლებიანი წევრი (კურირებდა სოფლის მეურნეობას). ჯერჯერობით ეს პოსტი დიდად „სარფიანი“ და ძალაუფლებით მოხილი არ გახლდათ, მაგრამ გარკვეულ პერსპექტივას უქადდა ჩვენს გმირს, რამეთუ ამ გადაბერებული მოხუცების კასტამ თავის გვერდით დაისვა კაცი, რომელიც ზოგიერთ მათგანს შვილიშვილადაც კი ერგებოდა. ამ თვალსაზრისით მისი მოსკოვში გადმოსვლა და პოლიტბიუროს ახალი სისხლის გადასხმა წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა წარმოვიდგინოთ. მაინც რამ განაპირობა გორბაჩოვის ასეთი დაჩქარებული წინსვლა? ეს ვერ მოხდებოდა, თუ ლობისტი მამობილი არ ეყოლებოდა – ახლა რომ „კრიმას“ უწოდებენ. ასეთ ლობისტად ყოვლისშემძლე სუკის თავმჯდომარე ანდროპოვი აღმოჩნდა, სხვათა შორის, მეტად

არაორდინალური, იმ დროისათვის საკმაოდ განსწავლული, ასე წარმოდგინეთ, არც თუ ისეთი ცუდი პოეტი, რომელიც ი. სტალინის ძველ პლეადას წარმოადგენდა და რომელმაც ამოიარა კარიერული დიდი აღმართი: კარელია-ფინეთის რესპუბლიკის კომკავშირის მდივნიდან სუკის თავმჯდომარემდე, ცეკას მდივნამდე და გენერალურ მდივნობამდე. იგი გახლდათ ბუდაპეშტის ამბოხების ერთ-ერთი სატრაპი (იმ დროს იქ ელჩად მუშაობდა). ასე რომ, კომუნისტური კარიერული ზრდის ყველა ცეცხლი და ქარიშხალი გამოიარა. საზოგადოებაში და სუკში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, იმდენად, რომ უკვე სიცოცხლეშივე მისი პორტრეტები ძერუინსკის პორტრეტის გვერდით ჩამოკიდეს. მას და მხოლოდ მის პოლიტიკას და ორგანიზატორულ უნარს მიაწერდნენ იმას, რომ 1967 წლიდან (სუკში მოსვლის შემდეგ) ააღორძინა ეს ორგანო, დაუბრუნა მას წარსული ძლიერება ქვეყნის მართვის საქმეებში. მეტად დაკვირვებულ, პრაგმატულ, ანალიზის დიდი უნარის მქონე ადამიანად განიხილავდნენ მას, თითქოსდა ჭადრაკის მოთამაშესავით რამდენიმე სვლას წინასწარ თვლიდა. და თუ მართლაც ასეთი იყო, მაშინ მხოლოდ განგებას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ მას არამარტო მოეწონა, არამედ შემდეგში დიდი დახმარებაც გაუწია ადამიანს, რომელიც დიდი ინტელექტით არ გამოირჩეოდა და საუკეთესო ნიმუში გახლდათ ლაყბობისა და სიტყვამრავლობისა, ადამიანს, რომელსაც საათობით შეეძლო ელაპარაკა ყველაფერზე და არაფერზე. რაც უნდა ყურადღებით გესმინათ, ვერავითარ დასკვნას ვერ გამოიტანდით მისი საუბრიდან. ერთი სიტყვით, მან კომუნისტური თეორიის ისედაც აბსურდულობა უმაღლეს მარაზმამდე აიყვანა. არასოდეს არავისთვის (არც კორესპონდენტებისთვის, არც პოლიტიკოსებისთვის) კითხვაზე პასუხი მოკლედ და ლაკონურად არ გაუცია. ისეთ დემაგოგიას ჩართავდა, რომ თავსა და ბოლოს

ვერ გაუგებდით.

როგორც მოგახსენეთ, გორბაჩოვის ე.წ. რეფორმები, გარდაქმნები, ჩაფიქრებული იყო მხოლოდ საბჭოთა წყობის კომუნისტური რემონტისთვის და არა ქვეყნის ძირეული გარდაქმნისათვის, მისი სისტემური შეცვლისათვის. გორბაჩოვმა იფიქრა ამ თავისუფლებისაგან დამშეულ ხალხს პატარა „форточка“-ს გავუღებ და გამოვაცოცხლებო, მაგრამ ამ ე.წ. „форточка“-ს გაღებამ ისეთი ორპირი ქარი გამოიწვია ქვეყანაში, რომ სულ რაღაც ხუთ წელიწადში გორბაჩოვი, კომუნისტური პარტია და საბჭოთა ქვეყანაც კი ისტორიის უფსკრულში გადაისროლა.

და დაიწყო გორბაჩოვის „перестройка“, შემდეგ „ускорение“, „социализм с человеческим лицом“ და ა.შ. თითქმის არაფრისმთქმელი დემაგოგიური ლოზუნგები. ცოტაოდენ თუ მაინც ჩაუფიქრდებით ამ სიტყვების ლოგიკურ მნიშვნელობას, ადვილად მიხვდებით: რუსული სიტყვა „перестройка“, „перестроится“ – ძირითადად სამხედრო ტერმინს წარმოადგენს. როდესაც ჯარს მარშის დროს ფეხი აერევა, საჭიროა რიგების დაშლა და ხელახლად გადაწყობა. თანაც, თუ „პერესტროიკა“ გარდაქმნას ნიშნავს, მაშინ ის მაინც ხომ უნდა იცოდეს, თუ რის გარდაქმნას აპირებ?! თუ კომუნისტური იდეოლოგიის გარდაქმნას აპირებ, იგი არავითარ გარდაქმნას არ ემორჩილება. თუ კომუნისტური წყობის ეკონომიკური საფუძვლების გარდაქმნას აპირებ, რომელიც ითვალისწინებს მის სახელმწიფოებრივ კონტროლს მთელ ეკონომიკაზე და ე.წ. გეგმიურ-გათვლილ-გაანგარიშებულ გარდაქმნას, მაშინ ეს თეორია თავის წიაღშივე განწირული, თუმცა გარკვეულ 2-3 ათეული წელიწადს ხალხის ენთუზიაზმზე დაყრდნობით, მუშახელის უფასო გამოყენების ხარჯზე გაძღვეს რაღაც პროგრესს, მაგრამ ძალიან მცირე ხნით. ასეთი ეკონომიკის გარდაქმნა არ შეიძლება, შეიძლება მხოლოდ მისი დაშლა და ახალი ეკონომიკური საფუძვ-

ლების (საბაზრო ეკონომიკის) აშენება თანდათან და არა ერთი დარტყმით და ერთი ხელისმოსმით, რაც მოუვიდა რუსეთს და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს (ბალტიისპირეთის გამოკლებით).

თუ ავიღებთ სიტყვა „ускорение“-ს, მე მგონი, ქართულად აჩქარებას ნიშნავს, ე.ი. დაჩქარებას ეკონომიკური სამრეწველო ზრდისა და ა.შ. აბა როგორ უნდა აჩქარო ის, რაც არ გაქვს და რაც თავზე გემსობა.

ერთადერთი, რაც უცილობლად განხორციელდა გასული საუკუნის 80-იანი წლების შუალედში, გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ, იყო საგარეო პოლიტიკის ძირეული ვექტორების შეცვლა, რაშიც გარკვეული წვლილი მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. შევარდნაძემ შეიტანა, რა თქმა უნდა, გორბაჩოვის თანხმობითა და დასტურით. ალბათ მეორე მსოფლიო ომის დროს არ იყო ისეთი ინტენსიური საგარეო მოლაპარაკებების სიმრავლე, რაც განხორციელდა 1985-1990 წლებში. გორბაჩოვმა და მისმა მეუღლემ მსოფლიოს თითქმის რამდენჯერმე შემოუარეს, აგრეთვე – საგარეო საქმეთა მინისტრმა – ხელშეკრულებებით, დეკლარაციებით, მემორანდუმებით და ა.შ. და ა.შ. ამ დათბობამ გამოიწვია თანდათან გარკვეული ძვრები ქვეყნის შიგნით, ალმაატის ამბოხი (1986 წლის დეკემბერი), ფერდანა (1988 წლის ივნისი), ყარაბახი (1988 წელი), ახალი ანტისაბჭოთა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღვივება ბალტიისპირეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში... ჩრდილოეთ კავკასიაში კარზე იყო მომდგარი ჩეჩნეთისა და დაღესტნის ცხელი მოვლენები, თბილისის 1989 წლის 9 აპრილი, ვილნიუსის 1990 წლის თებერვალი და ა.შ. მალე ბერლინის კედელიც მოირღვა და გერმანია გაერთიანდა. მსოფლიო სულგანაბული ელოდა, ჩაერეოდნენ თუ არა საბჭოთა ლიდერები ამ მოვლენებში. მაგრამ არავინ არ ჩაერია... ამას მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური წყობის რღვევა და

დაშლა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში და თითქმის ყველგან, სადაც საბჭოთა კავშირის გავლენა ვრცელდებოდა.

მარიონეტები ზოგი დახვრიტეს, ზოგი გადაასახლეს, ზოგი უბრალოდ პენსიაზე გააგდეს. თითოეულ ამ მოვლენაზე მთელი წიგნების და მეცნიერული შრომის დაწერა შეიძლება, მაგრამ ჩვენ მცირე ჩამონათვალით დავკმაყოფილდეთ იმ ბოზოქარი წლებისა – სულ რაღაც 5-6 წლისა, რომლებმაც მსოფლიო პოლიტიკური რუკა ძირფესვიანად შეცვალეს.

ამ ბოზოქარ გადანაწილებაში ჩვენც, ქართველებმაც მივიღეთ ჩვენი წილი.

ერთხელ უკვე მოგახსენეთ მემუარების წიგნში „შავი სათვალე ეკეთა“ ჩემი აზრი და დაკვირვებები; თუ რა ძალას წარმოადგენდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის. ერთიც უნდა ვთქვა: ეს ტერმინი მაშინ საერთოდ არ გამოიყენებოდა. იყო ტერმინები – დისიდენტი, დისიდენტური მოძრაობა, ჰელსინკის ჯგუფი საქართველოში, უცხოეთის საზოგადოებრივი ფონდები, განსაკუთრებით „მემორიალის“ მხარდამჭერნი და, რაც მთავარია, ანტისაბჭოთა ელემენტები (პიროვნებები). ახლა ყველა აცხადებს თავს მონაწილედ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და მათი რაოდენობა რომ დაითვალო, იმდენად დიდი გამოვა, გაკვირვებას გამოიწვევს, რაც ნამდვილად არ შეეფერება სინამდვილეს. ამაზე უფრო ვრცლად შემდეგ შევჩერდეთ...

ყოველივე ზემოთქმული და რუსული ე.წ. „смыта“-ს აღწერა, რა თქმა უნდა, სქემატურია, და უფრო სწორად – ამ მოვლენების თეზისების ჩამოთვლაა მხოლოდ, რადგან მათი ანალიზი, გააზრება და მეცნიერული თუ პოლიტოლოგიური შესწავლა დიდ და სერიოზულ გამოკვლევებს მოითხოვს. ამისთვის ჩვენ სრულებითაც არა ვართ მოწოდებული და პირველ წყაროებში ჩაუხედავად ეს თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ასე

ზედაპირულად გავიხსენეთ ეს ე.წ. გარდაქმნისა და გარდატეხის, უფრო სწორედ – საბჭოთა იმპერიის ნგრევის ეტაპები.

შემდეგ: არ დაიჯეროთ, რომ დემოკრატიული გარდაქმნების სურვილით გაჟღენთილმა, კომუნისტური ნომენკლატურის წიაღში აღზრდილმა ბორის ელცინმა ხალხზე ფიქრით და ზრუნვით დამწუხრებულმა მოაწყო ე.წ. ბელოვეჟის (ბელორუსია) პუტჩი და აიძულა გადამდგარიყო მ. გორბაჩოვი.

ყველას გახსოვთ ალბათ კინოქრონიკის კადრები, როგორ ჩამოიყვანეს მოსკოვში „დასასვენებლად“ წასული მ. გორბაჩოვი და მისი ქალბატონი. ეს ის გორბაჩოვია, რომელმაც ორმაგი მოთამაშის როლი ითამაშა ამ ე.წ. ГКЧП-ს დროს. როგორც ГКЧП-ს ერთ-ერთმა წევრმა აჩვენა დაკითხვის დროს, მ. გორბაჩოვს დაახლოებით შემდეგი უთქვამს ფოროსის ვიზიტორებისთვის: „Пойдите, валяйте дурака, посмотрим, что из этого выйдет“ – ე.ი. არც თანხმობა მისცა და არც კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია, ვინაიდან კარგად ჰყავდა შესწავლილი თავისი კადრები. ისინი იმდენად უფერული პიროვნებები იყვნენ, რომ „გამარჯვების“ შემთხვევაში ისევ „გამოჯანმრთელებულ“ მ. გორბაჩოვს მოიყვანდნენ ქვეყნის სამართავად, უფრო სწორად – ისეთივე დიქტატორული ქვეყნის სამართავად, და ისიც ისევე შეუდგებოდა თავის „საყვარელ“ საქმეს. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ასე არ მოხდა... და ელცინმა, საზოგადოებამ, რუდსკოიმ, ბურბულისმა და სხვებმა ჩამოიყვანეს დარცხვენილი და, როგორც ეგონათ, დასუსტებული მ. გორბაჩოვი. მაგრამ არ გასულა სულ ერთი თვე და მან დაიწყო ვითომდა ქვეყნის მართვა ისე, თითქოსდა არაფერი მომხდარიყო. მოახდინა გარკვეული საკადრო ცვლილებები, გადაადგილებები, როგორც სახელმწიფო მართვის სისტემაში, ისე სამხედრო სისტემაში. აქ მოხდა დიდი დაპირისპირება ელცინსა და გორბაჩოვს შორის. ამას ყურა-

დღებით და ჩუმად აკვირდებოდნენ ჯერ კიდევ გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელები. ქვეყნის შიგნით მიმდინარე ასეთი ძალთა გადანაწილება სრულებითაც არ აწყობდათ უკვე გამარჯვებულებს – ელცინს და მის გარემოცვას და ამიტომაც, ოღონდ გორბაჩოვი მოეშორებიათ ქვეყნის მმართველობიდან და თვით ეშმაკსაც ამოიყენებდნენ გვერდით. ასე ჩაესვენა სულ რაღაც ექვს წელიწადში საბჭოთა კავშირის ამ ზესახელმწიფოს მზე და მასთან ერთად ბოლო მოეღო კომუნისტური მმართველობის თითქმის 70 წლის დანაშაულებრივ რეჟიმს.

ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, თავისუფლების მოპოვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სრულ თავისუფლებას. გაიხსენეთ: ებრაელთა სულიერმა წინამძღვარმა ეგვიპტიდან წამოიყვანა ებრაელები თავის სამშობლოში ისრაელში, მაგრამ უცებ კი არ ჩაიყვანა იქ, არამედ საუკუნეების განმავლობაში ტყვეობასა და მონობაში მყოფი ხალხი იმდენ ხანს ატარა უდაბნოში, რომ მხოლოდ ეგვიპტედან წამოსული ხალხის მესხეთე და მეოთხე თაობა ჩაიყვანა სამშობლოში, რამეთუ მონა რომ თავისუფალი გახადო, ამას დიდი სულიერი და მორალური გარდაქმნები სჭირდება.

აბა კომუნისტური პარტიის წიაღში აღზრდილი ბ. ელცინი და მისი წრე რა დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლები იყვნენ?! თუმცა დემოკრაციასთან თამაში და ლიბერალური ცვლილებების ანტურაჟი და იმიტაციის მცდელობა მაინც იყო. ყოველ შემთხვევაში, ახლანდელ რუსეთთან შედარებაც არ შეიძლება.

ვინმეს შეიძლება გაზვიადებულადაც მოეჩვენოს ყოველივე აქ თქმული, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია ძირითადად ორი პრობლემური საკითხის გამო:

პირველი – ვერავითარ შემთხვევაში ვერ განვიხილავთ და ვერ მოვახდენთ ანალიზს ამ წლებში სა-

ქართველოში მიმდინარე პროცესებისა, თუ იგი არ განვიხილეთ ერთ მთლიანობაში იმ პროცესებთან, რომელიც ხდებოდა იმპერიის ცენტრში.

მეორე – სწორი და მიუკერძოებელი ანალიზისათვის საჭიროა გავიხსენოთ იმპერიის მაშინდელი ლიდერები თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეებით.

ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ ალბათ შევძლებთ უფრო ობიექტურად შევაფასოთ ჩვენი ქართული ნამოქმედარი, ჩვენი წარმატებები და შეცდომები. თუმცა, საუბედუროდ, შეცდომები აშკარად სჭარბობდნენ გამარჯვებებს.

1998 წლის 9 აპრილი... მსხვერპლი... საკავშირო და მსოფლიო რეზონანსი...

1990 წლის შემოდგომაზე – საქართველოს სახელმწიფოებრიობის შემთხვევაში – პირველი თავისუფალი დემოკრატიული პარლამენტის არჩევნები (არ დაგავიწყდეთ, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის დროს), რაც შემდეგში ძირითადად ყოველთვის ყალბდებოდა. ჯერ კიდევ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირობებში პარლამენტში მოდიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ზ. გამსახურდიას მეთაურობით: ზ. გამსახურდია – პარლამენტის თავმჯდომარე. ზ. გამსახურდია – საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

რატომ დავუთმეთ ამდენი ადგილი ქვეყანაში შექმნილ ვითარებებს? იმიტომ, რომ კიდევ და კიდევ ერთხელ გაგვეზრებინა განვლილი მანძილი, თუ რა ხასიათის, რა პირადული თვისებების მატარებელი ლიდერები მოვიდნენ ქვეყნის მმართველობაში 80-იანი წლების შუალებში და 90-იანი წლების დასაწყისში. ეს მაშინ, როდესაც მოგვეცა საშუალება, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღმშენებლობის გზაზე პირველი ნაბიჯები გადაგვედგა. აი, აქ კი დაიწყო ჩვენი შეცდომებისა და გაუთვალისწინებელი, გაუთვლელი, გაუანგარიშებელი ქმედებების მთელი კასკადი, როგორც ქვეყნის შიგნით

წარმოებულ პოლიტიკაში, ისე საგარეო პოლიტიკაში, რომლის წარმოების უფლება შეიძლება არც კი გვექონდა. მაგრამ მოთმინების უნარი არ აღმოგვაჩნდა. ალტკინების, აღმაფრენის, თავისუფლების მოპოვების სურვილმა ეიფორიაში ჩაგვაგდო არა მარტო ლიდერები, არამედ მთელი საზოგადოება. ახალ ლიდერებს ხმა მისცა საქართველოს თითქმის ოთხმოცდაათმა პროცენტმა, ე.ი. კომუნისტური პარტიის წევრთა უმრავლესობამ, გარდა რამდენიმე ათასი ფუნქციონერისა, რადგან ამდენი ხმა ვერ დაგროვდებოდა სხვანაირად. აი, როგორი სახელგატეხილი იყო კომუნისტური პარტია და თავისი „განვითარების“ რა საფეხურზე იმყოფებოდა. თანაც არჩევნების წინ არავითარ პარტიულ რეორგანიზაციაზე არ უფიქრია, ანდა რა რეორგანიზაციას დაექვემდებარებოდა დამპალი სხეული?! ამაში ლიდერის მოუქნელობაც გამოისახა, რამეთუ ვერ გამოიჩინეს ვერავითარი გამბედაობა და წინდახედულება ისე, როგორც ეს მოახერხეს კომუნისტებმა ლიტვასა და ესტონეთში, სადაც არჩევნების წინ გარდაქმნეს თავიანთი კომუნისტური პარტიები ვითომდა სოციალ-დემოკრატიულ, სოციალ-რესპუბლიკურ პარტიებად. ჭკვიანური და დინჯი აგიტაციით წარმატებებსაც კი მიაღწიეს და შემდეგში, ასე წარმოიდგინეთ, თითქმის ერთი ათეული წელი ქვეყნის მმართველობაშიც კი ირიცხებოდნენ და ზოგიერთი დღესაც კი ირიცხება. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ქართველი ბრაზაუსკასები, ლანდსბერგისები და სხვები. ასეთნი კი ჩვენს შორის არა თუ არ აღმოჩნდნენ, მათი აზრდილებიც კი არ მოიძებნებოდა.

პირველი, რაც ყველაზე მკაფიოდ გამოვიჩინეთ, იყო ამბიციები, შემდეგ – კიდევ და კიდევ ამბიციები...

მაშინ, როდესაც საჭირო იყო მეტროპოლიასთან (რუსეთთან) დინჯი, წყნარი საუბარი, კონტაქტები, ყოველ შემთხვევაში – მოლაპარაკებათა უხვი რაოდენობა, მათი (ლიდერების), ადამიანური სისუსტეების თუ „ძლიერი“

მხარეების ჩვენდა სასარგებლოდ გამოყენება, მშვიდი საუბარი რაღაც დროებით „დათმობებზე“, გათვლა-გაანგარიშება ყოველი ნაბიჯისა, – დავიწყეთ ულტიმატუმების ენაზე საუბარი – საკავშირო მმართველობის სისტემებიდან გამოსვლის, დემარშის შესახებ, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა ბიუჯეტის ხარჯზე ვცხოვრობდით და იქაურ ვალუტას ვიყენებდით. ჩვენმა ლიდერმა უარი განაცხადა მოსკოვში საკავშირო თათბირებსა და ქვორუმებში მონაწილეობაზე, „არ ჩამოვალ, ვიდრე არ აღიარებთ ჩვენს დამოუკიდებლობას“. თითქოსდა მხოლოდ მ. გორბაჩოვის გადასაწყვეტი ყოფილიყოს ამის გამოცხადება ან გაუქმება. რა თქმა უნდა, მასზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, მაგრამ არც იმდენი, რამდენიც წარმოედგინათ. მსოფლიოში და, მითუმეტეს, რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე შიდა პროცესები ყოველდღე ისეთ სახეს იღებდა, რომ ძნელი არ იყო იმის გამოთვლა, რომ თვით მეტროპოლია იდგა უფსკრულის წინაშე. სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გორბაჩოვისა და ელცინის დაჯგუფებებს შორის ყოველდღე იძაბებოდა. მარტო ის რად ღირდა, რომ რუსეთის ფედერაციამ, ერთადერთმა ყველაზე გიგანტურმა საბჭოთა რესპუბლიკამ, ჯერ იყო და, თავისი კომპარტია დააფუძნა, მერე აირჩია „დამოუკიდებელი“ უმაღლესი საბჭო, მერე აირჩია თავისი – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი. ამ ე.წ. ცირკის ბოლო აკორდი გახლდათ 1990 წლის 12 ივნისი, როდესაც რუსეთის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტი. დღემდეც კი ვერ გაუგიათ რუსეთში და აბა მაშინ როგორ გაიგებდნენ, ვისგან ან რისგან იცავდა რუსეთის ფედერაცია თავის ე.წ. სუვერენიტეტს. ახლა კი იშენენ თავში ხელებს კომუნისტური პარტიის ღობისტები და ის ძალები, ვინც მისტირიან საბჭოთა სინამდვილეს, – ეს რა გავაკეთეთ, ეს რა ჩავიდინეთ, ჩვენ თვითონ გამოუუტანეთ ჩვენ თავს სასიკვდილო გან-

აწენიო, მაგრამ უკვე გვიანია. ისტორიას ვერ შეაბრუნებ. რამდენი არ ეცადნენ, ედღესასწაულათ ეს დღე – 12 ივნისი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. დღეს ეს დღე თითქმის არავის ახსოვს, მორცხვად თუ გაიხსენებენ ხანდახან, ვინაიდან ვერავინ გეტყვის, რა არის ან რა იყო ამაში საზეიმო და სასიხარულო ეროვნული სულსკვეთებისათვის.

აბა გაიხსენეთ, როგორ იქცეოდნენ ამ პერიოდში ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და მათი ლიდერები. არავითარი ხმამაღალი შეურაცხმყოფელი პოლემიკა. ლოდინის, დროის ხელოვნურად გაწელების პოლიტიკას ადგნენ. ერთი კი იყო, მათი ემისარები საქართველოში საკმაოდ აქტიურობდნენ მიტინგებსა და ხალხთან შეხვედრებში, ჩვენ გვაქვსებდნენ მოსკოვთან დასაპირისპირებლად, თორემ მოსკოვში ერთი გაბედული სიტყვაც არ წარმოუთქვამთ, ანდა ეს რაში სჭირდებოდათ, ჩვენ ხომ აგერ ვყავდით – ემოციურები, მყვირალები, ამბიციურები, სიმართლის პირში მთქმელები და სხვა. თუმცა მოთმინებაც გვცოდნია, სიღინჯეც და გაჩუმებაც, როცა 1991 წლის აგვისტოში გეჩპ-ს ამბოხების დროს თბილისში ჩამოსულმა გენერლებმა მიგვიჩინეს ჩვენი ადგილი და თითქმის გვადიარებინეს გეჩპ-ს იდეები.

ამ სულსისწრაფემ მოგვიყვანა დღეს იქ, სადაც ვართ და ბალტიისპირეთი – თავისი პრაგმატულობით – იქ, სადაც არის (გაერთიანებულ ევროპაში, ნატოში). არამარტო მაშინდელი 90-იანი წლების ქართულ პრესაში, არამედ, ჩვენდა საუბედუროდ, დღესაც მთელი პასაჟები იბეჭდება იმის შესახებ, თუ რა „ნეგატიური“ როლი ითამაშა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მაშინდელმა ლიდერმა, პრეზიდენტმა ბუშმა (მამამ) იმაში, რომ არ გვადიარა როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, არ გამოგვიწოდა „დახმარების“ ხელი და ა.შ. რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ემოციებს ვართ აყოლილი. არავითარი ანალიზი არ ჩაგვიტარებია იმ ბოზოქარი

დღეებისა, როდესაც წყდებოდა ბედი საქართველოს არსებობისა. მაშინ არც არავის ახსოვდა და არც უცხოეთის ქვეყნების უმრავლესობამ იცოდა ასეთი ქვეყნის არსებობა. წყდებოდა საბჭოთა იმპერიის ბედი, ბედი იმპერიისა, რომელიც იმდენ ბირთვულ იარაღს ფლობდა, რომ შეეძლო თავის დაღუპვის შემთხვევაში მთელი მსოფლიოს თან წაყოლა უფსკრულში და მოუსაველეთში. ვინ იტყვის დღეს, რომ ეს გამორიცხებული იყო, რომ მსოფლიო ასეთი კატასტროფის წინაშე არ იდგა?! ამის არაღიარება ნიშნავს იმას, რომ ისტორიულ წარსულში ვერ ჩაიხედო. აბა გაიხსენეთ, როგორ აღიგავნენ პირისაგან მიწისა ბიზანტიის, რომის, გერმანიის ათასწლიანი რეიხის და სხვა იმპერიები. რაა ამაში გასაკვირი, რომ დღესაც და მაშინ, ყველა ქვეყანა ჯერ საკუთარ ეროვნულ ინტერესებს, თავისი ხალხის ინტერესებს იცავდა და იცავს, და მერე, თუ დრო დარჩება და მის გეოპოლიტიკურ ინტერესებში შედიხარ, შეიძლება ცოტათი მაინც იფიქროს შენზე, ან „სიტყვიერი, არაფრისმთქმელი დემაგოგიით დაგეხმაროს“. ამიტომ მაშინ, 90-იან წლებში პრეზიდენტი ბუში კი არა, მამაზეციერიც ვერ შეძლებდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის იურისდიქციაში მყოფი საქართველოს დამოუკიდებლობის არა მარტო აღიარებას, არამედ რაიმე სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის წარმოებას. ამიტომ ჩვენი აპელაციები მათ მიმართ უსაფუძვლოდ მიმანია და მათი წინ წამოწევა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენი შეცდომების აღიარება არ გვინდა, ისევ და ისევ სხვას გვინდა დავაბრალოთ ჩვენი აჩქარებული, გაუზომავი, ამბიციური ნაბიჯები. ხშირად ახმოვანებენ ერთ საკმაოდ ცნობილ თეზისს პრეზიდენტ ბუშისა – „საქართველო (გამსახურდია) დინების საწინააღმდეგოდ მიდისო“. საერთოდ როცა სურთ ოპონენტის გამოთქმის აპელირება თავის სასარგებლოდ, აი, მაშინ მიმართავენ ასეთ ხერხს, რაღაც თეზისის კონტექსტიდან ამოღებისა, რომ ლოგიკური

სახე მისცენ თავიანთ ნათქვამს. რადგან ჯერ, ამ ტექსტში საკმაოდ ლოგიკურად არის ახსნილი, თუ რატომ მიიხნევედნენ ამერიკის მაშინდელი ლიდერები, რომ საქართველო „დინების საწინააღმდეგოდ მიდის“. როგორც ზევით განვაცხადე, ამით მიგვითითებდნენ მოთმინებისაკენ, მეტი სახელმწიფოებრივი სიმშვიდისაკენ, მეტი გათვლილი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმისაკენ. სასაცილო იქნება, ახლა ვინმემ რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბუშის დამცველად და აპოლოგეტად წარმომადგინოს. ის რაც ვთქვი, უბრალოდ, ჩემი აზრით, მცირე ანალიზია იმ დღეებისა. თუმცა ბუშსა და ამერიკას ახლაც ლანძღვით ვიხსენებთ თითქოსდა მათი, ამ ჩვენი „თავმოყვარეობისათვის“ შეურაცხმყოფელი ქმედებებისათვის, მაგრამ გვავიწყდება, რომ მაშინ არცერთმა ევროპულმა ქვეყანამ და მისმა ადინისტრაციამაც არ ისურვა ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება. თუმცა თუ გავიხსენებთ, არა ერთი მცდელობა გვქონდა ასეთი ნაბიჯებისა. რამდენადაც მახსოვს, ჩვენი დელეგაციები საგარეო საქმეთა მინისტრის მეთაურობით გახლდნენ იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, რამაც არავითარი შედეგი არ მოგვიტანა, გარდა სკანდალური ჭორებისა და ინფორმაციებისა მათი იქაური „გმირობების“ შესახებ. შეიძლება დავეძღუროთ მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს? რა თქმა უნდა, არა. მართალია, იგი საკმაოდ შემთხვევითად იყო შერჩეული ამ თანამდებობაზე, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ტალეირანიც რომ ყოფილიყო მაშინ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ისიც ვერ მიაღწევდა რაიმე პროგრესს იმიტომ, რომ ეს იმ წლებში უბრალოდ შეუძლებელი იყო და მართლაც „დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვა“ გახლდათ. აბა ვის მოუვიდოდა თავისი ქვეყნის ინტერესების გაუთვალისწინებლად, თავისი ხალხის კეთილდღეობის ხარჯზე, საქართველოს დაცვა. ამის

ფიქრი უტოპია იყო. ვინ აიტკიებს თავს შენს გამო მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის ასეული ბირთვული იარაღით აღჭურვილი რაკეტები ევროპაზეა დამიზნებული. ახლახან დაეცა ბერლინის კედელი, ახლახან გათავისუფლდა აღმოსავლეთ ევროპა კომუნისტების ბრტყალებიდან, ევროპაში – აღმოსავლეთ გერმანიაში – 200-250 ათასიანი საბჭოთა ჯარები ჯერ კიდევ დგანან და შენ ამ ხალხს სთხოვ დახმარებას? არ ვიცი და ვერ წარმომიდგენია, ვინ გააკეთებდა ამას. და საერთოდ ნათქვამია, – არასოდეს არ უნდა სთხოვო ადამიანს ის, რასაც, წინასწარ იცი, რომ ვერ შეგისრულებს. და თუ იცი, რომ ეს ასეა, მერე მასზე წყენა და ვიშივიში თვით შენი ინტელექტის ნაკლებობაზე მეტყველებს და არა მეორე მხარისა.

ჩვენი მაშინდელი მთავრობისა და მათი ლიდერების შეცდომების თუ გაუთვალისწინებლად გადადგმული ნაბიჯების შედეგად ვერაფრით ვერ მოხერხდა დიპლომატიური ურთიერთობის ჩამოყალიბება ჯერ საბჭოთა კავშირსა და შემდეგ რუსეთის ორ სხვადასხვა ხასიათისა და ტემპერამენტის ლიდერთან, ჯერ გორბაჩოვთან და შემდეგ – ადრე ენერგიით აღსავსე, გამარჯვების ეიფორიაში მყოფ, მაგრამ მალე დაავადმყოფებულ, საკმაოდ დაუძღურებულ ელცინთან.

1996-2000 წლებში რუსეთის პრეზიდენტის გარემოცვა ძირეულად შეიცვალა. ახლა უკვე ოლიგარქები მართავდნენ მეჯლისს, ბ.ბერეზოვსკის ლიდერობით. ჩამოიცილეს რადიკალები, პრეზიდენტის დაცვის უფროსი კორჟაკოვი, ფსბ-ს დირექტორი ბარსუკოვი და პრეზიდენტის ქალიშვილთან ერთად იმართებოდა ქვეყანა. 2000 წლის დამდეგს კი სურათი მთლიანად შეიცვალა და გამოუყენებელი შესაძლებლობები ჰაერში აორთქლდა.

შეიძლებოდა თუ არა მ. გორბაჩოვთან საერთო ენის გამონახვა და მისი სუსტი მხარეების გამოყენება ქართული ეროვნული ინტერესების დასაცავად?.. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, კარგად გათვლილი და დინჯი

ურთიერთობის (დროებით მაინც) გატარებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას უჭირდა და ქვეყნის მართვის სადავეები ხელიდან ეცლებოდა. ამას დიპლომატიის ენაზე ლავირება ჰქვია და ხშირად გამოიყენება, თუკი ამის საშუალებას ღმერთი გაძლევს და ინტელექტი და გამოცდილება გყოფნის. პირველი ნაბიჯები ჩვენი შეცდომებისა განსაკუთრებით გამოიკვეთა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ოლქის პრობლემების გადაწყვეტისას, რომელთა მიმართაც ვიყავით მეტად ხისტად განწყობილნი და ის, რისი მიღწევაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეგვეძლო მიგვეღწია (მეტი ავტონომიის მინიჭება, ფედერალური წყობა და სხვა), ახლა სანატრელ და ძლიერ შორს გადაწეულ, თითქმის უტოპიურ, ოცნებად გვექცა.

მაშინ, როდესაც ყოველგვარი კანონის დარღვევით, აფხაზეთში შეიქმნა ე.წ. აფხაზური გვარდია (თუ შეიარაღებული ჯარი), არაფერი გავაკეთეთ იგივე საბჭოთა კანონმდებლობის ბერკეტების დაცვით მათი განიარაღებისათვის. შეიძლებოდა ამის გაკეთება? ალბათ შეიძლებოდა, თუ რამეს დავთმობდით. თუ რაღაცის დათმობა არ გსურს, პოლიტიკაში ვერაფერს მიღწევ. კარგი, ბატონო, თუ მაშინდელმა აფხაზმა მოსახლეობამ – 80-100 ათასმა მოქალაქემ შექმნა 350-500 ჯარისკაციანი თავისი არმია, ჩვენ რისი გვეშინოდა, რატომ არ შევქმენით ასეთივე სამხედრო დაჯგუფება ქართველი მოსახლეობისაგან, რომლის რაოდენობაც მაშინ აფხაზეთში 450-500 ათასს შეადგენდა? მაშინ ხომ სრულებითაც არ დაგვჭირდებოდა აფხაზეთში კიტოვანის გვარდიის და თბილისის მილიციის ქვედანაყოფების შეყვანა ე.წ. რკინიგზის კომუნიკაციების დასაცავად?! მას შემდეგ, რაც ბირთვული იარაღი გაჩნდა 1945 წელს (აშშ) და 1949 წელს (სსრკ) მსოფლიო უშიშროების დისბალანსი აღსდგა და ერთმანეთის შიშით აგერ უკვე 70 წელია მსოფლიო ომები არ

გაჩაღებულა. შეიძლება არცთუ ისე კარგი შედარებაა, მაგრამ ასეთი ერთმანეთის მოპირისპირე შეიარაღებული საჯარო ფორმირებების შექმნით მაშინდელ აფხაზეთში, გვინდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ სეპარატისტ ვ. არძინბას და მის ზურგს უკან ამოფარებულებს გაუჭირდებოდათ თავიანთი პროვოკაციების განხორციელება. სადაც მოსახლეობაში იარაღი უკონტროლოდ ინახება, იქ რა თქმა უნდა, სროლაც მოსალოდნელია – ეს კი თითქმის სამოქალაქო ომი იქნებოდა ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასეთ ომში ჩარევისათვის კი ალბათ მეტი იურიდიული საფუძველი გვექნებოდა, ვიდრე მოგონილი ე.წ. რკინიგზის ძარცვების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. არასოდეს ეყოლება უახლოეს ისტორიულ მომავალში რუსეთის ფედერაციას ისეთი „ლიბერალურ-დემოკრატიული“ მთავრობის წევრები, რომლებიც იყვნენ 1991-1995 წლებში – ი. კოზირევი (საგარეო საქმეთა მინისტრი), ნემცოვი (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), გ. ბურბულისი (სახელმწიფო მდივანი) და თუ ასეთ ხალხთან ვერ გამოვნახეთ საერთო ენა, მაშინ ვისთან გამოვნახავთ, – ზიუგანოვთან, მაკაროვთან, ჟირინოვსკისთან, თუ ბაბურინთან და სხვა მრავალთან?!

იმის მაგივრად, რომ კომპრომისები გვექმებნა, სეპარატისტებთან დათმობების მთელი კარუსელი დავატრიალეთ, არსად მსოფლიოში ასეთი ე.წ. კვოტა პარლამენტარიზმის ისტორიაში არ არსებობს, რაც ჩვენ მოვიგონეთ. ავტონომიური რესპუბლიკის 26 აფხაზი ეროვნების დეპუტატს – უფლება მივეციოთ გადაწყვეტილებების მიღებისა, მაშინ როდესაც ქართველი დეპუტატები, თუ არ ვცდები, 35 კაცი იყო. ძალიან ძვირი დაგვიჯდა ეს ჩვენი ნიუ-ჰაუ აფხაზური სეპარატიზმის ლეგიტიმიზაციის საქმეში. მაგრამ რად გინდა? ჩვენ ხომ ჩვენი შეცდომების აღიარება არ გვიყვარს, რამეთუ მიგვაჩნია, რომ ყოველთვის მართლები ვართ. ხოლო შეცდომები თუ არ აღიარე, ისე ვერა-

სოდეს ვერ გამოასწორებ მათ.

სამხრეთ ოსეთის მაშინდელ პრობლემებს თუ მიგუბრუნდებით, უნდა გავისხენოთ: ჩვენ არ ვიყავით, 10 თუ 15 ავტობუსით რომ ვაპირებდით ცხინვალის დალაშქვრას და იქ უკვე შეიარაღებული ოსური ბანდის ბუნაგში მიტინგის ჩატარებას?! რა იყო ეს? პოლიტიკური სიბეცე, გულუბრყვილობა თუ?.. ანდა ახლა ხომ სანატრელი გვყავს სეპარატისტი კულუმბეგოვი, რომელიც ძირითადად, ავტონომიური ოლქის მაგივრად, ავტონომიური რესპუბლიკის შექმნაზე ოცნებობდა? დიახ, შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ ამას ვებრძოდით და არ დავეშვიტ. მაგრამ მოლაპარაკებების დინჯად და წყნარად წარმართვა უფრო კარგი არ იყო, ვიდრე ის, რაც დღეს გვაქვს – ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახით და მისი კრიმინალი ლიდერის კოკოითის სახით? თუ იმასაც გავისხენებთ, რომ ანალოგიური პერსპექტივა გვესახებოდა აფხაზეთის მიმართაც, მაშინ ნათელი გახდება, რომ შესაძლებლობანი ჩვენი ამბიციების გამო და სულსწრაფი მიზნების გამო ხელიდან გავუშვიტ. ყოველივე ამას თან ერთვოდა ქვეყნის შიგნით არსებული არასტაბილური მდგომარეობა, განხეთქილებები მმართველი ჯგუფის შიგნით, დაპირისპირებები ლიდერებს შორის (გამსახურდია – კიტოვანი, განმსახურდია – ასათიანი, გამსახურდია – ჭანტურია) და მრავალი სხვა.

საკადრო შეცდომები... ამ თემაზე ხომ გაუთავებლად შეიძლება საუბარი. შემთხვევითი და გამოუცდელი არაპროფესიონალი კადრების დანიშვნა მინისტრებად, ხელმძღვანელებად სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებში და მრავალი სხვა.

ადამიანმა, რომელიც გაიზარდა საქართველოს სინამდვილეში ერთ-ერთ საამაყო ოჯახში, რომელიც თითქმის მთელი მისი არსებობის განმავლობაში ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს ელი-

ტარულ საზოგადოებასთან (ინტელიგენციასთან), ვერ გამონახა საერთო ენა საზოგადოების ამ ფენასთან, დაუპირისპირდა მას... რომ გადაგხედოთ მაშინდელ ქართულ პრესას, დავინახავთ, თუ რა „ცოდვებს“ არ მიაწერდნენ ინტელიგენციის გარკვეულ წარმომადგენლებს: ეროვნული ინტერესების დაღატკს, ინერტულობას მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში და, ასე წარმოიდგინეთ, მსუბუქი მანქანების და მისი სათადარიგო ნაწილების სპეკულაციასაც კი... აბა ასეთი დაპირისპირება კარგს რას მოგვიტანდა?!

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ გარეშე ძალები ყოველთვის ცდილობდნენ გაეღვივებინათ ეს წინააღმდეგობანი, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის მანკიერი „სიხარული“, რასაც იწვევდა გარკვეულ წრეებში გავრცელებული (მიზნობრივად მიმართული) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მთავრობამ შეისყიდა რამდენიმე სახლი ბერძენ მოსახლეთა შორის წაღკის რაიონში, კახეთში – სომხებისაგან, ბოლნისში და ადიგენში – აზერბაიჯანელებისაგან და ა.შ. რათა ისინი გადასახლებულიყვნენ საქართველოდან, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო საქართველოში მცხოვრებ ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებს ქვეყნიდან გადინებისათვის – თითქოსდა, მატერიალური კომპენსაციის ხარჯზე (ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ მაშინდელი ფული მხოლოდ საბჭოთა კავშირის ბიუჯეტიდან საქართველოსთვის გამოყოფილი თანხა გახლდათ). აი, ასეთმა ნაბიჯებმა კი დიდი ზიანი მიაყენა, როგორც ქვეყნის იმიჯს, ისე ქართველი ხალხის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ეროვნულ ტოლერანტობის იმიჯს. ამასთანავე, ჩემის აზრით, დაუფიქრებელი პასუხი გავეცით თურქმენსხი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი საქართველოში დაბრუნებისა.

ყოველივე ამან გარკვეულწილად განაპირობა ქვეყნის ავტორიტეტის შელახვა და საშუალება მისცა მტრებს წამოეყენებინათ საშინელი თეზისი: საქართველოს განვითარება მიდის არა დემოკრატიული და ერთა თავისუფლების გადრმავეების გზით, არამედ გაბატონებულია ფაშისტური იდეა – „საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის“. აი, ასეთ რამეს კი არავინ გაპატიებს. და ცხადია, ყველაფერი ეს მტრის მოგონილი ჭორია, მაგრამ ფაქტია, ამ ჭორის აგორებას ჩვენც შეეუწყვეთ ხელი ჩვენი დაუფიქრებელი ქმედებებით. ერთხელ ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრმა გებელსმა თქვა დაახლოებით შემდეგი: „მტრის მიმართ პროპაგანდისტული შეტევისათვის მთავარია კარგად მოფიქრებული სიმართლის ელემენტებით შეფუთული სიცრუის და სიყალბის გავრცელება, ტირაჟირება, მასებთან მათი მიტანა. აი, ეს არის მთავარი. შემდეგ მტერმა რამდენადაც არ უნდა იმართლოს თავი, ინფორმაცია უკვე აგორებულია და მასების ტვინში ჩაჭედვლილი. პროპაგანდამ უკვე შექმნა ის გარემო, რაც ევალებოდაო“. მართლაც, გვინდა თუ არ გვინდა ეს, თუ ობიექტურობის ელემენტარული უნარი დაგვრჩა, უნდა დავეთანხმეთ. მართალია გებელსს ვერ წაართმევ იმას, რომ უადრესად ნიჭიერი (ბოროტი ნიჭიერი) გახლდათ და ამავე დროს თავისი დროის ალბათ ერთ-ერთი შესანიშნავი ორატორიც. თუმცა, რაღა ფაშისტებს მივადექით?! ასეთივე პროპაგანდისტული სიცრუე და სიყალბე არ მეფობდა საბჭოთა ქვეყანაში თითქმის 70 წლის განმავლობაში?! მათ ჩამონათვალს ალბათ ერთი სქელტანიანი წიგნის ფურცლებიც კი არ ეყოფა. ანდა რას გადავვიდეთ ამ ფაშისტებს და კომუნისტებს, თანამედროვე ცხოვრებაში ბევრი მსოფლიო ქვეყნების ძირითადი პროპაგანდისტული იდეა სიცრუე და სიყალბე არ გახლავთ?! ე.ი. მთავარია, დაასწრო და თავის დროზე შეაპურჭყო მოწინააღმდეგეს, მერე მან რამდენიც გინდა იწმინდოს სახე და

იმართლოს თავი, ამას გაცილებით ნაკლები ხალხი დაიჯერებს. საკმარისია ვიღაც გარეწარმა გადაიხადოს გარკვეული თანხა, შეუკვეთოს ცილისწამებლური სტატია ვინმეს შესახებ (ძირითადად ეს პატიოსანი ხალხის მიმართ ხდება) და ერთ საგაზეთო ფურცელზე უტიფრად შეუტოს „სამართალდაცვითი“, „სიმართლის“ პოზიციიდან ობიექტს. შემდეგ რა? დიდი არაფერი. თუ სასამართლო არ არის მოსყიდული და ობიექტი პროცესს მოიგებს, შეიძლება ცილისმწამებელმა რაღაც უმნიშვნელო თანხა გადაიხადოს ჯარიმის სახით, ხოლო გაზეთი, რომელმაც გამოაქვეყნა ეს პასკვილი, „იძულებული“ გახდება გამოაქვეყნოს პატარა ორი ან სამი წინადადებისაგან შემდგარი უარყოფა სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და ამასაც გააკეთებს გაზეთის კუთხეში ისეთი მცირე შრიფტით, რომ დაინტერესებული მკითხველის გარდა, მას ვერავინ წაიკითხავს. აი, ასეთი სასტიკია სინამდვილე და ამის გაუთვალისწინებლობის უფლება არავის არ ჰქონდა. ანდა წარმოიდგინეთ, ასეთი ქვეყნის იმიჯის შემდეგ რომელი დემოკრატიული ამერიკა თუ ევროპა გამოიხედავდა ჩვენსკენ, სხვა ფაქტორებს რომ თავი დავანებოთ. ამიტომ მივიღეთ ის, რაც უკვე მივიღეთ: ამბოხი თუ ე.წ. სამოქალაქო ომი. თუმცა ამ ორი ტერმინის დამტკიცებაშიც არის საზოგადოებრივ აზრთა სხვადასხვაობა. ყველა თავის „სიმართლეს“ ამტკიცებს, ვისაც როგორ აწყობს, რადგან დღემდის ობიექტურად არ შეგვიფასებია ქვეყნის ეს სამარცხვინო დამღუპველი მოვლენა.

მხოლოდ წარსულის ობიექტურმა პირუთვნელმა შეფასებამ, დაშვებული შეცდომებისა თუ დანაშაულებათა სწორმა გაანალიზებამ შეიძლება მიგვიყვანოს თანამედროვეობის პროცესების რეალურად აღქმამდე. მაგრამ ამისათვის ჩვენ არასოდეს არ გვცალია ან არ გვაინტერესებს. ახლა კი ისე შეგვტოპეთ ჩვენს ახალ შეცდომებში და დანაშაულებრივ ქმედებებში, რომ

ასეთი მიდგომა უკვე არ გვაწყობს, უფრო სწორად – არ აწყობს მმართველ ელიტას, რამეთუ მან არამარტო არ გაითვალისწინა ის, რაც მოხდა და რახედაც უნდა ესწავლა ჭკუა, არამედ თავისი დიდი წვლილი შეიტანა პროცესის შემდგომ განვითარებაში და დღეს მათი აღიარება პოლიტიკურად არამიზანშეწონილად მიანია. ის, რაც ამ დამღუპველი ე.წ. ამბოხის დროს მოხდა, ახალი სიტყვა იყო ალბათ მსოფლიო ქვეყნებში მომხდარი ამბოხებისა და მთავრობის (პრეზიდენტის) დამხობის ისტორიაში. ყოველ შემთხვევაში, მივიღეთ (ისიც საახალწლოდ) ერთი ქუჩის (გამზირის) ომი, და ეს ძმათამკვლელი ომი ამ შეზღუდულ სივრცეში ორი სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ისმის კითხვა: რატომ არ ჩაერია ქვეყნის მოსახლეობა (თბილისის მოსახლეობა) ამ ე.წ. ომში? ნუთუ მხოლოდ სიკვდილის შიშით? ეს ნაკლებად დასაჯერებელია. მასა რომ მისულიყო ადგილზე და გამოეხატა თავისი პროტესტი ან უკმაყოფილება, ან მხარდაჭერა მთავრობისათვის ან პრეზიდენტისთვის, დარწმუნებული ვარ, მოვლენათა მიმდინარეობა კარდინალურად შეიცვლებოდა. კარგი, ბატონო, ხალხი არ გამოვიდა რუსთაველზე პროტესტის ნიშნად და არ დაიცვა პრეზიდენტი მუამბოხეებისგან, მაგრამ რა უშლიდა მას ხელს ეს ნაბიჯი სხვაგან გადაედგა და სხვა ადგილზე შეკრებილიყო (გმირთა მოედანზე, გამარჯვების მოედანზე, იპოდრომზე, სტადიონზე და ვინ მოთვლის კიდევ სად). მაგრამ ჩვენი უბედურებაც იმაში იყო, რომ ხალხი შეიძლება ითქვას გაითიშა, გაიყო ორად ან სამად – პუტჩისტებად, მთავრობის მომხრეებად (ზვიადისტებად) და მესამე – ნეიტრალურ ძალად. აქედან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: 1. კარგად იმუშავა მტერმა. 2. ხალხში დაგროვდა გარკვეული მუხტი (ნეგატიური) მთავრობის მოქმედებათა გამო. 3. დაპირისპირება იმდენად გაღრმავდა, რომ შეუქცევადი სახე მიიღო.

იმას, რაც 1991 წლის დეკემბერში მოხდა რუსთაველის გამზირზე, თუ ამბოხს დავარქმევთ ე.ი. პრეზიდენტის დამხობის ამბოხს, მაშინ ის, რაც შემდეგში მოხდა, მოვლენათა განვითარების მიხედვით გარკვეულ წილად შეიძლება სამოქალაქო ომის განხადების მცდელობად მოვხატოთ. პრეზიდენტის დასაცავად შეიარაღებულ პირთა გამოსვლები დასავლეთ საქართველოში (ყველაზე მეტად სამეგრელოს რეგიონში) და შემდეგ პუტჩისტების სადამსჯელო საომარი მოქმედებები ფოთში, სენაკში, ზუგდიდში თუ წალენჯიხაში, – აბა რა არის, თუ არა სამოქალაქო ომის ელემენტები, როცა ძმა იბრძვის ძმის წინააღმდეგ პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავების გამო?! არავის არ შეუხსწავლია, არ დაუთვლია, არც უცდია დაეთვალა, თუ რამდენი ქართველი დაიღუპა ამ სასაკლაოზე. არც ერთ მხარეს ეს დღეს არ აინტერესებს, ის კი არა და, ერთი მხარე იმასაც კი აცხადებს, რომ ცდილობდნენ არ ესროლათ, რათა მსხვერპლი ქართველთა შორის ნაკლები ყოფილიყო.

ამის განცხადება სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. ასეთი „გულუბრყვილო“ თუ მიზანდასახული ინფორმაციით თავს იტყუებენ, ან ხალხს იდიოტებად თვლიან. ომი ომია, ორივე მხარე ისვრის და ხოცავს, გამარჯვებული ის რჩება, ვინ მეტ ცოცხალ ძალას დაუხოცავს მოწინააღმდეგეს, ჩაახშობს მის წინააღმდეგობას და გაიმარჯვებს. რამდენადაც ვიცით, არცერთ სერიოზულ ომში თოვლის და ბამბის გუნდებით ჯერ არ უბრძოლიათ.

მამაზეციერმა მაინც არ გაგვიმეტა და საბოლოოდ არ შევტოპეთ დიდმასშტაბიან სამოქალაქო ომში. აბა, წარმოიდგინეთ, აჭარა ვითომდა „ნეიტრალიტეტის“ რეჟიმშია, აფხაზეთში არძინბა სიამოვნებით, მაგრამ გარკვეული შიშით ელოდება მოვლენათა მიმდინარეობას, სამხრეთ ოსეთში სეპარატისტები ავტონომიურ რესპუბლიკას აცხადებენ, იარაღებიან ვითომდა

ქართული საფრთხის მოსაგერიებლად. ამ დროს ძირითადად მეგრული ეთნოსით შედგენილი საჯარისო შენაერთები შედიან სამტრედიაში, უტყვენ ქუთაისს და არ მაღავენ თავის განზრახვას, რომ მოდიან თბილისში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად. წარმოიდგინეთ მოვლენათა შემდეგი განვითარება. რამდენ ხანს, დროში ან ტერიტორიულად უნდა გაწეულიყო ეს პროცესი სამოქალაქო ომისა და კიდევ რამდენი უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი უნდა მოეტანა ამას?!

მეამბოხეთა „მხსნელად“ ისევ გარეშე ძალა გამოჩნდა და სამტრედიასთან „დამთავრდა“ ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდი. შემდეგში სადამსჯელო რაზმების მიერ სამეგრელოში ჩატარებულმა ეგზეკუციებმა კინაღამ არ მიგვიყვანეს კიდევ ერთ უბედურებამდე – ე.წ. „მეგრულ“ სეპარატიზმამდე, დიახ, მეგრულ სეპარატიზმამდე. ვისაც ისტორიაში არ ჩაუხედავს, გავახსენებ, რომ ე.წ. „მეგრული“ სეპარატიზმი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, გასული საუკუნის 30-იან წლებში „გაფურჩქნის“ სტადიაში იყო. მე თვითონ მიხილავს ქართული დედაენის სახელმძღვანელო – გამოცემული მეგრულ ენაზე, მართალია ქართული ასონიშნებით, მაგრამ მეგრულ ენაზე. მაშინ, 30-იან წლებში, ამ სეპარატიზმის სულისჩამდგმელი ვინმე აშორდია ბერიამ ჯერ ციმბირის გზას გაუყენა და მერე ალბათ დახვრიტეს. ეს არავის ახსოვს. ცოტა დრო რომ დაგვარგოთ და გადაგხედოთ ჩვენი მეზობლების პრესას, ხშირად აღმოვაჩენთ ტერმინებს: სვანები, მეგრელები, აჭარლები, გურულები და სხვა, ქართული ეთნოსის წარმომადგენლებს, რომლებიც ასე თუ ისე მათთვის საჭირო კონტექსტში არიან მოხსენიებულნი, როგორც არაქართველი ტომები. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმას, რომ მეგრელებს, სვანებს აქვთ თავიანთი სალაპარაკო ენა, წეს-ჩვეულებები და სხვა, რაც მათ განასხვავებს ქართველებისგანო.

აბა ამას რა მიხვედრა უნდა, თუ რისთვის კეთდება ეს და რა მიზნებს ემსახურება ეს „ეთნომეცნიერული გამოკვლევები“.

ამბობენ, სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯიაო. ხდება პირიქითაც. ყოველ შემთხვევაში, ქართველებში, სამწუხაროდ, ეს თეზისი ჩვენი ეროვნული მენტალიტეტით და ხასიათის თვისებებით აზროვნებაში გამყარებულ გენეტიკურ ღერძს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე: ადამიანი ჯერ თითქმის გავადმერთეთ, ერის წინამძღოლად ავირჩიეთ, შემდეგ დავიწუნეთ (ვერ ვიტყვი, რომელი იყო მთავარი მიზეზი, ჩვენი ამბიციები თუ მისი მმართველობის მეთოდები) და შევიძულეთ, ტალახში ამოვსვართ, დავამხეთ, ქვეყნიდან გავაძევეთ, შემდეგ „კარგად“ შემუშავებული ოპერატიული ღონისძიებით შემოვიტყუეთ ქვეყნის ტერიტორიაზე, კარგახანს დაგეშილი ნადირივით ვსდიეთ, მოსვენების საშუალება არ მივეცით, ფსიქიკური წონასწორობა დავაკარგვინეთ და შემდეგ მოვაკვდინეთ: რა მნიშვნელობა აქვს (აღბათ მხოლოდ სიმართლის დადგენისათვის), როგორი სიკვდილით წავიდა ამ ცხოვრებიდან?! განა ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანა მკვლელობას არ ნიშნავს?! არადა, საუბედუროდ, განწირული იყო. რადგან, რომ იტყვიან, ერთ ბუნაგში (ან სავარძელში) ორი კაცი ხომ არ იჯდებოდა?! შემდეგ კარგახანს კიდევ ვლანძვით და ვავინეთ მიცვალებული, მისი მომხრეები ან დავხვრიტეთ ან ციხეებში გამოვამწყვდიეთ. გავიდა არცთუ ისე დიდი ხანი და ისევ გავიხსენეთ. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მონანიებას ხომ არ შევუდგებოდით?! არა, უბრალოდ მოვალეობა მოვიხადეთ და მშობლიურ მიწას მივაბარეთ პანთეონში, სადაც ღირსეული ერის შვილები განისვენებენ. ახლა კი დავივიწყეთ, რაც ჩავიდინეთ, ნოსტალგიამ შეგვიპყრო, ისევ და ისევ გავადმერთეთ და ვაი იმას, თუ ვინმე იმ დროის შეცდომებს გაიხსენებს. მზადა ვართ, ჩაექოლოთ, რათა არ შეურაცხე-

ონ ეროვნული გმირი. ის რომ ნამდვილად ეროვნული გმირია და მართლაც რომ უყვარდა თავისი სამშობლო და მის კეთილდღეობას, თავისი გაგების გულწრფელობით შესწირა თავი, ამაში არავის არასოდეს არ უნდა შეეპაროს ეჭვი, მითუმეტეს, რაც დრო გავიდა და გადის, შემდეგში ქვეყნის მმართველობაში მოსულ მესვეურებთან შედარებით. რა თქმა უნდა, ყოველივე აქ თქმული არანაირად არავის მიერ განსასჯელი საგანი არ უნდა იყოს. მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენი ისტორიის, ჩვენი ჯერ კიდევ უახლოესი წარსულის შეფასებისათვის, ისტორიული ობიექტურობისათვის ალბათ საჭიროა ერთხელ მაინც ვთქვათ სიმართლე: რა მოხდა? რატომ მივედით ასეთ სავალალო შედეგამდე?

ჩავიდინეთ ბოროტება „ბედნიერი“ ცხოვრებისათვის, როგორც ახლა მოდაშია, „დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყნის“ აშენებისათვის, და (ამაში პირველები ქართველები ნამდვილად არ ვართ) ისევ და ისევ ხალხის კეთილდღეობისათვის შევეუდექით „ახალი“ საქართველოს მშენებლობას.

ქვეყნის სათავეში აღმოჩნდა სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული პიროვნება:

1. სისხლით და ხორციით კომკავშირულ-პარტიული ფუნქციონერი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პოლიტიბუროს ყოფილი წევრი, ხუთი წლის განმავლობაში იმპერიის საგარეო უწყების მეთაური და სხვა.

2. კანონიერი ქურდი, არაორდინარული პიროვნება, რომელიც შესანიშნავად ათავსებდა თავის თავში ქურდულ მენტალიტეტს, დრამატურობას, თეატრმცოდნეობას, სასწავლო დაწესებულებების – უნივერსიტეტის ლექტორობას, მმართველობას და, ალბათ, ქართულ რობინ კუდობას.

3. თბილისელი გამოსული კაცი, მმართველის მოყვარული, რაინდული სულით, მაგრამ პატივმოყვარე,

თავის თავში ზედმეტად დარწმუნებული ადამიანი, რომელმაც ძალიან ბევრი სულიერი, მორალური, ფიზიკური და, ასე წარმოიდგინეთ, მატერიალური ძალები დახარჯა თავისი ყმაწვილკაცობის მეგობრის გასამეფებლად. რაც ჩქარა უმადურობით გადაუხადეს და თანდათან მოაშორეს თავის უკვე საყვარელ საქმეს. ამას ასე დაუსჯელად ხომ არ შეარჩენდა ვინმეს?!

ძალთა ასეთ თანაფარდობაში, თავიდანვე ცნობილი იყო, თუ ვინ გაიმარჯვებდა. საკითხავი მხოლოდ ის გახლდათ, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ტრიუმფირატის მმართველობა. როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ჩვენ საკმაოდ კარგად ვასრულებთ დუეტს, ტრიოს, კვარტეტს, მაგრამ ყველაზე კარგად ალბათ სოლო გვეხერხება. სოლოს შენ მღერი თვითონ და შენ თავს თავად ეკუთვნი. რომის იმპერიამ ვერ აიტანა ვერასოდეს პატრიციების მიერ შექმნილი ტრიუმფირატები და აბა ქართველებს რა დაემართებოდათ ძალთა ასეთი განლაგების დროს?! ეს ისეთივე წინააღმდეგობაა – მეტრეველს ჩოგბურთში თანრიგოსნები რომ შეახვედრო ან მიუღერს, ვან ნისტეროის, რონალდინიოს, რაულს – თბილისის „დინამოს“ მცველი რომ დაუყენო პირისპირ. მართლაც, შევარდნაძემ დახლართა ჩვეული ინტრიგები და როგორც კი შეამჩნია, რომ თანასუფრეული ხელს უშლიდნენ, თავიდან მოიშორა... ვერც იოსელიანი და ვერც კიტოვანი მას თავიანთი მენტალიტეტით და ცხოვრებისეული გამოცდილებით წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ და ვერც გაუწიეს.

ასეთ ვითარებაში თანდათან გამძაფრდა აფხაზური სეპარატიზმი.

არავის არ უცდია ისე, როგორც საჭირო იყო, ხიდების გადება, მოლაპარაკებები აფხაზებთან. ყველაზე კარგ გამოსავლად ალბათ რკინიგზის დაცვის „თემა“ აირჩიეს, თუმცა ნათელი იყო, რომ უკვე 3-4 წლის წინათ ჩამოყალიბებული (ჩვენი ჩუმი ნებართვით თუ

უმოქმედობით, ამაზე უკვე ზემოთ მოგახსენეთ) აფხა-
ზური საჯარისო ქვედანაყოფები დღეს თუ ხვალ აუცი-
ლებლად გაისროდნენ და ეს მართლაც ასე მოხდა.
მოხდა შეტაკება, დაიღვარა სისხლი, შემდეგ ე.წ. „გამ-
არჯვების“ ეიფორია, ახალი ქართული წესრიგის დამ-
ყარება, ომი გაწევილ დროში და სივრცეში, ხშირად
თვეების განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა
ერთი სოფელი. შემდეგ ისევ დანაშაულებრივად მოვ-
ტყუვდით თუ გულუბრყვილობით განვიარაღდით და
დაემარცხდით. გაშვებული იქნა ხელიდან ის დროუ-
ლი წარმატება, რასაც მივადწიეთ კონფლიქტის დასა-
წყისში. საჭირო იყო ჩვენი ამბიციების მოთოკვა, ჩვე-
ნი „გამარჯვების“ ეიფორიის მოთოკვა და ალბათ
ქვეყნისა და ხალხისათვის საჭირო შეთანხმების მიღ-
წევა აფხაზებთან, რაც მაშინ ალბათ გარკვეულად
შესაძლებელი იყო, რა თქმა უნდა, გარკვეულ კომპრო-
მისებზე წასვლით. სამაგიეროდ, არ გვეყოლებოდა 350
ათასი დევნილი, რამაც უფსკრულში გადაჩეხა ქვეყ-
ნის ეკონომიკა და ფინანსური შესაძლებლობანი და
მრავალი ადამიანური ტრაგედია მოუტანა ქვეყანას.
ამისათვის საჭირო იყო ქვეყნის მმართველთა გაბედული
ნაბიჯები, პერსპექტივაში გათვლილი სამომავლო გადა-
წყვეტილება, რისი უნარიც ყოველთვის ჰქონდა შე-
ვარდნაძეს. მაგრამ მაშინ ასეთი გადაწყვეტილება
არავის აწყობდა. ნათქვამია, ომს ადამიანთა მსხვერპ-
ლი მოაქვს, მაგრამ აგრეთვე ფულის და მატერიალური
სიმდიდრის მოსახვეჭად დიდ შესაძლებლობებს იძლ-
ევს. პირუთვნელი ანალიზით და ობიექტური შე-
ფასებით ამ თეზისის სიმართლე გამოაშკარავდება,
თუკი ამას მოვინდომებთ, მაგრამ ამას არასოდეს არავინ
არ გააკეთებს.

XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის პირვე-
ლი ათეულის დასასრულს შეცდომათა მთელი გაღერვა
შეიქმნა. ერთადერთი, რაშიც ვერ გაამტყუნებ ამხ. შე-
ვარდნაძეს, ის გახლავთ, რომ მას არასოდეს უთქვამს,

რომ თავისი პრეზიდენტობის წლებში გაამთლიანებდა საქართველოს და დააბრუნებდა ყველა დევნილს. ამისათვის მას საკმაოდ დიდი ცხოვრებისეული და ინტელექტუალური მომზადება ჰქონდა გავლილი. ასეთი სისხლისმღვრელი ლოკალური ომების შემდეგ ორ მცირე ერს შორის, სადაც გარდაცვლილთა კულტი ოდითვე მეფობს, ჭრილობების მოშუშებას დიდი დრო უნდა. მცირე ერების მეხსიერება ასეთ დანაკარგს დიდხანს იმახსოვრებს. ჯერ კიდევ ცოცხლები არიან დაღუპულ მეომართა დედები. მათთვის მთავარია, რომ შვილი მოუკლა აფხაზს ქართველმა. ეს არის მათი გონების აქსიომა, ამიტომ შვილის მკვლელის ძებნა არ სჭირდება, ის აქვე, მეზობლად ეგულება. ასეთ აფხაზ მშობელს ყველა ქართველი მტერი ჰგონია. ასეთ დროს აბა რა შედეგს მოიტანს მხოლოდ ცალმხრივი მუშაობა, როცა მეორე მხარე არა მარტო არ აშუშებს ამ ჭრილობებს, არამედ უფრო მეტად აღვივებს სიძულვილის თესლს, რადგან ასე აწყობს. ერთა დაახლოებას ურთიერთთანხმობა სჭირდება და ცალმხრივი ქმედება განწირულია. სეპარატიზმის ლიდერები თავიანთი გარემოცვის ტყვეები არიან, ყოველი მათი ნაბიჯი მათი მფარველებისა და გარემოცვის სასწორზე იზომება. ამიტომაც ასე ფრთხილნი არიან. ისტორიას ახსოვს შემთხვევა, როდესაც ირლანდიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა, რომელიც მივლინებული იყო ინგლისელებთან მოსალაპარაკებლად, ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელიც ირლანდიის დამოუკიდებულებას აცხადებდა ოლსტერის გარეშე. მან მიიჩნია, რომ ეს ნაბიჯი მისი ერის ინტერესებს შეესაბამებოდა, თუმცა იცოდა და კიდევ განაცხადა, რომ მას მისივე თანამებრძოლები მოკლავდნენ ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმისათვის და მართლაც სულ მოკლე ხანში რადიკალურად განწყობილმა ირლანდიის განმათავისუფლებელი არმიის მესვეურებმა ეს კაცი მოკლეს. გავიდა დრო და ისტორიამ დაა-

დასტურა ამ ადამიანის ნაბიჯის სისწორე და სიმართლე. ახლა იგი ეროვნულ გმირად არის შერაცხული.

ასეთი პროცესების ნახქარევად გადაწყვეტა არც შეიძლებოდა. ამიტომ მხოლოდ თავს ვიტყუებდით, როცა გვინდოდა და გვსურდა დაგვეჯერებინა ზოგიერთი ლიდერის საარჩევნო პროპაგანდა, რომ ქვეყნის მთლიანობას სულ რაღაც 2-3 ან 5 წელიწადში აღადგენდა. საუბედუროდ, ეს პროცესი ფრიად გაწვლილი პროცესია დროში, ამაზე მიგვითითებს ირლანდიისა და ინგლისის, ესპანეთისა და ბასკეთის კონფლიქტები. ხოლო კუნძულ კვიპროსზე მომხდარი განხეთქილება და ქვეყნის დაყოფა ე.წ. თურქულ და ბერძნულ დამოუკიდებელ რესპუბლიკებად, უკვე სამი ათეულ წელიწადზე მეტია ისტორიული ფაქტია. ამ კონფლიქტის დროს ნატოს სამხედრო ბლოკი თითქმის ნეიტრალულ პოზიციებზე დადგა, რადგან კონფლიქტის მონაწილეები მისი გაერთიანების ორი აქტიური წევრი გახლდათ. მაშინ ვერაფერი გააკეთეს ნატოელებმა და ახლა მოიკლავდნენ ჩვენთვის თავს? ხანდახან ჩვენი გულუბრყვილობა, თუ ამას მარტო გულუბრყვილობა ჰქვია, ყველა საზღვარს სცილდება.

ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი (რა თქმა უნდა, პოლიტიკოსების), რომლებიც ყოველ მოსახვევში გაიძახიან, რომ საქართველოს ტერიტორიის გამთლიანებას დროის მცირე მონაკვეთში (1-დან 5 წლამდე ან თუნდაც 10-15 წლამდე) მიაღწევენ, ცრუობენ. ეს მათ მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლისათვის სჭირდებათ, ხოლო იმათ, ვინც უკვე ხელისუფლებაშია, ეს პიარი მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ესაჭიროებათ. აი, აქედან მოდის ეს გაუთავებელი შეცდომები და გვეშინია, ვაღიაროთ, რომ დანაშაულებრივმა ქმედებებმა უკვე კატასტროფამდეც კი მიგვიყვანა. როგორც ყოველთვის, ემოციებს აყოლილმა ქვეყნის ლიდერებმა, უფრო სწორად ლიდერმა, მიიღო გადაწყ-

ყვეტილება, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები საომარი მოქმედების დაწყებისათვის. ელემენტარულად ეს იყო მტრის პოტენციალის არაობიექტურად შეფასება. პოტენციური მოკავშირეების რეაქცია და ძალთა თანაფარდობის ჩამოყალიბება საომარი ქმედებების დროს არც თუ ისე მნიშვნელოვნად იქნა გათვალისწინებული, ასევე – მოწინააღმდეგის ლიდერთა პირადი ფსიქოლოგიური ხასიათი, გადაწყვეტილების მიღებისას მათი იმპულსური ფეთქებადი აფექტი. ამაში ეს ორი პიროვნება თითქმის ტყუპისცალები არიან, ხოლო ცხოვრებისეულ გამოცდილებითა და პროფესიონალური მომზადებით ქართველი ლიდერი მხოლოდ მათ ცელქ მოწაფედ გამოიყურება. პრობლემატური საკითხების მომზადებისათვის, პუნქტუალური შესწავლისათვის ჩვენ არასოდეს გვეცალა, ყოველთვის გვეჩქარებოდა, ემოციების ტყვეები ვიყავით და ამიტომაც მივიღეთ ის, რაც მივიღეთ... ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყვეტა ძალიან დიდი ხნით მომავლის საკითხად ვაქციეთ.

უკვე ითქვა, რომ დიდი შესაძლებლობანი იქნა გაშვებული 90-იანი წლების დასაწყისში (საბჭოთა ქვეყნის დაშლის დროს). რომ არა ჩვენი ამბიციები, მიგვაჩნია, გარკვეული პროგრესის მიღწევა შეიძლებოდა ამ საკითხში.

ჩვენმა შიდა ქიშპობამ, არეულობამ, ქაოსმა და ე.წ. „ამბოხმა“ (ერთი ქუჩის ომმა, რომელიც გადაიზარდა შემდეგში სამოქალაქო ომში) ძლიერ დააქვეითა და უკან დასწია ქვეყნის განვითარება. რა დემოკრატიულ განვითარების გზაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა თვით ქართველებმა ერთმანეთის ქლეტა და განადგურება ავირჩიეთ ცხოვრების წესად. ამან გამოიწვია ის, რომ პოსტსაბჭოთა გარემოცვაში არავის არ ვაინტერესებდით და არც გვთვლიდნენ ქვეყნად, რომელიც თავის ეროვნული თვითშეგნებისა და დამო-

უკიდებლობის გზას ადგა. დიდი გონებრივი დატვირთვა არ არის საჭირო იმის გასახსენებლად, რომ 90-იანი წლების დასაწყისში არც ევროპას და არც აშშ-ს (ე.წ. დასავლეთს) არავითარი საერთო პოლიტიკური დოქტრინა არ გააჩნდა ისეთი პოსტსაბჭოთა ყოფილი რესპუბლიკების მიმართ, როგორც საქართველო იყო. ევროპა თვითონაც ჯერ გარკვეულ ეიფორიაში და პოლიტიკურ გაურკვევლობაში იმყოფებოდა იმის გამო, რომ ასე უბრძოლველად, სისხლისღვრის და გლობალური საომარი დაპირისპირების გარეშე დაინგრა ბერლინის კედელი, შემდეგ მთელი რიგი აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური რეჟიმები დაემხო, გერმანია გაერთიანდა და, რომ იტყვიან, ყველაფერს ამას მოვლა და პატრონობა უნდოდა. რუსეთში გარკვეული ანარქია სუფევდა. იმპერიაში ჯერ არ იყო მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა, კომუნისტური პარტიის გავლენა ჯერ კიდევ საკმაოდ იგრძნობოდა. არაგინ იცოდა, რომელი ძალები გაიმარჯვებდნენ შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებაში. ალბათ ყველაზე მეტად ეს მაინც 1990 წლის ოქტომბერში გაირკვა, როდესაც მოსკოვშიც მოხდა ე.წ. ერთი პროსპექტის ან ქუჩის ამბოხება და სამთავრობო ძალებმა ჩაახშეს კომუნისტური ამბოხი. მართლაც, უცნაურ და არაჩვეულებრივ დროში ვცხოვრობთ. სრულებითაც არ იყო საჭირო ყოფნა ე.წ. საომარი ქმედების ცენტრში, რადგან ეს ე.წ. ომი, რუსეთის მთავრობის თეთრი სახლის დაბომბვა და ქუჩებში მიმდინარე საომარი მოქმედებები პირდაპირ ეთერში გადმოიცემოდა ტელევიზიით და ისიც უცხოეთის ტელეკომპანიების მიერ. ამ „დომხალში“ ჩვენთვის ვის ეცალა. არც ჩვენ მოგვიკლავს თავი დარდით და ჩვენც ჩვენი შიდა პოლიტიკური ბრძოლის პერიპეტიებით ვიყავით დაკავებული. აბა რამდენ ხანს უნდა გაგრძელებულიყო საცირკო ტრიუმფირატი – სისხლითა და ხორციით, შეგნებითა და გაგებით პოლიტიკურ ქარცეცხლებში

გამობრძმედილ ე. შევარდნაძეს, „ბატიას“ (კიტოვანს) და დრამატურგ ავტორიტეტს შორის. რა თქმა უნდა, ამ ორი უკანასკნელი „პოლიტიკოსის“ ბედი უკვე გადაწყვეტილი გახლდათ. მხოლოდ დრო იყო ამისათვის საჭირო და, როგორც კი ამის დრო მომწიფდა, ისინი აღმოჩნდნენ იქ, სადაც ედუარდს მიაჩნდა – ციხეში. ახლახან „ბატიაშ“ ტელეეკრანზე, კორესპონდენტის შეკითხვაზე (მარტი, 2009 წელი) – „მართალია, რომ თქვენ პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებთო“, ჩვეული ღიმილით უპასუხა: „მე პოლიტიკიდან არც არასდროს წავსულვარო“. უბრალოდ სასაცილოა, მე მგონია, ამხანაგი „ბატია“ არც არასდროს ყოფილა პოლიტიკაში, ვინაიდან სადაც ის იყო და რასაც იქმოდა, იმას პოლიტიკური საქმიანობა არ ჰქვია. ამიტომაც ალბათ არ შეიძლება დაბრუნდე იქ, სადაც არ ყოფილხარ.

ერთი ფენომენიც გაჩნდა ახალ საქართველოში. იმდენი პიროვნება ეძახის თავის თავს პოლიტიკოსს, ან მასმედია აბრალებს პოლიტიკოსობას, რომ მოსახლეობის 70 პროცენტი ან მეტი პოლიტიკაშია ჩართული. ამასთან ერთად იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელ საქართველოში დაახლოებით 150 პარტია და ამდენივე ან მეტი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ასოციაციები, ჯგუფები, ორგანიზაციები აღირიცხება, მივხვდებით, რატომ არ არის ჩვენი საქმე კარგად. ლაფონტენის ერთი ცნობილი იგავისა არ იყოს, როცა ურემს თევზი წყალში მიექაჩება, ჯორი ან ცხენი – წინ სვლით, ფრინველები – ჰაერში და ა.შ., ასეთ დროს ურემი ადგილზე დგას და არ იძვრის. აი, ასეა ალბათ ჩვენი საქმე. და, საუბედუროდ, არ გამოჩნდა კაცი, რომელიც ფრინველებს ცაში გააფრენს, თევზს წყალში უკრავს თავს, მეურმედ დაჯდება, მათრახს გადაჰკრავს ჯორს ან ცხენს (რა თქმა უნდა, ხალხს) და, ცუდად თუ ავად, ურემი ჯერ კიდევ გაუკვალავ, მაგრამ პირობითად მაინც პირდაპირ გზაზე წავა.

ჩვენდა საუბედუროდ, ამის აღიარება ან ამ თემაზე

დისკუსია გვიჭირს. ხშირად ერთმანეთის მოსმენა არ შეგვიძლია, ოპონენტს არ ვუსმენთ, მამაოჩვენოსავით ჩვენს პოლიტიკურ „არგუმენტებს“ ვიმეორებთ, ისიც არ გვისმენს და თავისას გაიძახის. უფრო ხშირად ასეთი სურათის მოწმენი ვხდებით და არა დინჯი, წყნარი, არგუმენტირებული დისკუსიის წარმართვისა. ალბათ ესეც ჩვენი ხასიათის თვისებაა, რომელსაც, რა თქმა უნდა, არასოდეს არ ვადიარებთ და ყოველთვის გვაქვს ყველას ჩვენი „სიმართლე“, რომელიც არავითარ კრიტიკას არ ექვემდებარება. ეს ხომ ჩვენი სიმართლეა და თუ ვინმე მაინც გაბედავს მის კრიტიკას, იგი არა ოპონენტი, არამედ, ასე წარმოიდგინეთ, „ქართველი ერის მტერიც“ აღმოჩნდება. თუმცა შინაგანად ყველამ კარგად ვიცით, რომ სიმართლე მხოლოდ ერთია და არ შეიძლება იყოს რამდენიმე. ყველა პარტიულ მიმდინარეობას თავის სიმართლე ჰქონდა და ყველა, ვინც სახელმწიფოს მართვის სადავეებთან მოვიდა, თავის სახელმწიფოებრივი კურსის სიმართლეს გვიმტკიცებდა. ასე შევქმენით ამ 20 წლის განმავლობაში ჩვენს გაგებაში რამდენიმე სიმართლის გზა: გამსახურდიასა და მისი მთავრობის კურსის გზა, მისი ქართული ეროვნული კურსი; შემდეგ – ე. შვეარდნაძის, იოსელიანის, კიტოვანის, სიგუას და სხვათა „ამბოხის“ (სახელმწიფო გადატრიალების) „არგუმენტირებული“ აუცილებლობის გზა; მოგვიანებით – უკვე პრეზიდენტ ე.შვეარდნაძის ერთპიროვნული მართვის სწორი და მართებული სახელმწიფო კურსი, და ახლა მისი მოწაფეების (ბარტყების) სახელმწიფო მართვის სისტემა. და, რაც მთავარია, ყველა ამ კურსს თავისი მეხოტბეები ჰყავდა, როგორც მართვის დროს, ისე მათი მზის ჩასვენების შემდეგაც და ასე, თანდათან, ეს მცირე ერი დაიყო და დაქუცმაცდა ჯგუფებად, კლანებად. ყველაზე დიდი უბედურებაც ისაა, არცერთს არ უნდა „თუნდაც პატარა“, „თუნდაც უმნიშვნელო“ შეცდომების აღიარება. არა, ბატონო, ისინი ყოველთვის მარ-

თლები იყვნენ, მაშინ როცა ქვეყანას მართავდნენ და მაშინაც, როცა მმართველობას ან ჩამოაშორეს, ან ჩამოშორდნენ. ის კი არა, ამაზე ხმის ამოდებაც კი მკრეხელობად ითვლება და თუ არ დაიშლი მაინც-დამაინც რაღაც კრიტიკას, მზად არიან ფიზიკური შეურაცხყოფისა და ანგარიშსწორებისათვისაც.

უფრო კონკრეტულად რომ ჩამოვაყალიბოთ ყოველივე აქ თქმული, დღეს არის რამდენიმე აქსიომად ქცეული აღთქმა ჩვენი უახლოესი ისტორიისა:

1. ყოველივე ის, რაც გვაკავშირებდა რუსეთთან, ნეგატიურია და დამღუპველი ქვეყნისათვის – დაწყებული გეორგიევსკის ტრაქტატიდან, შემდეგ – იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიით, შემდეგ – 1921 წლის ბოლშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფით, რეპრესიით, დემოკრატიული მართვის იმიტაციით, თავისუფალი აზროვნების პოლიტიკური დევნით და ა.შ. და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ მცირე ჩამონათვალში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ყველა ცოდვა და დანაშაულებრივი ქმედებები ვერ ჩაგტიეთ, მაგრამ წარმოდგენილი სურათიც საკმარისია, რომ ეს ხანა (თითქმის 200 წელიწადზე მეტი) საქართველოს არსებობის სინამდვილეში შავბნელ ისტორიულ მონაკვეთად შეფასდეს. თუმცა ამ 200 წლის განმავლობაში უამრავი ზღვა ლიტერატურული თუ ისტორიული სახელმძღვანელოები შეიქმნა, რომლებიც ადიდებდნენ და ქებათა-ქებას ასხამდნენ ამ ხანას. ავტორებაც უმეტეს შემთხვევაში ქართველები გვევლინებოდნენ. აბა მედროვეებს რა გამოლევს თუნდაც საქართველოში?! ახლა, როდესაც ეს ხანა ისტორიის კუთვნილება გახდა, აბა გაბედე და რამე პოზიტიური (დადებითი) თქვი იმ დროის გარშემო?! გააკიცხვას ვინ ჩივის, უფლება რომ მისცენ, ჩაგქოლავენ. მაგრამ კარგად თუ გავისხენებთ და ობიექტური ანალიზით გადავხედავთ წარსულს, მაშინ ისიც უნდა გავისხენოთ, ვის ეცალა, ვის ტკიოდა თავი ჩვენთვის XVIII საუკუ-

ნის დასაწყისში და მის დასასრულს?! რამდენი ფეხსაცმელი უნდა გაეცვითათ სულხან-საბა ორბელიანს და მის წინამორბედებს, რომ ევროპას საქართველოსთვის მოეცალა?! მე მგონი, რამდენიც არ უნდა გვევლო ევროპაში, ჩვენთვის არავინ მოიცილდა, მათ თავიანთი გადასაწყვეტი პრობლემებიც ბევრი ჰქონდათ. აგერ, ყურისძირში კოლონიებად აუთვისებელი აფრიკა ეგულებოდათ, ამერიკის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ჩინეთის და სხვა ტერიტორიებიც ჯერ კიდევ აუთვისებელი ჰქონდათ და შენი „განთავისუფლებისათვის“, უფრო სწორად – კოლონიალური დაპყრობისათვის ჯერ არ ეცალათ. რამდენად გულუბრყვილო დიპლომატიური თხოვნითაც არ უნდა მიგვემართა მათთვის, მათი პოლიტიკური სიფხიზლისათვის საკმარისი იყო ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი ოტომანთა (თურქთა) იმპერიის და სპარსეთის იმპერიის არსებობა. ისევე, როგორც დღესაც ერთი თვალთ ან ორივეთი რუსეთისკენ იყურებიან – „დამერთმა არა ქნას, რამე ვაწყენინოთ“. არა, ბატონო, ისეთ არარეალურ ემოციებს აჰყვებოდა ესპანეთი, რომ შენი გულისთვის ამერიკას შეეშვებოდა, ანდა საფრანგეთი – მაროკოს და ალჟირს, ანდა ინგლისი – ახლო აღმოსავლეთს (ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია და სხვა)?! ამის დავიწყება და არ გახსენება ანდა უგულვებელყოფა მხოლოდ ჩვენს ისტორიულ გულუბრყვილობაზე მიგვითითებს, რომელიც საუბედუროდ თანდათან გენეტიკურ თვისებებშიც გადაგვეზარდა: „ჩვენ ისეთი კარგები ვართ, ისეთი კარგი ქვეყანა გვაქვს, ჩვენთვის ღირს თქვენი თავის გაწირვაო“. ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა და თანაც – პრაგმატულად აწყობილ მოაზროვნე ევროპასთან სასაუბროდ. ანდა გაიხსენეთ, რამდენ მარტივ მამრავლებად იყო დაყოფილი შუა საუკუნეებში დაშლის და დაქუცმაცების გზაზე დამდგარი საქართველო?! ვისაც ისტორიულ წყაროებში არ ჩაუხედავს, მხატვრული ლიტერატურას მაინც მი-

აკითხოს და ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“ წაიკითხოს, რათა აღიდგინოს მახსოვრობა. XVI საუკუნეიდან ორ იმპერიას (თურქეთისა და სპარსეთის) შორის დადებული ხელშეკრულებით საქართველო სფეროთა გავლენის მიხედვით პოლიტიკურად და გეოგრაფიულად ორ თანაბარ ნაწილად – დასავლეთად და აღმოსავლეთად ვიყავით დანაწევრებული. ეს კიდევ არაფერი, თუ ეს ორი თანაბარი (შედარებით) ნაწილი სახელმწიფოებრივად სტაბილურ მდგომარეობაში იქნებოდა. ჩვენდა საუბედუროდ, მესხეთ-ჯავახეთი, ტაოკლარჯეთი, ართვინი, არტაანი უკვე საქართველო არ გახლდათ. აღმოსავლეთ საქართველო ორ სამეფოდ ან სპარსეთის ორ პროვინციად იყო დაყოფილი, თავთავისი მეფეებით, ან უფრო სწორად, სპარსეთის მიერ ამ ადგილზე დანიშნული მოხელეებით, რომლებიც თითქმის 300 წელი ერთმანეთს ებრძოდნენ არა ქვეყნის ამ ნაწილების გასაერთიანებლად, არამედ მეტი ძალაუფლების მოპოვებისათვის. ქიშობა, დასმენა, დალატი – ამისათვის ძირითადი მეთოდი გახლდათ. ახლა დასავლეთს გადავხედოთ. იმერეთის სამეფო გაურკვეველ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა, რომელიც ტერიტორიულად ახლანდელი ქუთაისის, სამტრედიის, ხონის და ალბათ ზესტაფონის რაიონებით თუ შემოიფარგლებოდა. აჭარა და აფხაზეთი თურქული მმართველობის ქვეშ გახლდათ. სამეგრელო ალბათ ტერიტორიულად ყველაზე ვრცელი სახელმწიფო წარმონაქმნი, „დამოუკიდებულ“ პოლიტიკას ეწეოდა. ასევე ერთი ციციქნა გურიაც „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ გახლდათ. მთიანი საქართველო (სვანეთი, ფშავი, ხევსურეთი) თავისი ადათ-წესებით იმართებოდა. აი, მოკლე ჩამონათვალი ჩვენი დაქუცმაცება-დანაწევრებისა, ჩვენი ეროვნული უბედურებისა და რას იზამ, ასეთი იყო ისტორიული სინამდვილე. გვინდა ეს ვადიაროთ, თუ არა. მხოლოდ ერთეულ ეპიზოდებს თუ გავიხსენებთ, ამ თითქმის 350-

400 წლის განმავლობაში, როდესაც რომელიმე ქართველი ლიდერი თუ ეცდებოდა ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რა დღეში აყენებდა მას არა მარტო გარეშე მტერი (თურქეთი ან ირანი), არამედ თვით ამ ქართულ სინამდვილეში გაბატონებული კლანები. ეროვნული ინტერესები, როგორც დღეს, მაშინაც ბევრს ფეხებზე ეკიდა – თავისი პირადი კეთილდღეობის გამო. საუბედუროდ, ესეც ჩვენი ისტორიაა, რომელიც შინაგანად, რა თქმა უნდა, ვიცით, მაგრამ ან მორცხვად გაჩუმებული ვართ, ანდა ამის აღიარების უფლებას არ გვაძლევს ჩვენი „ეროვნული თავმოყვარეობა“. თუმცა თავმოყვარეობა აქ რა შუაშია?! ერთი რამ აუცილებელია: შეცომების აღიარებას და მონანიებას უფრო მეტი გამბედაობა სჭირდება, ვიდრე გაუთავებელ ტრაზახსა და ამბიციებს. დიას, არ იყო კარგი, როცა დაგვარგეთ დაქუცმაცებული, რამდენიმე პატარა საქართველო, რამდენიმე პროვინციის დამოკიდებულება, სხვათა კოლონიად ვიქეცით, სხვა კანონებს და ზნე-ჩვეულებებზე უნდა აგვეწყო ცხოვროვება, მაგრამ რას იზამ, ამ ცოდვილ დედამიწაზე არამარტო ჩვენ გავიარეთ ეს კოლონიალიზმის გოლგოთა. თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობამ, დღეს უკვე წარმატებულებმა, განვითარებულებმა ეკონომიურად და დემოკრატიულად, გაიარეს ეს გზა და წარმოიდგინეთ, მეგობრობენ კიდევაც თავის მეტროპოლიებთან (ინდოეთი, ავსტრალია, კანადა და ასე წარმოიდგინეთ, აშშ, ახალი ზელანდია, ჩინეთი, არაბეთის ბევრი სახელმწიფო). მაგრამ, ალბათ ისინი უფრო პრაგმატულები აღმოჩნდნენ ქვეყნის აღმშენებლობაში, შესძლეს მოეთოკათ წარსულში მიღებული ბევრი დამცირება მეტროპოლიისგან და მომავალი აღმშენებლობისათვის მოთმინება, სიღინჯე, შრომა აირჩიეს და არა გაუთავებელი პრეტენზიების წამოყენება, რომელიც მათ არაფერს კარგს არ მოუტანდა.

შემდეგ დაგვეყვს ისევ და ისევ, ოღონდ – იმპერი-

ის გუბერნიებად, ოლქებად, მაზრებად და ა.შ. მაგრამ ეროვნულ თვითშეგნებაში ხომ ყველამ ვიცოდით (მითუმეტეს, ჩვენმა წინაპრებმა), თუ რას წარმოადგენდა ტერიტორიულად ისტორიული საქართველო. გაიხსნა კომუნიკაციური საშუალებები, აღდგა ნათესაური კავშირები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ე.წ. კულტურულ-ეთნოგრაფიული ურთიერთობები, საეკლერო ურთიერთობები, დაიწყო მთიანი თემების ბარში გადასახლება (რაჭველები – კახეთში, მეგრელები – იმერეთში და მრავალი სხვა). ყოველ შემთხვევაში ეს მაშინ პროგრესი იყო, რადგან თავი ყველას ისევ ერთ ერად – ქართველებად წარმოგვედგინა. გვეღირსა და გადავარდა ბატონყმობა, ამან ერის მიგრაცია ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში უფრო ადვილი გახადა. შემდეგ ჩაისახა კაპიტალიზმი, აშენდა ქარხნები, მანუფაქტურები, გაძლიერდნენ ქალაქები, სოფლის გლეხობამ ქალაქს მოაშურა და სხვა. გარდაქმნებმა, რაც ბოლქარმა XIX საუკუნემ მოგვიტანა არამარტო ჩვენ, არამედ კაცობრიობას, ერის წიაღში გამოიმუშავა ეროვნული თვითმყოფადობის შეგნება. ახალგაზრდობა დაეწაფა განათლებას, არა მარტო დაწყებითს და საშუალოს, არამედ უმაღლეს განათლებას, ბევრმა მოახერხა პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, ტარტუს, ოდესის და სხვა უნივერსიტეტების დამთავრება. გამოჩნდნენ ქართველი ექიმები, ფიზიოლოგები, ბიოლოგები, ინჟინრები, მათემატიკოსები და სხვა... დაარსდა თეატრი, პრესა, მუსიკალური განვითარების პერსპექტივები. გამოჩნდნენ ეროვნული ლიდერები: ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, რ. ერისთავი, დ. ყიფიანი და სხვა მრავალი. მათი ჩამოთვლა ძლიერ შორს წაგვიყვანდა. გაჩნდა იდეა ეროვნულ-კულტურულ-პოლიტიკური ავტონომიისა, რასაც უკვე თანდათან არსებობის ნიადაგი შეექმნა. ე.ი. იმდენად საღად მოაზროვნე ლიდერები იყვნენ (ილია და მისი ჯგუფი თანამოაზრეებისა), რომ ეროვნულ დამოუკიდებლობაზე საუბარი ჯერ ნაადრევად

მიანდათ, რამეთუ ევოლუციურად უნდა გაიაროს ერმა განვითარების ყველა საფეხური და მოემზადოს დამოუკიდებელი არსებობისათვის.

არ იქნება ურიგო, თუ იმას გავიხსენებთ, რომ 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომში თორმეტი ქართველი ეროვნების გენერალი (პეტრე ბაგრატიონი, ძმები ფანჭულიძეები, ძმები იაშვილები და სხვები) იბრძოდა, სულ მეორე მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის საჯარისო ქვედანაყოფებში რამდენიმე ასეული მაღალჩინიანი ქართველი ოფიცერი ირიცხებოდა და მათ შორის – ასზე მეტი ქართველი გენერალი მონაწილეობდა. და ეს სულ 100-110 წლის საქართველოს კოლონიალური მართვის დროს.

ქართველი ჯარისკაცები, ოფიცრები მონაწილეობდნენ რუსეთ-თურქეთის ორ-სამ ომში. ქართველებმა გაანთავისუფლეს რუსეთთან ერთად აჭარის (ბათუმის ოლქი), ახალციხე, ღორე, ართვინი, ყარსი და ქართული სახელმწიფოს სხვა მრავალი ყოფილი ტერიტორიები. მართალია ისინი შემდგომ რუსეთის იმპერიის შემადგენელ პროვინციებად ცხადდებოდა, მაგრამ თითოეული ქართველი ჯარისკაცის, ოფიცრის, გენერლის თუ უბრალო მოქალაქის თვალში ეს მიწები დედა საქართველოს უბრუნდებოდა თავისი, მართალია, გამუსულმანებული, მაგრამ ქართული მოსახლეობით. ეს კი ვიმეორებ, ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული თავმოყვარეობის განმტკიცებას უწყობდა ხელს, რამეთუ იცოდა ქართველმა, რომ ეს ყველაფერი მომავალში საქართველოს ეროვნულ ინტერესებს მოემსახურებოდა. ისტორიის განვითარების მიმდინარეობამ მათი აზროვნების სიმართლე დაადასტურა. თითოეული ამ ომში დაღუპული ქართველი მეომრის სისხლი ტყუილად და უმიზნოდ არ დაღვრილა. ქართველი იბრძოდა, მართალია, იმპერიის ჯარში, მაგრამ თავის თავს წირავდა, არა იმდენად იმპერიის განდიდების, არამედ მომავალი ქართული საქმისათვის, დაკარგუ-

ლი ტერიტორიებისა და მოსახლეობის დაბრუნებისათვის.

ასე თუ ისე, ქვეყანა (მართალია იმპერიის კოლონია) დამშვიდდა, დაწყნარდა. მოხდა დემოგრაფიული ბუმი. თუკი ვინმე დაეჭვდება ამ თეზისის სიმართლეში, გაიხსენოს თუ რამდენი შვილი ჰყავდათ მათ არც თუ ისე შორეულ წინაპრებს ბებიებს, ბაბუებს ან მათ მამებსა და დედებს XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ 20 წლებში (დაახლოებით 5 ან 6 შვილი), და თუ უნდათ ობიექტურები იყვნენ, მაშინ დაგვთანხმდებიან. ოპონენტი მკითხველი იტყვის, ეს რა შეუბერა ამ კაცმა, რას გვიქვებს და გვიდიადებს კოლონიურ წარსულს, წარსულს, სადაც იდევენბოდა ყოველივე ქართული, ენა, ზნე-ჩვეულება, ყოველგვარი თავისუფლების ჩანასახიო. ვერ იტყვი, რომ ოპონენტი ძლიერ ცდებოდეს ან არაობიექტური იყოს, მაგრამ ეს ხომ საერთო იმპერიალისტური პოლიტიკის ნაწილი იყო და არა მარტო ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული. მაშინ თუ მხოლოდ ერთი რუსი შოვინისტი, იმპერიის განათლების სამინისტროს მაღალჩინოსანი კატკოვი გვებრძოდა, რომელსაც თითქმის ბოდიში მოახდევინა დიდმა ილიამ, ახლა რომელი და რამდენი ასეთი დერჟიმორდა და შოვინისტი ჩამოგითვალთ? რომლებიც გვებრძვიან ზატულინის, ბაბურინის, ჟირინოვსკის და, ასე წარმოიდგინეთ, რუსი მიგრანტების სახით. ყოველივე თქმულის აზრი ისაა, რომ ყველაფრის ასე ხელალებით უარყოფა და დაგმობა არ შეიძლება და ალბათ არ გვეკადრება.

დასკვნა ერთია: დიას, იყო ცუდი, უფრო მეტად ცუდიც, მაგრამ იყო კარგიც და, ასე წარმოიდგინეთ, ძალიან დროული, სულზე რომ მოგვისწრო და ეროვნულად რომ გადაგვარჩინა, ისეთი კარგიც. მართალია, რთული, მძიმე პერიოდი გავიარეთ კოლონიური დამორჩილებისა, ანექსიისა, მაგრამ დავმშვიდდით, დავწყნარდით, ავაგეთ პირველი ხილები ურთიერთობისა მოწინავე

რუსეთთან, ევროპასთან, აღვზარდეთ სამხედრო, საინჟინრო, სამედიცინო, განათლების მუშაკთა კადრები. ავალორძინეთ და შევქმენით თანამედროვე მწვერლობა, თეატრი, პრესა, გაავყვანეთ გზები, რკინიგზები. ყოველივე ეს უკვე შემდეგ განვითარებას ექვემდებარებოდა და ისტორიის ჩარხი უკუღმა რომ არ დატრიალებულიყო (მხედველობაში მაქვს ბოლშევიკების მოსვლა 1917 წელს), რუსეთის იმპერიისათვის რომ მიეცათ საშუალება ევოლუციური განვითარებისა, ალბათ, ჩვენც მათთან ერთად სულ სხვა გზით წავიდოდით. როგორც მოგახსენეთ, ე.წ. „პოდნოსით“ კი არ მივიღებდით დროებით სამწლიან ეროვნულ თავისუფლებას, არამედ შეიძლება ცოტა გვიან, მაგრამ უფრო მყარ საფუძველზე დამყარებული ეროვნული თვითმყოფადობა მოგვეპოვებინა და ამაში არაფერი არ იქნებოდა ცუდი, რომ ჯერ ეროვნული ავტონომია მიგველო და შემდეგ ეროვნული სახემწიფოებრივი თავისუფლება. ასეთი ევოლუციური გზით უფრო შორს წავიდოდით და ნაკლებ შეცდომებს დაგუშვებდით, როგორც დღეს, ასევე არც თუ ისე შორეულ წარსულში.

2. ჩვენი ბოლშევიკურ-კომუნისტური წარსული მართლაც შავნეულ ფურცლებად შევიდა ეროვნული განვითარების ისტორიაში. ჯერ იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკის, რომლის სათავეშიც სოციალურ-დემოკრატები აღმოჩნდნენ, ანექსია, ძალდატანებითი შეერთება რეანიმირებულ ახლა უკვე სოციალისტურ-კომუნისტურ იმპერიასთან. სრულებითაც არ მავიწყდება, რომ მას ხშირად ისევე რუსეთის იმპერიად მოიხსენიებენ, მაგრამ არა მგონია ეს მთლიანად სინამდვილეს შეეფერებოდეს, რამეთუ იმ საბჭოთა იმპერიაში რუსი ერი არც თუ ისეთ პრივილეგიურ პირობებში იმყოფებოდა, როგორც ეს ჩვევიათ ტიტულოვანი ერის იმპერიებს. უნდა ვაღიაროთ, რომ ის უბედურებები, რაც ქართველებს და იმპერიაში შემავალ სხვა ერებს გადაგვხდა მაშინ, არანაკლებად რუსმა ერმაც განიცადა

თავის თავზე. ისინი ხომ ინტერნაციონალურ იმპერიას აშენებდნენ და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაზე ოცნებობდნენ, მართალია, ვითომდა რუსი უფროსი ძმის თავკაცობით, მაგრამ მათ ლიდერებს შორის, ყოველ შემთხვევაში პროცესის დასაწყისში, ერთი ან ორი რუსი ეროვნების კაციც არ მოიძებნებოდა. ისე რომ, სოციალისტურ-ბოლშევიკურმა მათრახმა ყველას აგვიჭრელა ზურგი და ათეული მილიონობით სხვადასხვა ეროვნებას შორის რუსის, ქართველის, უკრაინელის და სხვათა სიცოცხლეც კი შეიწირა. ამ თემაზე იმდენი ლიტერატურა არსებობს, რომ მათი ჩამოთვლაც კი გაგვიჭირდება. ამიტომ დროულად შევჩერდეთ და ჩვენს თხრობას მივუბრუნდეთ.

გავიხსენოთ 1924 წლის აჯანყება საქართველოში, შემდეგ რეპრესიები, 1937 წლის წმენდა და ასე შემდეგ. აქამდე იძულებითი კოლექტივიზაცია, განკულაკება, სოფლის მეურნეობის განადგურება, შიმშილი, შიმშილი ვოლგისპირეთში, ყაზახეთში, რაც მთავარია, უკრაინაში, შიმშილი, რომელმაც ადამიანები კანიბალიზმამდე მიიყვანა. სამამულო ომი, გამარჯვება მილიონობით დაღუპული ხალხის ფასად...

ამ ბობოქარ ეპოქაში ქართულმა ეროვნულმა ნიჭმა მაინც თავი გაიტანა, არ ჩაიხრჩო, არ განადგურდა სიყალბის, სიცრუის, დემაგოგიის ზღვაში. ჯერ კიდევ XX საუკუნის მეორე ათწლეულში ჩასახულმა ქართულმა კინომ, 20-30-იან წლებში გააგრძელა აღმავლობის გზა, შემდეგ 40-იან წლებში, ხოლო 70-იანი წლების დასაწყისში განვითარების კულმინაციურ წერტილს მიაღწია, რამაც დაამკვიდრა ახალი ტერმინი – ქართული კინოს ფენომენი. დამერწმუნეთ, მსოფლიოში დაახლოებით 200 სახელმწიფოა და მათ შორის, რა თქმა უნდა, არსებობს ამერიკის ანუ ჰოლივუდის კინო, იტალიური ნეორეალიზმი, ფრანგული კინო, იაპონური კინო და მათ გვერდით ქართული კინოს აღიარება. ეს იყო

ამ ხელოვნების თვითმოფადობის და ეროვნულობის გატანა მთელ მსოფლიოში.

ასევე აყვავებას მიადწია (მიუხედავად რეპრესიები-სა) ქართულმა მწერლობამ. ჩვენ გვყავდა და საბედ-ნიეროდ დღესაც გვყავს გალაკტიონი, მიხეილ ჯავახ-იშვილი, ტიცინ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ანა კალან-დაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი და სხვანი.

მარჯანიშვილის მიერ 30-იან წლებში შექმნილი ქართული თეატრი ღირსეული მემკვიდრეების ხელში აღმოჩნდა. მ. თუმანიშვილმა, რ. სტურუამ, თ. ჩხეიძემ შორს გაუთქვეს სახელი ქართულ თეატრს, დამკვიდრ-და ტერმინი – ქართული თეატრი.

ასახელეს ქართული საოპერო ხელოვნება ვანო სა-რაჯიშვილის მემკვიდრეებმა: დ. გამრეკელმა, ზ. ანჯაფა-რიძემ, ზ. სოტკილავამ და სხვებმა.

ქართველი ბალეტმეისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი კი მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ერთ-ერთი თვალ-საჩინო კორიფე იყო.

ქართულმა მეცნიერულმა აზრმა თავისი წარმატე-ბა იხეიმა 40-იან წლებში, როცა შეიქმნა საქართვე-ლოს მეცნიერებათა აკადემია; შეიქმნა ქართველ მეც-ნიერ მათემატიკოსთა (მუსხელიშვილი, ვეკუა, კიღუ-რაძე, თავხელიძე და სხვა) სკოლა, ქართველ ფიზიკო-სთა მეცნიერული სკოლა, საინჟინრო აზროვნების კერად იქცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტი-ტუტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმპერი-ის მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ წამყვან ცენ-ტრად იქნა აღიარებული.

ქართული ბიოლოგის ბერიტაშვილის სახელი, მრავა-ლი ცივილიზებული ქვეყნის მეცნიერთა კაპოსტას შემურდებოდა. საქართველოში არსებული სამეცნიე-რო კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობა სამ ათეულს აღემატებოდა.

ისე, რომ თუ კაცს რაიმე კარგის დანახვა გინდა,

დაინახავ, და თუ სიძულვილით ხარ შეპყრობილი, მაშინ, რომ იტყვიან, თვალში ბეწვს კი არა, ნაფოტსაც ვერ შეამჩნევ. ეს კი, სამწუხაროდ, ცუდი ავადმყოფური სინდრომიცაა.

3. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების მოსვლა ქვეყნის მმართველობაში მართლაც თავისუფალი – საყოველთაო არჩევნების გზით – არ დაგავიწყდეთ, ჯერ კიდევ კომუნისტური მართვის დროს. მაგრამ ვინქარეთ, თვითკმაყოფილების ეიფორიამ შეგვიპყრო, ვერ გავთვალეთ, რომ მალე მარტონი დავრჩებოდით – განადგურებული ეკონომიკით, სავაჭრო ურთიერთობათა გაწყვეტით, საკავშირო ბიუჯეტიდან დაფინანსების გარეშე და თავიდანვე ვერ ავუღეთ ალღო ქვეყნის შიგნით და გარეთ მიმდინარე პროცესებს. კატეგორიული განცხადება იმისა, რომ ვაშენებთ ქართულ-ეროვნულ სუვერენიტეტზე დაფუძნებულ დემოკრატიულ-დამოუკიდებელ სახელმწიფოს – ალბათ ნაჩქარევი გახლდათ, რამეთუ როგორც მაშინ, ისევე ახლაც, ზუსტი ტერმინი – სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო – ჩვენს დინამიურად განვითარებად გლობალურ მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში თითქმის არ არსებობს. ევროპის წამყვანი ქვეყნები, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვები, იმდენად არიან დამოუკიდებელნი თავიანთ გადაწყვეტილებებში, რამდენადაც არიან დამოკიდებულნი ურთიერთშორის შეთანხმებების მიღებაზე. ამიტომაც შექმნეს პოლიტიკურ-ტერიტორიული გაერთიანებები – ევროსაბჭო, ნატო. წლების განმავლობაში მიეწვივნენ ერთმანეთის მოსმენას, ერთმანეთისთვის აზრის გაზიარებას, ურთიერთინტერესთა დაპირისპირებების მოლაპარაკების საშუალებით გადაწყვეტას; ასევე უსმენენ ლიტენშტეინის, ბელგიის, ჩეხეთის, ლუქსემბურგის, ესტონეთის განსხვავებულ აზრებს და აღწევენ სასურველ კონსენსუსს. ესეც მსოფლიოს ახალი რეალ-

ობაა, და ამას ვერსად ვერ გაექცევი, თუკი ანალიზის და დაკვირვების უნარი გაქვს და ემოციებს და ამბიციებს არა ხარ აყოლილი. არ არსებობს დამოუკიდებლობა შენი გეოპოლიტიკური ტერიტორიული მდგომარეობის გათვალისწინებით ისე, რომ რომელიმე ქვეყნის ან პოლიტიკური დაჯგუფების, ან კიდევ გიგანტური ქვეყნების – აშშ-სა და რუსეთის გარკვეულ სტრატეგიულ ინტერესების სფეროში არ აღმოჩნდეს. საუბედუროდ, ეს ფაქტია და რამდენიც არ უნდა იბახო, ეს ასე არ არისო, თავს მოიტყუებ. მთავარია, ამ გიგანტთა დაპირისპირებაში საჭირო პოზიცია დაიკავო, კარგად გათვალაო თითოეული ნაბიჯი, ისე, როგორც ერთმა გენოსმა პოლიტიკოსმა ჩერჩილმა განაცხადა დაახლოებით ასე: „ახლა იწყება ორი სპილოს ბრძოლა და შეხლა-შემოხლა: მთავარია ჩვენ ისეთი პოზიცია დავიკავოთო, რომ ფეხებში არ გამოვებლანდოთ და რომელიმე სპილომ ნებსით თუ უნებლიეთ წიწილასავით არ გაგვჭყლიტოსო“. მე და ჩემმა ღმერთმა, კარგი ნათქვამია და საქართველოს სინამდვილეს უფრო შეეფარდება, ვიდრე ინგლისისა. ასე წარმოიდგინეთ, ამ ადამიანმა, წარმოშობით მეფის შთამომავალმა, ლორდმა, რომელმაც თითქმის 90 წელიწადი იცხოვრა, XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ დიდ პოლიტიკაში მოღვაწემ, სამჯერ პრემიერმინისტრად ნამყოფმა, თუ შეიკავა თავი და ამბიციები მოთოკა, ინგლისის ყოვლისშემძლე იმპერიის უკანასკნელმა მოპიკანმა თუ ამერიკასა და რუსეთს სპილოები უწოდა, ხოლო თავისი თავი (ამით სახელმწიფოც) წიწილას შეადარა, ჩვენ რა ჭირი დაგვემართა, რომ მოვთოკოთ ჩვენი ენა, გავაკონტროლოთ ჩვენი ფრაზეოლოგია და პირდაპირ პირში არ მივახალოთ მტერს თუ მოწინააღმდეგეს ის, რასაც ვფიქრობთ?! ამიტომაც, აბა როგორ შეინარჩუნებდნენ ეს ძალები ხელისუფლებას, როცა თავიანთი ნაციონალისტური პოლიტიკით განუდგნენ ჯერ კიდევ არსებული იმპერიის მეტროპო-

ლიას, მის არც თუ ისე რთულ ოპონენტ ხელმძღვანელს გორბაჩოვს, შემდეგ ვითომდა იდეურად შედარებით ახლომყოფ „დემოკრატ“ ბ. ელცინს?! ამერიკა და ევროპა ანათემას მივეცით: აბა რა ხალხი ხართ, რა დემოკრატები ხართ, რატომ არ გვაღიარებთ, ჩვენ ხომ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთო. რა გულუბრყვილო პოლიტიკოსი უნდა იყოს ადამიანი, რომ მშვიდ, წყნარ, სტაბილურ ქვეყანაში მცხოვრებ გერმანელ, ფრანგ, იტალიელ ბიურგერს, შენს გამო, შენი პრობლემების გამო მოსთხოვო, თავი დაანებე დემოკრატობის თამაშს და დაუპირისპირდი ჩემს მტერსო, რომელსაც რამდენიმე ასეული ბირთვული რაკეტა ჰქონდა სადღეღამისო მორიგეობის განრიგით დამიზნებული პარიზზე, ლონდონზე, ბერლინზე თუ რომზე და ფეხებზე ეკიდა ის, რომ რომი და პარიზი მსოფლიოს ისტორიის საგანძურ ქალაქებშია შეტანილი და მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტებმაც კი არ დაბომბეს. ამით, მხოლოდ ერთის თქმა გესურს: რა თქმა უნდა, ქართული ეროვნული დამოუკიდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ყოველივე ქართულს, ქართულ ძალაზე დამყნობილი და აღმოცენებული უნდა იყოს, მაგრამ, ასე რომ ვთქვათ, სუფთა საცერში გაცრილი ქართული არაფერი გამოგვივა. ეს ან თავის მოტყუება ან სიცრუეა. თანამედროვე მსოფლიოში, ამ გლობალურად ერთმანეთში გადახლართულ პრობლემებში, ამის არავითარი შანსი არ არსებობს. არადა, ახლაც ისმის ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერის გამონათქვამში: ყველა სხვა პარტია მოსყიდულია, როგორც მმართველი ისე ოპოზიციაც – ერთნი ამერიკის, მეორენი – რუსეთის მიერო, აი მე კი, პრეზიდენტი რომ გავხდე, არავისი არ ვიქნები, მხოლოდ ქართულ ეროვნულ ინტერესებს დავიცავო. საინტერესოა, რამდენ ხანს გასტანს ეს დრო? ალბათ პირველ სესხამდე ან პირველ „ჰუმანიტარულ“ დახმარებამდე. არადა, საინტერესოა რითი შეინახავ თავს და უპატრონებ ქვეყ-

ანას, განვითარებული ეკონომიკა გაქვს თუ მიწისქვეშა მდიდარი საბადოები (ნავთობი, გაზი, ოქრო, ვერცხელი, ნიკელი, სპილენძი და სხვა, გაგვაჩნია?

პოლიტიკაში ყველაფერს დოზირება სჭირდება და საერთოდ, ზოგიერთ პოლიტიკოსს უნდა ახსოვდეს, რომ ენა იმიტომ კი არა აქვს ადამიანს, რომ რაც ენაზე მოადგება, ყველაფერი თქვას. არა ბატონო, ტალეირანის ხატოვანი გამოთქმით, ენა ადამიანის აზრის შენიღბვის შესანიშნავი საშუალებაა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს თვისება ერთეულთა ხვედრია.

4. ასე ნელ-ნელა მივუახლოვდით ჩვენი უახლესი ისტორიის – 1991-2004 წლების ეპოქას, ე. შევარდნაძის ე.წ. მეორედ მოსვლის ხანას, მის თითქმის ცამეტწლიან მმართველობას. ამას თუ დაეუმატებთ მის პირველ მოსვლას 1972 წლის ოქტომბერში და შემდეგ ასევე თითქმის ისევ და ისევ მაგიურ ცამეტწლიან კომუნისტურ მმართველობას, საკმაოდ დიდი ციფრი დაგვიგროვდება – 26 წელი, რომელიც ბევრი დიქტატორის ბატონობის წლებს უახლოვდება და ზოგს აჭარბებს კიდევ. ეს იყო ორი ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული დროის მმართველობა: პირველი – კომუნისზმის თუ სოციალიზმის აშენების დრო, ე.წ. „ზასტოის“ დრო, ავადმყოფი თითქმის გათიშული ბუტაფორიული მმართველის (ლ. ბრეჟნევის) დრო, შემდეგ ე.წ. „პერესტროიკისა“ და „უსკარენიის“ ხანა. ყველამ ვიცით, რა ფიასკოთიც დამთავრდა გორბანოვის ეს ყბადაღებული გარდაქმნები და შემდეგ – საბჭოთა ქვეყნის ისტორიაც, რომლის ერთ-ერთ მესაფლავედაც შევარდნაძე ღირსეულად ითვლება, უფრო სწორედ – ასისტენტად, უმცროს მესაფლავედ, გორბანოვისა და იაკოვლევის შემდეგ. გავიხსენოთ, თუ რა ტალღაზე მოვიდა იგი ხელისუფლებაში 70-იანი წლების დასაწყისში. ეს ტალღა მისი და მისი გუნდის მიერ კარგად აგორებული პიარკომპანია იყო, საქართველოში ე.წ. არსებულ კორუფციასა და მექრთამეობასთან

ბრძოლის კომპანია. გაიხსენეთ საკავშირო ცეკას დადგენილება თბილისის პარტიული კომიტეტის მუშაობის შესახებ და ყველაფერი ნათელი გახდება, თუ ვინ მიიტანა მოსკოვამდე ეს კომპრომეტაცია. ისეთი სურათი იქმნებოდა, თითქოს მხოლოდ საქართველოში იყო ასეთი კრიმინალური სინამდვილე. არადა, კარგად ვიცით, რომ თევზი თავიდან ყარს და საქართველოში რაც ხდებოდა, ეს მხოლოდ მცირე ეპიზოდი იყო იმ უსამართლობისა, რაც მთლიანად საბჭოეთში სუფევდა და თავისი მასშტაბებითა და ფინანსური შეფასებით წვეთი გახლდათ ოკეანეში. მაგრამ ეს ვის აინტერესებდა? მთავარი იყო მოსკოვის კრემლის „კრიშა“ – შინაგან საქმეთა მინისტრისა და სუკის თავმჯდომარის სახით. მახსენდება: მთელი საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები ჩართულნი იყვნენ გამოძახვის, მექრთამეობის, კორუფციის ფაქტების გამოსავლინებლად არა მარტო საშუალო ჩინოვნიკებს შორის, არამედ მინისტრების, მათი მოადგილეების, სარფიანი თანამდებობის პირთა შორისაც, აგრეთვე – რაც მაშინ პარტიული დოკუმენტაციით აკრძალული იყო – თვით პარტიული მუშაკების კორუფციისა და მექრთამეობის გამოსავლინებლად და დასაფიქსირებლად. იყენებდნენ მოსასმენ ტექნიკას თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სუკის მთლიან აგენტურულ ქსელს. მართლაც „მდიდარი“ მასალა გროვდებოდა, მაგრამ არქივებში არ ილექებოდა: ისეთი სუფელი არავინ იყო, რომ ასეთი მასალა შთამომავლობისათვის შეენახა. არა, ბატონო, ისინი საჭირო იყო ერთეული შემთხვევებისათვის, მუავანადის მიერ დანიშნული და დაწინაურებული ხალხის დისკრედიტაციისთვის, მათი სამუშაოდან განთავისუფლებისათვის და ზოგის ჩუმად და ზოგ-ზოგის ხმაურით გაგდებისათვის. ეს „ეპოქაც“ ჩქარა დამთავრდა. სულ რაღაც ერთ ან წელიწადნახევარში სუკში ამხანაგ ინაურს „გაახსენდა“, რომ ეს „მუშაობა“ სუკისთვის არაპროფილური იყო და

ერთ მშვენიერ დღეს ისეთი „разгон“-ი მოუწყო ერთ-ერთ თავის მოადგილეს, რომ თავი აწყველინა. მან კი ჩვენ „მოგვხედა“ და ყველაფერი „გვითხრა“, რასაც ჩვენზე ფიქრობდა, როგორც სუკის მუშაკებზე კი არა, არამედ როგორც ობეხევის „დაქირავებულ“ ოპერწმუნებულებზე. მთლად სასაცილო სიტუაცია შეიქმნა, როდესაც სულ რაღაც 2-3 წელიწადში აგენტურა, რომელიც გარკვეულად „შეეჩვია“ ასეთი ინფორმაციის შეგროვებას, გვატყობინებდა, რომ ე. შ ვვარდნაძის მიერ დანიშნული მინისტრები და მოხელეები, რაიკომის მდივნები, გაცილებით მეტ ქრთამს იღებდნენ, რადგან „სიტუაცია მეტად გართულებული“ იყო. აი, მაშინ კი საერთოდ აკრძალეს ამ თემაზე საუბარი კი არა – საერთოდ ფიქრიც კი და, კაი დედამამიშვილი იყავი, ასეთი ინფორმაცია მოგეტანა აგენტურიდან და მოგესვენებია უფროსისთვის. ასეთი „გმირები“ უბრალოდ გაქრნენ.

ეს ისე გავიხსენეთ, როგორც ეპიზოდი, თორემ ასეთი ისტორიების და ეპიზოდების მთელი გამოფენა შეიძლება მოეწყოს. იყო შემთხვევა, როდესაც დაიჭირეს და შემდეგ – კი არ გააციმბირეს – არამედ დახვრიტეს, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქრთამის გამოძალვისათვის, თბილისის ერთ-ერთი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე, როგორც ამბობდნენ, ე. შვევარდნაძესთან მეტად დაახლოებული პირი. ამით შეიქმნა იმის ილუზია, რომ კორუფციაში მხილებული ყველა პირი უმკაცრესად დაისჯება – თუნდაც ნათესავი პირველი მდივნისა. შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა, რა თქმა უნდა, სულ სხვა მიმართულება მიიღო, და აღებ-მიცემობის, ქრთამისა და გამოძალვის ფაქტებმა არა თუ იკლო, არამედ უბრალოდ, რომ იტყვიან, „სტავკა აიწია“. შემდეგში კი ყველაფერმა თავისი პირვანდელი სახე მიიღო. ყველა ე.წ. შემოსავლიანი თანამდებობის განაწილება – დაწყებული ბენზინის სამართავი დანადგარის ოპერატორი-

დან – დამთავრებული აფთიაქის თუ პურის ქარხნის დირექტორობამდე – მხოლოდ პარტიული აპარატის ჩარევით ხდებოდა (რა თქმა უნდა, ყოველგვარი „გასამსჯელოს“ გარეშე, უბრალოდ ეს თანამდებობები იმდენად სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო ქვეყნის უშიშროებისათვის, რომ აბა ცეკას გარეშე და მისი „შემოწმების“ გარეშე შემთხვევითი კადრების მიშვება იქ როგორ შეიძლებოდა?).

ე. შევარდნაძე დაბრუნდა, დაბრუნდა ქვეყნის მხსნელისა და გადამრჩენი მესიის სახით. ესეც მითიურია, რამეთუ მეორედ მოსვლა ადამიანისა ალბათ ზეციურ ძალებზეა დამოკიდებული. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ რამდენიმე ეპიზოდი მისი პირველი წლების მმართველობისა, ქვეყანაში ტრიუმფირატის შექმნისა, შემდეგ თუ როგორ ტექნიკურად, თანდათან ჩამოაცილა ქვეყნის მმართველობას თავისი მეგობარი (იოსელიანი) და „ბატია“ (რომელმაც, რა თქმა უნდა, კარგად ვერ შეაფასა ედუარდის ოსტატობა), შემდეგ „საყოველთაო არჩევნები“ დაქცეულ და სამოქალაქო ომის პირას მყოფ ქვეყანაში, გაპრეზიდენტება და ერთმართველობა. აი ახლა კი ის მარტო იყო და იმის თქმაც შეიძლება, თითქოს უფრო ძლიერი ხელისუფალი გახლდათ, რადგან გარკვეულ წილად მოსკოვი უკვე მისი „ხაზუინი“ არ იყო. ადრე ცეკას პირველი მდივანი გაცვილებით დამოკიდებული იყო მოსკოვზე, მის პულსაციაზე, მის გადაწყვეტილებებზე. ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯიც კი შეიძლება კარიერის ფასად დაგჯდომოდა ქვეყნის პირველ კაცს. საჭირო იყო ლავირება, მოქნილობა, სიტყვა-მეხოტბეობა ლ. ბრეჟნევის მიმართ და სხვა პოლიტიურს წევრების მიმართ. აი, ეს პროფესია მან ხუთიანზე აითვისა და ამიტომაც ითვლებოდა საბჭოეთში ერთ-ერთ ძლიერ მმართველად. მაგრამ სულ სხვა ყოფილა მართვა ქვეყნისა (საქართველოში), როცა წარმოადგენ ყოვლისშემძლე კომუნისტური პარტიის ლიდერს, სადაც სიტყვის შეუბრუნე-

ბლად გემორჩილებიან ძალოვანი სტრუქტურები, ერთი გადაწყვეტილებით შეგიძლია კაცი ალაზევო და მეორეთი კარიერის სანაგვეში უკრა თავი, დღეს მინისტრი გახადო, ხვალ კი – ლეში. ამჯერად ეს სადავეები, რა თქმა უნდა, მოშლილი და განადგურებული იყო. პირველ ხანებში მოიზიდა თავისი ძველი გამოცდილი კომკავშირული და პარტიული ფუნქციონერები და მათგან შექმნა ის, რაც მას ყოველთვის კარგად გამოსდიოდა, ისევ კომუნისტური სისტემა, თავისი ბიუროთი, თათბირებით, აქტივებით, კრებებით. შემდეგ რამდენიც კი არ გადააკეთა ეს აპარატი და რამდენი ე.წ. რეორგანიზაციაც არ ჩაატარა, რაღაც ღვთიური მაგიით ისევ კომპარტიის სისტემის აპარატი მიიღო. სახელწოდებათა შეცვლით სისტემა არ იცვლებოდა.

ყველაზე დიდი უბედურება კი ალბათ მაინც კორუფციის, მექრთამეობის, გამოძალვის, კრიმინალური ატმოსფეროს გაძლიერება იყო, და ამ ბრძოლაში, საუბედუროდ, დამარცხებული აღმოჩნდა. სწორედ მის დროს ჩატარდა ე.წ. პირველადი „პრივატიზაცია“, სახელმწიფო – უფრო სწორად ახლა უკვე ვითომ ხალხის – ქონების გასხვისება კერძო პირებს, რაც კარგად გამოიყენა მისმა ახლობელმა კლანმა და ასე გაჩნდნენ საქართველოში პირველი მილიონერები, ქარხნებისა და ფაბრიკების – არა წითელი დირექტორები – არამედ მეპატრონეები. რაც მისმა მთავრობამ ვერ მოასწრო და ვერ გაყიდა, მემკვიდრეობით ახალს ერგო და მისმა ეკონომიურმა გენიამ (ბენდუქიძემ) ყველაფერი მიაყიდა. მართალია, პირველად განაცხადა, საქართველოში ყველაფერი იყიდება, გარდა სინდისისო, მაგრამ გვგონია ამ სიჩქარეში სინდისიც კი გაეყიდა, თუმცა მისი ფასი ჯერ უცნობია. ისე, ამბობენ, თუ ოპოზიციას ეღირსა როდესმე გამეფება, ამ სინდისის ფასს აუცილებლად დაადგენსო, და ჩვენ რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ დაველოდოთ ქარის გამოქროლებას ტრიალ მინდორზე.

აბა რა მმართველი, მაპატიეთ, პრეზიდენტი, იქნებოდა ედუარდ ბატონი, თუკი თავისი ჯიბის პარტია არ ეყოლებოდა?! მთელი ცხოვრება პარტიულ ცხოვრებას მიუძღვნა და აბა უპარტიოდ რა გააძღვებინებდა და ასე შეიქმნა ე.წ. მოქალაქეთა კავშირი, ოღონდ ვერაფრით ვერ გაიგო ხალხმა, რატომ მაინცდამაინც მოქალაქეთა კავშირი და არა, მაგალითად, მონკავშირი ან ამქართა კავშირი, ან ძველი ბიჭების (კომუნისტების) კავშირი. ანდა რა დააშავა სოფლის მაცხოვრებლებმა, თუ მათ მოქალაქეთა კავშირში შესვლა უნდოდათ?! ისიც ვერ გაიგეს, რომელი მოქალაქეთა კავშირი, თბილისის, ქუთაისის თუ წალენჯიხის ან საქართველოს სხვა მეგაპოლისების კავშირი, მაგალითად, ოზურგეთისა თუ მამათისა. ერთი ხატოვანი ანეკდოტიც დადიოდა: ყველას ის ადგილი ან თანამდებობა უკავია ქვეყანაში, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ სად დაიბადა მოხელე ან ბიზნესმენი. ასეთი განლაგების დროს, რა თქმა უნდა, ყველაზე ახლოს ლანჩხუთი და ოზურგეთი აღმოჩნდნენ და კადრების ძირითადი შევსებაც იქიდან მოდიოდა. ისე რომ, კახელებს და ქართველებს ისევე არ გაუმართლათ. ქვეყანა თანდათან დაცარიელდა. იმიგრაციამ – როგორც ლეგალურმა ისე არალეგალურმა – რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში იმატა, თითქმის ერთ მილიონზე მეტმა ქართველმა მიატოვა სამშობლო და გადაიხვეწა საზღვარგარეთ ლუკმაპურისა და სამუშაოს საძებნელად. გაჭირვებულთა რაოდენობამ ზღვარს გადააცილა და ამ დროს რაღაც „მექანიზმებით“ თუ „მახინაციებით“ იზრდებოდა მოხელე-ჩინოვნის კეთილდღეობა; გუშინ თუ დღეს დანიშნული მინისტრი ან სამართალდამცველ ორგანოთა მუშაკი რამდენიმე თვეში (თუ დააცლიდნენ) იმდენ კაპიტალს აგროვებდა, რომ შემდეგში, როცა გააგდებდნენ ან გაათავისუფლებდნენ, სულ რაღაც 2-3 თვეში ისეთ სასახლეს გამოჭიმავდა ქალაქის, რა თქმა უნდა, ცენტრში, რომ მხოლოდ მის ახლო-

ბელთა თვალს ახარებდა, რადგან ამ სასახლის არქიტექტურა და დიზაინი ნამდვილად არ შეესაბამებოდა თბილისის ღამაზე ხედებს. არ გეგონოთ, რომ ამისათვის ვინმე დაისაჯა, ყველას ყველაფერი სახვივით შერჩა. მაშ, რა იქნებოდა, როცა ყოველივე ამაში პრეზიდენტის ახლო გარემოცვა სამაგალითო თვითონ იყო. არსებობს დაუსჯელობის სინდრომი. ადამიანი რაც უფრო გრძნობს, რომ ჩადენილი დანაშაულის გამო არ დაისჯება, მით უფრო მეტ მძიმე დანაშაულს ჩადის და, რაც მთავარია, თავხედდება. ხოლო როცა შენს ახლობლებს და გარემოცვას ვერ უვლი, აბა სხვას როგორ მოუვლი?! კანონი მაშინ მოქმედებს, როდესაც ის ყველასთვის ერთია. რა თქმა უნდა, შევარდნადის მმართველობის დროს მოხდა გარკვეული გარღვევა დიპლომატიურ ასპარეზზე, მრავალმა ქვეყანამ ევროპის თუ ამერიკისა გვცნო, როგორც სახელმწიფო, გავწვირიანდით ევროსაბჭოში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციაში და მრავალ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში. შემდეგ როგორც ევროსაბჭომ ისე გაერთიანებულმა ერებმა მიიღო მრავალი რეზოლუცია, რომლებიც ცნობდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მის ეროვნულ სუვერენიტეტს, მაგრამ ეს რეზოლუციები ფარატიანა ქალაქად რჩებოდა, რადგან არც სეპარატისტები და არც მათი მფარველები მათი შესრულებისთვის თავს არ იწუხებდნენ, ხოლო რაღაც იძულებით სანქციებზე ხომ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ ყველაზე დიდი ნაღმი ჩადებული იყო შევარდნადის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში, სადაც კონფლიქტის ზონაში მშვიდობის გარანტს (მომრიგებელს) ფაქტიურად კონფლიქტის მონაწილე მხარე წარმოადგენდა და აბა რა კონფლიქტის მოგვარებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა ძალთა თანაფარდობა ყოველთვის ერთი ორზე იყო?! ამიტომაც პროცესი დროში იწელებოდა და არავი-

თარი პოზიტიური შედეგი არ მოჰქონდა თითქმის 10-11 წლის განმავლობაში. ერთადერთი, რაც მოხერხდა, გალის რაიონში დააბრუნეს რამდენიმე ათასი დევნილი, რომელნიც, როგორც კი ვითარება იძაბებოდა, იძულებულნი ხდებოდნენ ისევ უკან გამოქცეულიყვნენ.

ერთი პერიოდი ვითომდა პარტიზანული ბრძოლის იმიტაციაც შეგქმენით სეპარატისტულ ტერიტორიებზე (ძირითადად აფხაზეთში), მაგრამ ამ მცდელობამაც დადებითი შედეგი ვერ მოგვიტანა, პარტიზანული ომი დიდი ტყის მასივებშია ეფექტური და არა შეზღუდულ მცირე ტერიტორიაზე.

მთელი თავისი ცხოვრება ამ ადამიანმა ბრძოლაში გაატარა, ჯერ კომკავშირული ბრძოლა გაიარა, შემდეგ პარტიული. ყველგან და ყოველთვის უნდა დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა, პირველობა. სოფელ მამათიდან გამოსულ ახალგაზრდას ჯერ ქუთაისში უნდა დაემტკიცებინა თუ ვინ იყო. შემდეგ თბილისში. კომკავშირული ფუნქციონერი, შემდეგ პარტიული, შინაგან საქმეთა მინისტრი, ქალაქის პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივანი. თითქოსდა კარიერა შემდგარია და ადამიანს მეტი რა უნდა ენატრა კარიერული ზრდისათვის?! ასე შეიძლება ბევრს ეფიქრა, მაგრამ არა ედუარდს. ჩაიფიქრა და აუსრულდა კიდევ ოცნება იმპერიის ცენტრში მუშაობისა, იმ სავარძელში ჩაჯდომისა, სადაც ისხდნენ რუსეთის იმპერიის ლეგენდად ქცეული ისეთი საგარეო საქმეთა მინისტრები, როგორებიც იყვნენ ლიტვინოვი, მოლოტოვი, გრომიკო.

და ამისათვის ყოველთვის უნდა ებრძოლა და ბრძოლით გაეკვლია პირადად გზა, რამეთუ არასოდეს არა ჰყოლია ლობისტი ბიძიები და მამიდები, და თუ გარკვეულ დროს ისინი გაუჩნდა, ისიც თავისი შრომითა და ჭკუით მოიპოვა. ამას, ამ ბრძოლის ნიჭს ვერ წაართმევ, ეს მისი ცხოვრების მთელი შინაარსი გახლდათ. აქ სადღაც ცოტა პარალელი შეიძლება გაივლოს იოსებ

სტალინსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის. ორივეს მხოლოდ ძალაუფლებისაკენ მისწრაფება ამოქმედებდა და არა წუთიერი ცხოვრება, განცხრომა, ფუფუნება. და ეს მხოლოდ მათი პირადი ცხოვრების ანტურაჟი იყო და არა მიზანი. მიზანი მხოლოდ ძალაუფლება გახლდათ...

მაგრამ კაცობრიობის ისტორია ისეა ღვთის მიერ ჩაფიქრებული, რომ ყველანი მოკვდავნი ვართ, სიკვდილს ვერავინ ვერ გაექცევა, თუმცა ჩვენი გმირი ისეთი ჯანმრთელია, რომ კიდევ ბევრი მტრისა და მოყვრის პანაშვიდს დაესწრება..

პირველი მოპოვებული „გამარჯვებები“ დავიწყებას მიეცა. მოწვევტილი კონფლიქტური ტერიტორიები, დარღვეული ქვეყნის მთლიანობა, ცალკე ბანდუსტანად გამოცხადებული აჭარა, ნულოვანი ეკონომიკა, სიბნელე და შიმშილი ქართველი ერის ყოველდღიური ცხოვრების წესად იქცა და საუბედუროდ გამოსავალი არსად ჩანდა. მრავალმილიონიანი ჰუმანიტარული დახმარებები, მრავალმილიონიანი სესხები კორუფციონერთა ჯიბეებში ორთქლდებოდა და გადატაკებულ ხალხთან თითქმის არაფერი მიდიოდა. მექრთამეობა, გამოძალვა თითქმის ქვეყნის ცხოვრების წესად გადაიქცა და ამ ბოროტ მოვლენებთან ბრძოლაში ან ბრძოლის იმიტაციაშიც კი მარტო რჩებოდა. ახლობელი წრე თვითონ იყო ჩართული ამ ვაკხანაღიაში და აბა ქვეყნისთვის ვის ეცალა?! არ არსებობდა არავითარი ბერკეტები, რომლებიც ამ ჭაობიდან გამოიყვანდა ქვეყანას. ძალოვანი სტრუქტურები – პროკურატურა, სასამართლო, შსს, უშიშროების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, საგადასახადო სამსახურები, საბაჟოები, – ყველა თავის პირად კეთილდღეობაზე ზრუნავდა. აშკარად და დაუფარავად პირდაპირ ფულზე იყიდებოდა სარფიანი თანამდებობები – ერთი წლით, ექვსი თვით და ა.შ.

ერთხელ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეო-

რემ პირად საუბარში უთხრა შვილს – ტახტის მემკვიდრეს – შემდეგში იმპერატორ ალექსანდრე მესამეს – დაახლოებით შემდეგი: „რუსეთში ფულს არ ვიპარავთ ალბათ მხოლოდ მე და შენო“. ასეთი კაციც კი ვერ მოინახებოდა ალბათ მაშინ საქართველოში, რომ ამ სიტყვებით მიემართა ედუარდს.

როდემდის უნდა გაგრძელებულიყო ეს ქაოსი, ოპოზიციის მიერ ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკის ლანძღვა და გინება?! ამბოხების მუხტი გროვდებოდა მასებში (ხალხში), რომელიც წაღვეკავდა როგორც მას, ისე მის გარემოცვას. ამას გამოცდილი დიპლომატი ალბათ გრძნობდა, გარკვეული წინათგრძნობის ნიჭი არასოდეს დაღატობდა მას.

გაიხსენეთ 1991 წელი, როდესაც უმაღლეს საბჭოს სხდომაზე წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა იმის შესახებ, რომ მალე რუსეთში დიქტატურა დამყარდებაო და მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, ამ რეჟიმში არაფერი მესაქმებო. ალბათ მთელი საბჭოთა ქვეყნის არსებობის 70-წლიანი ისტორიის გადმოსახედიდან ე. შევარდნაძე პირველი იყო, ვინც ნებაყოფლობით უარი თქვა იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოსტზე, რადგან მინისტრობიდან წასვლა მაშინ პარტიული იერარქიიდანაც წასვლას ნიშნავდა. უნდა დაგეკარგა პოლიტიკოსის წევრის თანამდებობა და საერთოდ ისტორიის არქივში გადასახლებულიყავი. რა, არ გამართლდა მისი წინასწარმეტყველება? სულ რაღაც რამდენიმე თვეში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება ე.წ. ГКЧП. შედეგი ამ ამბოხებისა ყველამ ვიცით, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, თუ როგორ აიცილა მან მაშინ ეს დარტყმა და პოლიტიკური თამაშიდან (დიდი პოლიტიკური ინტრიგიდან) „სუფთა“ გამოვიდა. როგორც ყოველთვის, ასეთი დიდი პოლიტიკოსები, ასეთი კოლოსალური გამოცდილების მქონე ადამიანები, უცილობლად ნიჭიერნი (თუ გენიოსები არა), როგორც წესი, ცალმხრივად ნიჭიერ-

ნი არ არიან, რამეთუ წარმატებული პოლიტიკური კარიერა ნიშნავს, რომ ადამიანს გააჩნია დიდი ნიჭი სამსახიობო ოსტატობისა, ორატორობისა (სტალინის გამოკლებით), სახეთა და ქცევათა გარდაქმნისა (მრავალსახოვნებისა) და, რაც მთავარია, მე ვიტყვოდი, შესანიშნავი რეჟისორები და სცენარისტებიც გახლავან. ამ დადგმულ სპექტაკლებში თვითონვე ასრულებენ სხვადასხვა დროის (გააჩნია მიზანდასახულებას) მთავარ როლს. ამიტომაც არათუ არ გამოვრიცხავ, არამედ მთელი პასუხისმგებლობით წამოვაყენებ ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ის, რაც მოხდა 2003 წლის ნოემბერში ე.წ. ვარდების რევოლუციის დროს, ძირითადი მიზანსცენა, ძირითადი გადაწყვეტილებები, მოვლენათა მიმდინარეობის გათვლა, მათი ზუსტი გაანგარიშება, – ყველაფერი ეს ბებერი მელას გენიალურ რეჟისურას უნდა მივაწეროთ. სხვა ყველაფერიც მისია: როლების გადანაწილება, მარიონეტების თეატრის თოჯინებით მანიპულირება. გადაწყვეტილების მიღებისათვის (გადადგომის) არჩეული დროც მისი დადგენილია. ეს მაშინ გააკეთა, როდესაც ე.წ. ხალხის (სტატისტების) რევოლუციურმა ვნებათა დელვამ თვის აპოგეას მიაღწია, და, როგორც ამბობს, ჩუმად და წყნარად გადადგა. თუმცა აცხადებს – ხომ შემეძლო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებო. აქ კი ისევ გვატყუებს. გამოცხადებით კი გამოაცხადებდა, მაგრამ კარგად უწყოდა, რომ სამართალდამცველი უწყებების თითქმის ყველა მეთაური თუ მთლიანად უწყება (შინაგან საქმეთა მინისტრის გარდა), ყველა „გაყიდული“ იყო. ამ თეზისის სისწორეს და სიმართლეს ისიც კი ადასტურებს, თუ როგორ მშვიდად წავიდნენ ისინი (სამართალდაცვითი მინისტრები) თავიანთი პოსტებიდან და იმითაც გამოიხატება, თუ რა დიდი გასამრჯელო (მაპატიეთ, პენსიები) დაუნიშნა მათ ახალმა მთავრობამ. კორესპონდენტის კითხვაზე, რომელიც გადამდგარ პრეზიდენტს დაუსვებს, „ეხლა სად მიდიხართო“, უპა-

სუხა: „სახლში“. ამ სიტყვას ახლაც სიამაყით და ირონიით პასუხობს ბატონი პრეზიდენტი. ზუსტად იმიტომ, რომ წასულიყო „სახლში“ და არა ციხეში, – ჩაიფიქრა მან ეს გენიალური სპექტაკლი, გენიალურად დადგა და გენიალური ფინალით დაასრულა.

თითქმის ყველა კმაყოფილი დარჩა, ოპოზიცია (მისი ბარტყები, გამოზრდილი შვილები), რომელმაც მიიღო ნანატრი საოცნებო ხელისუფლების სადავეები და, რაც მთავარია, ხალხი (სტატისტიკები, მასის როლის შემსრულებლები ამ სპექტაკლში). მას იმედი გაუჩნდა გარდაქმნებისა, პერსპექტივისა და ა.შ. და ა.შ.

მემუარების რამდენიმე ტომი გამოაქვეყნა ეღუარდ შევარდნაძემ. მაგრამ ან ჯერ არ დაუწერია ან თუკი უკვე დაწერა, თავის მემკვიდრეებს ალბათ ანდერძად დაუტოვებს იმას, რომ მემუარების მთავარი წიგნი მისი გარდაცვალების შემდეგ – ალბათ, ერთი 50 წლის შემდეგ გამოაქვეყნონ. ცხოვრება ისეთ დინამიკაში ვითარდება, ძნელია წარმოიდგინო, თუ რა იქნება 50 წლის შემდეგ, ანდა რა თაობა მოვა და ვის დააინტერესებს მაშინ მისი ეს გულახდილი მემუარები. მაგრამ აი ახლა რომ გამოიცეს ასეთი წიგნი, ალბათ მსოფლიო ბესტსელერად იქცეოდა. თუმცა მისი ფსიქოლოგიური ტიპაჟის შეცნობიდან გამომდინარე ისიც მართალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ადამიანი ალბათ უბრალოდ ისეა ღვთის მიერ შექმნილი, რომ მთელ სიმართლეს მაინც არასოდეს იტყვის და ამაშიც მართალი ვართ, როცა ამას ვვარაუდობთ..

მათემატიკური (უფრო სწორად – ელემენტარული არითმეტიკის) ტერმინოლოგიით რომ ჩამოვაყალიბოთ, ასეთი სურათი გვესახება: 1991 წლის მარტში მივიღეთ ხელისუფლება ე.წ. ტრიუმვირატი (რომელიც ცოტათი კვარტეტს ჰგავდა) – იოსელიანი, კიტოვანი, სიგუა და სუსტი ნომინალური (ეს კიტოვანის გაგებით) ხელისუფალი – ე. შევარდნაძე. სულ რაღაც წელიწადნახევარში „სუსტმა“ ეღუარდმა ხელისუფლებიდან ააორთქ-

ლა თანმიყოლებით კიტოვანი, სიგუა, შემდეგ – იოსელიანი, და გახდა ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი-პრეზიდენტი. 2003 წლის ნოემბერში ჯერ კიდევ ხელისუფლებაში საკმაოდ ძლიერად მოკლათებული პრეზიდენტი ნებაყოფლობით სტოვებს პოსტს და ხელისუფლებას აბარებს ისევ და ისევ ტრიუმვირატს (სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძე). ამ ტრიუმვირატში ძალთა თანაფარდობის შეფასება საკმაოდ ძნელია, სააკაშვილი მოძრავია, დინამიურია, ორატორობის გარკვეული ნიჭით, ქარიზმატულია, ამიტომ – პირველია – პრეზიდენტი. ჟვანია დინჯია, გამოცდილია, ნაკითხია, ანალიზის უნარის მქონეა, გადაწყვეტილებების მიღებაში არ არის აჩქარებული, შეუძლია მოსმენა, დისკუსია და სხვა – მეორეა – პრემიერმინისტრობის კანდიდატია. ბურჯანაძე – ქარიზმატულია, არაცუდი ორატორი, მაგრამ მაინც ემოციების ამყოლია, გარკვეული ისტორიული ოჯახის წარსულით, ჰყავს აპარატის მუშაკთა სანდო ჯგუფი – მესამეა – პარლამენტის სპიკერია. ამით იმის თქმა გვინდა, რომ თითქოსდა სამივე დამოუკიდებელი პიროვნებაა, მაგრამ ერთი რამ ალბათ უნდა მოგვხვდეს თვალში: ბურჯანაძე ცალ-ცალკე ორივეს შეეთვისება და ტანდემში გააყვება, მაგრამ საკმაოდ შეუთავსებადია ადამიანური თვისებებით სააკაშვილისა და ჟვანიას შეთანხმებული, ერთად მუშაობა. ერთი თითქმის ბოლოქარი მთის მდინარეა, ხმაურით რომ მოსჩქევს, დუღს და ლოდებს აგორებს, მთელი თავისი ცხოვრებით დინამიკაშია, მოძრაობაშია, სულ რაღაც ქმედებაშია, ბუნებით და ხასიათით მოუსვენარია, ამბიციურია და ა.შ. მეორე წყნარია და დინჯი, მისი სტატიკური მდგომარეობა სამოქმედო შტაბის უფროსობაა, აქვს ანალიზის შესანიშნავი უნარი, დროში გადაწყვეტილებების მიღების ალლო, საუბარში და საჯარო გამოთქმებში თითოეულ სიტყვას გაიაზრებს, გაანალიზებს და შემდეგ იტყვის, შეუძლია მოთმინებით უსმინოს ოპონენტს

და ა.შ. ერთი სიტყვით, ეს ორი ადამიანი საპირისპირო ფსიქოლოგიისა და ტიპაჟის ინდივიდები არიან. და ისმის კითხვა: შესძლებენ კი ისინი ერთად, ერთ ტანდემში მუშაობას? როგორც სულ მცირე დრომ გვიჩვენა, ვერ შეძლეს – „ორი დათვი ერთ ბუნაგში ვერ მოთავსდა“, მითუმეტეს, რეაქტიული და ფლემმატური ტიპაჟები.

ზ. ჟვანიას ხასიათის თვისებების განსაზღვრისათვის გაიხსენეთ ერთ-ერთი კინოკადრი: 14-15 წლის სკოლის მოსწავლეს კითხვა დაუსვეს და ვხედავთ შეცბუნებულ ჯერ კიდევ ბავშვს, რომელიც ჭკვიანურად პასუხობს: „შეიძლება ამ კითხვაზე შემდეგში გიპასუხებთო – მოვიფიქრებო“. მოზარდის ამაზე გენიალური პასუხი არც წარმომიდგენია. დიას, ეკრანზე ნათლად ჩანს, თუ როგორი ბავშვური გულწრფელობით უპასუხა ყმაწვილმა ჟვანიამ კორესპონდენტს: თუ შეიძლება ამ კითხვაზე პასუხს მოვიფიქრებ და შემდეგ გიპასუხებთო. აქ, ამ პასუხში გამოჩნდა ამ ყმაწვილის ანალიტიკური უნარის ჩანასახი, რომელიც მას შემდგომში ბევრჯერ გამოადგა. საუბედუროდ, ჩვენ ხშირად გვღალატობს ეს უნარი მოფიქრებისა, დაკვირვებისა, განსჯისა, გააზრებული, გამოთვლილი გადაწყვეტილებების მიღებისა. სამწუხაროდ, ეს ხშირად დავამტკიცეთ და ჩვენი წარსული სავსეა ასეთი აჩქარებული, არაპრაქტიკული გადაწყვეტილებებით. ყველა ერს აქვს თავისი დამახასიათებელი, განუმეორებელი, საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული გენეტიკური თვისებები. ჩვენში ასეთი გამონაკლისი იშვიათად თუ იჩენს თავს და, თუ იჩენს, მაშინ ამ ქართველს მსოფლიო ისტორიულ გაღერვაში მოათავსებს ხოლმე. მსოფლიო ისტორიაში ამ პატარა ერს დიდი წვლილი გვაქვს შეტანილი. ყოველ შემთხვევაში, ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ქართველებისათვის დამახასიათებელ თვისებას სიდინჯე და ანალიზის უნარი არ წარმოადგენს, თუმცა ჩვენი კარის მეზობლები

სომხები ამ თვისებით დიდად არიან დაჯილდოვებული. ამიტომაც თუ რომელიმე ჭკვიანი და პრაგმატული ჭკუის ქართველი გამოჩნდა, მაშინვე ეძებენ მათ გენეტიკურ წარსულში სომხურ წყაროს. მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრით ვერ დაადგინეს ი. სტალინის სომხური წარმომავლობა.

ერთხელ თურმე ქ. თბილისის სომხური დიასპორის გავლენიანმა წარმომადგენელმა არწრუნიმ უთხრა ილიას დაახლოებით შემდეგი: „თქვენ იმიტომ ხართ ასეთი ჭკვიანი, რომ დედა სომეხი გყავდათ“. დიდმა ილიამ ღიმილით უპასუხა თურმე: „ამას აბა რა მნიშვნელობა აქვს. თქვენ ხომ დედაც და მამაც სომეხი გყავთ მაგრამ, ამან რაში გიშველათ“.

მაპატიეთ, რომ იტყვიან სულ სხვა მხარეს გავაჭენე ჩემი ცხენი თხრობისა. დავუბრუნდეთ ჩვენს ღირსეულ ტრიუმფირატს, რომელმაც 2003 წლის ნოემბერში „პოდნოსით“ მიიღო შევარდნაძისაგან ძალაუფლება. იმდენი ითქვა იმის შესახებ, რომ ტრიუმფირატელები შევარდნაძის უბეში გაზრდილი ბარტყები არიანო, რომ ამ თემაზე სათქმელი თითქმის არაფერი დარჩა და ამაში არა მგონია ახლა ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს. მითუმეტეს, ამ დღეებში თვით შევარდნაძემ ალბათ წერტილი დაუსვა ამ მითქმა-მოთქმას, როცა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მიცემულ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში აღიარა: „როცა ახალგაზრდები მეწვივნენ მოსალაპარაკებლად, მათ ეგონათ, მე ვთხოვდი რაღაც გარკვეული ხნით დარჩენას, გახანგრძლივებას ჩემი ხელისუფლებისა, და ძლიერ გაუკვირდათ, როცა განვუცხადე, მივდივარ-თქო. თითქმის სამივემ ერთი და იგივე მითხრა: „აბა ჩვენ როგორ შემოგთავაზებდით გადადგომას (წასვლას), როცა ყველანი თქვენი გაზრდილები ვართო“. თუმცა, როგორც კი გამოვიდნენ და ხელისუფლად იგრძნეს თავი, აღიარება მაშინვე დაავიწყდათ, განსაკუთრებით – მ. სააკაშვილს და ბურჯანაძეს, ფრთხილი და გაწონასწორებული

ქვანია ყოველთვის თავშეკავებული გახლდათ შევარდნაძის შეფასებაში. ანდა იმ ფაქტის გახსენება რად ღირს, როცა ჯერ კიდევ „გაურკვეველ“ მიზეზთა გამო ახლადარჩეული პარლამენტის სხდომა „გადიდო“, დილის 10 საათიდან საღამოს 16 საათამდე?! რა იყო ამის გამომწვევი მიზეზი? თითქოსდა, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემოჭრას ელოდებოდნენ, მათ ძალთა კონცენტრაციას, თუ რას?! ისე რომ, „სპექტაკლი ღირსეულად გაითამაშეს“. ამაში აბა ვის ეპარება ეჭვი. ცხადია სპექტაკლის რეჟისორი და სცენარისტი ბატონი ედუარდი გახლდათ. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით მთლიანად არ აღიარებს ამას ბატონი ედუარდი, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ (მომავალმა თაობამ მაინც), რომ მან ალბათ დაწერა (ან დაწერს) თავისი მემუარების ე.წ. საიდუმლო ნაწილი, სადაც უფრო „გულახდილი“ იქნება, თუკი საერთოდ შეუძლია ამ კაცს ბუნებით ბოლომდე გულახდილი იყოს. ღმერთმა 100 და მეტი წელი აცოცხლოს ბატონი ედუარდი, მაგრამ სასურველია, ასეთი საინტერესო მემუარები იხილოს ქართველმა ხალხმა ერთი 25-50 წლის შემდეგ მაინც. ხშირად ინტერვიუებში იგი აცხადებს და ამაყობს: ხომ ხედავთ, სისხლის დაღვრას მოვერიდე და საგანგებო ვითარება არ გამოვაცხადეო. მაგრამ შემდეგში გამომზეურებული ინფორმაციით ნათელი ხდება, რომ ვერავითარი საგანგებო ვითარების გამოცხადება ვერ გადაარჩინდა მის უკვე სასიკვდილოდ განწირულ რეჟიმს. ყველა და ყველაფერი გაყიდული იყო: უშიშროების მინისტრი კარების გასაღებად ემზადებოდა, სხვა მინისტრები და მთავრობის წევრები უკვე ახალ ნავში ისხდნენ, ასევე უმრავლესობა ძალღვანი სტრუქტურებისა, თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ბირთვი, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი მინისტრის და მისი პატარა გუნდის გამოკლებით, რომლებიც ბოლომდე ერთგულნი აღმოჩნდნენ პატრონისა. საკითხავი ისიც არის, სურდა კი ბატონ

ედუარდს მათი ერთგულება, თუკი თვითონ იყო ამ ღონისძიების სულისჩამდგმელი და რეჟისორი?! და თუ ეს ასეა, ალბათ ყველაფერი ეს სასაცილოა.

მაგრამ ვაი რომ, ჩვენ, სტატისტიკებს, სასაცილოდ არა გვცალია, რა გვაქვს სასაცილო, როდესაც ორშაურად გაგვიდეს და კიდევ ერთხელ გვაქციეს რობოტებად.

ალბათ ისიც სავარაუდოა და გასაანალიზებელი, რამ უკარნახა ჭკვიან, პრაგმატულ, ხელისუფლების მოყვარულ ადამიანს ასეთი ნაბიჯი გადაედგა და თავის მემკვიდრედ ეს ტრიუმფირატი მოეყვანა? ამის რამდენიმე მიზეზია ალბათ. ერთადერთი და ძირითადი კი ის გახლდათ, რომ ედუარდ ბატონმა გადალახა თავისი მე და მიხვდა ერთ საკაცობრიო აქსიომას: „ამ ქვეყანაზე არაფერი არ არის მარადიული და, მითუმეტეს – ადამიანის სიცოცხლე“. აბა უკვდავების ელექსირი რომ არსებობდეს, ვინმე აიძულებდა ლენინს, სტალინს, მათ ძე დუნს, ნაპოლეონს, ჩერჩილს და მრავალ და მრავალ სხვას ამ ცხოვრებიდან წასვლას? რა თქმა უნდა, არა! ამ აქსიომას სხვადასხვა პიროვნება სხვადასხვა დროს ხვდება და ამის აღმოჩენა თითქოსდა არაფერია, მაგრამ, დამერწმუნეთ, ფსიქოლოგიურად მისი აღქმა არც თუ ისე ადვილი გახლავთ. „არჩევნებში გაიმარჯვა“, მაგრამ რად უნდოდა ასეთი გამარჯვება? „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ქვეყანა მთლიანად წყვდიადში იყო ჩაფლული. საზოგადოების, ხელისუფლების გახრწნამ და გადაგვარებამ თავის აპოგეას მიაღწია: – კორუფციის მონაცემების მიხედვით თითქმის პირველი გავხდით მსოფლიოში:

– უმუქობა (ჩაბნელებული ქუჩები, სახლები, სადარბაზოები).

– ზამთარში სიცივე (გაიხსენეთ თბილისი თუნუქის ე.წ. „ფეჩებით“, ბუნებრივი აირის ან უქონლობა ან დეფიციტი).

– დანგრეული და გავერანებული გზები.

– გაჩერებული ლიფტები.

– საბითუმო ბაზრად გადაქცეული თბილისის ქუჩები.

– ნულოვანი ჯანდაცვა.

– თითქმის ნულოვანი სოციალური პროგრამები.

– 10-15 ლარი პენსია (5-6 დოლარი).

– ძირითადად 60-150 ლარი ხელფასი (20-30\$).

– მეძავეობა (ღია და აშკარა), ტრეფიკინგი, მისი გეოგრაფიის გაზრდა, ემიგრაცია.

– ძალადობა, დაყაჩაღება, ქურდობა..

– ნარკომანიის მასშტაბური ზრდა როგორც ახალ-გაზრდებში, ისე საშუალო ასაკის მოსახლეობაში.

– თვითმკვლელობის რიცხვის ზრდა.

– მოსახლეობის გადინება საზღვარგარეთ – სამსახურისა და ლუკმა პურის საშოვნელად.

– უიმედობის, განწირულობის, სტრესის განცდა.

– დევნილები აფხაზეთიდან, ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან – 350-400 ათასი ადამიანი, რომლებიც ფაქტიურად ქუჩაში აღმოჩნდნენ, მათი მძიმე საცხოვრებელი პირობებით, ყოველდღიური პრობლემებით...

აბა გაიხსენეთ ჩვენი საამაყო რუსთაველისა და პლექსანოვის პროსპექტები, სადაც არაერთი თაობა გაიზარდა ქართველებისა და სადაც ახლა უკვე არა – თუ ვერ გაიხსენებდი, მშვიდად ვერ გაივლიდი, მათხოვრების გაწვრთნილი ჯოგი რომ არ აგკიდებოდა, აგრესიულად არ შემოეტია. ყოველთვის გაჩირადნებული და ხალისით სავსე ქალაქი მოჩვენებას და აჩრდილს დაემსგავსა თითქოსდა, შავმა ჭირმა გადაუარაო.

აი, ასეთი მწარე ვითარება სუფევდა არა მარტო დედაქალაქში, არამედ მთელ ქვეყანაში. გახლეჩილი ტერიტორია, ოკუპირებული სეპარატისტული კუთხეები, აჭარაში დეფაქტო ასლან ბეის ბანდუსტანი, გაპარტახებული სოფლის მეურნეობა, განადგურებული ჩაის კულტურა, ფალსიფიცირებული ღვინო, კონიაკი.

გაუთავებელი ტრაბახი „ჯეიხანის“ სატრანზიტო

მილსადენის შესახებ, რომელსაც სასურველი კონდაიკი უნდა მოეტანა ქვეყნისათვის, განსაკუთრებული სიმშვიდე და აყვავება.

აი, დაახლოებით ასეთი იყო ჩვენი ყოფა და ცხოვრება 2003 წლის მიწურულში და ამ რკინის ნებისყოფის მქონე კაცსაც ნერვებმა უდალბა, გამოსავალი არსად ჩანდა და თავისთვის უკვე გადაწყვიტა წასულიყო, და წასულიყო ისეთი გათვლით, რომ მალე მოენატრებიათ კიდეც. ისეთი ხელისუფლების ჩანაცვლება გაეკეთებია, რომ მთელი პასუხისმგებლობა სხვის კისერზე გადასულიყო. ალბათ იყვნენ ღირსეული ახალგაზრდა ლიდერები, რომელთა წარმოჩენა თავისუფლად შეიძლებოდა (საგარეო საქმეთა მინისტრი ი. მენადარიშვილი, სახელმწიფო მინისტრი ვ. ლორთქიფანიძე და სხვები), მაგრამ ეს არ აწყობდა, რადგან მომავალ ხელისუფალთ თითქმის გადაუწყვეტელ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს უტოვებდა. უტოვებდა აგრეთვე ტერიტორიულ სეპარატისტულ დიქემებს, რომელთა გადაწყვეტის შანსიც უახლოეს ხანში არ ჩანდა. ხელისუფლება უნდა გადაეცა გათვლილი და გაანგარიშებული საფეხურებით, ანალიზით, ვითომდა „ახალი“ ძალებისათვის, რომლებიც ვითომდა მის ოპოზიციაში იმყოფებოდნენ და ასეთ ძალად უახლოეს ხანში გამოიკვეთა სწორედ იმ პირთა ტრიუმფირატი, რომელზეც ვისაუბრეთ. ადრეც მოგახსენეთ და ახლაც გავიმეორებ, რომ ასეთი ვითომდა დროებითი „კოლექტიური“ მმართველობის ფორმა ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში (ძველ რომში, საფრანგეთში, ესპანეთში, ინგლისში), მაგრამ მას არასოდეს არავითარი სარგებლობა ხალხისათვის არ მოუტანია. ერთპიროვნული ხელისუფლებისათვის ბრძოლას ყოველთვის ერთმანეთის დაპირისპირებისაკენ მიჰყავდა ეს ხალხი და არც თუ ისე ხშირად სამოქალაქო ომიც კი ჩაღებოდა. რომ იტყვიან, ღმერთმა ამისაგან მაინც გადაგვარჩინა, რამეთუ სულ

რაღაც ორ ათეულ წელიწადში ორ სამოქალაქო ომს აბა რა ერი გადაიტანს?!

ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ეს სამი ადამიანი ვერაფრით ვერ შეძლებდა მშვიდობიან თანაცხოვრებას – როგორც პოლიტიკოსებს უყვართ თქმა, ერის ინტერესებიდან, სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე. ეს შირმა რომ არ არსებობდეს, საინტერესოა კიდევ სხვას რას გამოიგონებდნენ ეს ვაი პატრიოტები?! მათ რომ მოუსმინო, ყველა ხალხზე ფიქრობს და ზრუნავს, ისინი, ვინც ხელისუფლებაში არიან და ისინიც, ვისაც ენატრება (ესიზმრება), თუ როდის მოვა ხელისუფლებაში. მაგრამ რატომღაც, ხელისუფლებაში რომ მოვლენ, ძალიან მალე ავიწყდებათ თავიანთი დანაპირები და მათი საქმე და სიტყვა იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან, რომ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მ. სააკაშვილი – დინამიური, მობილური, სიტყვაუხვი, ქარიზმატული, შესანიშნავი ორატორი, უცხო ენების კარგი მცოდნე, გარკვეული გარდასახვის ნიჭით დაჯილდოვებული, მაგრამ სამწუხაროდ არანაკითხი, რაც ჩანს მის მსჯელობის ლოგიკაში. როგორც კი გამოიყენებს რომელიმე ციტატას – ხალხურ გამოთქმას – აშკარად ეტყობა, რომ ეს ხელოვნურადაა ჩამატებული ტექსტში, ვიღაცის ნაკარნახევია, მისი სტიქია არ არის. როგორც ჩვენმა დიდმა მწერალმა გ. დონანაშვილმა გვითხრა, ის არის კაცი, „რომელსაც ლიტერატურა არ უყვარდა“ – განსხვავებულად მწერლის მოთხრობის გმირისა. რას იზამ, ღმერთი ყველაფერს არ გაძლევს. ეტყობა, ბავშვობაში საკმაოდ ნერვიული, ჭირვეული, ეგოისტური მიდრეკილებებით გამოირჩეოდა, ყველაფერი თავისთვის უნდოდა, სხვისთვის არ ემეტებოდა. მართალია, თბილისში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ „თბილისელი“ – ამ სიტყვის სრული გაგებით, ალბათ არასოდეს ყოფილა. არასოდეს უთამაშია ეზოში ფეხბურთი, მუხლები არ გადა-

უტყავებია, არ უჩხუბია და საერთოდ ქუჩაში, ალბათ, მშობლების კონტროლის გარეშე არასოდეს უსეირნია, ღამით პაემანზე არ გასულა, თავის ღირსება არავისთან დაუცავს და შეყვარებული გოგონას გამო არ უჩხუბია, ღაღად და თავისუფლად არ უქეიფია, არ უმღერია. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მთელი ცხოვრება უფროსების (მშობლების, ბებიების და ბაბუების) კონტროლის ქვეშ გაატარა. კონტროლი კი ალბათ ასეთი იყო: ამ საკმაოდ ბიურგერულ ოჯახში გაეზარდათ ისეთი ახალგაზრდა და შეექმნათ მისთვის ისეთი ბიოგრაფია, რაც წარმატებით გამოადგებოდა კომუნისტური რეჟიმის დროს წარმატებული კარიერისთვის. თბილისში ასეთებს „დედიკოს ბიჭებს“ ეძახიან. უნდა გაეფლო გარკვეული საფეხურები ამ კარიერისა, აბა ღალი და თავისუფალი ცხოვრებისათვის სად ეცალა?! სხვათა შორის, აღზრდის ასეთივე „სკოლა“ აქვთ გავლილი ბევრ მის ე.წ. თანამებრძოლსაც (გ.ბოკერია, კ. გაბაშვილი და მრავალი სხვა):

1. უნდა შეესწავლათ უცხო ენები, რაც მთავარია, რუსული და ინგლისური.

2. უნდა მიეღოთ გარკვეული მუსიკალური განათლება (თუკი სპილომ არ დააბიჯათ ყურზე). თუმცა ჩვენი გმირის შემთხვევაში ეს ასე მოხდა.

3. უნდა გაეფლოთ გარკვეული სპორტული ვარჯიში და წრთობა (ცურვა, ჩოგბურთი, ცხენოსნობა, სათხილამურო სპორტი და სხვა).

აი, ასეთი წინასწარ გათვლილი ბავშვობა უნდა გაეფლო და გაიარა კიდევ ალბათ ჩვენმა გმირმა. ცელქობა, ანცობა, სკოლაში შატალო, კუს და ლისის ტბაზე გაპარვა, მტკვარში ცურვა (იქ, სადაც ეს შეიძლება და არ შეიძლება), თანატოლებთან ზედაზენზე, ბეთანიაში, შიომღვიმეში წელიწადში რამდენჯერმე გამგზავრება. ღამის თევა, პატარა ქეიფით, ხევისურეთში – არხოტში ასვლა ათანგენობაზე, სვანეთის

დალაშქვრა, იქაურ ქრისტიანულ-წარმართულ დღესასწაულებზე დასწრება, კახეთში სტუდენტურ ჯგუფთან ან თანამოსამსახურებთან რთველში მონაწილეობა, ე.წ. „ზავოდობაზე“ (ჭაჭის გამოხდის პროცესი) დათრობა კი არა, თვით პროცესში თანამონაწილეობის ხიბლი და სხვა მრავალი, ე.წ. ყმაწვილკაცური „გართობა“, – აი, სად ყალიბდება მოზარდის ხასიათი, ნებისყოფა, შიშის დაძლევის ძალა, როცა იძულებული ხარ, შენზე ფიზიკურად ძლიერს შეეპაექრო. ამას უნდა დაეუმატოთ თბილისში დამკვიდრებული ძველი ტრადიციაც (როცა მოზარდები ჩხუბობდნენ ერთი ერთზე, ვინმეს ჩარევა გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ შეიძლებოდა, ეს შემდეგ ჩაერეოდნენ, როცა ძალთა თანაფარდობა ძლიერ გამოიკვეთებოდა და ჩხუბს უკვე აზრი არ ჰქონდა, რადგან უკვე ცხადი იყო, ვინ იყო გამარჯვებული და ვინ დამარცხებული). ჩემი აზრით ასეთი „უნივერსიტეტი“ უნდა გაიაროს მოზარდმა. ეს ისეთი თვისებებია, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში ვერ შეიძენ, თუ გინდ კემბრიჯი და ოქსფორდი დაამთავრო.

როგორც ჩანს, ჩვენი გმირი კარგად სწავლობდა, მაგრამ ორი ნიჭი მას ნამდვილად არ აღმოაჩნდა: პირველი – მათემატიკური ანალიზისა. ადამიანი, რომელიც მათემატიკური ნიჭით არის დაჯილდოებული, არ შეიძლება ლოგიკური ანალიზის ნიჭით არ გამოირჩეოდეს. ლოგიკა მის სიტყვიერ მეტყველებას სწორ მიმართლებას აძლევს, ორატორულ მონაცემებს მართებული გზით წარმართავს. მეორე ნიჭი, როგორც მოგახსენეთ, იყო ალბათ ის, რომ ლიტერატურის კითხვა არ უყვარდა. ასეთი ხარვეზი კი აცარიელებს ადამიანის სულს. ქართულმა, რომელმაც არ განიცადა და სისხლძარღვებში არ გაატარა შოთა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი, ილია, გალაკტიონი, ალ. ყაზბეგი, რ. ერისთავი, დ. კლდიაშვილი, მ. მაჭავარიანი, ა. კალანდაძე, მ. ლებანიძე, ქართული სულის მატარებელი ვერ

იქნება. ასეთი თვითშეგნება არ იყიდება და ვერაფრით ვერ შეიძენ. რაკი ქართული ლიტერატურა ვერ შეიყვარა, დასავლეთ ევროპის და ამერიკის მწერლებით სულაც არ დაინტერესდებოდა. საერთოდ ინტელიგენტი უცხო ენებს იმიტომ სწავლობს, რომ ცხოვრების ნატვრა აისრულოს: ინგლისურად წაიკითხოს შექსპირი, ბაირონი, დრაიზერი, შელი და სხვა. ფრანგულად – მოპასანი, ჰიუგო, სანდი, დიუმა და სხვა. გერმანულად – მანი, ფეხტვანგერი და ა.შ. რუსულად – პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, დოსტოვესკი, ტოლსტოი და ა.შ.

ნერვიული, შინაგანად საკმაოდ ჩაკეტილი, ხშირად აშკარა (ახლო წრეში) აფექტური უნდა იყოს ჩვენი გმირი. ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა გავრცელდა ხმა პრემიერ მინისტრი შემოეღახაო. ალბათ მისი თვისებებიდან გამომდინარე – ეს ფაქტი უფრო დასაჯერებელია ვიდრე დაუჯერებელი. ყოველ შემთხვევაში, ერთი ფაქტი უცილობელია: ჩვენს გმირს მიუხედავად მრავალი უცხო ენის ცოდნისა (რისი ნიჭიც ნამდვილად გააჩნია), რომ იტყვიან, მზევრავთა ელიტარულ კოჰორტაში არასოდეს მიიღებდნენ, რადგან საუბრის დროს, საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს და – რაც მთავარია – ტრიბუნაზე სიტყვით გამოსვლისას ახასიათებს (მისგან დამოუკიდებელი პირობითი რეფლექსებიდან გამომდინარე) ხელით და თითების ერთი და იგივე მოძრაობები (ყურების ფხანა, ცხვირის მოწმენდა და სხვა), რაც მისი ფსიქიკისაგან დამოუკიდებლად ხდება და ვერასოდეს ვერ გადაეჩვენება. ეს უკვე მასზე არ არის დამოკიდებული, ეს უკვე გენეტიკურად ჩასახული სტაბილური პირობითი რეფლექსია. ახლა არ მითხრათ, იქნებ ხელეშეკრული გამოვიდეს მოხსენების დროსო. ისე შეიძლება, პიარმენეჯერებმა ურჩიეს კიდევ, მაგრამ დამერწმუნეთ, უხერხულია, მაინც პატარა, მაგრამ რესპუბლიკის პრეზიდენტი. დიახ, დახვეწვაში ასეთი რეფლექსების მატარებელ ხალხს არ იღებენ, რადგან მათი იდენტიფიცირება მეტად

ადვილია, მათი ჩვევები ერთპიროვნულია და განუმეორებელი. არ არის გამორიცხული, რომ ეს რეფლექსი ბავშვობაში გადატანილი ფსიქიკური ტრავმის (შინის) შემდეგ იყოს შექმნილი. ამიტომაც მისმა განაწვევებულმა ჩრდილოელმა კოლეგამ, რომელსაც ჩვენმა გმირმა „ლილიპუტინი“ უწოდა, მცირე ტანის გამო, ორი გზავნილი გამოუგზავნა თავის ქართველ „მეგობარს“: „Мы не обязаны вытирать сопли у людей“ და მეორე – „Его надо повесить одним местом, ведь американцы же повесили Садаму Хусейна“ და დააზუსტა: „А кто сказал Вам, каким местом я его хочу повесить“-ო. ისე ანგარიში ჯერ ორით ერთია რუსეთის სასარგებლოდ. კიდევ კარგი, მეზობელმა არ იკადრა გაემეორებინა გამონათქვამი ნაპოლეონ ბონაპარტისა, რომელმაც ერთ მაღალ ფრანგ გენერალს უთხრა: „თქვენ მხოლოდ ერთი უპირატესობით გამოირჩევით ჩემგან, ჩემზე ერთი თავით გრძელი ხართო, და თუ არ დამემორჩილებით, ამ უპირატესობასაც შეგიმცირებთო“. ისე, სიტყვაზე რომ ვთქვათ და გავისხენოთ, ნაპოლეონის სახელგანთქმულ თანამებრძოლ გენერალთა და მარშალთა შორის არც ერთი მათგანი დე გოლის სიმაღლით არ გამოირჩეოდა. როგორც ისტორიულად დამტკიცებულია, ადამიანის გონების პოტენციალი სრულებითაც არ არის პირდაპირპროპორციული მის სიმაღლესთან (სიგრძესთან). მსოფლიო მასშტაბის ისტორიული პიროვნებები უპირატესად ტანდაბალნი იყვნენ (გარიბალდი, ალექსანდრე მაკედონელი, ცეზარი, ოქტავიანი, კარლოსი, ფრიდრიხი, კუტუზოვი, ნაპოლეონი, ლენინი, სტალინი, მარქსი, ენგელსი და მრავალი სხვა). ერთადერთ თითქმის გამონაკლისად შეიძლება დე გოლი ჩაითვალოს, მაგრამ ეს გამონაკლისი ფაქტს არ ცვლის.

როგორც არ უნდა იყო მიკერძოებული ჩვენი გმირის მიმართ, ობიექტურობა მოითხოვს, ითქვას ერთი სიმართლე: კარგად დაიწყო ახალგაზრდა პრეზიდენტმა.

მართალია პირველ ხანებში ხალხს ამან არავითარი შეგება არ მოუტანა, მაგრამ მაინც შთაბერა რაღაც მომავლის იმედი, თითქოსდა გარდაქმნის სიომ დაუბერაო: ფიცი დავით აღმაშენებლის საფლავზე, პომპეზური ინაუგურაცია, ბობოქარი ენერგია, გადაადგილებები ქვეყნის შიგნით და გარეთ, საზღვარგარეთ ინტერვიუები, შეხვედრები და ა.შ. ახალგაზრდული სამთავრობო გუნდი, ახალი სახეები, თითქოსდა ახალი მიდგომა საპრობლემო საკითხთა გადასაწყვეტად... მაგრამ იყო ერთი რამ უკვე შესამჩნევი: მთავრობის კაბინეტის შექმნაში მის პრემიერს გადამწყვეტი სიტყვა არ უთქვამს, ამიტომაც მოხვდნენ მასში შემთხვევითი პირები. თითქოსდა არც ისე დიდი დრო გავიდა ამის შემდეგ, სულ რაღაც 6-7 წელი, მაგრამ ვის ახსოვს ახლა ზოგიერთი მათგანი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეს ხალხი ქვეყნის მართვას კი არ აპირებენ, არამედ სახლობანას თამაშს, დაინიშნენ 25-30 წლის ყმაწვილები მინისტრებად, დეპარტამენტების ხელმძღვანელებად და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მაგრამ არც თუ ისეთი ხვითოები აღმოჩნდნენ, როგორც ხალხს ეგონა. დაიწყო (ჩვენდა საუბედუროდ) ბიზნესის გადანაწილება შევარდნაძის სტრუქტურებიდან ახალი მთავრობის ყულაბაში – ყოველგვარი კანონმდებლობის დარღვევით ე.წ. „ფულადი შეწერები“. შევარდნაძის დაპატიმრებულ მინისტრებს ჩხეიძეს (3 თუ 5 მილიონი ლარი), მირცხულავას (3 თუ 4 მილიონი), შევარდნაძეების კლანს (18 თუ 20 მილიონი) და სხვა კიდევ მრავალი უკანონო ქმედებები ბიუჯეტის შესავსებად. უკანონობის დამკვიდრებას ცხოვრების წესად, მითუმეტეს – სახელმწიფოებრივი მშენებლობის წესად, არასოდეს არავისთვის კარგი არ მოუტანია და ჩვენც არაფერს კარგს არ გვიქაღდა, რადგან ყოველთვის ეყრდნობა ვოლუნტარისტულ ერთპიროვნულ ან კლანობრივ ინტერესებს და არა ხალხის ინტერესებს. ყველამ კარგად უწყოდა, რომ ასეთი

მიდგომით მაშინ თითქმის მთელი საქართველოს ბიზნეს-ელიტის და ყოფილ ჩინოვნიკთა უმრავლესობის ციხეში გამომწყვდევა შეიძლებოდა და ამის იურიდიული საფუძველიც თითქოს არსებობდა, მაგრამ ხელი ახლეს მხოლოდ „პირად მტრებს“, იმ ხალხს, რომელმაც არ გაიზიარა ვარდების რევოლუციის იდეები (თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა) და არ დააფინანსა ისინი „რევოლუციის“ დროს. თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, შევარდნაძის მაღალ ჩინოსნებს შორის და ბიზნეს-ელიტას შორის ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც დროულად აუღო ალღო ახალ ტალღას და მოასწრო შევარდნაძის მიერ დასაღუპად განწირული გემიდან გადმოსტომა – ახალ, ჯერ კიდევ უიალქნო ნავზე და გემზე. საუბედუროდ, თავიდანვე იგრძნობოდა, რომ კადრები ირჩეოდა არა პირადი საქმიანი პოტენციალიდან გამომდინარე, არამედ ძველი ქართული სენით – ძმაბიჭობით და კლანობრივი სისტემით და, ასე წარმოიდგინეთ, ე.წ. დაცვის მუშაკებით („რევოლუციის“ დროის „ბოვეიკებით“). ასეთი კადრების შერჩევა ვერაფერს კარგს ვერ მოგიტანდა და ეს მალე გახდა ნათელი. ამიტომაც დაიწყო შემდეგში ისეთი სამთავრობო „კარუსელები“, რომლის აჩქარებულმა ტრიალმა ყველა ზომას გადააჭარბა. ამიტომაც, დღეს ქუჩაში რომ გააჩერო ადამიანი, ალბათ ათასიდან ერთი თუ გიპასუხებს, თუ ვინ როდის იყო რაღაცის მინისტრი, შემდეგ სად გაქრა და დღეს რას აკეთებს. ის კი არა, ამ 5-6 წლის მანძილზე პრემიერმინისტრებად ნამყოფ ხალხსაც კი ვერ ჩამოგითვლის. აი, ამას ჰქვია არა მარტო „კარუსელი“, არამედ სამთავრობო კადრების დომხალიზაცია და პროფანაცია, როცა დღეს ერთი ქალბატონი მოსამართლეა (საჭირო და გამოსადეგი მთავრობისათვის), ხვალ – გენერალური პროკურორია, ზეგ – იუსტიციის მინისტრი, მაზეგ – საგარეო საქმეთა მინისტრი, მაზეგის შემდეგ (სიტყვა ვერ შევარჩიე) – უშიშროების საბჭოს

მდივანი. საინტერესოა, კიდევ რა თანამდებობებს გამოიცვლის ეს ვუნდერკინდი ქალბატონი? თუმცა სამინისტროები კიდევ ბლომად გვაქვს და პერსპექტივა მისი გადაადგილებებისა კვლავ არსებობს. უბედურება მარტო ის კი არ არის, რომ მან ვერსად ვერ გამოიჩინა თავი, როგორც ღირსეულმა ჩინოვნიკმა, არამედ ის, რომ ყოველივე ეს ხდება უტიფრად, ხალხის და საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად. ასეთივე შეუცვლელი პიროვნება გახლავთ დღევანდელი განათლების მინისტრი (რომელიც გუშინდელი პროკურორი და იუსტიციის მინისტრი გახლდათ).

ასევე იცვალა თანამდებობები გ. ბეჟუაშვილმა, რომელმაც ორი თუ სამი სამინისტრო „ააყვავა“ თავისი ენერჯით და, როგორც იყო, მონახა თავისი კუთვნილი ადგილი – სადაზვერვო დეპარტამენტის უფროსია. აი, სამართალდამცავ, სამხედრო მიმართულების სამინისტროებში სამოქალაქო პირთა დანიშვნა ახლა დემოკრატიულ მსოფლიოს მოდად იქცა, მაგრამ დაზვერვის შეფად არაპროფესიონალის დანიშვნა ადამიანისა, რომელიც ამ დანიშვნამდე გაგებაშიც კი არ იყო, თუ რა არის დაზვერვის სისტემა, ეს უკვე ჩვენი ეროვნული მიღწევაა. მაგრამ ჯერ სადა ვართ? ჯერ კიდევ გვაქვს და გვექნება საშუალება გავაკვიროთ ხალხი და ღიმილი მოგვგვართ ვეროპას და საერთოდ მსოფლიოს. ორკესტრი მაშინ უკრავს შეხმატკბილებულად (პროფესიულად), როცა ღირიქორის პულტთან კარაიანები დგანან, ფორტეპიანოსთან ოისტრახები, ვიოლინოზე ბაშმეტები, სპივაკოვები, ისაკაძეები, როსტროპოვიჩები უკრავენ, მიკროფონთან პავაროტი, კალასი, დომინგო და სოტკილავა დგანან და ა.შ. პირველი ვარიანტი: საკმარისია, არიო ეს ორკესტრი, მათ შემადგენლობას ადგილები შეუცვალაო და მიიღებ კაკაფონიას. თუმცა ისეთი გენიოსები ჩამოგითვალეთ, რომ მათი შესრულებით მთლიანად კაკაფონია და დომხალი არ გამოვა, ცუდად თუ კარგად

ფორტეპიანოზე დომინგო და სოტკილავაც დაუკრავს, ისაკაძე ვიოლინოს მაგივრად სხვა ინსტრუმენტს ააქლერებს და, დამერწმუნეთ, რომ რაღაცა მუსიკის მსგავსი ჟღერადობა მაინც შეიქმნება, თუკი მათ ისევ და ისევ კარგი ღირიჟორი ეყოლებათ. მაგრამ ვაი ჩვენ, რომ ჩვენი ღირიჟორი ამისათვის ვერ იცლის, არ აინტერესებს ანდა არც შეუძლია ყოველივე ამის მართვა. მაგრამ ბავშვური მანიაკალური ჟინით ჩასჭიდებია ღირიჟორის პულტს და არავის არ უთმობს. ანდა რას უნდა უღირიჟოროს, როცა ორკესტრი მთლად მოშლილია და საკრავი ინსტრუმენტები პროფესიონალებს კი არ უკავიათ ხელში, არამედ, შემთხვევით შერჩეულ პიროვნებებს, რომლებიც აზრზეც არ არიან და გაგებით ვერ გაუგიათ რა აკეთონ, რისთვის აკეთონ.

მთავარი უბედურება ის კი არ გახლავთ, რომ ასეთი დომხალი მივიღეთ, არამედ ის, რომ ამ ხალხს არავის გაგონება არა სურთ, არავითარ კრიტიკას არ ემორჩილებიან და, რომ იტყვიან, თავისას უბერავენ. მეორე უბედურება კი იმაშია, რომ მათი კრიტიკოსებიც ვერ დგანან სათანადო პროფესიულ დონეზე. კარგი, ბატონო, გავრეკეთ, გავაძევეთ ეს კაკაფონიური ორკესტრი და მერე ვინ მოვიწვიოთ ღირიჟორის პულტთან, – მაღამ ბურჯანაძე, ბატონები ნოლაიდელი, ოქრუაშვილი, ალასანია, ხაინდრავა – რომლებმაც „ნებაყოფლობით“ მიატოვეს დაშლის პირას მისული ანსამბლი?! ანდა ვიოლინო, ალტი, ფორტეპიანო ვის დავაკვრევიოთ, – დავითაშვილს, ძიძიგურს, გამსახურდიას, ბაღათურიას?! ყოველივე ამას სწავლა უნდა, ბიძია, პროფესიას დაუფლება უნდა და ა.შ. ნუთუ არ გვეყო ამდენი ექსპერიმენტები, რომელიც იმდენჯერ დაატრიალა მ. სააკაშვილმა, რომ ასეთ პატარა ქვეყანაში საკადრო დეფიციტი შექმნა?!

ისე ლაფონტენის იგავისა არ იყოს, ამ ხალხს რამდენიც არ უნდა უძახო – „Господи, Вы в музыканты не годитесь“-ო, – მაინც თავისას ახურებენ. არაფრით არ

უნდათ ინსტრუმენტების ხელიდან გაშვება, თანაც უტიფრად აცხადებენ, ეს თქვენ არ გესმით (სმენა არ გაქვთო), თორემ ჩვენ ძალიან მაღალ მუსიკალურ (სამთავრობო) დონეზე ვუბერავთო.

იმდენად დიდი სურვილი არსებობს ხალხში (საერთოდ მოსახლეობაში, განსაკუთრებით – დევნილებში) ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დევნილების დაბრუნებისა, რომ ამ თემაზე სპეკულაცია თითქმის ყველა პარტიული მიმართულების მთავარი პროპაგანდისტული წყაროა და ეს მტკივნეული საჭირობოროტო საკითხი თითქმის პარტიული პიარის შოუს დონეზეა დაყვანილი. აბა სხვას რას უნდა მივაწეროთ ის, რომ მთავრობამ, როგორც კი მოვიდა ქვეყნის სათავეში, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გააპიარა. პირველ ხანებში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, თუკი აჭარის დაბრუნებას ვიგულისხმებთ, მაგრამ აჭარის პრობლემა სრულებითაც არ ჰგავს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემას. მე ვიტყვოდი, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმი სულ სხვაა და აჭარის ყოფილი ბანდუხტანის ხელმძღვანელის თავხედური დაუმორჩილებლობა ცენტრის მიმართ სულ სხვა იყო. ჯერ ერთი, აჭარა ქართული მოსახლეობაა და მეორეც, მისი საზღვრები თურქეთით შემოიფარგლება, რომელმაც ამ შემთხვევაში აქტიურობა არ გამოიჩინა (ისე რომ ვთქვათ, ამის შანსი იყო, სისხლი რომ დაღვრილიყო და რუსეთის მთავრობას მხარი ჩვენთვის არ დაეჭირა). ალბათ ამ დიდი მიღწევით (აჭარის დაბრუნებით) ეიფორიას კი არ უნდა მივცემოდით, არამედ მშვიდად და წყნარად გაგვეანგარიშებინა ჩვენი შემდეგი ნაბიჯები სეპარატიზმთან საბრძოლველად. არაერთი მაგალითი გვქონდა უკვე დაგროვილი მსოფლიოს რუკაზე მსგავსი სეპარატიზმისა და მათზე დაყრდნობით სწორი გადაწყვეტილებანი უნდა მიგვეღო (კვიპროსი, ირლანდია, ესპანეთი). კერძოდ, ლოზუნგად არ უნდა გამოგვეყ-

ენებინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ერთ ან ორ საპრეზიდენტო ვადაში დაბრუნება, რამდენიც არ უნდა გვექონოდა ამის დიდი სურვილი და მისწრაფება, ამის მიღწევა ასე ერთბაშად არ შეიძლება და არარეალურია. იქ, სადაც სისხლი დაიდვარა და ჯერ კიდევ არ გაუხდიათ შავები დედებს, იქ, სადაც სეპარატისტებს ისეთი ძლიერი მხარდამჭერი, ქომაგი და პატრონი ჰყავთ, ეს ნაადრევია. ერთია სურვილი და მეორეა რეალობა, რომელსაც ვერსად ვერ გაექცევი... ვიდრე ორ ერს შორის ნდობა არ არსებობს, მათ ერთად ვერ აცხოვრებ. დავუშვათ, ჩვენ მოგვცეს ამის უფლება (ჩრდილოელმა მეზობელმა, დასავლელმა), შევედით ჯარით აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, დავამყარეთ ჩვენსავე ტერიტორიაზე (რისი საერთაშორისო იურიდიული უფლებაც გვაქვს) კონსტიტუციური სამართალწესი. მერე რა მოხდება ამ „განთავისუფლებულ“ ტერიტორიებზე დევნილების დაბრუნებით? რა, გაგრაში, ოჩამჩირეში, სოხუმში, ცხინვალში, ჯავაში და სხვაგან დააბრუნებ დევნილებს და თითო ოჯახს ერთი ათეულ ჯარისკაცს დაუყენებ დასაცავად? ისევ და ისევ ვიმეორებ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ორი მოძმე ერის შერიგებაა საჭირო, მათ შორის ნდობის აღდგენაა საჭირო, ამას კი საკმაო წინაპირობები სჭირდება. მართალია, მთლიანად ყველას ვერ დაითანხმებ, მაგრამ ასეთ სეპარატიზმს ორივე ერის ჯანსაღი ძალა ერთად უნდა შეებრძოლოს, სხვა ისტორიული გზა ერთად ცხოვრებისა არ არსებობს. ახლა კი შევეკითხოთ ჩვენს თავს: გვექონდა თუ არა შანსი, ამ პატარა ისტორიულ მონაკვეთში, 2004-2008 წლებში, როგორმე წინ წავწეულიყავით ამ გზაზე? მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ (რა თქმა უნდა, ეს ჩემი პირადი აზრია და შეხედულება): დიახ, გვექონდა ამის შანსი, შანსი იმისა მაინც, რომ პირველი აგურები დაგვედო ამ აღმშენებლობის საძირკველზე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობის

და არა მთლიანად აღდგენის საძირკველზე, რადგან კარგად უნდა შეგვეგნო და აგვეხსნა (როგორი ძნელიც არ უნდა ყოფილიყო ეს), რომ ეს პროცესი დროში გაწედილი პროცესია და ასე ჩქარა ერთი დარტყმით გადასაწყვეტი საკითხი არ არის.

რა მაქვს მხედველობაში, როცა ვამბობ – იყო შანსი-მეთქი? რამდენიც არ უნდა შეგვაყარონ თვალში ნაცარი, რამდენიც არ უნდა იტრაბახონ, იბაქიბუქონ, რომ ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატი შეიქმნა, ეს პროცესი სრულებითაც არ იყო დამოკიდებული ნიჭიერად მართვის მეთოდებზე (ყოველ შემთხვევაში – ძირითადად). არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, ამ წლებში იყო ე.წ. საფინანსო ბუმი, რამაც გამოიწვია საინვესტიციო საბანკო სისტემების აღზევება, კრედიტების ადვილი მიღება, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კერძო სტრუქტურებში. ეს საპნის ბუმი თითქმის 3-4 წელიწადი იბერებოდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ გასკდა... და მსოფლიოს ეკონომიკურ კრიზისად არ მოვევლინა. არა მარტო ჩვენთან, არამედ მსოფლიო საბანკო სისტემაში გაჩნდა ფულის დიდძალი რაოდენობა, რომელიც ბრუნვას მოითხოვდა. ფულის ბრუნვა კი ძირითადად სესხი იყო. გაჩნდა ე.წ. „Шальные деньги“ (სწორი ქართული სინონიმის მონახვა ძნელია, ალბათ „ქარის მოტანილი ფული“). ამას გარდა, ჩვენთან დაემატა უცხოეთის ჰუმანიტარული დახმარებები, გრანტები, გაიზარდა ბიუჯეტი – თითქმის ათჯერ. თუ კაცს ფული გაქვს, იმის უნარიც უნდა გქონდეს, რომ ის სწორად გამოიყენო, იმიტომ რომ ფული შეიძლება ზაფხულის ყინულივით გადნეს ისე, რომ უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ.

აი, როგორ და სად გამოვიყენეთ ეს ფული (ფინანსური შესაძლებლობა), ამაშია პრობლემა:

ქვეყნის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის, ჯარის რეორგანიზაციისათვის, შეიარაღებისათვის,

ინფრასტრუქტურის შექმნისათვის? ამაში დახარჯული თანხების რაოდენობას ჩვენ „გულახდილად“ არავინ გაგვიმხელს, მაგრამ თუ ვივარაუდებთ, რომ შემოსული (ბრუნვაში მყოფი, ბიუჯეტში ჩადებული) ფულის ასი პროცენტიდან ალბათ ყველაზე მეტი აქ დაიხარჯა, ეს გარეგნულადაც შესაძინევი იყო. აღჭურვეთ, ჩავაცვით ჯარს, რაღაცას დავამგვანეთ, ყოველ შემთხვევაში, – გარეგნულად მაინც... ბრძოლისუნარიანობაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. ამას (დახარჯულს) იმასაც თუ დავამატებთ, თუ რამდენი ჩაიჯობეს ჩინონიკებმა (აბა საიდან გახდნენ ყოფილი თავდაცვის მინისტრები და მათი მოადგილეები შემდეგში მილიონების მფლობელები?), მაშინ ასტრონომიულ ციფრს მივიღებთ.

ახლა ცოტა დაგწინარდეთ და გავიხსენოთ, თუ რამდენი დაგხარჯეთ ე.წ. მოჩვენებითი პიარისთვის – ქუჩების, შენობების კოსმეტიკისათვის, შადრევნებისათვის, სკვერებისათვის, ძეგლებისათვის, სამართალდამცავ დაწესებულებათა (პოლიციის) შენობებისათვის, კონცერტებისათვის, უცხოელი ვარსკვლავების მოწვევისათვის და სხვა. ასე წარმოიდგინეთ, ალბათ ვიღაცას მოწონდა ბავშვობაში და ისეთი „ვარსკვლავიც“ ამოვქექეთ არქივიდან (ნაფტალინიდან), როგორიცაა ტოტო კუტუნო, რომელიც ხალხს უკვე გარდაცვლილი ეგონა.

ხშირად ამბობენ, გავაჩირადდნეთ, გავაჩახჩახეთ, გავანათეთ ქვეყანაო, გაზი შემოვიყვანეთო, გზები დავაგეთო და სხვა. ისე უმადურობა იქნებოდა, ეს რომ არ შეგვემჩნია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რის საფასურად?... ის, რისი გაყიდვაც შევარდნაძემ და მისმა ჩინონიკებმა ვერ მოასწრეს, ახალმა მთავრობამ მთლიანად მიაყიდა. ისე კი წაიტრაბახა რუსული საფინანსო ელიტის შვილმა ბენდუქიძემ: „სინდისის გარდა – ყველაფერი იყიდებაო“, თანაც თვითკმაყოფილმა ჩაიცინა, ისე მოეწონა თავისი „გენიალური“ გამონათქვამი.

მაგრამ როგორც შემდგომმა მოვლენათა განვითარებაში გვინგენა, ბატონმა ბენდუქიძემ ჯერ სინდისი გაიმეტა და შემდეგ მთლიანად საქართველო. ოღონდ საკითხავი ერთია: ამ გაყიდულის საფასურიდან რამდენი შევიდა ქვეყნის ბიუჯეტში და რამდენი ახალი კლანის ჯიბეებში. „ცივილიზებულ ქვეყნებში“ ეს თანაფარდობა ასეთია: 2-5% – ჯიბეში, 90% – ბიუჯეტში. ხოლო რადგანაც ჩვენ დემოკრატიისაგან ჯერ შორს ვართ, ეს თანაფარდობა ალბათ „ფიფთი – ფიფთი“ იქნება: 50%-50%-ზე. ერთი სიტყვით, ამ ხალხმა თავისი საქმე უკვე კარგად იცის და ჩემი საქმე არ არის სხვისი ფულების თვლა და სხვის ჯიბეში ხელის ფათური. ისე, კაცმა რომ თქვას, ეს ჯიბე არც თუ ისე სხვაა, რომ ჩვენ არ მოგვეკითხებოდეს. მაგრამ მე გაუჩერდები და სხვას (ვინც ამას ეცდება) ვაფრთხილებ: ამ ხალხს არ უყვარს, როცა მათ ჯიბეებში ხელებს აფათურებენ და „პატიოსანი შრომით“ მოპოვებულ ფულებს უთვლიან ან ანგარიშობენ. მათ თავის პირად სამსახურში ჰყავთ სპეციალურად ამისათვის გაწვრთნილი „სათამაშოები“ (რობოტები) – ე.წ. მოწილეები – პროკურატურა, პოლიცია, იუსტიცია, არმია, რომლებიც, თუ ფრთხილად არ იქნები, შვილებს ობლად დაგიტოვებენ. ისე რომ სჯობია, დაწყნარდეთ, მათთან ხუმრობას არ გირჩევთ.

ანდა გავიხსენოთ (ან ვეცადოთ გამოვიანგარიშოთ), თუ რამდენი ფული დაიხარჯა განმუხურის ახალგაზრდულ საზაფხულო ბანაკებში პიარ-კომპანიის გამართვისათვის. რისთვის იყო ყოველივე ეს საჭირო? მხოლოდ იმ ილუზიის შექმნისათვის, რომ მთავრობას არასოდეს ავიწყდება ყველაზე მთავარი პრობლემა ქვეყნის გამთლიანებისა, მაგრამ კაციშვილი არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რამდენად ეფექტური იყო ეს „მეთოდი“, როცა ბავშვებს საომარი მოქმედების ზონიდან სულ რამდენიმე მეტრში ამყოფებ, ყოველდღიურად იმის შიშით, რომ რაიმე პროვოკაცია მოწი-

ნაადმდეგის მხრიდან ყოველ წუთს მოსალოდნელია. მაშინ რომ დაესვათ ეს შეკითხვა: ვინ გადადგა პირველი ნაბიჯი ამ პროვოკაციული ქმედებისა, დამერწმუნეთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არცთუ ისე ადვილი იქნებოდა. თუ გახსოვთ, ასეთი პროვოკაცია მოხდა კიდევ, მაგრამ რა მოგვიტანა, გარდა კარგად გათამაშებული პიარ-კომპანიისა?!. შემდეგ უფრო მეტიც გავაკეთეთ, აღვადგინეთ კონტროლი კოდორის ხეობაში, განვდევნეთ „სამშობლოს მოღალატე“ კვიციანი და მისი მომხრეები, რომლებიც თითქმის 13-15 წელი ახერხებდნენ ამ პატარა რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სახელით კონტროლს. როგორც ყოველთვის, აქაც ვინჩართეთ, არ გამოვთვალეთ და მივიღეთ ის, რაც მოსალოდნელი იყო (კონტროლის მთლიანი დაკარგვა).

დავუშვათ და, ეს ასეც იყო, კვიციანი და მისი მომხრეები – „მონადირენი“ არათუ მთლიანად არ გვემორჩილებოდნენ, გარკვეულ წილად თავიანთი კანონებით მართავდნენ ამ კუთხეს. მაგრამ ხომ ინარჩუნებდნენ სტაბილურობას? ამდენი წლის განმავლობაში აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას ერთხელაც არ უცდია ამ რეგიონში შესვლა. რატომ? იმიტომ რომ, მაშინ ისინი ამ ქართულ ანკლავში აგრესორები იქნებოდნენ და გარკვეული სვანური მენტალიტეტის გავლენითაც ასეთ ნაბიჯს ერიდებოდნენ. ჩვენ კი ჩვენი წესით ვითამაშეთ, მერე სახელწოდებაც მოვიგონეთ – არამარტო სეპარატისტების გასაღიზიანებლად, არამედ მათი მფარველებისაც და ამ რეგიონს „ზემო აფხაზეთი“ დავარქვით. მერე იგივე პიარ-კომპანიისათვის იქ, სადაც საომარი მოქმედებები ყოველდღე მოსალოდნელი იყო, აღმშენებლობითი მუშაობა ჩავატარეთ, ავაშენეთ სამთავრობო რეზიდენციები და გადავიყვანეთ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა, რომელიც ფაქტიურად თბილისში იჯდა და იქ მხოლოდ მივლინებით დადიოდა (და ესეც არანაკლები ფინანსური

დატვირთვა გახდა ბიუჯეტისათვის). ვიმეორებ, შეიძლება და ვუშვებთ იმ არგუმენტს, რომ კვიციანი და მისი მომხრეები გარკვეულ დაუმორჩილებლობას იჩენდნენ, მაგრამ ჯერ ამდენი მოუგვარებელი საკითხი როცა გაქვს ქვეყანაში, მათი სამსახურის არ გამოყენება მაინც შეცდომა იყო. თუნდაც ის მაგალითიც გვეყოფა, თუ როგორ მართავს ჩვენი ჩრდილოეთის დიდი მეზობლის ერთ-ერთ კავკასიურ რეგიონს საკმაოდ ოდიოზური პიროვნება. რა გგონიათ, მისმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ იცის, თუ ვინ არის იგი? რა თქმა უნდა, ჩვენზე კარგად იცის, მაგრამ, რომ იტყვიან, „მავრი ჯერ თავის საქმეს აკეთებს“. აი, რომ დაამთავრებს „თავისი საქმის“ (თავისი კი არა – სხვისი საქმის) კეთებას, მაშინ მისი ბაირამობაც შეწყდება და ალბათ ისიც წავა, და ისე წავა, რომ... მაგრამ ჯერ ადრეა... აქ იმის თქმა გვინდა, რომ როდისმე ხომ უნდა ვისწავლოთ კომპრომისებზე წასვლა. ამ ხალხის მიკვირს, თუ უკანონოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებების გარეშე შეიძლება კანონის დარღვევა და ფულის ე.წ. „შეწრა“; იქ, სადაც ქვეყნის ინტერესები მოითხოვს, ნუთუ არ შეიძლება შენი ამბიციების მოთოკვა, მოთმენა ზოგიერთი სიტუაციის?

დღეს უკვე 2009 წლის 11 აპრილია. დმერთმა დაგვიფარა და, უვადო მიტინგების სერიალის მესამე დღეც მიიწურა. ჯერჯერობით საღი აზრი იმარჯვებს და სიმშვიდეა თითქოსდა. დაიწყო უკვე მიტინგების მეორე სტადია – ნერვების ომი. რატომღაც ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტსა და მთავრობას ნერვები უღალატებს და მათი ულტიმატუმი დაკმაყოფილდება ე.ი. პრეზიდენტი გადადგება ნებაყოფლობით. მთელი პასუხისმგებლობით შემოიძლია განაცხადო, რომ ამის დაჯერება გულუბრყვილობაა, რადგან, თუ გავითვალისწინებთ მის პიროვნებას, მისი გუნდის მანიაკურ განწყობილებას – ქვეყანა მართოს თუნდაც 2013 წლამდე, მაშინ ნათელი გახდება, რომ ეს

ასე არ მოხდება. არ მოხდება, მრავალი მიზეზის გამო, რომელთაგანაც ერთ-ერთი მთავარი არის ის, რომ შეგნებულად ჩადენილი შეცდომებისა და მმართველობის მეთოდების გამო, ეს ხალხი თავისი ქმედებების მსხვერპლი და ტყვე გახდა. პირველ პირს არ შეუძლია ასეთი კარდინალური გადაწყვეტილების ერთ-პიროვნულად მიღება, რადგან მსგავს შემთხვევაში იგი არა მარტო თავის თავს გასწირავს აგრესიულად განწყობილი ოპოზიციის დასაგლეჯად, არამედ მთელ თავის გუნდსაც, რაკი საჯაროდ განცხადებულია, რომ თუკი ოპოზიცია ქვეყნის მმართველობაში მოვიდა, მაშინ ყველა ცოდვებისათვის მთავრობას მკაცრ პასუხს მოსთხოვს. ასეთი ცოდვები კი ძალიან ბევრი დაგროვდა (გირგულიანი, რობაქიძე და სხვა), ერთ-პიროვნული ვოლუნტარისტული მართვის მეთოდები და მრავალი სხვა. თუკი გადადგომას აპირებდა პრეზიდენტი, მაშინ აგვისტოში უნდა გადამდგარიყო. იმ შედეგით, რაც აგვისტოში მივიღეთ, ალბათ ძნელია ისეთი ცოტად თუ მეტად ქვეყნის დასახელება, რომლის მეთაურიც ნებაყოფლობით არ გადადგებოდა (ალბათ გარდა აფრიკის რომელიმე ბანდუსტანის გამოკლებით). მაგრამ ამ შემთხვევაში ის ემოციებს არ აჰყვება, რადგან მისი გადადგომა უბრალოდ გადადგომა კი არ იქნებოდა და ქვეყნის მართვის ნებაყოფლობითი გადაცემის აქტი, არამედ დღის წესრიგში მისი და მისი კლანის სამართალში მიცემის საკითხი დადგებოდა. დმერთმა ქნას, რომ ეს ხალხი თუნდაც 2013 წელს მშვიდობიანად წავიდეს, რისი იმედიც არც მაშინ არ უნდა ვიქონიოთ. ყოველ შემთხვევაში, ეს სამთავრობო გუნდი თავისი სამთავრობო ვადის დამთავრებამდე ყოველნაირად შეეცდება, რომ პრეზიდენტად ისეთი ადამიანი ჩაანაცვლოს, რომელიც უზრუნველყოფს მათ და მათი ოჯახების ფიზიკურ უშიშროებას.

ცოტათი უკან რომ დავიხიოთ, ალბათ ისიც გაგვახ-

სენდება, რომ 2004 წლის იანვარში ხელისუფლებამ არც თუ ისე ცუდად დაიწყო რეფორმები, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მთავრობის შემადგენლობა ასე თუ ისე გაწონასწორებულ სურათს წარმოადგენდა, რადგან საკადრო გადაწყვეტილებებში გათვალისწინებული იყო სამი გამოკვეთილი ლიდერის სურვილები. გარკვეული თანამდებობები მიიღეს ზ. ჟვანიასა და ნ. ბურჯანაძის გუნდის წევრებმა. თუკი მ. სააკაშვილმა თავის სამხაკაცოს მიხედა (ძირითადად – ვარდების რევოლუციის „ბოვეიკებს“), გამოინახა მათი თანამდებობები მთავრობაში და პარლამენტში, ზ. ჟვანიას გუნდის წევრები გარკვეულად აწონასწორებდნენ სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღების სტრუქტურას, ბარამიძე – შინაგან საქმეთა მინისტრი, ოქრუაშვილი – ჯერ პროკურორი, მერე თავდაცვის მინისტრი, ეკონომიკის ბლოკში ასე თუ ისე მაინც იყვნენ წარმოდგენილი სამივე გუნდის წევრები და ა.შ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ნებისთინ თუ უნებლიეთ პირველი მთავრობა თითქმის კოალიციურს წარმოადგენდა, რაც აისახებოდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მაგრამ, როგორც წინა თხრობის დროს მოგახსენეთ, ისტორიაში ძალიან დიდხანს არასოდეს გაგრძელებულა ხელისუფალთა, მითუმეტეს გადატრიალებებისა და რევოლუციის გზით მოსულ ხელისუფალთა, შეხმატკბილებული მმართველობა. ასეთი რამ არ მომხდარა შედარებით წყნარი ტრადიციების მქონე ევროპაში და არ მოხდებოდა და არ მოხდა საქართველოში, სადაც ტრადიციულად ერთმანეთის მოსმენა არასოდეს არ შეგვეძლო, ყველას პირველობა გვინდოდა და გვინდა და ეს გენი კვლავ არსებობს ჩვენს ხასიათში თუ სულიერ თვისებებში. და მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო: ჯერ ის ხალხი განაწყენდა, რომლებმაც, როგორც თვითონ ამბობენ, მოიყვანეს მ. სააკაშვილი ხელისუფლებაში. ასეთთა რაოდენობა კი უამრავი აღმოჩნდა. არ არსე-

ბობს ახლანდელ ოპოზიციაში რომელიმე ლიდერი, რომელიც ამას ხმამაღლა არ აცხადებდეს (ძიძიგური, უსუფაშვილი, მათაშვილი, დავითაშვილი, ძმები ხაინდრავები და მრავალი სხვა). იმდენად დიდია მათი რაოდენობა, რომ რამდენიც არ უნდა ჩამოვთვალოთ, მაინც ვიღაცა გამოგვრჩება და ამიტომ თავი შევიკავოთ. ისინი თავს თვითონაც გაგვახსენებენ... რა ეწყინათ? ძირითადად ის, რომ სამთავრობო სტრუქტურებში მათი ადგილი არ აღმოჩნდა, თუმცა პარლამენტში თითქმის ყველა იყო წარმოდგენილი, მაგრამ თავი იმისათვის კი არ „გაუწირავთ“, რომ პარლამენტში ჯდომით კოჟრები გაჩენოდათ. მაღე გამოჩნდა, რომ ვიღაცები გამუდმებით „ყეფდნენ“, ხოლო ქარავანი თავისი გზით მიდიოდა. ეს კი მეტისმეტი იყო მათი შელახული თავმოყვარეობისათვის და თანდათან მივიღეთ დღევანდელი ოპოზიცია. საინტერესოა, ასეთი მოდულირება რომ მოეხდინა და პრეზიდენტს მინისტრებად დავითაშვილი, ძიძიგური, უსუფაშვილი, ხიდაშელი და ძმანი მათნი დაენიშნა ისე, როგორც თურმე შეპირებული იყო, საკითხავია დღეს რომელ ბარიკადებზე იქნებოდნენ ეს ქალბატონები თუ ბატონები?! მაგრამ ვაი რომ, პატარაა საქართველო, პატარაა და მცირეა მისი სამთავრობო რესურსები და, რამდენიც არ უნდა მოინდომო, თუგინდ პრეზიდენტიც იყო, ყველას მინისტრებად ვერ დანიშნავ, მითუმეტეს ისეთ პიროვნებებს, რომლებსაც მინისტრის მოადგილეობას ვერ შესთავაზებ, ეს ხომ მათი თავმოყვარეობის შელახვა იქნებოდა. ახლა აპრილია. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულებმა რამდენიმე დღით მაინც დააცხრო პოლიტიკური ვითარება, თუმცა დაწყნარებამდე და დამშვიდებამდე კიდევ ბევრი დროა საჭირო.

ოპოზიცია იბრძვის, იღწვის, შრომობს, ყოველდღე ისმინება ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ე.წ. პროვოკაციების შესახებ. მთავრობამ პარლამენტის წინამდებარე ტერიტორიის დასუფთავება მოინდომა

და მეუზოვეები გააგზავნა. არ დაიჯეროთ, თურმე მეუზოვეები კი არა, გადაცმული პოლიციელები ყოფილან. ვილაცა გაღახეს ხულიგნობისათვის? თურმე ოპოზიციონერია და იმიტომ. აქაოდა, რა მოხდაო: პრეზიდენტის რეზიდენციასთან, პარლამენტთან, ტელევიზიასთან კარგები ჩადგეს, რკინის გისოსებიანი საკნები გამართეს, გზები გადახერგეს, როცა უნდათ და სადაც უნდათ, იქ აწყობენ მარშებს, სადაც სურთ და როდესაც სურთ, იქ მიტინგობენ. ამ თითქმის ნახევრად პარალიზებულ ქალაქში არავის არა აქვს უფლება მათ შენიშვნა მისცეს. ეს როგორაო? ჩვენ თქვენი უფლებებისათვის ვიბრძვით და თქვენ კი ვინა ხართ, შეუგნებლები ხართ, ნუთუ ვერ გაგიგიათო? უი ჩვენს თავს, თურმე ხალხისთვის ღვრიან ოფლს და ჩვენ ვერა გაგვიგია რა. არ არის დღე, ოპოზიციის გარკვეული სპექტრი არ იყოს წარმოდგენილი ტელევიზიის დისკუსიებში, პოლიტიკურ თოკშოუებში და ოპოზიცია მაინც ქვეყანაში დემოკრატიის დეფიციტზე ლაპარაკობს... საინტერესოა, რომელ ქვეყანაში არსებობს ასეთი ე.წ. დემოკრატია (გარდა არასტაბილური პოლიტიკური უკრაინისა)? აბა ერთი ვაბედე და ლუჟოვის მოსკოვში ჩაატარე ასეთი გაუთავებელი მიტინგები? მოსკოვში ყველაფერი გათვლილი აქვს მთავრობას: სად? როდის? რამდენი საათით? რამდენი ადამიანის შემადგენლობით უნდა გაიმართოს მიტინგი. თითქმის ერთი თვით ადრე უნდა შეიტანო განაცხადი და დაელოდო ნებართვას. იშვიათად, მაგრამ თუ მიიღეს ეს ნებართვა, კარგი ვაჟბატონი ხარ და დათქმული წესით არ იმუშავებ, ომონი ისეთ დღეს დაგაყრის, გაქცევას ვერ მოასწრებ, თავის გახეთქვა გამოწერილი გაქვს. ვაი შენს თავს, თუ არასანქცირებული მიტინგი მოაწყვე, თუკი „ნაშისტი“ ან „ახალგაზრდა გვარდიელი“ არა ხარ, 5-10 წუთში „კუკუზკა“-ში აღმოჩნდები. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რუსებს ამ წესების შემოღებაში ამერიკა არ აღმოუჩენიათ. ზუსტად, დინ-

ჯად, წყნარად გადაიწერეს ცივილიზებული ევროპის (ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის და სხვა) ქვეყნების კანონმდებლობებიდან და, მართალია, თავისი დამახასიათებელი შესწორებები შეიტანეს, მაგრამ, რომ იტყვიან, ეს დეტალებია, დედანი ამ გადაწყვეტილებებისა და ქმედებისა ლონდონში, პარიზში და ბრიუსელში დევს. ისე რომ, ჩვენთან საქართველოში არა მარტო ბაზრის (და არა საბაზრო) ეკონომიკა გვაქვს, არამედ ქუჩის, ამბოხის, პროვოკაციების მოწყობის დემოკრატია და თანაც უკმაყოფილოები ვართ, არავინ არ დაგვჩაგროსო, ხელკეტები არ გვირტყანო. ასეთი კანონები თუ თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მიღებულია და მოქმედებს, ჩვენ რატომ არ მივიღებთ? იმიტომ, ბატონებო, რომ ჩვენი ქართული-კავკასიური მენტალიტეტი და ხასიათი მას ვერ აიტანს. საერთოდ უნდა ითქვას ალბათ გულახდილად: არ ვიცი, ქართველები რატომ დავდივართ თეატრებში, ცირკში და საერთოდ სანახაობრივ ღონისძიებებზე? იმიტომ რომ ქუჩა და პარლამენტი (მითუმეტეს შევარდნაძის დროინდელი) ჩვენი არტისტული ტალანტის გამოვლინების სტიქია? ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, უმცროსი გაჩეხილადე ტელევიზორში აცხადებს, რუსთაველზე ალბათ ათასამდე საკანი მოთავსდებაო, შეიძლება მეტიცო. შე კარგო აღამიანო, მე არ მეკითხები, თუ მე ხალხი ვარ, მაწყობს თუ არა ამ საკნების ყურება? ანდა – პირველი საჯარო სკოლის ეზოში რომ ათავსებს ამ საკნებს, ბავშვებს რას ერჩი, – გაკვეთილებზე ისხდნენ, იმეცადინონ, თუ დიდი ბიძიების და დეიდების ცირკს უყურონ?!

ყველაზე მეტად ჩვენს შინაგან აღშფოთებას უნდა იწვევდეს ალბათ ის, რომ საწყალი ქართველი ხალხი და საერთოდ საქართველოს მოსახლეობა „მოსისხლე მტრებმა“ (მთავრობამ და ოპოზიციამ) ისე გაჰყო ორ ნაწილად, რომ არავის არ შეეკითხა და, რაც მთავარია, ოპოზიცია ხალხად თვლის მოსახლეობის იმ ნაწილს,

რომელიც მას ემხრობა, ხოლო მთავრობისთვის ხალხი არის მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც მას უჭერს მხარს და მის სამსახურშია. ეტყობა, ეს მართლაც „ხალხის ნალებები“ მანამდე არ მოისვენებენ, სანამ არ შეაჯახებენ ამ ე.წ. „თავის საკუთრებაში“ მყოფ ხალხებს. ამის შედეგი ხომ სავალალო იქნებაო, – იტყვით თქვენ და მართალი იქნებით. მაგრამ ორივე მხარეს, დამოუკერეთ, ეს ფეხებზე ჰკიდია. ერთნი მათთვის აგრე შეყვარებულ სავარძლებს შეინარჩუნებენ და საპყრობილეში ბალანდის ჭამას გვიან შეუდგებიან, ხოლო მეორენი თავის მანიაკურ სურვილს აღისრულებენ და მოვლენ ხელისუფლებაში. მიტინგებმა, როგორც გამოცხადებული იყო, თავის ნერვიულ აპოგეას მიაღწია. ერთნი, რომ იტყვიან, „გულაობენ“ ხელისუფლების წაყრუებით გათამამებულები, ხერგავენ ქუჩებს, პიკირებული აქვთ სახელმწიფო დაწესებულებები და ყველაფერს ამას ხალხის (საწყალი ხალხი!) სახელით აკეთებენ. ხოლო მეორენი ჯერ ჩასაფრებულები არიან და მიზეზს ეძებენ ძალოვანი ჩარევისათვის. აი, ზუსტად ეს ძალოვანთა ჩარევა გახლავთ ოპოზიციის ძირითადი მიზანი და აშკარად აცხადებენ: ამ შემთხვევაში ხალხი (ისევ ხალხი!) წალეკავსო მ. სააკაშვილს. ის, რომ ეს ე.წ. „წალეკვა“ ხალხის გარეშე არ მოხდება, მათ არ აღელვებთ. რა ქნას „საწყალმა“ ნ. ბურჯანაძემ? წარმოიდგინეთ, როგორ „მოენატრა“ თავის საყვარელი სავარძელი. რა ქნას „საწყალმა“ პარიზელმა ს. ზურაბიშვილმა, რომელიც თავის საყვარელ საქმეს მოაშორეს. არადა რა სიმპათიურად გამოიყურებოდა ბატონი ლავროვის გარემოცვაში?! რა დააშავეს ბატონებმა სანიკიძემ, დავითაშვილმა, შარტავამ, გამსახურდიამ, კუკავამ და მრავალმა სხვამ? როდემდე უცადონ ამ ხალხს, რომ მათ დაცვალონ სავარძლები? არადა შესანიშნავად იცნობენ მათ ხასიათს, ერთ დროს ხომ ძმობიჭები, ძმაკაცები და ნათელმირონები იყვნენ ერთმანეთისა?! იციან, რომ ისინი ისე შეეჩვივნენ საყ-

ვარელ გასართობს – პოლიტიკურ თამაშს, რომ ნებით არასოდეს არ დათმობენ თავიანთ სავარძლებს, რამეთუ იმდენად შეტოპეს ამ „თამაშში“, რომ სავარძლებს ვინ ჩივის, სავარძლებთან ერთად თავსაც წააგებენ. ოპოზიციონერები ხანდახან ისეთ რამეს დააბრალებენ, ნათქვამის ლოგიკურ შინაარსს არც აკვირდებიან. აბა რას მივაწეროთ მიტინგზე ბატონ ზ. ძიძიგურის გამოსვლა: პირადად მე ფეხებზე მკიდია, თუ ქუჩების გადაკეტვით ვინმეს ხელი ეშლებათ. ე.ი. ამ ბატონმა თავის ჭკუით ხალხი ორად გაყო: ვინც მათ უჭერს მხარს და ვინც მათ არ უჭერს მხარს, და აუხსნა ამ ხალხს: რასაც ვაკეთებთ, ორივეს სასარგებლოდ ვაკეთებთო. ასეთია საერთოდ ხალხის ზრუნვაზე გათვორებული ბატონების ლოგიკა. იმის წარმოდგენაც კი არ უნდათ, რომ ხალხს, რომელიც მიმდებარე ტერიტორიებთან ახლოს ცხოვრობს, ხელი ეშლება ნორმალური ცხოვრებისთვის. ვაი იმას, ვინც აღშფოთებას გამოხატავს. რადიკალები მათ მაშინვე ვანო მერაბიშვილის სპეცრაზმელებად ნათლავენ. ისე რომ, პოზიცია და ოპოზიცია ერთმანეთს არ ჩამოუვარდება იარაღების დარიგების საქმეში. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ეს დიდი ბიძიები და დეიდები ომობანას ხომ არ თამაშობენ? არადა, ასეთი ომობანა უკვე რამდენიმეჯერ სავალალო შედეგით დამთავრდა. ერთიც წარმოდგენელია მათი ფსიქიკისათვის: რატომ არ შეიძლება იყოს მესამე კატეგორია ხალხისა, რომელსაც გარკვეულ წილად ფეხებზე ჰკიდია მთავრობის ვითომდა „იდეალები“ და აგრეთვე ოპოზიციის მამაშვილური „ზრუნვა ხალხზე“ და უბრალოდ თავის ქუჩაზე, თავის ეზოში, მშვიდი, წყნარი ცხოვრება სურს და არ სჯერა არც მთავრობისა და არც ოპოზიციისა.

ერთხელ ვთქვი და ისევ გავიმეორებ: დღევანდელი პოლიტიკური დაძაბულობა ნამდვილად ჩიხშია შესული, რამეთუ დარწმუნებული ვარ, ესენი (მთავრობა) ნებაყოფლობით არა მარტო ახლა არ წავლენ, არამედ

ეჭვი მეპარება – 2013 წელსაც წავიდნენ. და თუ მაშინ მაინც წავლენ, მხოლოდ იმ პირობით, თუკი შექმნიან ისეთ დამცავ მექანიზმებს, რომლებიც მათ ფიზიკურად არ გაანადგურებს. აი აქ არის ეშმაკი დამალული. ისეთი პათოლოგიური შიში აქვთ შურისძიებისა არა მარტო ჩადენილი შეცდომების გამო, არამედ შეგნებულ კრიმინალური წარსულისაც, რომ ვერ გაამტყუნებ. როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, არის ისეთი ჩადენილი დანაშაულებები, რომლებიც მოითხოვენ სისხლს სისხლის წილად (გვირგვლიანი, რობაქიძე და სხვები). წაგებულ იმი, ტერიტორიების დაკარგვა, სახელმწიფოს იმიჯის დაკარგვა, თუნდაც – 2007 წლის ნოემბერი და მრავალი სხვა, – ნუთუ საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ ქვეყნის მეთაურს ბოდიში მოეხადა ხალხისათვის და გადაამდგარიყო?! მაგრამ იგი მარტო თავის თავს კი არ ეკუთვნის, – იგი მძევალია, მძევალია იმ სიტუაციისა, რაშიც ჩაიგდო ნებსით თუ უნებლიეთ თავი... გაუთვლელ აფექტებზე დამყარებული გაუთვლელი ქმედებები ამ ხუთ წელიწადში ძლიერ ბევრი დაგროვდა:

1. საკადრო შეცდომები – მთავრობაში ისეთი ხალხის მოყვანა, რომლებიც სულიერად და მორალურად ნამდვილად არ იყვნენ ამისათვის მზად (ნადირაძე, კირკიტაძე, გილაური, ნოლაიდელი, ბრეგაძე, სამყურაშვილი, გურგენიძე და მრავალი სხვა). ჯერ ერთი, ქალბატონ ნადირაძის თითოეული გამოჩენა მაინც რად ღირდა, თავისი ცინიკური ღიმილით და ლოგიკური მსჯელობის უსუსურობით. ანდა, პირველ ხანებში ბატონ ბოკერიას გაუთავებელი მენტორული ჭკუის დარიგებები – დაწყებული საშინაო, საგარეო პოლიტიკის ახსნით და გათავებულ აბორტების მავნებლობის შესახებ. ანდა, რაოდენ სავალალო შთაბეჭდილებას ტოვებდნენ პარლამენტარი კირკიტაძე და გილაური ან ძმანი და დანი მათნი. რა პოზიტივზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ტელევიზორების ეკრანზე ლივლივებდა პარ-

ლამენტის იურიდიულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ცისფერთვალეა ქალბატონი კალანდაძე, რომელიც შემთხვევით თ ურმე თვითმფრინავში გაიცნო პრეზიდენტმა. ახლა ეს ქალბატონი – უკვე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე სერიოზულად მსჯელობს. თურმე კარუსელები არამარტო საარჩევნო სისტემაში გამოიყენება. ის კარუსელი, რაც მთავრობაში დატრიალდა, უფრო სწორად მიესადაგება ქართულ სიტყვა „აჯაფსანდალს“ ან რუსულ სიტყვას „чехарда“-ს: ქვეყანამ არ იცოდა, ყოველ დილით რა მთავრობა დახვდებოდა და ბატონები ოქრუაშვილი, ბარამიძე, გვარამია ან სხვანი რომელი მინისტრის სავარძელში აღმოჩნდებოდნენ. ანდა, კარგს რას მოიტანდა ის საკადრო პოლიტიკა, რომელიც განცხადებულ იქნა მმართველობის დასაწყისში – „45 წლისა ხეებიც კი მეზარებაო ჩემს ბაღში“. რა აზროვნების დეფიციტი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ეს განაცხადოს?! ყველგან და ყველაფერშია აუცილებელი თაობათა ცვლის ევოლუციური პროგრესი. სხვა უკეთესი კაცობრიობას ჯერ არაფერი მოუგონია. მერე, მშიერ ძაღლს რომ გადაუგდებენ ძვალს, ისე გადაუგდეს ხალხს ორი მინისტრის თანამდებობა და ასაკოვნები დანიშნეს. ერთმა საკმაოდ „იაქტიურა“ და საჩქაროდ მოიშორეს. მეორე ხანდაზმულს რაღაც უცნაური სამინისტრო შეუკოწიწეს და ხალხმა არც იცის, საერთოდ სად არის, მინისტრია თუ... საერთოდ 2004 წლიდან მთავრობის საკადრო პოლიტიკა იმდენად დახლართული, გაურკვეველი, ემოციებს აყოლილი, ამბიციებზე დაფუძნებული გახლდათ, რომ ასე მოკლედ მის ღირშესანიშნაობებს ვერ აღწერ.

2. როგორ შეიძლება დადებითი იმიჯი შეექმნა ამ მთავრობისათვის უკანონოდ ჩატარებულ ექსპროპიაციებს, როცა ყოველგვარი კანონის გარეშე, ცალკეული პიროვნებები სწყვეტდნენ – ვისთვის რა უძრავი

ქონება წაერთმიათ და ვისთვის რამდენი ფული შეეწერათ დაპატიმრების სანაცვლოდ (ახლა თითქოსდა ასეთი კანონი არსებობს, რასაც გამოძიებასთან თანამშრომლობა ჰქვია). მაგრამ ხალხი ბრმა ხომ არ არის, როგორც ზოგიერთს ჰგონია, და ყველა მიხვდა, რომ ეს იყო უბრალო ანგარიშსწორება ყოფილ ოპონენტებთან.

3. მოვიდნენ თუ არა ახალი მთავრობის ახალგაზრდა ჭყინტი ბიჭები, მაშინვე დაიწყეს ბიზნეს ინტერესების გადანაწილება, ე.ი. ბიზნესიდან შევარდნაძის მომხრეების განდევნა და თავისი წილების შეწერა. როგორ გგონიათ, ახლა ეს პროცესი პატარა საქართველოში დაიძალებოდა და ხალხისათვის ცნობილი არ გახდებოდა? რა თქმა უნდა, ეს ასე არ მოხდა და არა მგონია, ამას რაიმე მიემატებინა ახალი მთავრობის დადებითი რეიტინგისათვის. უბრალოდ, ხალხი მიხვდა, რომ ყველა ხელისუფალი თავის ჯიბეზე და ოჯახზე ფიქრობს. ერთ-ერთი გახმაურებული მაგალითი ამ თემაზე იყო მირცხულავას „საქმე“, ტელეკომპანია „იმედის“ წინააღმდეგ ბრძოლა, საქართველოს რკინიგზა, მადნეული, ზესტაფონი და სხვა. ისე ხალხისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ ვის დასჭამდა, უბრალოდ მიხვდა, რომ როგორც წარსულ ხელისუფლებას, ისე ამათაც ხალხი ფეხზე ჰკიდია.

4. ერთმა უკანონო ნაბიჯმა შვა მეორე, მეორემ მესამე და ა.შ. შეიქმნა ყალბი თვითდამაჯერებლობა, რომ მათთვის ყველაფერი შესაძლებელია, მათთვის ყველაფერი დასაშვებია. იმდენად დიდია ადამიანში, მითუმეტეს, ახალგაზრდა კაცის გულში, სულში დაუსჯელობის სინდრომი, რომ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ქვეყანა გადააქციეს თავისი ამბიციების, სურვილების სათარეშოდ ისევ და ისევ საწყალი ხალხის სახელით.

თბილისში, სანაპიროზე, მანქანაში საამაყო სახალხო პატრულმა ტყვიებით ჩაცხრილა ახალგაზრდები და

კერძოდ – ბუტა რობაქიძე. როგორც შემდეგში გაირკვა, ამ ახალგაზრდებს არაფერი საერთო არ ჰქონდათ კრიმინალთან. მაგრამ ამ ახალგაზრდის სიკვდილი ეჭვის ქვეშ აყენებდა ახლად შექმნილი სახალხო პატრულის იმიჯს და ამიტომაც შეითხნეს „ოპერატიული ღონისძიება“, თითქოსდა ეს „კრიმინალური“ დაჯგუფება ხალხის დასაყინებლად მიემგზავრებოდა. უფრო მეტიც: გაზეთებში დაბეჭდეს და ტელევიზიით გვანახეს ამ „კრიმინალური“ ჯგუფის იარაღი, პისტოლეტი, ავტომატი. დღისით-მზისით ქალაქის ცენტში დახვრიტეს ახალგაზრდა და ესეც არ აკმარეს – მკვდარი გააბანდიტეს. მთელი ოპერატიული კვლევის დემონსტრირებაც მოახდინეს, თუ როგორ იქნა ამოღებული მანქანიდან და მის სიახლოვეს ამ „ბანდიტების“ ცეცხლსასროლი იარაღი. შემდეგში, როცა ტელე „იმედის“ ჟურნალისტების ჩარევით, „კრიმინალური“ მითი საპნის ბუშტივით გასკდა, – გაირკვა, რომ ეს ამოღებული იარაღი ამ ახალგაზრდებს არ ეკუთვნოდათ და თურმე დედის ერთადერთი უდანაშაულო შვილი შემთხვევითი გასროლით შემოაკვდათ. როგორც იყო, „მოგუდეს“ ეს საქმე და დამნაშავე პოლიციელი დასაჯეს მინიმალურად (მიუსაჯეს 4-5 წელი) და ამით საქმე დახურეს. რომ იტყვიან, ეს ხალხი ან თვითონ არის სულელი ან ჩვენ გვასულელებს (რასაც ახლაც სიამოვნებით აგრძელებს). რატომღაც არ გაიხსენეს ან არ გაახსენდათ ის პოლიციის ჩინოვნიკები, რომლებმაც შეითხნეს ეს „კრიმინალური საქმე“. საერთოდ შემთხვევითი თუ უნებლიე მკვლელის დასჯა წვეთი იყო ამ საქმეში, უფრო სწორად ერთ-ერთი ეპიზოდი ან დეტალი. თავის ძმაკაცის ავტორიტეტს „გაუფრთხილდნენ“, ძმაკაცისა, რომელმაც შექმნა ეს საპოლიციო ქვედანაყოფი ახალი მთავრობის საამაყოდ და ამ თემაზე საერთოდ შეწყვიტეს საუბარი. აბა მითხარით, რა სასამართლო შეიძლება ეწოდოს იმ სასამართლოს, ან რა მოსამართლე შეიძლება ეწოდოს იმ მოსამართლეს,

რომელსაც ათასჯერ ეტყვიან, რატომ არ იძიებთ ამ კრიმინალური საქმის ჩამწყობებსო და ეს სასამართლო და ეს მოსამართლე ვითომდა ყრუა და მუნჯი. მიუთითეს, ეს საქმე სხვა სასამართლოს კომპეტენცია არისო. თუნდაც ავიღოთ და დავეთანხმოთ ამ ვაი მოსამართლის მითითებას, იმის უფლება მაინც ხომ ჰქონდა, რომ კერძო განჩინება გამოეცანა. მაგრამ სად იყო სასამართლო, ეს მხოლოდ ფარსი იყო. ის კი არა და, სასამართლოს და პროკურატურის მუშაკები არასოდეს პასუხობდნენ გაზეთებში და ტელევიზიაში პირდაპირ დასმულ კოხვაზე – რატომ არ ისჯებიან ეს მართლაც რომ კრიმინალები. არა, ბატონო, ეს ჭანჭიკი ჩინოვნიკები ამას ვერ გაბედავდნენ, ეს რომ სახელმწიფო პოლიტიკაში აყვანილი ფარსი არ ყოფილიყო. სახელმწიფოს იმიჯი, ხალხის გულისწყრომა, გაუბედურებული მშობლების გვემა – ყველაფერი ფეხებზე დაიკიდეს და შესწირეს ძმაბიჭის უსაფრთხოებას, სახალხო პატრულის პიარ-კომპანიას. დამერწმუნეთ, ყოველივე ამ უმსგავსობას არ შეიძლება თავისი კვალი არ დაეტოვებინა ხალხის აზროვნებაში. ხალხი მიხვდა, რომ ის ამ მთავრობისათვის სამართავი ბრბოა და მეტი არაფერი...

5. ბავშვს შეეკითხნენ, რატომ ჭირვეულობდა. ბავშვმა უპასუხა – გამდის და იმიტომო. ასე მოუვიდა ამ ხალხს: ერთი უმსგავსობა გაუვიდათ და მერე რა შეაჩერებდათ. ხატონად რომ ვთქვათ, „გემო გაუგეს“ დაუსჯელობას. თითქმის ასეთივე სცენარით „გაითამაშეს“ (თუ ამას თამაში შეიძლება დაერქვას) სანდრო გვირგვლიანის მკვლელობა, დაატრიალეს გაზეთებში და ტელევიზიაში სიფლიდე და სიცრუე. ახლაც მახსოვს ახალაიას ნაბახუსევი სახე, როცა უტიფრად აცხადებდა, ღამეები არ გვძინავს, რომ ეს გახმაურებული მკვლელობის საქმე გამოვიძიოთო. მაშინ საზოგადოებამ სინამდვილე არ იცოდა, შემდეგში გაირკვა, რომ ადამიანი, რომელმაც სხვასთან ერთად დაგვემა

და განახორციელა ეს მკვლევლობა, თვითონ იძიებდა ამ საქმეს, ღამეები არ ეძინა, რომ „სიმართლე“ დაედგინა. არავითარი იურიდიული განათლება არ არის საჭირო იმისათვის, რომ უბრალო ადამიანიც გარკვეულიყო, თუ ვინ იყვნენ ამ ცინიკური მკვლევლობის შემკვეთები, თუ ვინ გამოიძახა სამუშაო ადგილიდან (შინაგან საქმეთა სამინისტროდან) დამსჯელი „ზონდერკამანდა“ და ვინ სცემა და შემდეგ მოაკვლევინა გვირგვლიანი. მაგრამ რად გინდა? ყველაზე ცინიკური ალბათ ის არის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტი და სხვა აპოლოგეტები ახლაც უტიფრად ახცადებენ, „ხომ ხედავთ, რა სამართლიანები ვართო. წინათ, შევარდნაძის დროს, ასეთი საქმეები არ იხსნებოდა, დამნაშავეები არ ისჯებოდნენ, ჩვენ კი ოთხი კაცი მივეცით სამართალში და გავასამართლეთო“. ამის განცხადება ცინიზმზე მეტია. ჯერ ერთი, შენ რაში გეკითხება წინათ როგორ იყო?! ახლა შენ ხარ ხელისუფლებაში და სამართლიანად გადაწყვიტე ეს საკითხი. შემსრულებლები, როგორც რობოტები, რომლებმაც შეასრულეს კრიმინალური მითითება, დასასჯელები არიან და დაისაჯნენ ისიც შემსუბუქებული სახით. ბნელა, ხალხო, თბილისშიო? – იტყოდნენ ძველად. პარლამენტში სასწრაფოდ შეიტანეს და დაშტამპეს ახალი კანონპროექტი, რომლის ძალითაც ამ სახის დანაშაულის ხანგრძლივობა გაანახევრეს – 8-10 წლიდან 4-5 წლამდე. პარლამენტის თავმჯდომარე, ვინც ეს კანონპროექტი გაიტანა, დღეს უტიფრად გააყვირის – მაიძულესო. შემდეგში მოხდა ის, რაც ბ. რობაქიძის გარშემო: ოპოზიციის, ხალხის, საზოგადოების მოთხოვნაზე – დაესაჯათ მკვლევლობის დამკვეთები, სრული „Дурачка“ ითამაშეს და საერთოდ ფეხებზე დაიკიდეს ეს მოთხოვნა. არა მგონია, აფრიკის რომელიმე ბანდუსტანის გარდა, სადმე მთავრობას გასვლოდა ეს თავხედობა და დანაშაული. რატომ მოიქცნენ ასე?! ძმაცაცობის ასეთი გატანა მაფიაშიც

კი არ იციან (გაიხსენეთ გახმაურებული ფილმი ამ თემაზე. მაფიის ახალმა ბოსმა მკვიდრ ძმასაც არ აპატიო ოჯახის დალატი და მათი დედის სიკვდილის შემდეგ თავისი უფროსი ძმა მოაკვდინა. რა, არ უყვარდა თავისი ძმა? რა თქმა უნდა, უყვარდა, მაგრამ თუ ამას არ გააკეთებდა, ის მაშინ ვერ უხელმძღვანელებდა მაფიას. ეს მას არ შეეძლო, მაფიის წესით ამის მორალური უფლება არ ჰქონდა). ახლა ამ მაგალითიდან განსაზღვრეთ ვინ უფრო გამართლებულია მორალურად – ეს ხელმძღვანელობა თუ სიცილიურ-ამერიკული მაფია და მისი ბოსი.

ისმის კანონიერი კითხვა, როგორ უნდა მოქცეულიყო პირველ (რობაქიძის), ისე მეორე (გვირგვლიანი) შემთხვევაში მმართველი ჯგუფი (მაფია) და კერძოდ პრეზიდენტი (ბოსი)? არის მხოლოდ ერთი პასუხი – სამართალიანად! ე.ი. კანონისა და სიმართლისათვის გვერდზე უნდა გადაედო პირადი სიმპათიები და სამართლისათვის გადაეცა დამნაშავენი: პირველ შემთხვევაში (რობაქიძე), არამართო მკვლელი, არამედ იმ „სპექტაკლის“ დამდგმელი, მეორე შემთხვევაში კი – გვირგვლიანის მკვლელებიც და შემკვეთებიც. პირადად პრეზიდენტი ამ შემთხვევაში მორალურად მართალი იქნებოდა. ის ხომ ყველა ქართველის პრეზიდენტია და ვალდებულია ყველას უსაფრთხოება დაიცვას. კაცმა სიმართლე რომ თქვას, ამ ხალხმა თავიანთი თავხედური გადაწყვეტილებით არა მარტო გვირგვლიანი გაიმეტეს, არამედ თვისი მამა-მარჩენალის (მეგობრის) იმიჯი გაანადგურეს. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებისათვის ამ უკანასკნელს გამბედაობა არ ეყო, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკების დასჯას მინიმუმ მინისტრის გადაყენება მაინც უნდა მიეყოლებინა. ეს კი მის ძალებს აღემატებოდა, რამეთუ იმ არასამართლებრივ პოლიტიკაში, რომელსაც ის უკვე ატარებდა, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ძირითადი საიმედო დასაყრდენი

გახლდათ. მისი ხატოვანი გამონათქვამით – ქვეყნის „ხერხემალი“. დიახ, უკანონობის ხერხემალი ვ. მერაბიშვილი ნამდვილად არის. თუმცა ეს პიროვნება საკმაოდ „ნიჭიერი“ და „ენერგიული“ გამოდგა თავის საქმიანობაში, გაუთავებელი აუდიო და ვიდეო ჩანაწერების საფუძველზე ხალხის ან ჯაშუშებად, ან ტერორისტებად გამოცხადებაში. ამაში მას ხელს უწყობს სუპერხელსაწყოები იაპონიიდან და ევროპიდან, რომლის შექმნისათვის სახელმწიფოს ყოველთვის აქვს ფული. ვ. მერაბიშვილი ასეთივე „წარმატებული“ შინაგან საქმეთა მინისტრი ვერ იქნებოდა ფუშესა და ბერიას დროს. მაშინ სულ სხვა მეთოდები იყო საჭირო. ამ მეთოდებს ოპერატიული დამუშავების რეალიზაცია ერქვა. ეს კი საკმაოდ გონებრივ დატვირთვას და ნერვიულ დაძაბულობას მოითხოვს. ამას არა სჯობია ტექნიკური საშუალებებით თვალყურის დევნება და შემდეგ მათი საჯაროდ გამომხეურება? ეს მეთოდი უფრო სასურველ შედეგს იძლევა და ისიც სწრაფად და ეფექტურად. ისე, ცივილიზებულ სამყაროში ამას უკანონო მეთვალყურეობა ჰქვია საკუთარ ხალხზე, რაც კანონით ისჯება და ასეთ ჩინოვნიკს (თუნდაც მინისტრს) ციხის საკანი ან საგიჟეთი არ ასცდება ასეთი მანიაკური მიდრეკილებების გამო. რა ვქნათ, ჯერ დავჯერდეთ იმას, რაც გვაქვს. ჩვენ ხომ, ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ფრანგები, გერმანელები ან ესპანელები არ ვართ, – ჩვენ ამაყი, ნიჭიერი ქართველები გახლავართ.

ერთიც არის: ამ ხალხს თვითონ შეეძლო გადაედგა ვაჟკაცური ნაბიჯი და თავის დროზე გადამდგარიყო, ელიარებინათ დანაშაული (თუნდაც შეცდომა) და ამით თავის მეგობრისათვის (პრეზიდენტისათვის) აეცილებინათ დარტყმა და ავტორიტეტის შელახვა, მაგრამ ამის გამბედაობა და ვაჟკაცობა რომ ჰქონოდათ, იმ სილაჩრესაც არ ჩაიდენდნენ და, თუ კი ისინი შეურაცხევს (რაც სიმართლეს შეეფერება), პირადად გაუსწორდე-

ბოდნენ იქვე „მარდენ კაფეში“ გვირგვლიანს და ალბათ ბევრი ქართველი მათ გაუგებდა და შეიძლება გაემართლებინა კიდევ, ხმამაღლა თუ არა თავის გულში მაინც, რამეთუ შეურაცხყოფას ადგილი ნამდვილად ჰქონდა და ისიც საყვარელი შეფის – მინისტრის ცოლის თანდასწრებით და ერთ საკმაო საეჭვო გაგების ქალბატონთან ერთად. დიახ, ეს სწორედ დიდი შეურაცხყოფაა ქართველი ვაჟკაცისთვის, მაგრამ თუ ასეთი ხარ, მაშინვე, შენ უნდა გასცე საკადრისი პასუხი და ამისათვის ქვეშევრდომები (სპეციალურად გაწვრთნილი ხალხი კი არ უნდა გამოიძახო სამსახურიდან). ეს უკვე ორჯერ ღაწრობაა, და ყოველივე ამის დაფარვა, ჩაფარცხვა – შეცდომაა კი არა – ნამდვილად დანაშაულია, დანაშაული არა მარტო გვირგვლიანების ოჯახის მიმართ, არამედ მთელი ქართველი ხალხის მიმართ, რამეთუ ამ ფაქტების შემდეგ ხალხმა იგრძნო, რომ დაუცველია ე.ი. თითოეული გაუთვალისწინებელი ნაბიჯის შემდეგ შეიძლება ვინმე უცნობი დაგხედეს, გაგლახოს, დაგასახიჩროს, გაგძარცვოს და დაუსჯელი დარჩეს. ეს არა მარტო ახალგაზრდების ჩხუბის გამო შეიძლება მოხდეს, არამედ ბიზნესინტერესების განაწილებისაც და რაც მთავარია პოლიტიკური შეხედულებების გამოც, როგორც დღისით-მზისით ცენტრში გაღახეს, შეურაცხყვეს, დეპუტატი გელაშვილი და ეს დღემდე არავის არ გამოუძიებია. თუმცა, რა უნდა გამოიძიონ? ახალაია თავისსავე დანაშაულს, ღამეები არ ეძინა და ისე გულდაგულ „იძიებდა“. დასკვნა აქ ერთია: პრეზიდენტმა თავისი პიროვნების უზენაესობა ირწმუნა, კანონი და საზოგადოებრივი აზრი არაფრად ჩააგდო და ის ხალხი, რომელმაც თავის ქმედებით უღალატა, არ დასთმო, არ განდევნა, არ დასაჯა, თუმცა ყველასთვის გასაგები იყო, რომ ისინი ამას სამართლიანად იმსახურებდნენ. ასეთი გადაწყვეტილებები შეცდომებზე მეტია და დანაშაულის მფარველობას ნიშნავს, დანაშაულის მფარველობა კი თავისთა-

ვად დანაშაულია. ე.ი. გაჩნდა იმის პრეცედენტი – და უკვე არაერთხელ – რომ საქართველოში არის ხელშეუხებელთა კასტა და ეს კასტა სახელმწიფოს მეთაურის ახლო გარემოცვაა. შეიძლება დაისაჯო მშვიერ კუჭზე ერთი პურის მოპარვისათვის, და საკმაოდ მკაცრადაც, და შეიძლება არ დაისაჯოს ხალხი, ვინც მკვლელობა დაგეგმა და ცინიკურად გადააბიჯა კანონის უზენაესობას. ამ პატარა ქვეყანაში დაკანონდა შედარებითი კანონი: „რაც ერთისთვის დასაშვებია, მეორესთვის დასასჯელია“. ასეთი უკანონობის სინდრომის გაჩენამ თანდათან ძალიან უარყოფითად იმუშავა და დღესაც მუშაობს პრეზიდენტის ავტორიტეტზე ...უკანონობის ფაქტები ამ ხუთ წელიწადში ბევრი დაგროვდა, ჩვენ უბრალოდ ორი თუ სამი ფაქტი აღვწერეთ. არადა, მათი ჩამონათვალი ძლიერ დიდია ...ხალხის უკმაყოფილება ერთ ცარიელ ადგილზე არ გაჩენილა, ის თანდათან გროვდებოდა და პატარა წუმპებიდან გადაიქცა გუბეებად, გუბეებიდან – ნაკადულებად, ნაკადულებიდან – მდინარეებად და ასეთი ჭუჭყიანი ნაკადის გადმოხეთქვა, გასაგებია, რომ წალეკავს ყველას და ყველაფერს და, უპირველესად იმას, ვინც თავის დროზე არ დაწმინდა ავეიის საჯინიბოები. არადა, ამის შანსი იყო, რომ ჰქონოდათ ნებისყოფა გადაწყვეტილებების მიღების, ხორცმეტეების დროულად მოკვეთისა... მთავრობისა და პრეზიდენტის ამ დანაშაულებრივმა უმოქმედობამ 2007 წლის ნოემბერთან მიგვიყვანა...

6. ასეთი შერჩევითი უკანონობის ფონზე, რა თქმა უნდა, ყოველივე ამას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა ჩასაფრებული ოპოზიცია, რომელსაც იმ წლებში საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი ჰქონდა პროპაგანდისათვის ტელეარხები „იმედის“, „კავკასიის“, რადიო „იმედის“ და მრავალი ბეჭდვითი ორგანოს სახით („რეზონანსი“, „ალია“ და, რა თქმა უნდა, „სასავალ-დასავა-

ლი“), რაც მათ ძალიან რაციონალურად და მიზანდასახულად გამოიყენეს კიდევ. პაექრობამ ისეთი სახე მიიღო და დისკუსიებში სამთავრობო ძალები იმდენად ალოგიკურად და უსუსურად გამოიყურებოდნენ, რომ მათ უარი თქვეს პოლიტიკურ დისკუსიებში მონაწილეობაზე. ეს კი ნამდვილად წამგებიანი აღმოჩნდა. არადა, რა დისკუსიებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ვერავითარ კითხვაზე ვერ პასუხობ და ვითომდა ალოგიკურად (უფრო სწორად – არალოგიკურად) ამტკიცებ, რომ თეთრი შავია და შავი თეთრი?!

ზევით მოგახსენეთ, სამთავრობო იმიჯისათვის დამღუპველი იყო ტრიუმვირატის (სააკაშვილი – ჟვანია – ბურჯანაძე) კავშირის დარღვევა. პირველსავე თვეებში სააკაშვილი დაწინაურდა, არა მარტო თანამდებობრივი უპირატესობით, არამედ გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკით. თუ ეშმაკმა პოლიტიკოსმა ბურჯანაძემ ამ სიტუაციაში ჩრდილში ყოფნა არჩია დევიზით – „МОЯ ХАТА С КРАЮ“-ო, ამას ვერ ვიტყვით ზ. ჟვანიაზე, რომელიც თავის ავტორიტეტზე დაყრდნობით ცდილობდა სამთავრობო სტრუქტურების დაბალანსებას, მაგრამ ყოველივე მისი მცდელობა უშედეგო ჩანდა. სამთავრობო სტრუქტურებში დატრიალებული კარუსელით სააკაშვილმა ერთი წლის თუ წლინახევრის თავზე მიაღწია იმას, რომ ყველა მნიშვნელოვანი სამინისტრო პოსტები (თავდაცვის მინისტრისა, შინაგან საქმეთა მინისტრისა, ეკონომიკის, კულტურის, განათლების და სხვები) მისი გუნდის წევრებმა დაიკავეს. ამით პრემიერ-მინისტრს ქვეყნის მმართველობის ვაკუუმი შეუქმნეს, ასეთ სიტუაციაში თუ გავითვალისწინებთ ზ. ჟვანიას, როგორც ადამიანურ და პოლიტიკოსის დამახასიათებელ თვისებებს, მივხვდებით, რომ ამ მდგომარეობას ის დიდხანს ვერ აიტანდა. სიტუაცია სულ უფრო და უფრო ფეთქებადი ხდებოდა, რაც აუცილებლად გამოიწვევდა ალბათ ზ. ჟვანიას პროტესტს, პროტესტს ხმაურიანი სკანდალური გადადგომა მოჰყვ-

ებოდა და სააკაშვილი მალე ისეთ ოპოზიციას მიიღებდა და ისეთი ავტორიტეტიანი ლიდერთ, როგორც ზ. ჟვანია იყო. ასეთი ოპოზიცია, ასეთი ლიდერთ, რატომ უნდა, სააკაშვილის ჯგუფს (კლანს) სრულებითაც არ აწყობდა და მოხდა ის, რაც მოხდა. ერთ მშვენიერ დღით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სადღაც საბურთალოზე, პირველ სართულზე ე.წ. კონსპირაციულ ბინაში, ერთ-ერთი რაიონის (ქართლის) გამგებლის მოადგილესთან (ეროვნებით აზერბაიჯანელთან) ერთად გაზით გაგუდული „იპოვეს“. როგორც „ოპოზიციონერმა“ ოქრუაშვილმა განაცხადა ზ. ჟვანია იქ მხოლოდ უკვე გარდაცვლილი (მოკვდინებული) მიახვეწეს. თუ მოვლენათა თანამიმდევრობას ვაყვებით, ოქრუაშვილის განცხადება ძალიან ჰგავს სინამდვილეს, ოღონდ უნიჭოდ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების ნაწილს, რადგან შემდეგ გაცხადდა, რომ იმ კონსპირაციულ ბინაში საერთოდ გაზის მიწოდება არ ხდებოდა. და, თუ ეს ასე იყო, მაშინ ადამიანები როგორ გაიგუდებოდნენ? ე.ი. ისინი სადღაც სხვაგან გაიგუდნენ გაზით და მერე მოასვენეს იქ, სადაც „აღმოაჩინეს“. რაში დასჭირდათ ამ საბურთალოს ბინაში ყალბი სცენარის გათამაშება კონიაკის ბოთლით, სიგარეტის ნამწვავებით, ძეხვის და პომიდორის ნარჩენებით, რომლებზედაც გარდაცვლილთა ვერც ნერწვის და ვერც ხელის ანაბეჭდები ვერ იპოვეს? ისიც გამოაშკარავდა, რომ ზ. ჟვანიას თანამესუფრე იმ დღეს იმ ბინაში ერთი ფეხსაცმლით მისულა (?) არ ვიცი, ამას ვინ დაიჯერებს. ანდა – რა ესაქმება ქვეყნის პრემიერ-მინისტრს აგენტურულ-ოპერატიულ საქმიანობასთან? ანდა – ის გარდაცვლილი საწყალი აზერბაიჯანელი რა ავტორიტეტს წარმოადგენდა ისეთს, რომ მასთან კონსპირაციული შეხვედრის ჩატარება იყო საჭირო და ისიც ქვეყნის ერთ-ერთი მეთაურის დონეზე? შე კაი ადამიანო, ვეროპიდან ან ამერიკიდან რომ ჩამოდინ დიპლომატები, იმათ ვერ ხვდება ქვეყ-

ნის პრემიერი, მაშინ როცა მათ სურთ და ამ ყმაწვილ კაცს კი ამდენ დროს უთმობს? აი სად არის ეშმაკის თავი დამარხული... შემდეგ მოიპოვეს ამერიკელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული ექსპერტიზა, სადაც თითქოსდა დადასტურდა, ზ. ჟვანიას და მისი მოსაუბრის გაზით გაგუდვა, მაგრამ როგორ შეიძლება გაიგუდოს მომწამლავი გაზით ხალხი იქ, სადაც იმ დღეს გაზი არ მიეწოდებოდა? ვერავითარ პროფესიულ კრიტიკას ვერ უძლებს ზ. ჟვანიას დაცვის ქმედება, უფრო სწორად – მათი დანაშაულის ტოლი უმოქმედობა. ოპერატიული დაცვის სისტემაში დაუშვებელია – რამდენიმე საათით რომ გაწყვიტო კონტაქტი დაცვის ობიექტთან, საერთოდ დატოვო დაცვის ობიექტი და სხვაგან გაემგზავრო, სხვა საქმით დაკავდე. ასეთი რამ დაცვის სისტემის პროფანაციაა და მეტი არაფერი. იურიდიული ფაკულტეტის, პირველი თუ არა, მეორე კურსის სტუდენტმა მაინც უნდა იცოდეს ძველი რომის ერთ-ერთი წარმატებული – მაშინ ახალგაზრდა იურისტ-ადვოკატის – ციცერონის სასამართლოში მოგებული პირველი საქმე. ციცერონმა დაიცვა მკვლელობაში ეჭვმიტანილი უდანაშაულო რომაელი: „ამ კაცს ის არ მოუკლავს, მაშინ შევუდგეთ იმის გამოკვლევას, თუ ვინ იყო დაინტერესებული ამ ადამიანის მკვლელობაში“. ე.ი. ლოგიკურია კითხვა: ვინ იყო ზ. ჟვანიას მკვლელობაში დაინტერესებული, თუ საერთოდ ეს მკვლელობა იყო?

ახლა წარმოიდგინეთ, „ოპოზიციას“, ანუ როგორც უწოდებენ – რადიკალურ ოპოზიციას – რომ რაიმე ხელჩასაჭიდი ჰქონდეს, ზ. ჟვანიას სიკვდილს მთავრობას და პრეზიდენტს აპატიებდა? მაშასადამე, მას ასეთი ხელჩასაჭიდი მასალა არ გააჩნია. გააგრძელეს ხმები, რომ ზ. ჟვანია შეეწირა ბიზნეს-ინტერესების ხელახლა გადანაწილების პროცესს. არაა დასაჯერებელი, ვინაიდან ასეთი ბიზნეს-ინტერესების გადანაწილება მაშინ ხდებოდა სამ ძალას შორის (სააკაშვილი –

ჟვანია – ბურჯანაძე), როცა მოქმედების ფუნქციები (არეალი) მათ შორის ჯენტლმენურად იყო გადანაწილებული. ეს ხმები ისევ და ისევ იმისთვის დაყარეს, რომ პრეზიდენტის გუნდისათვის ევნოთ.

ყოველივე აქ თქმული მხოლოდ ერთზე მიგვანიშნებს: ზ. ჟვანიას „ბიოლოგიურ გარდაცვალებაში“ თუ წინასწარგანზრახულ მოქმედებაში იმდენი შავი წერტილია, რომ ყველას ვერ ჩამოთვლი და თუ ეს ასეა და თუ ეს ყველაფერი მთავრობის (პრეზიდენტის) წინააღმდეგ მუშაობს, მაშინ ისმის კითხვა, რატომ არ იღებს მთავრობა კონტრლონისძიებებს? რა საგამომძიებლო ლოგიკას ექვემდებარება ის, რომ ჟვანიას სიკვდილის ფაქტზე აღძრული საგამომძიებო საქმე თითქმის მეხუთე წელია მიმდინარეობს და ჯერჯერობით მის დამთავრებას არავითარი პირი არ უჩანს? რატომ არ არის გამოქვეყნებული სამედიცინო ექსპერტიზის შედეგები? რატომ არ არის გაცემული პასუხი კითხვებზე: ა) რატომ უნდა შეხვედროდნენ იმ დღეს და ისიც კონსპირაციულად ქვეყნის პრემიერი და საზოგადოების პაიკი (ჭანჭიკი) ერთმანეთს? რა საერთო საუბრის თემა უნდა ჰქონოდათ მათ? რატომ ინარჩუნებენ დუმილს დაცვის თანამშრომლები? (თუმცა ეს გასაგებია, ისინი ხომ შსს-ს თანამშრომლები არიან და ყოველთვის იყვნენ თვალი და ყური შსს მინისტრისა. ასე იყო კომუნისტების დროსაც, მაშინ ისინი სუკში შედიოდნენ, ახლა კი შსს-ში). და ალბათ ისმის ერთი ლოგიკური კითხვა: ამ „საგამომძიებო საქმეს“ ხომ უნდა ჰქონდეს როდისმე მაინც დასასრული, თორემ, როცა უნდა, ოპოზიციას ახსენდება და თვალეებში ნაცარს აყრის მთავრობას, ზ. ჟვანიას ოჯახის წევრებიც ეზოპეს დიპლომატიური ენით ერთგებიან „დისკუსიებში“ და სამთავრობო ძალებისკენ იშვერენ ხელს. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მთავრობისა და პრეზიდენტის იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს. ისინი კი, უკვე რამდენიმე წელიწადია, უმოქმედონი არიან. რატომ? თუკი

ყოველივე ამას მთავრობა არ გამოეხმაურა, მაშინ დასკვნა ერთია: თუ დამნაშავე თვითონ არაა, დამნაშავის დამცველი ან დანაშაულის მონაწილეა. ეს ხალხმა თვითშეგნებით უკვე ღიდიხანია იცის და ამიტომაც დაკარგა ნდობა ხელისუფლებისა. ხალხი მიხვდა ერთ ცხოვრებისეულ აქსიომას: იქ, სადაც ქვეყნის ლიდერის, მისი პრემიერ-მინისტრის სიცოცხლე არ არის დაცული, როგორ შეიძლება დაცული იყოს გირგვლიანების, რობაქიძეების და სხვათა სიცოცხლე? ეს აბსურდია და ასეთ აბსურდში ცხოვრება, მე მგონი, არავის არ აწყობს... ყოველივე ამის შემდეგ რატომ გვიკვირს, რომ ხელისუფლების ავტორიტეტი სულ დაბლა იწვეს. უმჯობესია, ხალხმა იცოდეს მწარე სინამდვილე, რაც არ უნდა მწარე იყოს იგი, ვიდრე სიყალბე, რამეთუ მთავრობის სიყალბეში არაერთხელ დარწმუნდა და ამიტომ არ ენდობა, და რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო არ ენდობა. და ამაში მთავრობა თვითონაა დამნაშავე, რითაც არაერთ ჩათვლით კოზირს აძლევს ოპოზიციას.

7. ერთი შეცდომა, როგორც წესი, თუ თვითკონტროლის თვისებას კარგავ და თვითკრიტიკას გადაეჩვიე, იწვევს სხვა შეცდომებს. ამ ოცი წლის განმავლობაში დაპირისპირებული საზოგადოება და, მითუმეტეს, მისი „ავანგარდი“ – ინტელიგენცია, რამდენიმე „იდეოლოგიურ“ პლატფორმებად დაიყო. კომუნისტური მმართველობის დროს ჩამოყალიბდა ინტელიგენცია, რომელიც ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს. ეს იყო ის ინტელიგენცია, რომელიც გაზაფხულზე ყვავილის კვირტებივით მრავლდებოდა და, სიმართლე უნდა ითქვას, კომუნისტური წყობაც ამას გარკვეულ წილად უწყობდა ხელს. ბუზებივით მრავლდებოდა ე.წ. საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციები და ისიც ისეთ აბსურდულ თემებზე, რომლებსაც საზოგადოებისათვის არავითარი სარგებელი არ მოჰქონდათ. ფართო გზა იყო გახსნილი სამედიცინო განვითარები-

სათვის, ისევ და ისევ დისერტაციები, ახალ-ახალი მეცნიერებათა კანდიდატები, მეცნიერებათა დოქტორები. ვითარდებოდა და გიგანტური ნაბიჯით მიიწევდა წინ ისტორიული მეცნიერება, ენათმეცნიერება, საინჟინრო-გეოლოგიური, ელექტრონული, გამოთვლითი ტექნიკა. შეიქმნა ქართული კინოს ფენომენი, რამაც სახელი გაუთქვა მას მთელ მსოფლიოში, განვითარდა ქართული ხუროთმოძღვრება, მუსიკა, მწერლობა და ა.შ. და ა.შ. რომ გავანალიზოთ ყოველივე ეს, მივიღებთ, რომ ქართველი ეროვნების დაახლოებით ერთი მესამედი ინტელიგენციის ფენად იქცა.

კომუნისტები არც თუ ისე უნიჭო მმართველები გახლდნენ, როგორც ახლა წარმოუდგენია ვინმეს და ამიტომაც, ოღონდ ხალხი მორჩილებაში და სიმშვიდეში ჰყოლოდათ და, ქმნიდნენ სახელმწიფო ხარჯზე უამრავ ე.წ. სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებს ცენტრში და მათ ფილიალებს ან დამოუკიდებელ ინსტიტუტებს პერიფერიებში. ასე დაისერა მთელი საქართველო სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებით: მეცნიერებათა აკადემია (მის დაქვემდებარებაში მყოფი ინსტიტუტები), მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი, მხატვართა კავშირი, კიბერნეტიკის, ნახევარგამტარების, ფიზიკის, მათემატიკის, მექანიკის, სამშენებლო მექანიკის, ენათმეცნიერების, ისტორიის და მრავალი სხვა ინსტიტუტი. თუკი ამას დავუმატებთ სასწავლო დაწესებულებებს (თსუ, სპი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სამედიცინო, ვეტერინარული და მრავალი სხვა) და სამეცნიერო კვლევით ცენტრებს, პედაგოგებს, ამით ერთი დიდი არმია ინტელიგენციისა კიდევ მიემატა საზოგადოებას. არა გვაქვს უფლება დავივიწყოთ ქართული თეატრი, ქართული ესტრადა, ქართული ტელევიზია, რა, ისინი ინტელიგენტებად არ ჩაითვლებიან თუ რა?! ასე რომ გავაგრძელოთ, ჩამონათვალი ძლიერ შორს წაგვიყვანს. უბრალოდ მე პატარა ექსკურსი გავაკეთე, რომ გაგახსენოთ, თუ რა დიდი სიმდიდრე

გაგვანია ქართველებს ჩვენი ინტელიგენციის სახით, რომლის აზრის გაუთვალისწინებლობას კომუნისტებიც კი ერიდებოდნენ და მისი მოთვინიერებისათვის შესანიშნავად იყენებდნენ ე.წ. „კნუტისა და პრიანიკის მეთოდს“. აი, ასეთი დიდი არმია საზოგადოებრივი ფენისა მიიღო პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობამ და საქართველოს მთავრობამ 1990 წლიდან.

ზევით უკვე მოგახსენეთ გაკვრით მაინც, რად დაუჯდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს ამ საზოგადოებრივ ფენასთან დაპირისპირება და ეს მოხდა მაშინ, როდესაც იგი თავისი წარმოშობით და საზოგადოებრივი იერარქიით ამ ფენის ერთ-ერთი წევრი გახლდათ. რად დაუჯდა? ფინიშად! მოვიდა შევარდნაძე და გარკვეულ წილად დაეყრდნო ამ თავის კომუნისტური მმართველობის წიაღში აღზრდილ ინტელიგენციას, მისცა მათ გარკვეული პრივილეგიები, წარმოაჩინა, რაღაც მიზეზული სუბსიდიებიც გამოუყო სულიერი თუ მატერიალური არსებობისა, ისე რომ, ბებერ მელას არაფერი შეშლია. ეს მისი სტიქია იყო.

შემდეგ შევარდნაძე შეცვალა (ჩაანაცვლა) მისმა მოწაფემ მ. სააკაშვილმა, იმავე ინტელიგენციის ფენიდან გამოსულმა ახალგაზრდამ, კომუნისტი აკადემიკოსების, პოეტების, პროფესორების, დოქტორების ოჯახში გაზრდილმა ადამიანმა და ასეთი თანხვედრი პოზიციების პიროვნებებს კონფლიქტის არავითარი წინა პირობა არ უნდა ჰქონოდათ. მაგრამ სააკაშვილი მაშინ სააკაშვილი არ იქნებოდა, რომ აქაც წყალი არ აემღვრია და საზოგადოების ის ფენა, რომელიც შეიძლებოდა მისი აქტიური მხარდამჭერი გამხდარიყო, სულ რაღაც 2-3 წელიწადში გაანაწყენა და შემდეგ მოსისხლე მტრად – ოპოზიციად აქცია... რატომ მოხდა ეს? ეს, ბატონო, მოხდა „უბრალო“ მიზეზთა გამო, სახელმწიფო ბიუჯეტის თუ სააკაშვილის ზოგიერთი დაჯგუფების მოხელის პირადი ჯიბის შევსების აუცილებლობით. დაახლოებით 2-3 წელიწადში საბაზრო

ეკონომიკური პოლიტიკის რუსეთის თუ მსოფლიო ფენომენმა კ. ბენდუქიძემ, რომელიც საქართველოს ბარცელევიჩად იქცა, რაც კი საქართველოში მატერიალურ ღირებულებას შეადგენდა (ქარხნები, მიწები, პორტები, შენობები და მრავალი სხვა), ყველაფერი გაყიდა და გასაყიდი და გასასხვისებელი ამ პატარა ქვეყანაში აღარაფერი დარჩა. აი მაშინ გაახსენდათ ე.წ. კომუნისტური წყობის პირმშოები (გადმონაშთები), საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ორგანიზაციები, სადაც ფულის შოვნა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. ისე კაცმა რომ გულახდილად განსაჯოს, განა პარადოქსი არ არის, რომ საქართველოს მწვერალთა კავშირში გაწვევრიანებულია ექვსასზე მეტი მწვერალი, კომპოზიტორთა კავშირში ათასამდე კომპოზიტორი, მხატვართა კავშირში კიდევ მეტი და ა.შ. და ეს კავშირები ფლობენ შესანიშნავ ოფისებს (მაპატიეთ, შენობებს) ქალაქის ცენტრში, დასასვენებელ სახლებს, სანატორიუმებს და ა.შ. ზევით რომ ჩამოვთვალეთ კომუნისტური წყობის დროს ზაფხულის იებივით მომრავლებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ამ ინსტიტუტებმა უკვე დიდი ხანია საღათას ძილით განისვენეს, ხოლო მათი შენობები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებაში დარჩა. ყოველივე ეს ჩამონათვალი უძრავი ქონებისა იქცა მთავრობისა და ამ ორგანიზაციათა დაპირისპირების წყაროდ, და აბა მთავრობა რისი დამთმობი იქნებოდა? ჯერ იყო და, აკადემიას წაართვა ე.წ. აკადემიქალაქი მისი „მამულებით“, შემდეგ ქალაქში განთავსებული ყოფილი ინსტიტუტები და სარფიანად მიაყიდა. მერე მწვერალთა კავშირს წაართვა შენობა (მართალია, როცა გაუჭირდა, დათმობაზე წავიდა და ჯერ არ გაუხსხვისებია). ამის შემდეგ კომპოზიტორთა კავშირს წაართვა ბორჯომის დასასვენებელი სახლი და ა.შ. როგორ გგონიათ, ყოველივე ეს ამ შემოქმედებითი ინტელიგენციის აღფრთოვანებას გამოიწვევდა? რა თქმა უნდა, არა,

რადგან ისინი სულელები ხომ არ იყვნენ, ეს შენობები დიდი ხანია ან გასხვისებული ჰქონდათ ან არენდაზე გაცემული და ამით ინახავდნენ თავს. ამას აპატიებდნენ მთავრობას თუ პრეზიდენტს? ეს ხალხიც მთავრობის „ჭკვიანური“ ქმედებების გამო მის მტრად ანუ ოპოზიციად იქცა.

ერთი გადახვევა მინდა გავაკეთო და აღვნიშნო: მთავრობის ეს გადაწყვეტილება სრულებითაც არ იყო არარაციონალური ნაბიჯი. მაგრამ, როგორც ყოველთვის, სულმა წასძლიათ და იჩქარეს. არცერთ ცივილიზირებულ ქვეყანაში (გარდა საფრანგეთისა და, მოდით, საფრანგეთს თავს ნუ შევადარებთ) არ არსებობს ქვეყნის ბიუჯეტით დაფინანსებული მეცნიერებათა აკადემია. ერთი მითხარით, არსებობს კი ამერიკის, ინგლისის, გერმანიის, ნიდერლანდების, შვეიცარიის თუ მრავალ სხვათა მეცნიერებათა აკადემიები? რა თქმა უნდა, არა. არსებობენ ამის მაგვარი საზოგადოებრივი ასოციაციები თუ ჯგუფები, შექმნილი ნებაყოფლობით, სპონსორების დახმარებით ან პირად ხარჯთაღრიცხვაზე. სახელმწიფო ასეთ დაფინანსებას არ აწარმოებს. მას აქვს სახელმწიფოში გარკვეულ მეცნიერებათა განვითარების პერსპექტიული გეგმა, ქმნის და აფინანსებს მათ გზადაგზა ქვეყნის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და ღინამიურად ცვლის პრიორიტეტებს. ეს ეხება ყველა დარგს. ეს ყველაფერი იმდენად ლოგიკურია, რომ კამათს აზრი არა აქვს. ეს ანაქრონიზში, ადრე თუ გვიან, თავის ლოგიკურ გადაწყვეტილებას საქართველოშიც მიადწევდა, მაგრამ აბა ჩვენ სად გვცალია მოთმინებისათვის? იმანაც კი არ გაგვაჩერა, რომ ეს ხალხი ქუჩაში უმუშევრად არ გაგვეყარა. ესეც ერთი პლიუსი „ოპოზიციას“.

ანდა მეცნიერებათა აკადემიას რომ ვეცით, განა შეიძლება ამ პატარა ქვეყანაში ათასობით მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი გყავდეს და ისიც სახელმწიფოს ბიუჯეტზე გადმოკიდებულნი?! მაგრამ აქაც სინ-

ქარემ და მათმა „ქონებამ“ დაახარბა მთავრობა. კიდევ ერთი პლიუსი „ოპოზიციას“!

მაგრამ მთავრობა ამაზეც არ შეჩერდა. ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინეს, რომ თითქმის მთელი თუ არა ნახევარზე მეტი თბილისი თავისი მიწებით, სანაპიროებით, ხეივნებით თუ სკვერებით შევარდნაძის მთავრობის დროს გასხვისებულა კერძო პირებზე და არც თუ ისე უცნობ საზოგადო მოღვაწეებზე, არტისტებზე, მხატვრებზე, ჩინოვნიკებზე და, ერთი სიტყვით, ისევ და ისევ ჩვენს საამაყო ინტელიგენციის „ღირსეულ“ წარმომადგენლებზე. ამ აღმოჩენამ მთავრობას ახალი ფულადი წყარო აღმოუჩინა. საჭირო იყო ამ „შანსის“ რეალიზება ე.ი. გასხვისებული „პრივატიზირებული“ მიწების და მათზე უკვე აშენებული სახლების (უძრავი ქონების) ექსპროპრიაცია.

ერთი კითხვაც ისმის, როგორ შეიძლებოდა ასეთი მიწების გაყიდვა სიმბოლურ ფასად ქალაქის ცენტრში? ე.ი. შევარდნაძის კორუმპირებული მთავრობის დროს ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა და საერთოდ ე. შევარდნაძის მთავრობის ბოლო ორი, სამი წელი ძალიან წააგავს ბრეჟნევისა და მისი გადაბერებული სამთავრობო ჯგუფის (პოლიტბიუროს) წევრების ცხოვრების დევიზს „после меня хоть потоп“. ოღონდ ჩვენ ვიყოთ კარგად და ჩვენს შემდეგ ეს ქვეყანა თუბინდ წარღვნას წაუღეკიას. კარგი თეორიაა, არა? ანდა ის ხალხი რა სინდისით და ნამუსით იძენდა ამ მიწებს და აშენებდა სახლებს იქ, სადაც ნებართვა ასეთი აღმშენებლობისა ქალაქის არქიტექტურის სამმართველოს მიერ გაცემული არ იყო? ერთადერთი კაცი, რომელიც გადაურჩა ამ კორუფციულ ტალახში ამოსვრას, მაშინდელი ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრი მერაბ ჩხენკელი გახლდათ, კომუნისტების დროს ქალაქის არქიტექტურული სამმართველოს უფროსის – ვანო ჩხენკელის შვილი, რომელსაც პატიოსნება და პროფესიონალიზმი გენეტიკური ჰქონდა

და არცერთ ასეთ დანაშაულებრივ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია. ამიტომაც იყო, თეთრმა მელამ, როცა მ. ჩხენკელს ათავისუფლებდა სამსახურიდან, დაახლოებით შემდეგი განაცხადა: „მშენებლობის მინისტრი წესიერი, ნიჭიერი პიროვნებაა, წესიერი მამის შვილია, მაგრამ სამინისტროში და საზოგადოებაში გამეფებულ კორუფციულ ზეწოლას სათანადო უკომპრომისო ბრძოლა ვერ გამოუცხადაო“. შე კარგო კაცო, იმის მაგივრად, რომ მხარში ამომიდგე, დამეხმარო, სამართალდამცავი სამინისტროები დამეხმარო და კორუფცია მოსპო, მათთან ბრძოლას მე მაკისრებ? მაგრამ პრეზიდენტი მშენებლობის მინისტრს როგორ დაეხმარებოდა, როცა მისი მინისტრები და ძალოვანები თბილისში ვილებს თვითონ იშენებდნენ და ძირითადად ამ საკითხს არავის უთანხმდებოდნენ. ამიტომაც არქიტექტურულად ქალაქი გასული საუკუნის დასაწყისის შანხაის დაამსგავსეს, თორემ ახლანდელი შანხაი ნიუ-იორკსაც არ ჩამოუვარდება.

ორი ყველაზე გახმაურებული „ბრძოლა“ უკვე აშენებული სახლების ექსპროპრიაციის გამო მოხდა, პირველი, როცა მარჯანიშვილის თეატრთან აშენებული სახლი მსახიობებს ჩამოართვეს. ასე იშვა ამ ეპიზოდის შემდეგ ოპოზიციონერი მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე და მისი ჯგუფი ბინაჩამორთმეული მობინადრეებისა.

მეორე შემთხვევა საომარ ბატალიებს მოგაგონებდათ. დღისით, მზისით, პოლიციისა და მაშველი რაზმების დახმარებით თავს დაესხნენ თაბუკაშვილის ქუჩაზე აშენებული სახლის მობინადრეებს, რომ იტყვიან, შეუღლეწეს კარ-ფანჯრები, გაუნადგურეს ქონება და თვალწინ დაუწყეს ნგრევა. იურიდიულად თითქოსდა მთავრობა მართალი იყო. სახლი უნებართვოდ აშენდა. მაგრამ სახლი უკვე აშენებული იყო, ეს ბინები მათი პირადი საკუთრება გახლდათ და მათი ხელყოფის უფლება არავის არ ჰქონდა. ამ ეპიზოდმა პოლი-

ტიკაში მოავლინა ყოველთვის წყნარი, თავისი საქმის პროფესიონალი ოპერის მომღერალი ლელიკო ჯაფარიძე – უკვე მთავრობის დაუძინებელი მტერი და პრეზიდენტის დაუნდობელი ოპონენტი. ესეც შემდეგი პლიუსი ოპოზიციის ბლოკისა.

მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია, და გამომცემლობა „სამშობლოს“ ოკუპაცია-ექსპროპრიაციაც ჩაატარეს, თითქოსდა იურიდიულად გამართლებული, რადგანაც იქ განთავსებული რედაქციები და დაწესებულებები საგადასახადო ქირას არ იხდიდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ მიზეზი გახლდათ. მთავარი იყო რუსთაველზე პრესტიჟულ ადგილას შენობის ექსპროპრიაცია და, რაც ყველაზე მთავარია, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქციის დარბევა, რომელმაც ტელეარხ „იმედთან“ ერთად თავის კრიტიკული სტატიებით გაანაწყენა მთავრობა. „იმედს“ ცოტა გვიან მიხედავენ. ჯერ „ასავალ-დასავალის“ დრო დამდგარა. დალაშქრეს, გადმოუყარეს ქუჩაში პირადი ნივთები, პრინტერები, კომპიუტერები, შენობას ბოქლომი დაადეს და დაცვა ჩააყენეს. აი, მაშინ სად იყო ოპოზიცია, არ მახსოვს. ერთი კი ვიცი, თავი არავის გამოუდვია „ასავალ-დასავალის“ დასაცავად. მაგრამ, „ვაის გავეყარე და უის შევეყარეო“ – ნათქვამია. ამ გაზეთის გადამტერება ძვირად დაუჯდა მთავრობას და მის ლიდერს: დარბევის შემდეგ გაზეთის ფურცლები თითქმის ანტისამთავრობო პროკლამაციებად იქცნენ. თუკი დარბევამდე კრიტიკული სტატიებით შემოიფარგლებოდნენ, ახლა გინებას და ლანძღვასაც არ ერიდებიან პრეზიდენტისა. ზოგიერთი სტატია უბრალოდ ისეთი სიძულვილითა და ბოღმით არის გამსჭვალული, რომ ყოველგვარ ჟურნალისტურ ეთიკას აღემატება და თანდათანობით პასკვილის უანრად წარმოგვიდგება. ლანძღვა და გინება არაა ძნელი საქმე, აი, გააზრებული, მიზანმიმართული, ანალიტიკური სტატიები ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკაზე, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, წარ-

მოჩინება დაშვებული შეცდომებისა, ქვეყანაში არსებული დუხჭირი სოციალური ყოფისა, მეთაურის შეცდომებისა, მთავრობის დანაშაულებრივი ქმედებებისა და ასეთი საგაზეთო პოლიტიკის გატარება კი ძალიან რთულია. უფრო ადვილია ლანძღვა, გინება, კარიკატურები და ამ ფონზე ე. შევარდნაძის ყოველკვირეული სენტენციები, ანდა – შაშიაშვილისა და პეტრიაშვილის ჭორების საუბრები და ლევან სანიკიძის ქართული საინტორიო ზღაპრის „უქარქაშო ხმლების“ ბეჭდვა.

8. მთავრობის შეცდომები თანდათან გროვდებოდა, იღექებოდა ხალხის გონებაში, მის ფსიქიკაში, არსებაში და საჭირო იყო ალბათ გააზრებული გაანალიზება არსებული სიტუაციისა, რომ შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობიდან გამოსავალი გვეპოვა. ხალხისთვის აგვეხსნა რისთვის და ვისთვის იყო ასეთი ქმედებების დაგმობა აუცილებელი. მაგრამ ამისათვის აბა ვის ეცალა? არჩიეს უკიდურესი პოზიცია (საუბედუროდ, ახლაც ასე იქცევიან): ჩვენ ყველაფერში მართლები ვართ, ყველაზე ჭკვიანები ვართ და ყველაზე ეშმაკები ვართ და ამიტომაც მაგრები ვართო (რა არის ეს, თუ არა გათავხედებული და ჭირვეული ყმაწვილკაცების ჟინი?). თუ ასეთი პოლიტიკით იცხოვრე და მართე ქვეყანა, მაშინ შეცდომიდან დანაშაულ ქმედებამდე ყოველგვარი ზღვარი იშლება.

გაიხსენეთ 2007 წლის 7 ნოემბრის დღეები, სამთავრობო ჯგუფის რუპორებით შეუნიღბავი მუქარები: ხელები არავის წაუცდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაკენ, თორემ სახელმწიფო თავის ძალას ყველას უჩვენებსო. სასაცილო იყო ყოველივე ამის ყურება და მოსმენა იმ ხალხისგან, ვინც თვითონ სულ რაღაც 3-4 წლის წინ რევოლუციური ამბოხების გზით მოვიდა ხელისუფლებაში და, როგორც ახლა ირკვევა, საკმაოდ შეიარაღებულიც ყოფილა ე.წ. „ვარდების რევოლუციის დროს“. რა, ასე ჩქარა დაავიწყდათ თავიან-

თი წარსული? არა, სრულებითაც არა! პირიქით, ამ ახლო წარსულის გამოცდილებიდან და იმ ხალხის ხასიათის თვისებებიდან გამომდინარე, რომლებიც უკვე თავს ოპოზიციად მიიჩნევენ, აცხადებდნენ ყოველივე ამას თარგამაძე, ბოკერია და ძმანი მათნი, კარგად ახსოვდათ როგორც თავის „რევოლუციური“ ახლო წარსული, ისე ძმები გაჩეხილაძეების, ძმები ხაინდრაგების, ძმები ბერძენიშვილების, ძიძიგურის, კუკავას, ღავითაშვილის და კიდევ ბევრ სხვათა რევოლუციური წარსულიც, როცა მხარდამხარ ერთად იბრძოდნენ შევარდნაძის მთავრობის წინააღმდეგ. უბედური საქართველო! ამ პატარა ქვეყანაში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ყველა ოპოზიციონერის ამბიციების დასაკმაყოფილებელი თანამდებობები რომ აღმოჩენილიყო, მაშინ ცოტახანს მაინც დამშვიდდებოდა ქვეყანა. ახლა კი გაიმართა ძმათა საძულველი ბრძოლა, სადაც ერთნი ხელისუფლებაში არიან, ხოლო მეორენი აღამებენ და ათენებენ მხოლოდ ერთი მანიაკალური სურვილით – გადააგდონ ისინი, რათა მათი ადგილი დაიკავონ და მეტი არაფერი. რიტორიკა იმისა, რომ ერთნიც და მეორენიც ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძვიან, დემოკრატიული, ეკონომიკურად განვითარებული საქართველოსთვის იბრძვიან და სიცოცხლესაც კი შესწირავენ ამ იდეას, – ფუჭი ლაყბობაა. საბრალო ხალხი კი, უკვე მერამდენედ, ამ ბრძოლაში მხოლოდ საზარბაზნე მასალაა მათი ამბიციური მიზნების მისაღწევად.

მთავრობა ეძებდა მიზეზს და საბაბს, ესწავლებინა ჭკუა (როგორც გათავსებულ ბავშვებს ასწავლიან მამები) ოპოზიციისთვის და ძალის გამოყენებით ეჩვენებინა: პირველი – თუ ვინ არის ქვეყნის „ხაზეინი“ და მეორე – რომ არასოდეს დაუშვებდა მთავრობაში ახალი ძალების მოსვლას ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, ე.ი. „ვარდების რევოლუცია“ საქართველოში ბოლო რევოლუციური გადატრიალებ-

ის ფინიში იყო...

უნდოდა და დაუმტკიცა კიდევ: დილით, გათენები-სას, მაშინ, როდესაც პარლამენტის წინ ყველაზე მცირე რაოდენობის მომიტინგეები იყვნენ, თავს დაესხა და დაარბია ისინი. შემდეგ უფრო მეტი: მთელ ქალაქში სდია მათ და მსოფლიო მასმედიის დასანახად იმდენი ურტყა ხელკეტები, რამდენიც სურდა, ურტყა იქ, სადაც წინააღმდეგობას შეხვდა და ურტყა იქაც, სადაც ამას არავითარი ოპერატიული მდგომარეობა არ მოითხოვდა. შემდეგ უფრო მეტიც: დაარბია ტელეარხი „იმედი“. მაპატიეთ, მაგრამ ამ ტელეარხის დარბევა საშინელ კინოკადრებს გაახსენებს ადამიანს და, რომ არ იცოდე, ეს ხდება 2007 წელს, ნოემბერში, თბილისში, მაშინ 1934-1935 წლების გერმანიაში ანდა 1933 წლის ჩილეში გეგონება თავი. რა ვქნათ? ჩვენი მოგონილი არ არის: ისტორიები მეორდება და მეორდება – ხშირად ყალბი ფარსის სახით.

2007 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ მთავრობისადმი საზოგადოებისა და ხალხის უნდობლობის ზღვარმა უმაღლეს კრიტერიუმს მიაღწია. გამოსავალი (ალბათ – ნაკარნახევი ვაშინგტონიდან) ახალი არჩევნები გახლდათ და სამთავრობო გუნდი წავიდა პრეზიდენტისა და პარლამენტის ახალ არჩევნებზე. მართლაც ეშმაკი და „ჭკვიანი“ აღმოჩნდა მთავრობა და არა ოპოზიცია. ოპოზიციას არჩევნებამდე უნდა მოეთხოვა კონსტიტუციური ცვლილებები, საარჩევნო კოდექსის შეცვლა ე.ი. დაებაღანსებინა ქვეყანაში საარჩევნო სისტემა, და თუ ამას ვერ შეძლებდა და თუ ამას ვერ მიაღწევდა, არავითარ არჩევნებში არ უნდა მიეღო მონაწილეობა. დაე, სამთავრობო ჯგუფს თავისი თავი თვითონ აერჩია. მაშინ მათი ლეგიტიმაციის საკითხი ახლა სხვანაირად დადგებოდა.

არ ვიცი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ოპოზიცია წავიდა ამ არჩევნებზე, რომლის შედეგიც წინასწარ გაანგარიშებული იყო.

რატომ და რისთვის მოხდა ეს? ვარაუდები არსებობს და ყველაზე მეტად ის ვერსიაა გამართლებული, რომ როგორც „ოპოზიცია“ (მთავრობა), ისე „ოპოზიცია“ (ქუჩის) ერთი ცენტრიდან იმართებოდა ან ერთი ბანკიდან ფინანსდებოდა. ისე აგისდეთ ყველა თქვენი ნატვრა, მკითხველო, როგორც ჩვენი ვარაუდი ახდა და ბატონებმა კუბლაშვილმა, თარხნიშვილმა, ძალოვანმა მინისტრებმა (ვ. მერაბიშვილის თამაძობით) პრეზიდენტს „აჩუქეს“ და ხალხს ამცნეს ნაციონალების გამარჯვება, მაგრამ ზომიერ ფარგლებში 52,7%-ი. ამით არჩევნების „დემოკრატიულობას“ გაუსვეს ხაზი, თუმცა სავსებით თავისუფლად შეეძლოთ 70-75% გამოცეხადებით, რა, ჭკუა დაუშლიდათ თუ ვინმეს მოერიდებოდნენ? მაგრამ ისინიც ხომ „დემოკრატები“ არიან და თავის მრწამსს ვერ გადაუხვიეს. მერე რა, ოპოზიციამ ატეხა ყაყანი, განგაში, არჩევნები გაყალბებულაო, მოგვატყუესო და ა.შ. და ა.შ. ყოველივე ეს ჩხუბის შემდეგ ხელების ქნევას ჰგავდა. სამთავრობო ჯგუფმა პრეზიდენტის თამაძობით არჩევნები ლეგიტიმურად გამოაცხადა და ამაში უცხოეთის „დემოკრატმა ლობისტებმა“ მხარი დაუჭირეს. არადა, რა სამსახიობო-სარეჟისორო ნიჭი იხარჯება ამოდ, როცა ვხედავთ ზოგიერთ მთავრობის წევრს, განსაკუთრებით ახლანდელ „ოპოზიციონერს“, ყოფილ პარლამენტის სპიკერს ქალბატონ ნ. ბურჯანაძეს, ახლანდელ პარლამენტის სპიკერს ბაქრაძეს, ბატონებს: ბოკერიას, კუბლაშვილს, სამყურაშვილს, მაჭავარიანს, წიკლაურს და ბევრ სხვას. როცა ტელევიზიით გამოდიან, სახეზე არც ერთი კუნთი არ შეუკრთებათ, აცხადებენ, არჩევნები ლეგიტიმურია და პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა კანონის სრული დაცვით მოვიდა ხელისუფლებაშიო. რაც არ უნდა პირდაპირი, ლაკონური, ლოგიკური შეკითხვა დაუსვათ, ისინი მამაოჩვენოსავით სიტყვებს იმეორებენ. ერთი კია, ამ დროს თავს დახრიან, ეკრანს არ უყურებენ და ხუთოსანი (თუ ახლა ათოსანი) ჭკვი-

ანი ბავშვი რომ დაიზეპირებს ლექსს და შემდეგ დაუფიქრებლად კითხულობს, ისე აცხადებენ ყოველივე ამას.

ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, და საკმაოდ ლოგიკურადაც, როგორც ეგზიტპოლების კვლევის შედეგად, ისე საარჩევნო ბიულეტენების დათვლით, რომ სააკაშვილმა თბილისში (9-10) საარჩევნო ოლქიდან უმრავლესში წააგო არჩევნები, ასევე, მათი თქმით, მან წააგო არჩევნები ქუთაისში, კახეთში, ქართლის ზოგიერთ რაიონში. კარგით, ნუ დაუფჯერებთ ოპოზიციას, მათი მიკერძოებული აზროვნების გამო, მაგრამ იგივეს აცხადებს საზოგადოების ბევრი პატივცემული პიროვნება, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არასამთავრობო ასოციაციები, შედარებით ნეიტრალური პოლიტიკოსები და მრავალი სხვა. დამაჯერებელია თუ არა ეს განცხადებები? ჩვენდა სამწუხაროდ, დამაჯერებელი უფროა, ვიდრე დაუჯერებელი. უბრალო არითმეტიკასაც თუ მოვიხმობთ, დავადგენთ: გამოცხადებული 52,7%-დან არჩევნების სამთავრობო ადმინისტრაციის რესურსები შემდეგია: 1. მთავრობა, მათი ოჯახები, ნათესავები, ჩინოვნიკები, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში, ეს ხალხი, რა თქმა უნდა, თავის ბელადს უნდა აძლევდეს ხმას, ის ხომ მათი „მამა-მარჩენალია“?! 2. ჯარისკაცები (ე.ი. საჯარისო ქვედანაყოფები), სადაც ხალხი მწყობრში მიყავთ ერთ საარჩევნო ყუთთან და ეს არამარტო საქართველოშია დამკვიდრებული, არამედ ბევრ ე.წ. „დემოკრატიულ“ ქვეყანაში. 3. სასჯელ-აღსრულების დაწესებულებები (ციხეები, კოლონიები) და მათი მოხელეები. აქ მნიშვნელობა არა აქვს, „კონტიგენტი“ ვის მისცემს ხმას, რადგან უკონტროლობის გამო, ამ არასასურველი ბიულეტენების შეცვლა ყოველთვის არის შესაძლებელი. 4. საარჩევნო სიების ანაქრონიზმი და დომხალიზაცია (ამ საქმეში ბატონ თარხნიშვილს ტოლი არ ჰყავს, თავისი საქმის უბადლო ოსტატია). სამთავრობო ადმინისტრირების გაყალ-

ბების რეზერვები. 5. ამომრჩეველი, რომელიც ვერ მივიდა საარჩევნო ყუთთან, წინასწარ საარჩევნო სიებში შეტანილი მკვდარი სულები (აქ, დამერწმუნეთ, კარგი პროცენტებია დამარხული). 6. საქართველოს სინამდვილეში, მისი მოსახლეობის ეროვნული მრავალფეროვნება, მათი კომპაქტური განსახლების გამო, ერთი დიდი რეზერვია (სამხედრო ტერმინოლოგიით ასეთ რეზერვს – „გენერალური შტაბის სპეციალურ რეზერვს“ უწოდებენ). ეს რეზერვი, აი, უკვე 20 წელიწადია, რამდენადაც პარადოქსალურად არ უნდა ეღერდეს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში გადამწყვეტ როლს თამაშობს. მხედველობაში გვაქვს ის რეგიონები, რომლებიც დასახლებულია ეთნიკურად აზერბაიჯანელებით და სომხებით. აი, აქ თამაშდება, თუ თამაშდება, ფარსი, ამ ხალხის თითქმის 100% ხმას აძლევს სააკაშილს, ისე როგორც ხმას აძლევდა შევარდნაძეს. 100%-ო ვთქვით და ეს ასეც გამოცხადდა. ახლა წარმოიდგინეთ, აქ ჩამოთვლილი გაყალბების ყველა პუნქტის მაქსიმალურად გამოყენების შემდეგაც ვერ მიიღეს 50%+1%, ე.ი. მიიღეს ალბათ 40-42%. ამიტომაც იძულებული იყვნენ უკანასკნელი (გენშტაბის) რეზერვი მაქსიმალურად გამოეყენებინათ. ახლა არ მითხრათ, ვინც ამას აკეთებს, სულელიაო. ერთი 5-7%-ით მაინც დაეკლოთ ამ მანკვებლებისათვის, რომ ხალხისთვის ეჩვენებინათ არჩევნების „დემოკრატიულობა“. კარგი რა, დედიჯან, შენ ისევე ხუმრობის ხასიათზე ხარ. რა დროს ხუმრობაა, როცა ქვეყნის ბედი და მომავალი ამ პროცენტზეა დამოკიდებული?! ისე მეც ხუმრობა გამომივიდა. ქვეყნის მომავალი აბა ვის ადარდებს მაშინ, როცა მათი თანამდებობების და სავარძლების საკითხი წყდება?! ახლა არ დამიწყით – ხალხის ინტერესებით?! თუ როგორ აინტერესებს ეს „ხალხის ინტერესები“ ამ ხალხს, ერთხელ უკვე ავიხსენით და ეს საკმარისი უნდა იყოს. აი, დაახლოებით ასეთი სცენარით ვიღებთ საქართველოში ე.წ. „დემოკრა-

ტიულ“ არჩევნებს, და ე.წ. ლეგიტიმურ პრეზიდენტს, ლეგიტიმურ პარლამენტს და, რაც მთავარია, აღმასრულებელ ხელისუფლებას – მთავრობას. ეს ტრადიცია 20 წელიწადია კარგად არის აპრობირებული საქართველოში. და არც იმის იმედი გქონდეთ, რომ ამ მთავრობის წასვლის შემდეგ არქივს ჩაბარდება ეს მეთოდი. არც ისაა გამორიცხული, ამ სცენარის ავტორები ბატონები მაჭავარიანი და კუბლაშვილი სავსებით ხვალ ვიხილოთ ახალ სამთავრობო სტრუქტურებში. ასეთი ხალხი ოქროდ ფასობს და ამ პატარა საქართველოს დასაკარგი ხალხი სადა ჰყავს?!

ერთ საკითხზე არავინ დაფიქრებულა: რატომ ხდება ასე სომხებით დასახლებულ ახალქალაქის რაიონში და მარნეულისა და გარდაბნის აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში? რა, ვინმესთვის საქართველოში საიდუმლოებას წარმოადგენს, იქაური სომეხი თუ აზერბაიჯანელი, ნაციონალისტურად თუ სეპარატისტულად განწყობილი ხალხის ნაწილი, რატომ არის ასე შეყვარებული პრეზიდენტზე? ხომ ნათელია, თუ რა დიდი გავლენა აქვთ ამ მოსახლეობაზე ერევნისა და ბაქოს მმართველებს, და თქვენ გჯერათ, რომ გადაწყვეტილებებზე არავითარ გავლენას არ ახდენს მითითებები ერევნიდან და ბაქოდან? რა ხდება, რატომ არიან იქაური მთავრობები ასე დაინტერესებული საქართველოს არჩევნების ასეთი შედეგებით, მაშინ, როდესაც სავსებით თავისუფლად შეუძლიათ თავიანთ მარიონეტებს სხვა მითითებები მისცენ? დასკვნა ერთია: აქ არის გარკვეული სტრატეგიული ინტერესი. ამავე დროს ეს ქვეყნები ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობლის არა მარტო „მეგობრები“, არამედ სტრატეგიული პარტნიორებიც არიან და ასეთ შანს იყენებენ. ახლა არ მითხრათ, ეს აზრი მარტო მე მომივიდა თავში. ასეთი პროფესიონალი ანალიტიკოსები ბევრნი არიან, როგორც მოსკოვში, ისე ერევანში და ბაქოში. საინტერესოა, რატომ არ იყენებენ ზეწოლას ამ რე-

გიონებზე, რომ იქ ოპოზიციამ გაიმარჯვოს? ამაზე ერთი პასუხი არსებობს: ვინც აწყობთ, იმათ აძლევენ ხმას. აბა პრაგმატული სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან სხვას რას უნდა ველოდეთ?! ვიღაცას (თუმცა რატომ ვიღაცას, სავსებით გასაგებია – ვის) აწყობს, საქართველოში ის ხელისუფლება იყოს, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკური რესურსები მმართველობაში გადასცა და ქვეყნის 1/5 უფეშქაშა რუსეთს. ნამდვილად აწყობთ ასეთი სურათი, რადგან ახალი მთავრობა რომ მოვიდეს, რომლის მმართველები ისევ ვაშინგტონში იქნებიან, მაშინ ახალი პრობლემები გაჩნდება მოლაპარაკებების სახით, გარიგებების სახით და ა.შ. ასე არ სჯობია – რაც სურდათ, მისაკუთრეს, ქვეყნის პრეზიდენტი ექსტრემისტად და ტერორისტად გამოაცხადეს და მასთან არავითარი საუბარი არ სურთ. ეს სიტუაცია კი ოკუპირებული ტერიტორიების შემტკიცების სიტუაციას უფრო რეალურს ხდის. გამახსენდა, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციები, ეუთო, ევროსაბჭო თუ ნატო აპროტესტებდნენ ყოველივე ამას. ამაზე კარგი რუსული გამოთქმა აქვთ: „Это их проблемы, Европа и Америка нам не указ!“

9. ყველა ამ შეცდომას თუ დანაშაულებრივ ქმედებას ღირსეული დაგვირგვინება ხომ სჭირდებოდა და ამიტომაც ჩაგვებით (ჩაგვაბეს) ამ ავანტიურისტულ ომში, უფრო სწორად სამხრეთ ოსეთში საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონების აღდგენის პროცესში. ეს ომი სრულებითაც არ იყო სპონტანური და ორივე მხარე, თითქმის დაახლოებით 3-4 წელიწადია, ემზადებოდა ომის გაჩაღებისთვის. ყოველ შემთხვევაში, რისკი დიდი იყო, მაგრამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ისე, როგორც ეს აჭარაში მოხდა, ქვეყანაში ძირეული გარდატეხა მოხდებოდა ხელისუფლების სასარგებლოდ და ამით მთავრობა მოახშობდა ყოველგვარ ოპოზიციას და რევანშს აიღებდა 2007 წლის 7 ნოემბრის „შეცდომი-

სათვის“ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც, ე.ი. პრეზიდენტის დადებითი იმიჯი ისევ ზენიტს მიუახლოვდებოდა, მაგრამ ის, რაც ახლა მოგახსენეთ, ეს ზოგიერთი უბადრუკი ქართველი პოლიტიკოსის ავადმყოფური ფსიქიკის გაანგარიშებით ხდებოდა და უფრო სასურველ სიზმარს ჰგავდა, რადგან ცხადზე ცხადი იყო, რომ რუსეთი ჩვენს ასეთ ნაბიჯს დაუსჯელად არ დატოვებდა. მაგრამ, რომ იტყვიან, სურვილმა აჯობა შესაძლებლობას და რეალობას, რეალობა კი ისეთი იყო, რომ ამ ომში თუ ავანტიურაში გამარჯვების არცერთი პროცენტი არ გაგვანდა. საერთოდ, ადამიანი როცა იღებ რამე სტრატეგიულ გადაწყვეტილებას (არცერთი ომი არ დაუწყია ნაპოლეონს, ისე რომ გულდაგულ არ შეესწავლა მოწინააღმდეგე, მისი საომარი რესურსები, ეკონომიკური შესაძლებლობები, ხალხის რეზერვი, სურსათ-სანოვავით მომარაგება და ა.შ. და ა.შ.), უნდა დაამუშაო, გააანალიზო მოქმედების დაახლოებით სამი სცენარი: 1. ოპტიმისტური. 2. საშუალო. 3. პესიმისტური. დამერწმუნეთ, ასევე უნდა ხდებოდეს და ასეც ხდება გათვლა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გამომუშავების დროს (ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც ამის უნარი და გონებრივი პოტენციალის დეფიციტს არ განიცდიან). ჩვენ? ო, ჩვენ ხომ ქართველები ვართ, ჭკვიანნი, გონიერნი და ნიჭიერნი?! მხოლოდ ერთი გვეშლება. ყველა საქმის გადაწყვეტაში აჩქარება გვლუპავს, ისე ჩქარა გვსურს სასურველი შედეგის მიღწევა, რომ რაღაც გამოთვლებისთვის, ანალიზისთვის არა გვცალია, პრაგმატულობა და დაკვირვება ჩვენ ქმედებაში იშვიათობას წარმოადგენს და ამიტომაც ვიდებთ იმას, რასაც ვიმსახურებთ.

სხვათა შორის, ინვესტიციის განხორციელებისათვის, ბიზნესის დაწყებისათვისაც გვაქვს სამი სცენარი: 1. ოპტიმისტური: შევისწავლეთ რა ყველა რესურსი (ძალების არსებობა, კომუნიკაციები, ანაზღაურება და

მრავალი ფაქტორი), ველოდებით რას? – მაქსიმალურ მოგებას. დამერწმუნეთ, კარგია და შესანიშნავი. 2. საშუალო: ე.ი. თუ ისე არ წავიდა საქმე, როგორც ჩავიფიქრეთ. რა უნდა ვქნათ? მთავარია, არ დავიბნეთ და კიდევ ერთხელ შევისწავლოთ ჩვენი შესაძლებლობები და ალბათ მივიღოთ ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება: გავაგრძელოთ თუ არა ბიზნეს-საქმიანობა, გვაქვს თუ არა ამის რაიმე პერსპექტივა, თუ არადა, თავის დროზე გამოვემშვიდობოთ ჩვენს მიზნებს. 3. პესიმისტური: სტიქიური თუ პოლიტიკური არეულობის გამო, ე.ი. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, საქმე არ წავიდა კარგად და არც იმას უჩანს პირი, რომ უახლოეს ან რაღაც პერსპექტივაში პროგრესს მივადწევთ. რა ვქნათ? რა ვქნათ და თავის დროზე, რომ იტყვიან, ავითესოთ ამ საქმიდან და რაც შეიძლება ნაკლები ფინანსური დანაკარგით, თორემ ვაი ჩვენს თავს, გავკოტრდებით.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენი თხრობის ძირითად თემას: ჰქონდათ თუ არა ხელისუფალთ გამომუშაებულ რაიმე დიპლომატიური თუ საომარი სცენარები ამ სამხედრო ავანტიურაში ჩართვისას? მთელი პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამისთვის მათ არ ეცაღათ და არც ამის გამოთვლის (ანალიზის) გონებრივი პოტენციალი გააჩნდათ, რამეთუ იმას რა გამოთვლა სჭირდებოდა, რომ რუსეთი ამ ომში ჩაებმებოდა და უბრალოდ გაგვანადგურებდა. ამის ყველა პირობა არსებობდა, როგორც სამხრეთ ოსეთის მოქალაქეთა პასპორტიზაციის, ისე ამ რაიონის მილიტარიზაციის სახით. ისიც არ უნდა დავვიწყებოდა, რომ ბერლინის ტრაგედიის შემდეგ რუსეთის რეპუტაცია საერთოდ ოს ხალხთან მიმართებაში ძლიერ ჩასვრილი გახლდათ და ეს მას აძლევდა შესანიშნავ შანსს, როგორც რეაბილიტაციისათვის, ისე საშინაო პოლიტიკის გაძლიერებისათვის. თორემ საგარეო პოლიტიკაში რუსეთმა უკვე დიდი ხანია ყველას დაუმტ-

კიცა, რომ ევროპა და ამერიკა მათთვის კანონი არ არის. ახლა, როცა ყველაფერი დაეკარგეთ, განაცხადეს, რომ ჩვენი მეგობრების (ეუთო, ევროპის საბჭო, ნატო და სხვათა) ძალისხმევით, ადრე თუ გვიან კი არა, ახლავე, ჩქარა დავიბრუნებთ დაკარგულსო. ეს ხალხის დაცინვაა და მეტი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, მწარე სინამდვილე ისეთია, რომ ეს ამბავი ასე ჩქარა არ მოხდება და, ღმერთმა იცის, საერთოდ როდის მოხდება. იმის ანალიზი, თუ როდის და როგორ შეიძლება ეს მოხდეს, შორს წაგვიყვანს და ალბათ ცალკე შესწავლის თემას წარმოადგენს. საერთოდ ყველაზე დიდი შეცდომა ისიც გახლდათ, როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში ღოზუნგით – „დაკარგულ ტერიტორიებს ჩემი პრეზიდენტობის, პირველ თუ არა, მეორე პერიოდის განმავლობაში დავაბრუნებთ“. როგორც მაშინ, ისე ახლაც ეს მხოლოდ პიარ-კომპანიის ნაწილი იყო და არის, ვინაიდან თავიდანვე ნათელი იყო, რომ საგარეო პოლიტიკით (რუსეთთან კონფრონტაციის გაღრმავებით, ნატოსთან დაახლოებით და მრავალი სხვა) ამის მიღწევა არამარტო უახლოეს ხანში, არამედ თანდათან პერსპექტივაშიც კი ქრებოდა. როგორ შეიძლება ან სად გაგონილა დიპლომატიკაში კაცი დამამცირებელი ეპითეტებით შეამკო და მერე ხელი გაუწოდო „მეგობრობისათვის“.

ძველი რომაული გამოთქმისა არ იყოს, რომელსაც იულიუს კეისარს მიაწერენ: „კეისრის ცოლი ეჭვგარეშეაო“ (ერთხელ, კეისარს მოახსენეს, თითქოს ცოლი ღალატობდა და მაშინ განუცხადებია ეს ფრაზა). ე.ი. ის, რაც კეისრის ცოლისთვის შეიძლება, სხვისთვის დაუშვებელიაო. ამ განმარტებებს თუ გაფხვებით, მაშინ ნათელია, რომ რუსეთისათვის ჩეჩნების სეპარატიზმი (როგორც სხვა) მიუღებელია და დაუშვებელია და ამიტომაც, აი უკვე 17 წელია, ამყარებენ იქ რუსეთის კონსტიტუციურ კანონის უზენაესობას. ერთი პერიოდი დამარცხდნენ კიდევ, მაგრამ რა? 1999 წელს

მეორედ შეუტეეს, არაფრად ჩააგდეს საერთაშორისო საზოგადოების აზრი და ასე თუ ისე „გამარჯვებას“ მიაღწიეს. აი, ჩვენთვის კი, ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენი კონსტიტუციის უზენაესობის აღდგენა სეპარატისტულ ტერიტორიებზე თურმე არ შეიძლება და ამის „კანონიერი“ მტკიცებისათვის დაურიგეს ჩვენს მოქალაქეებს თავისი ქვეყნის პასპორტები, შემდეგ მიიღეს კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც თვითონ მისცეს თავის თავს უფლება დაეცვათ თავისი მოქალაქეები, სადაც არ უნდა ეცხოვრათ მათ. ეს კი უნდა ყოფილიყო მინიშნება იმისა, რომ რუსეთი სრულებითაც არ ხუმრობდა და ყოველგვარი ძალის გამოყენება სეპარატისტულ ტერიტორიებზე გამოიწვევდა დიდ მასშტაბიან საომარ მოქმედებას დიდ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან, რომელთანაც პირისპირ საომარ მოქმედებებით ომის მოგება თეორიულად და, რა თქმა უნდა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ ავანტიურას ნამდვილად წამოეგო საქართველოს არასტაბილურად, არაგაანგარიშებულად მოქმედი მთავრობა და, რა თქმა უნდა, მისი პრეზიდენტი, რომლის პირადი პასუხისმგებლობითაც დაიწყო ეს საომარი ავანტიურა.

რისი იმედი უნდა ჰქონოდა საქართველოს მთავრობას, როცა ამ ომში ებმებოდა?! პრაგმატული აზროვნებით – არაფრის!!!

1. როგორც მოგახსენეთ, ომის მოგება თეორიულად და პრაქტიკულად პირისპირ ბრძოლაში შეუძლებელი იყო.

2. ევროპა ან ამერიკა ჩვენი გულისათვის თავს არ გასწირავდა და არავითარ ომს არ გამოაცხადებდა. ეს არ გააკეთეს გასული საუკუნის 20-იან წლებში, როცა კავალერიით და მცირე კალიბრის ზარბაზნებით ომობდნენ. ახლა კი ამას არც გააკეთებს და არც გააკეთებდა – ატომური, თერმობირთვული, რაკეტული, კოსმოსური შეიარაღების დროს.

3. ცხადზე ცხადი იყო, რომ თუ ჩამოთვლილი წინა

ორი პირობა შეუძლებელი იყო, ძალზე ადვილი მის-
ახვედრი გახლდათ ის შედეგი რაც დადგებოდა:

ა) რუსეთი „დაიცავდა“ თავისი მოქალაქეების უშიშ-
როებას და გადავიდოდა საომარ მოქმედებებზე.

ბ) ავიაციით გაგვინადგურებდა სახმელეთო და
საზღვაო თავდაცვის ინფრასტრუქტურას.

გ) გამოგვაცხადებდა ჩვენვე ჩვენს ტერიტორიაზე
აგრესორად.

დ) სეპარატისტული ტერიტორიების საბოლოოდ
მიერთებისათვის გამოაცხადებდა მათ „დამოუკიდებ-
ლობას“. რაში სჭრდება მათი უშუალოდ შეერთება
პროვინციებად? ეს უფრო მეტ ხმაურს გამოიწვევდა.
რა, ახლა შეერთებული არა აქვთ თუ რა?!

ე) ყველა თავის მოქმედებას შემდეგში (სახდვრებ-
ის დაცვა, ბაზების მშენებლობა, რკინიგზის, აერომი-
მოსვლის მართვა და მრავალი სხვა) გაამართლებდა
ე.წ. სახელშეკრულებო პირობებით, რასაც ახლა წარ-
მატებით ასრულებს და საუბედუროდ მივიღეთ ის,
რაც მივიღეთ. ქვეყნის მთლიანობის აღდგენა მრავა-
ლი ათეული წლით უკან გადავწიეთ.

ქვეყნის მეხუთედზე მეტი დაკარგულია, სახელმწიფო
საზღვარი დედაქალაქთან სულ რაღაც 40-42კმ-ში გა-
დის, გვიშენებენ სასაზღვრო-საკონტროლო ზონას.
ამაზე მეტი რა უნდა მოეტანა ამ ავანტიურას და, საუბე-
დუროდ ჩვენდა, ესეც საკმარისი არა ყოფილა სამთავრო-
ბო გუნდის გადადგომისათვის. ამიტომ, თუ ეს ხალხი
ავგისტოში არ გადადგა, ახლა არაფრით არ წავა.
მიზეზი ამისი მრავალია: ისინი თავიანთი შეცდომებ-
ისა თუ დანაშაულებრივი ქმედებების მძევლები არი-
ან. მათი წასვლა მმართველობიდან მათი ფიზიკური
და პოლიტიკური განადგურების ტოლფასია და ამიტ-
ომაც ყველაფერს გააკეთებენ პოლიტიკური ცხოვრე-
ბის გახანგრძლივებისათვის, რომელიც ფიზიკური სი-
ცოცხლის გარანტიას აძლევს.

დიდი ხანია მაწუხებდა ერთი არცთუ ისე სასიამ-

ოვნო აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ საერთოდ არ გვჭირდება რაიმე გასართობი საშუალებები, ისეთი როგორც ცირკია, ან იუმორის შოუები (ესოდენ გავრცელებული ქართულ ტელევიზიაში). რაც თავისუფალ პოლიტიკურ პროცესებში ჩავერთეთ ისე კარგად ვერთობით, რომ მეტი არ შეიძლება. მითუმეტეს, დასახელებული იუმორისტული ტელე-შოუები სავალალოდ გამოიყურებიან. სადაა ჩვენი ცნობილი კახური, სვანური, მეგრული და, რა თქმა უნდა, გურული განუმეორებელი იუმორი, რომელიც საერთო ჯამში ქართული ერის ცხოვრების ერთ-ერთი დამამშვენებელი გახლდათ.

დღეს 17 მაისია, კვირა, და ცნობილი ჟურნალისტის ინგა გრიგოლიას გადაცემაში ისევ და ისევ მოწმენი გახვდით ჩვენი პოლიტიკოსების როგორც პოზიციის, ისე რადიკალური ოპოზიციის პოლიტიკური აზროვნების დეფიციტისა. როდესაც არცერთ მოსაუბრეს არ სურს (როგორც პოზიციას, ისე ოპოზიციას) ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე პირდაპირ უპასუხოს და დემაგოგიურად (საუბედუროდ, ლოგიკურად) მიაჭენებს იქით, საითაც მას სურს. როცა ი. გრიგოლიამ დაუსვა კითხვა კ. გაბაშვილს, როგორ დაიჯეროს ხალხმა, რომ მთავრობა ჟურნალისტებს იცავსო მას შემდეგ, რაც ჟურნალისტების რბევა მოხდა ნოემბერში, ანდა მას შემდეგ, რაც ტელეარხი „იმედი“ სპეცნაზმმა შტურმით აიღო და ყველა ჟურნალისტი, მათ შორის ქალებიც და ი. გრიგოლიაც იატაკზე დააწვინესო, ბატონმა კ. გაბაშვილმა ყველაფერზე ილაპარაკა, გარდა დასმული კითხვისა. არა სჯობდა, ერთხელ მაინც ვაჟაკურად ეპასუხა, მაშინ ასე გვჭირდებოდა და ასე მოვიქეციითო?! მაგრამ აბა ამას როგორ იტყოდა? შემდეგ მოხდა უფრო მეტი, ე.წ. ოპოზიციონერმა (რომლის პოლიტიკური კრედოს შესახებ ზევით უკვე მოგახსენეთ) გიორგი თარგამაძემ ჟურნალისტის კითხვაზე – მართალია თუ არა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი

მას თავის მემკვიდრედ განიხილავს, – განაცხადა: არა, ქალბატონო, ეს არის ეშმაკი პრეზიდენტის და მისი ჯგუფის ნოუჰაუ პოლიტიკაში, რათა გათიშოს ოპოზიციად, ე.ი. თავისი თავი ოპოზიციად მიაჩნია და არანაკლებ პოლიტიკურ ოპოზიციად, ვიდრე ქუჩაში გასული რადიკალური ოპოზიციად. აი თურმე რა მზაკვრული მიზანი ჰქონია პრეზიდენტის მინიშნებებს გ. თარგამაძის გაპრეზიდენტების შესახებ. ერთ რამეში ნამდვილად არ ცდება თარგამაძე. ყოველივე ეს პრეზიდენტისა და მისი პიარკომპანიის ნაწილია, პოლიტიკური თამაშია, რომ ყურადღება გადაიტანონ მოგონილ, შეთხზულ ობიექტზე, თორემ რადიკალურ ოპოზიციას გიორგი თარგამაძე რომ ოპოზიციონერად კი არა, სააკაშვილის აზრების გამხმრვანებლად მიაჩნია, ეს უკვე დიდი ხანია ცნობილია. ასეთი ე.წ. ოპოზიციონერები რუსეთის დემაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი არიან – დაწყებული ბატონი ჟირინოვსკით და დამთავრებული მირონოვის სამართლიანობის (ვიტომდა კადეტების) პარტიით. ერთი საინტერესო და დასამახსოვრებელი ფაქტიც ვიხილეთ ჟურნალისტური სოლიდარობისა: როცა წამყვანმა გ. თარგამაძეს მთლიანად დაუთმო გადაცემის ეთერი, რათა ამ უკანასკნელს პასუხი გაეცა კიდევ ერთი ოპოზიციონერისათვის – ნ. ბურჯანაძისათვის, რომელმაც თარგამაძეზე გაილაშქრა, როგორც სააკაშვილის შვილობილზე. გიორგი თარგამაძის პასუხი ნამდვილად ნიმუში იყო სარკაზმის, ირონიის და, ალბათ არ მომერიდება, რომ ვთქვა, ცინიზმისა: მან ჩამოთვალა ქალბატონ ნ. ბურჯანაძის დამსახურებანი ქართული დემოკრატიის აღორძინების საქმეში და ამ უცოდველი კრავი პოლიტიკოსის როგორც საკუთარი, ისე მისი ოჯახის წევრების ცოდვები...

რაკი სიტყვა ამ ქალბატონის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე ჩამოვარდა, ალბათ უპრინციპული იქნება, გადმოგცეთ ჩვენი შეხედულებები და

ვარაუდები მისი პოლიტიკური წარსულისა თუ მომავლის შესახებ, მითუმეტეს, წინა თხრობაში შევეცადეთ შექმნისდაგვარად დაგვეხასიათებინა „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმფირატის ორი წამყვანი ფიგურა – პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი. სამი – ფსიქოლოგიურად და შინაარსით ძალიან განსხვავებული ფიგურა – ქვეყნის სათავეში აღმოჩნდნენ, მაშინ, როდესაც საჭირო იყო ერთსულოვნება, ამბიციითა თავშეკავება, ერთპიროვნული ძალაუფლებისათვის ბრძოლის ჟინის დაცხრომა, რათა საქმე ქვეყნის საკეთილდღეოდ წარემართათ. ისინი უნდა ამოდგომოდნენ ერთმანეთს მხარში და შეევესთ ერთმანეთის ნიჭი (რითაც ღმერთმა მაღლიანად დააჯილდოვა) და ენერგია. მაგრამ ერთი გმირი ზ. ჟვანია ძალიან ადრე გამოეცალა პოლიტიკურ ასპარეზს, როგორ და რა მიზეზებით და ვინ იყო ამაში დაინტერესებული, ისტორია ოდესმე გაარკვევს ამას. მაგრამ თუ ის მართლაც ძალადობრივი გზით არის მოკვდინებული, დარწმუნებული ვართ, ეს მასალები ისეთი ბურუსით იქნება მოცული ან მთლიანად განადგურებული, რომ ვერასოდეს ვერავინ ნამდვილ სურათს მისი სიკვდილისას ვერ აღადგენს და, როგორც ყოველთვის, გაჩნდება მრავალი ვერსია და ამ ვერსიებს ექნება თავისი ლოგიკური „გამართლება“. მისმა სიკვდილმა ბევრი რამ შეცვალა პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების საქმეში. მისი გუნდი სულ რაღაც რამდენიმე დღის განმავლობაში სააკაშვილის ერთგული გუნდის წევრებად მოინათლენ, ხოლო ისინი კი, ვინც ჯიუტად ინარჩუნებდნენ თვითმყოფადობას, მალე მოაშორეს სამთავრობო ჯგუფს (გ. ხაინდრავა, ს. ზურაბიშვილი და სხვები). დღითიდღე პრეზიდენტი მეტ და მეტ ძალაუფლებას იძენდა და ამაში ვერავინ წინააღმდეგობას ვერ უწევდა და არც სურდათ რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ. პარლამენტის სპიკერისათვის ჯერჯერობით ქვეყნის მეორე პირად ყოფნა პრესტიჟული იყო, რაც

საშუალებას აძლევდა თავისი თავი გაეცნო დასავლეთის და ამერიკის საგარეო პოლიტიკის ლიდერებისათვის. მაგრამ როგორც კი გაჩნდა იმის საშიშროება, ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს ქალბატონ ს. ზურაბიშვილს გამოეჩინა თავისი ღირსებები, ქალბატონმა ბურჯანაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საგარეო საქმეთა მინისტრს სავარძელი დაეტოვებინა. გაიხსენეთ ის ინტრიგები, რომელიც მაშინ დატრიალდა. როგორც იტყვიან, ორი დათვი ერთ ბუნავში ვერ მოთავსდა. ამ ქიშკობისა და დაპირისპირების ისტორია ჯერ კიდევ ბევრ თავგადასავლებს გვიმზადებს. მართალია, ისინი ახლა, როგორც ოპოზიციონერები, მიტინგებზე და მოლაპარაკების მაგიდასთან ერთმანეთის გვერდით სხედან, მაგრამ ჯერ სადა ხარ? ჯერ მათ ერთი ძირითადი მიზანი აერთიანებთ – მოიშორონ პათოლოგიურად მათთვის საძულველი პრეზიდენტი და მისი გუნდი და, აი, ხელისუფლებაში რომ მოვლენ, მაშინ ელოდეთ ცირკებს. დარწმუნებული იყავით, ეს ორი ქალბატონი ერთ პოლიტიკურ უძელში ვერასოდეს ვერ შეებმება, ორივეს ხომ პირველობა სურს და ორი პირველი მათემატიკაშიც არ არსებობს და პოლიტიკაში როგორ იარსებებს?!

მოდით, მკითხველო, ცოტა უკან დავიხიოთ და ჩვენი შესაძლებლობებით, დავახასიათოთ თვისებები, რომლებითაც ესოდენ დაჯილდოებულია ჩვენი „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმფირატის მესამე წევრი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. ნუ აყვებით ემოციებს, ჩვენს ანტიპათიას თუ სიმპათიას ან ჭორებს, რომლითაც გარშემორტყმულია ეს პოლიტიკური ფიგურა. ჯერ შევთანხმდეთ ერთ უცილობელ აქსიომაზე: ეს ქალბატონი უცილობლად გონიერი, კარგი დაყენებული ლოგიკით, ორატორული ნიჭით უღაოდ გამორჩეული პიროვნებაა. იმ ოჯახში, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა, ბავშვებს მიზანმიმართულად ზრდიდნენ მომავალი კომკავშირული და პარტიული ლიდერობისათვის და

არა საუკუნეობრივ ქართულ ტრადიციებზე: მომავალ დიასახლისად და ოჯახის დედად. ვისღა ახსოვს ახლა ეს ტრადიციები ან ვის სჭირდება?! მითუმეტეს, რომ ბავშვი თავისი ხასიათით ნამდვილად აძლევდა მშობლებს იმის საშუალებას, რომ პარტიულ ლიდერად გაზრდილიყო. დიდი ვარაუდი არსებობს იმისა, რომ კომუნისტური წყობა, რომ არ დაშლილიყო, ეს ქალბატონი, დარწმუნებული ბრძანებოლეთ, მოეველინებოდა საქართველოს პარტიული თუ სახელმწიფო მართვის ლიდერების იმ ქართველი ქალბატონების მემკვიდრედ, როგორებიც იყვნენ ვიქტორია სირაძე, ფათუშა დუმბაძე, ნინო ჟვანია და სხვები. ყოველ შემთხვევაში, თუკი მეცნიერულ გზას გაჰყვებოდა, აქაც დიდი სარბიელი ელოდა. მართალია, საბჭოთა სინამდვილე დაემხო და განადგურდა, მაგრამ გამოჩნდა ახალი პერსპექტივები, ახალი გზები განათლების გაღრმავებისა, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლისა და სააკაშვილების, ბურჯანაძეების, ნადირაძეების, თარგამაძეების, უგულავეების ოჯახებმა დროულად აუღეს აღდგომა ახალ სინამდვილეს და ახალი კორექტივები შეიტანეს მოზარდების აღზრდაში. ახლა მხოლოდ რუსული განათლება, მოსკოვში და პეტერბურგში მიღებული, საქმეს არ ჰყოფნიდა და ახალგაზრდები წარმატებით მიაგვლინეს ევროპისა და ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში ახალი „პროგრესული“ განათლების მისაღებად, თორემ გასაგები იყო, რომ მარქსიზ-ლენინიზმით, მარქსისტული ეკონომიკის საფუძველზე აღზრდილი ხალხი ახალი წყობის დროს ფონს ვერ გავიდოდა. ამისათვის მშობლებს საკმაოდ აღმოაჩნდათ კომუნისტური მართვის დროს „დანაზოგი“, „შრომით და ოფლით მოპოვებული“ თანხები. მოხუცი თეთრი მეღა თავის დროზე ახალგაზრდა პოლიტიკოსს ან პოლიტიკაში მოსვლის მსურველ ნ. ბურჯანაძეს თვითონვე დაეხმარა და გაუხსნა გზა წარმატებული ასპარეზისაკენ ჯერ პარლამენტის აპარატში, შემდეგ პარლამენტში

და იმდენი ყურადღების გარემოცვაში მოაქცია, რომ მალე პარლამენტის სპიკერი გახდა და გამოჩენილი პოლიტიკოსის ლიდერის სახელი მოიხვეჭა. რატომღაც ეს ეპიზოდები ორივემ დაივიწყეს, როგორც უმადურმა მოწაფემ, ისე გულისხმიერმა მასწავლებელმა. ახლა ამის გახსენება არ აწყობთ არცერთს, ის კი არა, ახლა ურთიერთგაბუტობანას თამაშს მორჩნენ და მასწავლებელმა ისევ დალოცა თავისი მოწაფე, როცა განაცხადა: „თუკი რამე მიწყენინებია ქალბატონი ნინოსთვის, ახლა ბოდიშს ვიხდი, მან თავისი პრინციპულობით ყველა წყენა გამოსიყიდაო“. ასეთია პოლიტიკური ბრძოლის სამართალი, ოღონდ ოპონენტს ავნონ და ყველა შერიგებაზე და გარიგებაზე წავლენ.

ქალბატონი ნინო, როგორც მოგახსენეთ, მეტად წარმატებულ და შეძლებულ ოჯახში გაიზარდა, რომელიც მეგობრობდა საბჭოთა ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელთან, მწერლებთან, მუსიკოსებთან, მხატვრებთან და მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებულ პიროვნებებთან და არა ერთი სამსახური გაუწია მათ ცხოვრებაში, როგორც პარტიულმა მუშაკმა. ახლა ინტელიგენციას არ სურს გახსენება, თუ როგორი მეგობრული ურთიერთობები ჰქონდათ პარტიულ თუ სახელმწიფო სამსახურის მოხელეებთან, რამეთუ ახლა მოდაშია დისიდენტური წარსულის გახსენება, თუ ვინმეს სოლენიციის ნაწერები დამალულად წაუკითხავს „САМИЗДАТ“-ში, ყველა თავის თავს დისიდენტად თვლის. გარკვეულწილად ახალგაზრდა ნინოს, მისი ოჯახური ავტორიტეტის, ქონებრივი ცენზის გამო, ყველა სახელმწიფო თუ სასწავლო დაწესებულების კარი ღია ჰქონდა. ის ადამიანები, რომლებიც უბრალო ხალხისთვის კულტურისა და მეცნიერების წარმატებული წარმომადგენლები იყვნენ, მისთვის უბრალოდ მამამისის მეგობრები გახლდნენ. ნიჭიერ ბავშვს ეს ყველაფერი გამოადგა და კარგადაც გამოიყენა ცხოვრე-

ბაში. ამიტომ მოხდა ის, რომ აი უკვე დამოუკიდებლობის 20 წლისთავს გადავიხდით და თითქმის არა სწანან ახალი პოლიტიკური სახეები. დღევანდელი სამთავრობო გუნდი, ე.წ. საპარლამენტო „პოზიცია“ და რადიკალური ოპოზიცია წარმოდგენილია უმრავლესად მხოლოდ კომუნისტური მმართველობითი ელიტის შთამომავლობით ანდა პარტიულ ბოსებთან დაახლოებული ე.წ. ინტელიგენციის შვილებით, რომლებმაც მიიღეს სათანადო ორმხრივი განათლება, როგორც საბჭოთა წყობის დროს, ისევე ახალ სინამდვილეში: მოიარეს ევროპისა და ამერიკის პრესტიჟული სასწავლებლები და ერთი ან ორი თვე იმუშავეს „სიტი-ბანკში“ ან „ჯენერალ-მოტორსში“ კლერკებად, ჩამოვიდნენ და ჩვენთან ამ კორპორაციების წამყვან მენეჯერებად ასაღებენ თავს.

ქალბატონი ნინო რომ ლიდერის ხასიათის თვისებებით არის დაჯილდოვებული, ეს უცილობელია და ვერ წაართმევ. აქვს თუ არა მოთმინების, თავშეკავების უნარი? რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ ამ დროს სახეზე ეტყობა ისეთი გრიძასა ჭმუნვისა, შინაგანი აღშფოთებისა, ისეთი დენტის სუნი ტრიალებს მასში, რომ ამას მცირეოდენი ფსიქოლოგიური დაკვირვებითაც კი შეამჩნევს მაყურებელი და, ალბათ, ვაი იმას, რომელსაც საჭირო შემთხვევაში ამას გაუხსენებს, ანდა უფრო სწორად – აშკარად კი არ გაუხსენებს, არამედ არავითარ შემთხვევაში არ შეარჩენს. ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. მაშინ ისმის კითხვა რატომ? როგორ უთმენდა თითქმის ოთხ წელიწადზე მეტს პრეზიდენტს, რომელიც თანდათანობით ხელიდან აცლიდა მას ხელისუფლების ბერკეტებს და გადადიოდა ავტორიტარულ მმართველობაზე? პასუხი ერთია: თავს ძალა ვერ დაატანა, შინაგანი ამბიციების მოთოკვა ვერ შესძლო, სავარძელი, ესოდენ საყვარელი, რომელიც მოჩვენებით ხელისუფლებას მაინც აძლევდა, ვერ დათმო. აი, ბოლოს კი, როდესაც მთლიანად მარიონეტად

(თოჯინად) იქცა, განუღვა პრეზიდენტს. მართალია, თავის თავსაც არ „აწყენინა“, თავი არ „დაიხაგრა“ და ერთ ღარად 30 მილიონიანი „დაჩა“ მიიღო საჩუქრად. სააკაშვილს ეგონა, ამით გავაჩერებო, მაგრამ სასტიკად მოტყუვდა. ნ. ბურჯანაძის სახით მტრის შექენას სჯობდა, თოფი აედო, ცხინვალში ჯართან ერთად შესულიყო, გმირობა გარანტირებული ექნებოდა. ახლა დარწმუნებული იყავით, რომ მასთან პოლიტიკურ ბრძოლაში, ყველაზე უკომპრომისო ნ. ბურჯანაძე იქნება, არაფრით არ აპატიებს იმ დამცირებას, რაც „დაუმსახურებლად“ აგემა „უმაღურმა“ პრეზიდენტმა. ისე ბევრი ვეძებე ჩემი გონების არქივებში, ერთი ეპიზოდი მაინც გამეხსენებინა ისეთი, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობის ათასეული წლის განმავლობაში რომელიმე ქართველ მეფეს ასე უხვად დაეჯილდოვებინა თავისი მოხელე, ასეთი დიდი უძრავი ქონებით, მაგრამ მსგავსი ვერ გავიხსენე. ალბათ იმიტომ, რომ ასეთი ფაქტი არ მომხდარა და არც ჰქონდათ მათ ამის საშუალება. სააკაშვილმა კი ხალხის უკითხავად, ხალხის ხარჯზე, ასე გაასხვისა ერთ ღარად.

ამ ბოლო დროს ლიდერობის კანდიდატებად სახელდებიან ი. ალასანია და ნ. ბურჯანაძე. მაგრამ, ეტყობა, ქალბატონ ნინოს მოსწყინდა მეორე როლში ყოფნა. საერთოდ დროა ხალხმა გაიგოს, რომ „ვინც იხდის ფულს, ის უკვეთავს მუსიკას“ და არა პირიქით. დამცირებაც ეყო ამ ქალბატონს, რომ პრეზიდენტთან დიალოგზე არ მიაგლინეს. ერთი გენახათ, რა სახით განაცხადა მან ინტერვიუში კითხვაზე, თქვენ რატომ არ წაბრძანდით მოლაპარაკებაზეო, მშვიდად, მაგრამ ვაი ამ სიმშვიდეს: მერე რა მოხდა, მე იქ საჭირო არ ვიყავი, ასეთი გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთო. თქვენი არ ვიცი და, მე არ მჯეროდა მაშინ და არ მჯერა ახლაც ქალბატონი ნინოს გულწრფელობა. ეტყობა, ოპოზიციაში იმ ფრთამ გაიმარჯვა, რომელიც შინაგანად მისი ოპონენტია. ახლა ისინი გაჩერებულნი

არიან, მაგრამ მოვა დრო ან საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნები და ისევ დაერევიან ერთმანეთს. ამ უმწიკვლო, პატიოსან პოლიტიკოსს ისეთ ცოდვებს გაუხსენებენ, რომლებიც შეიძლება არც ჩაუდენია. ისე რომ, ნუ მოიწყენთ, ხალხო, წინ კიდევ ბევრი ცირკი გველოდება. ერთი რამ ცხადია და ვიმეორებ, სააკაშვილთან ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ქალბატონი ნ. ბურჯანაძე ყველაზე უკომპრომისო იქნება. უნდა ვივარაუდოთ და ეს დასაჯერებელია, რომ ქვეყნის მომავალ ლიდერად ორივე გიგანტი სახელმწიფოსთვის უფრო მისაღები კომპრომისული ფიგურაა, რომელიც ეცდება პოლიტიკაში „არც მწვადი დასწვას და არც შამფური“. ასე რომ, მორალური, იდეური მხარდაჭერა ექნება ორივე მხრიდან. ასეთივე ფიგურად გვესახება ი. ალასანიას კანდიდატურა. ისიც მისაღები უნდა იყოს ორივე ძლიერი მოთამაშისათვის ჭადრაკის იმ დაფაზე, რასაც საქართველო ჰქვია. მართალია, ბატონმა ირაკლიმ უარყო ნათლია (რაც დიდი ცოდვაა), მაგრამ წმინდა პეტრემაც მამლის დაყოვლებამდე სამჯერ უარყო ქრისტე, თუმცა ამას შემდეგში ხელი არ შეუშლია მისთვის ქრისტიანულ რელიგიაში წამყვანი როლი შეესრულებინა და თითქმის მეორე სახედ იქნა აღიარებული ქრისტიანულ რელიგიაში. ისე რომ, იმედია, ნათლია მას გაუგებს და მიუტევებს ამ ცოდვას და დანარჩენი ხომ ტექნიკის საქმეა.

როგორც ჩანს, ქალბატონი ნინოს მოსვლა კარგს არაფერს უქადის არც მის ყოფილ სამთავრობო გუნდის წევრებს (ყოველ შემთხვევაში გარკვეულ ნაწილს) და არც ახლანდელ მის „მეგობრებს“ ოპოზიციაში. ბურჯანაძე სრულებითაც არ გახლავთ ის პიროვნება, რომელიც აპირებს ამბიციური ხალხის: ქალბატონი ს. ზურაბიშვილის, გ. სანიკიძის, კ. შარტავას, კ. გამსახურდიას, გ. ხაინდრავას, კ. დავითაშვილის, ზ. ძიძიგურის (და რომელი ჩამოგითვალთ, არ ვიცი) სამთავრობო მოთხოვნების შესრულებას. ისე რომ, მზად

იყავით, ხალხო, ამ ე.წ. ოპოზიციის ლიდერები ისევ ხელმოცარულები რომ დარჩებიან, აი, მაშინ წარმოიდგინეთ იგივე ხალხი ისევ ქუჩაში და ისევ ოპოზიციაში. ჯერ სადა ხართ? სულიერად გამაგრდით, გამხნევდით და ერთად, შესმატკბილებულად, მივყვით მოვლენათა დინამიურ განვითარებას.

თუმცა მოწყენის საშუალებას ვინ გვაძლევს? დღე არ გავა, რომ ერთმანეთზე მორიგი „შეტევა“ არ განახორციელონ. ამ დღეებში გახმაურდა კომპრომატები ორი „წამყვანი ოპოზიციონერის“ წინააღმდეგ (ბურჯანაძე და ნოლაიდელი). ისე, ეტყობა, ამ კომპრომატებს პროფილაქტიკური დანიშნულება გააჩნიათ, უფრო სწორად – მინიშნებაა იმისა, რომ თუ ისინი „გულახდილები“ არ იქნებიან სამთავრობო ჯგუფის (და პრეზიდენტის) მუშაობის მეთოდების გამომხეურებისათვის, მაშინ მეორე მხარეს უკვე მზადა აქვს ან ამზადებს მასალებს მათი ფინანსური ქმედებების კომპრომეტირებისათვის. კერძოდ, არ შეიძლება არ აღინიშნოს თუნდაც ერთი ეპიზოდი, როცა ყოფილ მთავრობის მეთაურს წარუდგინეს საბუთი იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოიწერა ნოლაიდელის ხელმოწერით 11-12 მილიონი ლარი პურპროდუქტების სამსახურის დავალიანებისა. ბატონმა ნოლაიდელმა ისე, რომ წარბიც არ შეუხრია, განაცხადა – აბა რა გვექნა, „ეს ხომ დაუბრუნებადი, ფაქტიურად უიმედო ვალი იყო“. ჯერ ერთი, სხვა ასეთი ვალებიც არსებობს და ისინი ჯერაც არ ჩამოუწვრიათ, მეორეც – თუნდაც არ არსებობდეს და უკვე „გამქრალი“ იყოს მევალე დაწესებულება, მართალი გამოძიების და პროკურატურის საქმეა „მიხედოს“ ამ დაწესებულებას, ყოფილ უფროსებს, ჩაატაროს პირუთვნელი გამოძიება და დაადგინოს, სად და რაში დაიხარჯა ეს თანხა. გამოძიების მთავარი მიზანი უნდა იყოს მის ხელთ არსებული კანონის ყველა წესით დაუბრუნოს სახელმწიფოს მიტაცებული ფინანსები, და, რა თქმა უნდა, სასამართლოს მეშ-

ვეობით გადაწყვიტოს იმ პიროვნებების დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებმაც მიიტაცეს ან განკარგეს არამიზნობრივად ეს თანხები. და თუ ასეთი ქმედებები მათ დაუმტკიცდებათ, მაშინ ამ ხალხის იზოლაციის შემდეგ მიიღოს ქმედითი ღონისძიება ამ ფინანსების დაბრუნებისათვის – დანაშაულებრივ ქმედებაში მხილებულ პირთა პირადი ქონების კონფისკაციის სახით. მართალია ამ თანხამ შეიძლება არ დაფაროს დატაცებული თანხა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ეს არის ის კანონიერი ქმედება, რაც უნდა ჩატარებინა სახელმწიფოს (მთავრობას), მან კი, ნოლაიდელის სახით, აიღო და ერთი ხელის დაკვრით ყველაფერი ჩამოწერა. ალბათ ისიც უნდა ვივარაუდოთ, ნოლაიდელის ფრთხილი ხასიათიდან გამომდინარე, რომ იგი მარტო ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, მიუხედავად დიდი ზეწოლისა – ქვეყნის მეორე პირის (პარლამენტის თავმჯდომარის, მაშინ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის) მხრიდან. უბრალოდ დრო და მომენტი შესანიშნავად იქნა შერჩეული და მოპარული ფული ჩუმად და უმტკივნეულოდ ჩამოწერეს. ეს მაშინ, რომ იტყვიან, ყველას აწყობდა, რადგან მათ შორის პოლიტიკურ გარიგებას ემსახურებოდა. თუმცა ბატონმა ნოლაიდელმა კორესპონდენტს ირონიულად უპასუხა „თუ მეტი ვერაფერი მომიწახეს ჩემი კომპრომეტირებისათვის, ეტყობა, მათ ამის გაკეთება ძლიერ უჭირთო“, ე.ი. არაფრად ჩააგდო ამ მასალის გამომხეურების ფაქტი. არ ბრძანდებით, ბატონო ნოლაიდელო, ამაში მართალი, ვინაიდან ამ დანაშაულს კანონის ენაზე ყველგან ერთი სახელი აქვს – სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ან უფლებამოსილების გადაჭარბება, რაც ისჯება კანონით. იმ შემთხვევაში, თუ არ დაგიმტკიცდათ ამ ქმედებაში თქვენი პირადი დაინტერესება, მაშინ შეიძლება კანონის მთელი სიმკაცრით არ დაისაჯოთ, თორემ დასჯა სასამართლოს განჩინებით ნამდვილად გეკუთვნ

ნით, თუკი, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ახლაც ეს კომპრომატი გათამაშებული დადგმა არ არის თქვენი გაჩუმების საფასურად. შემდეგ უფრო მეტიც: პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას აქვს ეჭვი, თითქოს როცა მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობდა, რაღაც დიდი თანხა ნოღაიდელს „მიეწეპა“. ეს ფრაზა ნამდვილად ვერ გავიგეთ. რას ნიშნავს, ფული ხომ სულიერი ნივთი არ არის, რომ თვითონ თავისი ნებით აღმოჩნდეს თქვენს ჯიბეში ან სეიფში?

ყმაწვილკაცობაში, ერთი ამხანაგი, ყოველთვის, ქეიფის დამთავრების შემდეგ გვიცხადებდა: „ბოდიში, ბიჭებო, ფული არა მაქვს, ეტყობა, შარვალი რომ გამოოვიცვალე, სახლში დამრჩაო“. იმდენად გადაამლაშა ამ ფრაზის გამეორებაში, რომ ერთმა სიტყვამოსწრებულმა ამხანაგმა შესძახა: „შე კაცო, რა გაგვიწყალე გული ამ ტყუილებით, ფული ძაღლი კი არ არის, რომ გამოგეკიდოს სახლიდან გამოსვლისას, ფული ჯიბიდან ჯიბეში უნდა გადადო და წამოიღო“. ეტყობა თქვენ, ბატონო ნოღაიდელო, არც ესეთი გულმავიწყი ბრძანდებით: მანამ მუშაობდით, ამაზე იზრუნეთ, რადგან იცოდით, რომ ყოველგვარ სამსახურს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული და მითუმეტეს მაშინ, როდესაც სამსახურეობრივი კარიერის ოლიმპზე ბრძანდებით (თითქმის უკონტროლო ქმედებების ჩატარება შეგუძლოთ). თორემ მაშინაც, როდესაც პრემიერ-მინისტრი ბრძანდებოდით და ახლა, როდესაც „ოპოზიციის“ ლიდერი ბრძანდებით, არა მგონია, სერიოზულად განიხილავდით საკითხს, რომ ოდესმე პრეზიდენტის პოსტი დაგეკავებიათ, ამისათვის, დამერწმუნეთ, არც ქარიზმა და ლოგიკური ორატორული ნიჭი არ გაგაჩნიათ. ასეთ პრემიერებს, როგორც წესი, ტექნიკურ პრემიერებს უწოდებენ, რომლებიც პოლიტიკაში არ ერევიან და თავჩაქინდრული, წყნარად ასრულებენ თავის ჩინოვნიკურ სამსახურეობრივ მოვალეობას და, დარწმუნებული ვართ, რომ ასეც იქნებოდა დიდხანს, მაგ-

რამ პრეზიდენტის სამთავრობო კარუსელს მაინც ვერ გადაურჩით.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს თქვენი განცხადება თქვენი ქონების შესახებ. ისე, კაცმა რომ თქვას, სხვისი ფულის თვლა და, ისიც სხვის ჯიბეში, არ არის ღირსეული საქმე, მაგრამ თქვენ ხომ ჩინოვნიკი იყავით, მართალია, ძლიერ მაღალი რანგის, მაგრამ მაინც ჩინოვნიკი და ამიტომ საზოგადოებას (ანუ ხალხს) უფლება აქვს, ამ ჯიბეში ჩაიხედოს, მაშინ მაინც, როდესაც ამის საშუალებას აძლევენ. ბატონ ნოლაიდელის მიერ განცხადებული ფრაზა იმის შესახებ, რომ „მე ყოველ წელიწადს ქონებრივ დეკლარაციას წარვადგენდი, სადაც ყველაფერი ეწერაო“, მხოლოდ სიცილის ხასიათზე თუ დააყენებს ადამიანს, რადგან ყველასთვის კარგად არის ცნობილი, ის ათას ერთი ხრიკი, რითაც ჩინოვნიკები არა მარტო საქართველოში, არამედ ჩვენს უახლოეს მეზობლებთანაც მაღავენ თავიანთ რეალურ შემოსავლებს. დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა ისეთი „სპექტაკი კომუნისტების თაობა“, რომლებიც კომუნისტური პარტიის წევრობის გადასახადში ქრთამით აღებულ თანხასაც აღრიცხავდნენ და იქიდანაც იხდიდნენ საწევროს. ეს ისე ძველი ანეკდოტი გაგვახსენდა. ბატონ ნოლაიდელს რომ დაუუჯეროთ, მაშინ არა გვაქვს უფლება რუსეთის რეგიონის ჩეჩნეთის პრეზიდენტსაც რომ არ დაუუჯეროთ, რომელმაც ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნა, რომ მისი უძრავი და მოძრავი ქონება მხოლოდ ავტომანქანა „ნიუა“ და ოროთახიანი ბინა ქ. გროზნოში, ეს იმ დროს, როდესაც მის საჯინიბოში ორი ათეული ჯიშნიანი ცხენია დაბმული, რომელთა საერთო ფასი ათეული მილიონი დოლარია. ამას თუ დაუემატებთ სასახლეებს, „მერსედებს“, ცივი და ცხელი იარაღის მდიდარ კოლექციას, ხარჯთაღრიცხვა ასეულ მილიონზე აიწევს. მერე რა, ამ დამცინავი დეკლარაციისთვის ვინმემ დასაჯა კადიროვი თუ რა? არავის ეს არც

უცდია, ისე მშვენივრად გადაყლაპეს ეს ცინიზმი. ასევეა საქართველოშიც. რამდენი ხანია ჩინოვნიკების და პარლამენტარების დეკლარაციები ქვეყნდება გაზეთ „ასავალ-დასავალში“ და მერე რა, ვინმემ როდესმე გამოიკვლია მათი სიმართლე? ხალხს ან საზოგადოებას ამ საქმესთან ვინ მიუშვებს? ანდა რომელიმე არასამთავრობო ფონდმა რომ შეისწავლოს ისინი და შეეცადოს დაადგინოს მათი სისწორე ან გაყალბების მცდელობა, ვინმე (პროკურატურა ან სასამართლო) ამის საფუძველზე სამძებრო საქმეს აღძრავს? არასოდეს! ეს კარგად უწყიან ჩინოვნიკებმა და დეკლარაციებში ისეთ ზღაპრებს ჩაწერენ ხოლმე, რომლისაც თვითონაც არ სჯერათ. ძნელი დასაჯერებელია ბატონი ნოღაიდელის განცხადება იმის შესახებ, რომ მისი ქონება დაგროვილია ბიზნესში, სამსახურიდან წასვლის შემდეგ და ისიც სულ რაღაც წელიწადნახევარში: ისეთი დიდი ხელფასი მქონდა, ალბათ ყველაზე დიდი ხელფასი საქართველოშიო. კარგი, რა, დედიჯან, ხელფასით გამდიდრებული ადამიანი ჯერ დედამიწაზე არავის შეხვედრია. „მიკროსოფტის“ მთავარი მენეჯერი ამას ხმამაღლა არ აცხადებს და თქვენ როგორ კადრულობთ, ბატონო? საქართველოში რა, ისეთი წარმოება ან ბიზნესი არსებობს, რომ ისინი აღმასების მომპოვებელ „აღროსას“ შევადართო ან ნიკელის მწარმოებელი „ნორილსკის ნიკელს“, ან „გაზპრომს“, ან რომელიმე სხვა გიგანტებს? თქვენი შემოსავალი (თვიური ხელფასი) ამ გიგანტებში ალბათ საშუალო რანგის მენეჯერებს ექნებათ, მაგრამ არა მგონია, რომ ისინი ამით ოლიგარქები გამხდარიყვნენ. ისე რომ, თქვენმა ოპონენტებმა სუსტი წერტილი მოგინახათ და, თუ დროზე არ შეჩერდით, ამ ზეწოლას შეიძლება ვერ გაუძლოთ. ისე ეს სიტყვამ მოიტანა, ყველა ადამიანი თვითონ ირჩევს თავის გზას და აბა ჩემი რჩევა თქვენ რაში გჭირდებათ?!

ძვირფასო მკითხველო, როგორც ადრე მოგახსენეთ,

მოვლენები დინამიურად ვითარდება და დასვენებისა და მოწყენის საშუალებას არ გვაძლევენ. თუმცა აბა სხვას რას უნდა ველოდეთ, როცა ქვეყნის პრეზიდენტმა ეჭვი გამოთქვა და შემდეგ გაახმოვანა კიდევ, ქვეყნის ყოფილი მეორე, მესამე თუ მეოთხე პირების მიერ ე.წ. სახელმწიფო თანხების მითვისების ვარაუდი. ასეთი სიტყვიერი ბრალდებები უპასუხოდ ხომ არ დარჩებოდა, და კორუფციის ობიექტებმაც უარყვეს ყველაფერი. მაგრამ თუ საიდან დააგროვეს – ეს ხალხისთვის უცნობი თანხები, ამის განმარტება მაინცდამაინც დამაჯერებელი არ აღმოჩნდა. ერთმა ეპიზოდმა საერთო ღიმილი გამოიწვია, როცა ბატონმა ნოლაიდელმა თვალი აგვიხილა იმის შესახებ, რომ თურმე ბადრი პატარკაციშვილი და ნოლაიდელი, როგორც მდიდარი კლასის წარმომადგენლები, სხვადასხვა წონის და ზომის კატეგორიის ხალხი ყოფილან. გმადლობთ განმარტებისთვის, მაგრამ, არა მგონია, საქართველოში ამ განმარტებამდე არსებობდა ისეთი „ჭკვიანი“, რომელსაც თქვენ ერთი წონის კატეგორიაში გააჰყავდით. ბ. პატარკაციშვილის ქონება შეფასებული იყო 12-13 მილიარდ დოლარად. თუკი „ფობსის“ სიით ვიმსჯელებთ, სადაც ირიცხებიან მილიარდელები საკაპიტალო 25-დან 50 მილიარდამდე ქონებით, მაშინ აწ განსვენებული ბ. პატარკაციშვილი მხოლოდ მსოფლიოს პირველ ასეულში თუ შედიოდა, ე.ი. საშუალო წონით კატეგორიაში „ჭიდაობდა“. აქედან გამომდინარე, ბატონი ნოლაიდელი ალბათ ზემსუბუქ ან მსუბუქ წონაში „ჭიდაობს“. თურმე არა მილიარდერი, არამედ რაღაც საწყალი მილიონების პატრონი ყოფილა (რამდენის?), ისე, კაცმა რომ თქვას, რას ვერჩით ამ პატიოსან ადამიანს? როგორც ვიცით, ის ქალბატონ ნ. ბურჯანაძეზე ადრე წავიდა (თუ გაუშვეს) თანამდებობიდან, მაგრამ ამისათვის პრეზიდენტს სიმბოლური ერთი დოლარის ფასად უძრავი ქონება ან საცხოვრებელი ფართი არ უჩუქებია. ერთი რაც გაუმეტებიათ –

წმინდა გიორგის სახელობის ორდენი და ისიც ჩუმად და უხმაუროდ. განა ეს საწყენი არ იყო ადამიანისთვის, რომელსაც თურმე აუყვავებია ქართული ეკონომიკა?! აქ ალბათ პრეზიდენტის პრაგმატულმა და ანალიტიკურმა განგარიშებამ იმოქმედა, რადგან, სამსახურიდან გათავისუფლებული პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე ფინანსებთან, ბიუჯეტთან შეხების სხვადასხვა კატეგორიაში იმყოფებოდნენ, და ამიტომ არცერთს არ აწყენინა.

ყოველ შემთხვევაში, უნდა ველოდეთ (თუმცა საქართველოს სინამდვილეში ყველაფერი უკუშექცევადია) მოვლენათა შემდეგ განვითარებას, რადგან თუ პრეზიდენტმა განცხადება გააკეთა, მაშინ კონკრეტული ფაქტობრივი მასალა კორუფციისა უნდა გამოიხეუროდეს ანდა აღიძრას სამართლის საქმე. თუმცა ჯერჯერობით ეს არ კეთდება. ბატონმა ნოლაიდელმა გარკვევით განაცხადა, რომ მზად არის ოპონირებისათვის, რომ ის პატარა ბავშვი არაა და სრულებითაც არა ჰგავს მიხეილ სააკაშვილისაგან და ვანო მერაბიშვილისაგან დაშინებულ ადამიანს: მართალი გითხრათ, ძლიერ ვაჟკაცური განცხადებაა – იშვიათი საქართველოს უახლოეს ისტორიაში. თუ გავიხსენებთ ადრე აგორებულ კორუფციულ განცხადებებს (ჩხეიძე, მირცხულავა, ჯოხთაბერიძე და მრავალი სხვა), ფულის „შეწერვით“ და შემდეგ გარიგებით მთავრდებოდა. ამ შემთხვევაში ბატონმა ნოლაიდელმა თავისი გაბედული უკომპრომისო განცხადებით გამორიცხა მოვლენათა ასეთი განვითარება. მაშინ რა დარჩათ ოპონენტებს? მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე საუბარი ან გამოძიება, გამოძიებას კი დაპატიმრება მოჰყვება. თუმცა, არა მგონია, რომ ისეთი გულუბრყვილო ბრძანდებოდეს ბატონი ნოლაიდელი, რომ ასეთ პირდაპირ პოლემიკაში გამოიწვიოს მთელი სახელმწიფო აპარატი, თავისი ძალოვანი სტრუქტურებით და არ ითვალისწინებდეს იმას, რომ თუ ძალოვანმა სტრუქტურებმა ასეთი დავალება

მიიღეს, – კომპრომატის გამოძებნა მათ არ გაუჭირდებათ, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მთავრობის (პრეზიდენტის) მიერ აგორებული ეს კომპრომატების პიარკომპანია ც მალე ჩაქრება და არავინ არავის ძველ ცოდვებს არ „ამოუყრის“, რადგან ამ „ცოდვებში“ თითქმის ყველა თანაბრადაა გასვრილი. ალბათ ყველაფერი ეს „სიგნალი“ იყო იმისა, რომ ამ „ოპოზიციონერებმა“ მთავრობის (პრეზიდენტის) კრიტიკაში ძალიან „გადაამლაშეს“. როგორც ჩანს, ისინი თავიდან ასე არ იყვნენ „შეთანხმებულები“. ეტყობა, ყველას არ შეუძლია ზომიერი მსახიობური გარდასახვა. ამ სიტყვების სიმართლე შემდეგითაც დასტურდება: ააგორეს ნ. ბურჯანაძეზე წყნეთის აგარაკის პიარი საგადასახადო დავალიანების გადაუხდელობისა (დაახლოებით ერთი მილიონი ლარის ოდენობით) და მერე რა მოხდა? როგორც ააგორეს, ისე ჩამოაგორეს (გაჩუმდნენ). განცხადებული ნამდვილად ექვემდებარებოდა სისხლის სამართლის სასჯელს (გადასახადის სახით და პლიუს ჯარიმით). ნ. ბურჯანაძე არ არის ის ქალბატონი, რომელიც „ვილაციის“ აკვიატებით მილიონ ან მილიონ ნახევარ ლარს ქუჩაში (ბიუჯეტში) ყრიდეს. თუ მთავრობას სურდა, თავისუფლად დაიბრუნებდა ამ აგარაკს (დაუბრუნებდა სახელმწიფოს, საზოგადოებას) იგივე კანონის დაცვის მიზეზით.

ისე რომ, ერთი რამ ნამდვილად უნდა ვაღიაროთ: ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ რაიმე სამხილი (კომპრომატული) მასალის გამოქვეყნება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. ჯერჯერობით ამ პრინციპებთან შორსა ვართ, ყოველივე ეს უფრო ძველბიჭურ (ქურდულ) გარჩევებს ჰგავს. წინათ თბილისში ასეთ ქმედებას „ნა ისპუგ აგლებას“ ეძახდნენ.

რჩება მხოლოდ ერთი კითხვა – დამშვიდდება თუ არა დაძაბული პოლიტიკური ვითარება?... ახლა უკვე ივნისის მერე დეკადაა. პარლამენტმა პრეზიდენტი-

სა და ლ. გაჩეჩილაძის შეხვედრის შემდეგ თითქოს-
და განაახლა პლენარული სხდომები. ვიმეორებ, ამ
ორი ადამიანის შეხვედრის ძირითადი მიზანი მაინც
ეს იყო, რაც არ გაუღერდა, მაგრამ ასეთი დამთხვევები
პოლიტიკაში შემთხვევით არ ხდება. ორივე ძმამ
გაჩეჩილაძეებმა ისე „შეტოპეს პოლიტიკაში“, რომ უკან
დასახევი გზა არ დაიტოვეს. და „შეტოპეს“ იმიტომ კი
არა, რომ ნ. ბურჯანაძის, ს. ზურაბიშვილის და ბესე-
ლია – ოქრუაშვილის საქმე აკეთონ, ეს ნაკლებად
დასაჯერებელია, რაც მათმა ქმედებამ უკვე რამდენ-
ჯერმე დაამტკიცა: 1) გავისხენოთ გასული წლის მაი-
სის ინაუგურაცია რუსთაველის მოედანზე, როდესაც
ძმებმა რადიკალური მოთხოვნით გაუღენთილი მიტ-
ინგი დაშალეს იპოდრომზე. 2) რუსთაველზე შეკრე-
ბილი აქცია 100 ან 150 თუ 200 ათასი მომიტინგით
დაითხოვეს და დაშალეს. 3) 26 მაისს ბ. პაიჭაძის
სახელობის სტადიონზე შეკრებილი ხალხი (საკმაოდ
აგრესიულად განწყობილი) სამებაში წაიყვანეს სალო-
ცავად. ე.ი. სულ ცოტა სამი კატასტროფული დაპირ-
ისპირების სავარაუდო ფაქტი ააშორეს ქვეყანას, დუდი-
ლის წერტილამდე მისული ხალხის ტალღა დააშოშ-
მინეს. აბა ამისათვის მაღლობის მეტი რა ეთქმის
საზოგადოებას (მთავრობას) მათ მიმართ?! კიდევ ერთ
სამოქალაქო სისხლისმღვრელ დაპირისპირებას საქა-
რთველოს სახელმწიფოებრიობა ვერ გადაიტანდა. თუ-
მცა ისმის ერთი კითხვა: სადაა ლოგიკა მათ ქმედებაში,
სადაა ლოგიკა მათ უკიდურეს რადიკალურ მოთხ-
ოვნებში? აბა გაიხსენეთ ლევან გაჩეჩილაძის ფრაზა:
„მიტინგები, გამოსვლები იქნება, გაგრძელდება, მაგრამ
ეს იქნება საბოლოო, ან ჩვენ დავიხოცებით, თავს
დავდებთ, ან სააკაშვილი გადადგებაო“. არ ვიცი, ბა-
ტონებო, თქვენ თუ ხედავთ ამ გამონათქვამებში რამე
ლოგიკურ აზრს. დამერწმუნეთ ყველაფერი ეს უფრო
ალოგიკურია და არ ემორჩილება არავითარ გაანალ-
იზებულ პოლიტიკურ აზრს...

შეიქმნა შეკრული წრე. შეკრულ წრეში გამოსავალი არც თეორიულად და არც პრაქტიკულად არ არსებობს, თუ არ მოხდა დაპირისპირებული მხარეების კომპრომისული შეთანხმება, რათა ნებაყოფლობით, მოლაპარაკებების საშუალებებით ნელ-ნელა გამოვიდნენ ამ ჩიხიდან და მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას. საუბედუროდ, როგორც ყველამ იცის, არსებობს მეორე არაკონსტიტუციური, რევოლუციური, ძალისმიერი მეთოდით მმართველობის სისტემის შეცვლა. სიტყვიერად (ყოველ შემთხვევაში, სიტყვიერად) რადიკალური ოპოზიცია ამ მეთოდს გამოხატავს, მაგრამ, საუბედუროდ, მისი ერთიანი უაპელაციო, უკიდურესად რადიკალური მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომის შესახებ ურთიერთგამომრიცხავ პარადოქსულ პოლიტიკურ სიტუაციას ქმნის.

მოკლედ, განვიხილოთ ეს ლოზუნგი – „პრეზიდენტი გადადგეს!“ ცივილიზებულ, პოლიტიკურად დაწყობილ ქვეყნებში, სადაც სტაბილურად მოქმედებს მართვის სისტემა, ასეთი გადადგომები – დიდ, რადიკალურ კი არა, შეიძლება ითქვას, არავითარ პოლიტიკურ ცვლილებებს არ იწვევენ (იტალია, იაპონია და სხვა). მაგრამ როცა ისეთ პოლიტიკურად არასტაბილურ, განვითარებად ქვეყანაში მოითხოვ პრეზიდენტის გადადგომას, მაშინ საზოგადოებას (ხალხს) ხომ უნდა წარუდგინო ქვეყნის პოლიტიკური განვითარების შემდგომი პროგრამა? რამდენადაც ვიცით, ასეთი ერთიანი, შეთანხმებული, რადიკალური ოპოზიციის პროგრამა ჯერჯერობით არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან დღევანდელი არასტაბილური ოპოზიცია თითქმის ორი ათეული პარტიის კონგლომერატია, რომელთაც საერთო საკონსტიტუციო მმართველობის სისტემის გამომუშავებისათვის ალბათ კარგა ხანი დასჭირდებათ, თუკი საერთოდ ოდესმე ასეთ შეთანხმებას მიაღწიეს. ამ პარტიების მცირე ჩამონათვალი, მათი ლიდერების სხვადასხვა ფსიქოლოგიურ-პირადული

თვისებები, ნამდვილად ამ შეთანხმება-მიღწევას არ შეუწყობს ხელს.

ვთქვათ, პრეზიდენტი გადადგა, რაც ნაკლებად სავარაუდოა და თითქმის გამორიცხულია თუკი ცხადად წარმოვიდგენთ მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს და აგრეთვე მისი სამთავრობო გუნდის წევრების განწყობილებას. და მაინც, დაეუშვათ და პრეზიდენტი გადადგა, ამას უნდა მოჰყვეს მთავრობის გადადგომა. ეს აქსიომაა. ამას უნდა მოჰყვეს პარლამენტის გადადგომა, ე.ი. ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, ეს იმ დროს, როდესაც არის გარკვეული პრეტენზიები ოპოზიციისა ქვეყნის საკონსტიტუციო წყობაზე ანუ ძირითადი კანონის – კონსტიტუციის გარშემო. აგრეთვე ეს უნდა მოხდეს იმ საარჩევნო სისტემის და სახელგატეხილი თარხნიშვილის თავმჯდომარეობის დროს. მერედა ვინ უნდა ჩაატაროს ეს არჩევნები? რა მექანიზმებით (კანონით) და ვინ უნდა მართავდეს ქვეყანას ამ პოლიტიკური ვაკუუმის დროს? პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძე, თუ მთავრობის თავმჯდომარე (პრემიერი) გილაური? ასეთი არჩევნების შედეგებს არ დაეთანხმება ოპოზიცია, რომელმაც ააგორა ეს ყველაფერი. ნათქვამიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტის გადადგომამდე, ახალი პარლამენტის არჩევამდე, უნდა მოხდეს საკონსტიტუციო ცვლილებები (ახალი კონსტიტუციის შემუშავება), ახალი საარჩევნო სისტემის შექმნა და ა.შ. მაგრამ ამ ორი თვის პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვისათვის გამოცხადებულმა კომპრომისმა, შეიქმნას საკონსტიტუციო საბჭო (კომისია) ან გადამუშავებულ იქნას საარჩევნო სისტემის დებულება, შედეგი ვერ გამოიღო. რადიკალური ოპოზიცია უარს ამბობს ამ შეთავაზებაზე (ანუ ამ კომისიებში მუშაობაზე). ჩვენი აზრით, ამ ხალხმა გარკვეულ წილად დაკარგა რეალობის შეგრძნების უნარი. ისევ და ისევ ძველი ლოზუნგი პრეზიდენტის გადადგომის შესახებ არაფერს არ ცვლის, რადგან,

ცხადია, ეს არ მოხდება, ყოველ შემთხვევაში, 2013 წლამდე მაინც და თუ მაშინაც მოხდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახლანდელი მთავრობა თავის ფიზიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ამის ორი მეთოდი არსებობს, ისეთი როგორიც ბ. ელცინმა გამოიყენა, როცა ფაქტიურად დანიშნა თავისი მემკვიდრე, რომელმაც უზრუნველყო მისი და მისი ოჯახის ფიზიკური და მატერიალური უსაფრთხოება. ასეთი ვარიანტი საქართველოში გაამართლებს თუ არა, ძალიან საეჭვოა.

იმის გათვალისწინებითაც, რომ რადიკალური ოპოზიციის თითქმის მანიაკალური სურვილი – მოვიდეს ხელისუფლებაში (რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის!) – ამის არავითარ შანსს მთავრობას არ მისცემს.

ისმის კითხვა: რატომ არ თანხმდება ოპოზიცია მთავრობის დემოკრატიული გარდაქმნების შეთავაზებას? პასუხი უნდობლობის ფაქტორია: ამ ხუთი წლის განმავლობაში მთავრობამ იმდენი პოლიტიკური შეპირებები თუ შეთანხმებები არ შეასრულა, იმდენჯერ „უკვაჭა“ ოპოზიციას, რომ მათ მთავრობისა არ სჯერათ, ვინაიდან ის „გარდაქმნები“, რაც ჩაატარა ქვეყანაში, მაინც თავის ტანს მოარგო, დეპუტატთა (მაჟორიტართა) არჩევნებისა არ იყოს თუ ადგილობრივი არჩევნებისა, როდესაც ბოლო მომენტში „გადააგდეს“ ოპოზიცია. ამიტომ უნდობლობის ფაქტორი ძლიერი და დომინირებულია, მაგრამ რას იზამ, პოლიტიკური ბრძოლა დემოკრატიულ ქვეყნებში მრავალეტაპობრივია, ძლიერ ძნელად, თანდათანობითი დათმობების გზით ვითარდება (რა თქმა უნდა, რევოლუციურ განვითარებას თუ გამოვრიცხავთ). ასეთი ბრძოლა ოპოზიციისა მაინც დროში გაწელილი პროცესია, სადაც თითოეული ნაბიჯი გათვლილია, დათმობას დრო სჭირდება, დისკურსები, დებატები, პოლიტიკური ტაქტიკის უხადო ცოდნა და გამოყენება. ამავე დროს ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოების გარკვეული

კონტროლი მთავრობის მოქმედებებზე და ა.შ. მართალია, შედეგის მიღწევას დაუზოგავი რესურსები სჭირდება, მაგრამ ერთი აქსიომაა: სხვა მეთოდი პოლიტიკური სისტემის ევოლუციური შეცვლისა არ არსებობს, თუკი დემოკრატიისათვის იბრძვი და დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას აშენებ. ასეთი დაუღალავი და შრომატევადი დატვირთვისათვის არის მზად თუ არა ქართული არასაპარლამენტო ოპოზიცია? ოპოზიციის მრავალსახოვან პოლიტიკურ სპექტრში ძნელად ან თითქმის არ მოიპოვება ისეთი პიროვნება, რომელიც ამ მოვალეობას ითავებს. მოდით, მათ გვარებს მენუ ჩამომათვლევინებთ, თქვენ თვითონ გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ და თუ მათ შორის მონახავთ ვინმეს, რომელიც დააკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებს, მაშინ მაპატიეთ და ბოდიშს მოვიხდი. ერთადერთი, რაც მათ ეხერხებათ, ტრიბუნაზე რადიკალური ლოზუნგების გახმაურებაა.

აკი მოგახსენეთ, შეკრული წრე შეიქმნა-მეთქი. მართლაც ჯერჯერობით ამ წრიდან გამოსავალი არ ჩანს. ერთნი (ოპოზიცია) არ ხსნიან თავიანთ რადიკალურ მოთხოვნას, მეორენი (მთავრობა, პრეზიდენტი) არასოდეს წავლენ დათმობაზე. როგორ შეიძლება განვითარდეს შემდეგი მოვლენები? წინასწარმეტყველება არ არის ღირსეული საქმე, მითუმეტეს, რომ ორივე მხარე ძლიერ იმპულსურია, თავის ქმედებით დინამიური და საკმაოდ ეშმაკურად „მობილური“. მოდით, ამ ხუთი წლის განმავლობაში მათი ქმედებების ანალიზით მაინც ვეცადოთ მოვახდინოთ პროცესების მოდულირება. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად როგორც ერთნი ისე მეორენი თავიანთი ქმედებებით (თუ უმოქმედობით) არ ემორჩილებიან სტანდარტულ ანალიზს. ამის მაგალითად ისიც გვყვოფა, რაც მოხდა პარასკევს პარლამენტის შენობის წინ: გაურკვეველი წარმომავლობის (გაურკვეველი იმიტომ, რომ არცერთმა ოპოზიციურმა პარტიამ არ აიღო თავის თავზე ამ

ხულიგნური არეულობის ინიციატორობა). რომელიდაც (!) პარტიის ახალგაზრდულმა ჯგუფმა თავის თავზე აიღო პარლამენტის წევრებზე წყლით, კვერცხებით, ქვებით და წიხლებით ანგარიშსწორება. თუმცა ამ ინიციატორის ვიდეოჩანაწერებს რომ დაუუკვირდეთ, აშკარაა, – ახალგაზრდებთან ერთად ხულიგნურ ქმედებებში ჩართული იყვნენ საკმაოდ ასაკოვანი ადამიანები, რომლებიც ქალაქელების შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდნენ. ჯერ პარლამენტარებს მიაყენეს შეურაცხყოფა, შემდეგ – დიპლომატებს (მხედველობაში მყავს ჩეხეთის ელჩი, რომელიც მივიდა ინიციატორის ადგილზე მდგომარეობის გასარკვევად). აგრეთვე არავითარ ეთიკას არ ემორჩილება ოპოზიციონერ გ. ხაინდრაავას შეურაცხყოფელი განცხადებები უცხოეთის დიპლომატიური კორპუსის მიმართ, შეურაცხყოფა კი არა – მათი უწმაწური სიტყვებით მოხსენიება, რაც სახარბიელოს არაფერს მოუტანს არც მთავრობას და არც ოპოზიციას.

თუმცა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ასევე დაუფიქრებელი შეფასება ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარისა, რომელმაც შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკის დონადის ხულიგნურ ქმედებებს „ხუმრობა“ და ბავშვური „წუწაობა“ უწოდა. როცა ამ რანგის სახელმწიფო მოხელე თავის თავს უფლებას აძლევს ხულიგნობას, ვისი მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს ქმედება, „ხუმრობა“ და „წუწაობა“ უწოდოს, მაშინ ასეთი დაუფიქრებელი განცხადება უკუქმედებას იწვევს. მაგრამ ის, რაც გვანახეს ტელევიზიით პარლამენტის შენობის წინ მოწყობილი არეულობის დროს, სრულებითაც არ ჰგავდა არც „ხუმრობას“ და არც „წუწაობას“. აბა მითხარით, რა სერიოზული პოლიტიკოსი შეიძლება ეწოდოს ადამიანს, რომელიც ამართლებს ასეთ ქმედებებს, რომელ პოზიციაზეც არ უნდა იდგეს ეს ადამიანი. ასევე მოხდა, როდესაც ოპოზიციის ლიდერებმა ბურჯანაძემ, ბესე-

ლიამ და სხვებმა გაამართლეს სამარცხვინო ხულიგნური აქტი. ხშირად მოჰყავთ მაგალითი იმის შესახებ, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში მშვიდობიანი საპროტესტო აქციები (მიტინგები, დემონსტრაციები და სხვა სახალხო ღონისძიებები) დაშვებულია და, აქედან გამომდინარე, ჩვენც ასეთ აქციებს ვატარებთო. არა მგონია, ეს ორი მაგალითი თანაფარდობაში იყოს, რამეთუ იმ ქვეყნებში ასეთი სახალხო აქციები ყოველთვის გათვლილია დროში და სივრცეში, მანიფესტანტთა თუ მომიტინგეთა რაოდენობით, ამ ღონისძიებების ჩატარების ადგილით და ცოტაოდენი გადახვევაც კი იწვევს მათ ძალისმიერ დაშლას. მხედველობაში არა გვაქვს, რა თქმა უნდა, სტიქიური მიტინგები და მანიფესტაციები, რომლებიც თუ მასიური არეულობით განვითარდა, მაშინვე აღიკვეთება ძალოვანი სტრუქტურების მიერ. არა გვგონია, მართებული იყოს არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ ქუჩებისა და ტრასების გადაკეტვა ე.წ. საკნებით (ამბობენ, დაახლოებით რამდენიმე ასეული საკანით), რითაც გარკვეული პრობლემები შეუქმნა მოსახლეობას სატრანსპორტო გადაადგილების თვალსაზრისით, შეფერხდა მაღაზიებში პროდუქტების შეტანა, ხალხი იძულებული გახდა (მითუმეტეს, სოლოლაკის და მთაწმინდის მოსახლეობა) სახლში ფეხით ევლო, მანქანები სადღაც ქუჩაში მიეტოვებინა. დაიხურა რამდენიმე სკოლა, სკოლამდელი საბავშვო დაწესებულება, შეფერხდა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაწევა, ქუჩები და გადასასვლელები ისევ და ისევ ნაგვით გაივსო და მრავალი სხვა. ყოველივე ამას არ შეიძლება ხალხის უკმაყოფილება და გაღიზიანება არ გამოეწვიოს.

როგორც მთავრობას ყველაფერში ჩრდილოელი მეზობლის აგენტურული ქმედება ელანდება, ისე – თუ სადმე მოსახლეობამ პროტესტი განაცხადა ქუჩების გადახერგვის და ნაგვის სიჭარბის გამო – ოპოზიცია ყველა ამ ქმედებაში ვანო მერაბიშვილის „ზონ-

დერბრიგადებს“ ადანაშაულებს.

არც ის არის სასიამოვნო მოსასმენი, როცა ოპოზიციის ყველა ამ ქმედებას მთავრობის პროვოკაციებს უწოდებენ და აცხადებენ, „ჩვენი საქმეა სად დავდგამთ ე.წ. „ცინის საკნებს“ ან სად რომელ ქუჩას გადავკეტავთ“. კარგი რა, ხალხო, ღმერთს შეხედეთ და ისე განსაჯეთ, – ეს თბილისის ქუჩები მამათქვენის საკუთრებაა თუ პრივატიზებული გაქვთ?!

როგორი მთავრობაც არ უნდა იყოს ქვეყანაში, დემოკრატიის აშენების თუ სტაბილურ დემოკრატიულ სისტემების, ხალხში ყოველთვის გროვდება უარყოფითი მუხტი სოციალური პოლიტიკის თუ ქვეყნის მართვის სხვადასხვა საკითხზე. არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც არ იმართებოდეს პერიოდულად მანიფესტაციები, მიტინგები გლობალისტთა, ანარქისტთა, სექსუალური უმცირესობების, ეკოლოგიური და სხვა მიტინგები თუ მასიური მსვლელობები. ძირითადად არსებული კანონის შესაბამისად ისინი ყოველთვის ტარდება ქალაქის მმართველობასთან შეთანხმებით და გათვლილია დროში, განსაზღვრულია ამ ღონისძიებების მარშრუტები და საბოლოო შეკრების ადგილი (მართალია, ვემორდებით ჩვენს განმარტებებში, მაგრამ, გამეორება ცოდნის საფუძველია). და თუ მასიური აქციების მონაწილეებმა დაარღვიეს შეთანხმებული თამაშის წესები, ან მოხდა არეულობა და პოლიციასთან შეტაკება, ყოველივე ეს, როგორც მოგეხსენებათ, ისჯება კანონის მთელი სიმკაცრით. ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყნებში, მაგალითად, ინგლისში, კერძოდ, მის დედაქალაქ ლონდონში, არსებობს შესანიშნავი მწვანე ზონა ჰაიდპარკი და ამ საკმაოდ დიდ პარკში არსებობს სპეციალური ტრიბუნა თავისი ტერიტორიით ხალხის შეკრებისათვის და თუ ვინმეს სურს, „რეჩით“ მიმართოს ხალხს, ამაში არავითარი პრობლემა არ არსებობს. ადი ტრიბუნაზე და თქვი „რეჩი“, რაზედაც გინდა. შეზღუდვები მხოლოდ რამდენიმე საკ-

ითხზე არსებობს: არ შეიძლება ფაშიზმის, ტერორიზმის და რასიზმის პროპაგანდა. დანარჩენი თემები შენია, ბატონო, მიდი და ილაყბე, რამდენიც გინდა. მთავარია ის, რამდენად დააინტერესებს ეს ხალხს და ვინმე თუ გაგინერდება.

აღბათ საჭიროა და დროულია ასეთი შესანიშნავი მაგალითი გადმოიღოს თბილისის მერიამ, ე.ი. გამოყოს სამიტინგო და სამანიფესტაციო ადგილები – ხუდადოვის ტყეში, ვაკის პარკში ან ყველაზე უკეთესი – იპოდრომზე. ააშენონ მარმარილოს ტრიბუნა, თეატრონი და ჩვენი ორატორები და მომიტინგეები იქ შეკრიბონ და მიეცეთ საშუალება თავიანთი საყვარელი „საქმე“ აკეთონ, თუ ისურვებენ, დღის 24 საათის განმავლობაში, რომ ქვეყანამ ამით მაინც გაითქვას სახელი, თორემ ახლანდელი ჩვენი ფეხბურთის თავკაცების, ფეხბურთელების და მწვრთნელების შემყურე – ჩვენი ეროვნული საფეხბურთო სკოლის აღორძინებას აღბათ კიდევ ერთი საუკუნე დასჭირდება. აქ ამ პირობებში, ამ ღონისძიებებზე გავერთობით მაინც და თანაც მოვისმენთ საორატორო მჭევრმეტყველების ნიმუშებს, მართალია, ხანდახან ლანძღვა-გინებით შემკულს, მაგრამ ღმერთი გვაპატიებს, ჩვენ ხომ კავკასიელები ვართ – ექსპანსიურები?!

არ შეგვიძლია არ გამოვეხმაუროთ ამ დღეებში (20 ივნისს) რუსთაველის პროსპექტზე (პარლამენტის წინ, ოპოზიციის მიერ „პრივატიზებულ“ ტერიტორიაზე) ბატონ ლევან გაჩეჩილაძის მიერ გაუღერებულ ინფორმაციას, რომ იგი, როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი (სხვათა შორის არცერთი ოპოზიციური პარტიის წევრი ბატონი ლევანი არ ბრძანდება და თვითონაც ჯერჯერობით არ ჩამოუყვალბებია თავისი პარტია), აწარმოებდა ევროპაში (სად, არ უთქვამს, ევროპაში სულ ცოტა სამი ათეული ქვეყანა არსებობს) მოლაპარაკებებს იმის შესახებ, რომ ევროპელებს (?) დაეფინანსებინათ თბილისში მიმდინარე ოპოზიციის ღო-

ნისძიებები, მისი სიტყვებით იგი ძლიერ კმაყოფილია მიმდინარე მოლაპარაკებებით და ხაზი გაესვა სწორედ იმას, რომ ეს იქნება ე.წ. ევროპული (!) ფული. თუმცა ასეთი ტერმინი ჯერჯერობით არ არსებობს, არსებობს ევროპის ვალუტა „ევრო“ ე.ი. იქნება „ევრო“, რამდენი – არ უთქვამს და ვინ მისცემს – „კონსპირაციის“ გამო არ დაუსახელებია. თანაც გაქდურდა გაბეღული განცხადება იმის შესახებ, რომ ამას ღიად და დაუმაღლავად ვაცხადებთ, რადგან არაფრის არ გვემინიაო. სანამ ყოველივე აქ თქმულის სამართლებრივ ანალიზს გავაკეთებდეთ, ისიც გავიხსენოთ, რომ განჩივლადის ამ განცხადებებს წინ უძღოდა ოპოზიციის სხვა ლიდერების განცხადება (რაც გაიმეორა ბატონმა განჩივლადემ), რომ თურმე რუსეთის ფედერაციის მთავრობას „სასტიკად აუკრძალია“ სამთავრობო სტრუქტურებისათვის, არასამთავრობო ასოციაციებისათვის, და, ასე წარმოიდგინეთ, ქართული წარმოშობის ბიზნესმენებისათვის (!), სააკაშვილის მთავრობის საპროტესტო აქციების ფინანსირება. გასაგებია, რომ მთავრობა უკრძალავს თავის სტრუქტურებს რაიმეს ფინანსირებას, რადგან ყოველი ასეთი ფინანსირება ბიუჯეტის ხარჯზე ხდება, ქვეყნის ბიუჯეტის განკარგვა კი მის ფუნქციებში შედის. მაგრამ სავსებით გაუგებარია იმის აკრძალვა, რასაც თვითონ თითქმის ვერასოდეს გააკონტროლებს. ხოლო არასამთავრობო სტრუქტურებმა და კერძო პირებმა, თუკი მათ ეს სურთ (ე.ი. თბილისის აქციების დაფინანსება), პატარა ფინანსური სქემით რომ დაატრიალონ ფული მსოფლიოს ნებისმიერ ბანკში, შემდეგ ეს თანხა ისე აღმოჩნდება საქართველოში, რომ ვერასოდეს ვერ გაიგებ მისი წარმოშობის წყაროს. ეს ისე, მაგალითზე მოვეყვებით, თორემ ფულის გათეთრების იმდენი მეთოდი არსებობს, რომ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წავიყვანს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ინფორმაცია იმიტომ გაახმოვანეს, რომ ხაზი გაუსვან ფულის ევროპულ წარმოშობას, რაც

დამერწმუნეთ, ძლიერ გულუბრყვილო მსმენელზე არის გათვლილი: „აბა რა ვქნათ, ხალხო, ყველაფერს ამას (მიტინგებს) ხომ ხარჯი სჭირდებაო“. აი, ეს კი ხმამაღალი აღიარება გახლდათ ალბათ მთელი ამ ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. ისე სწორია, რაც საკნების, ბანერების, დროშების, პლაკატების, პურ-მარილის დამზადებაში ფული დაიხარჯა, ალბათ ბევრ სიღარიბის ზღვარზე მყოფ ხალხს დააკმაყოფილებდა.

რადიკალური ოპოზიციის ლიდერებსა და გულშემოტიკიერებს შორის არიან იურისტები (უსუფაშვილი, ხიდაშელი, ბესელია და სხვა), ეკონომისტები, ყოფილი სამთავრობო გუნდის მინისტრები და ნუთუ ძნელი იყო იმის გამოთვლა, რომ რაც ხმამაღლა განაცხადეს დაფინანსების შესახებ, არის მთლიანად და უცილობლად კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რადგან საიდანაც არ უნდა შემოვიდეს ფული, ევროპიდან თუ ჩრდილოეთიდან, ამის უფლება არავის არ აქვს, სხვა ქვეყნის მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა თუ ქმედება დააფინანსოს, რადგან, ვიმეორებ, ასეთი კანონი არცერთ ქვეყანაში არ არსებობს. ეს ჩვენ არ მოგვიგონია და ჩვენი „ნოუ-ჰაუ“ არ გახლავთ, ეს არის საერთაშორისო კანონი და აშკარად, ღიად, არცერთი ქვეყანა ამაზე არ წავა და არ მიდის. რა თქმა უნდა, აფინანსებენ ჰამასის ტერორისტებს, თალიბანს და სხვებს, მაგრამ ყოველივე ეს კონსპირაციულად ხდება. შეიძლება დაგებადოთ კითხვა: რა მაგალითი მოიყვანეთ, რა შედარებაა ტერორისტების დაფინანსება და სახალხო მანიფესტაციების დაფინანსებაო. გიპასუხებთ: ერთიც და მეორეც სხვა ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევას ნიშნავს, ამის აღიარება კი არავის არასოდეს არ სურდა და არ არის ძნელად სავარაუდო, რომ ასეთი ფინანსირება სხვა ქვეყანაში, ამჯერად საქართველოში, მთავრობის გადაყენებას ემსახურება.

დამფინანსებლისათვის სულ ერთია (და, შეიძლება, მას ეს ფხეხებზეც ჰკიდია), თუ როგორი ხერხით მოახ-

ერსებს ამას მის მიერ დაფინანსებული ოპოზიცია – კონსტიტუციურ ჩარჩოებში თუ არეულობისა და რევოლუციური ტალღის აგორებით, თუნდაც სამოქალაქო დაპირისპირების ხარჯზე. მისთვის მთავარი მიზანია ხელისუფლების დამხობა, ქვეყნის სათავეში მისთვის სასურველი სამთავრობო ჯგუფის და ლიდერის მოსვლა, რომელიც დააკანონებს მის კერძო თუ პირად მოთხოვნებს და ამბიციებს. აი, რის ხარჯზე ან როგორ შესძლებენ ამას ახალი ხელისუფალნი, ეს მხოლოდ მათი პრობლემაა, მაგრამ ვაი რომ, ეს სინამდვილეში მათი პრობლემა კი არ გახდება, არამედ ისევ და ისევ საწყალი ქართველი ხალხის ზურგზე გადაივლის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ერთი დასკვნა: არ შეიძლება ოპოზიციის პატივცემულ იურისტებს და ეკონომისტებს არ სცოდნოდათ ის, რაც ჩვენ აქ ვთქვით, მაგრამ მაინც გაახმოვანეს ის ინფორმაცია. ისმის კითხვა – რისთვის გააკეთეს ეს შეგნებულად (დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, შეგნებულად)? – მხოლოდ ერთი მიზნისთვის, „ნერვების ომის“ დროს მთავრობის შემდგომი გაღიზიანებისათვის და უფრო სწორად – კაზინოების ტერმინით რომ ვთქვათ – „ვა-ბანკი“ გაითამაშეს...

ამას, როგორც გახსოვთ, მოჰყვა ოპოზიციის გამოჩენილი ლიდერების გამყრელიძის, ბურჯანაძის, ბესელიას და სხვების ერთხმიანი ირონიული კონტექსტით გამოთქმული განცხადებები, რომ მათ არაფერი უწყიან ამ ინფორმაციის შესახებ, და მათთვის დასმული კითხვების გადაგზავნა „აღიარების“ ადრესატზე (ე.ი. გაჩენილადეზე). ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ მათ მიერ „აგორებულმა“ პიარ-აქციამ თავის დასასრულს მიაღწია... ატყდა „აურზაური“, დისკუსიები, კითხვები, საგაზეთო სტატიები, სატელევიზიო დისპუტები, პოლიტოლოგთა ვერსიები და სხვა. ისმის კითხვა: რატომ იყო ეს საჭირო? ეს იყო აუცილებელი გათვლილი ქმედება ოპოზიციისა, რომ საპროტესტო

მუსტი ქუნიდან პრესაში და ტელევიზიაში გადაეცანათ და ერთი დღითაც არ ჩაექროთ თითქოსდა ცოტაოდენ განმუხტული საპროტესტო აქციები? ოპოზიციის იურისტებმა შემდეგში განმარტეს, რომ „ფულის საშოვნელად“ ე.ი. აქციების დასაფინანსებლად, რომელიმე პარტიის ლიდერი კი არ წასულა ევროპაში, არამედ უპარტიო გაჩეხილაძე, რომელსაც თითქოსდა კანონით ამის უფლება აქვს, თუმცა ისიც გაირკვა შემდეგში ყოვლისმცოდნე და ყველაფრის მეთვალყურე ვანო მერაბიშვილის უწყებიდან, რომ იქ, ევროპაში, თურმე მემარჯვენეთა ლიდერიც გახლდათ. აფერუმ, ბატონ ვანოს „პროფესიონალიზმს“, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ ყოველთვის ყველაფერი იცის და ყველაფერს უთვალთვალეს. თუმცა ამაში რა არის გასაკვირი, როდესაც ორი თითქმის ყველაზე გამორჩეული ოპოზიციის ლიდერი საზღვარგარეთ მიდის (პრეზიდენტობის ორი ყოფილი კანდიდატი), რა თქმა უნდა, მათ იქ თავის კუდს (მეთვალყურეებს) გააყოლებდნენ. ასეთი მასალების მოძიება და ისიც საზღვარგარეთ, დამერწმუნეთ, დიდძალი ფული ღირს (ვაი, საწყალო, ღარიბო ქვეყნის ბიუჯეტო!). ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ თუ სპეცსამსახურები ასე ეფექტურად მუშაობენ საზღვარგარეთ, ალბათ ოპოზიციას ძლიერ ჩახუტებული მეთვალყურეები ჰყავთ, ე.ი. თითოეული მათი ნაბიჯი გათვლილი, გაანგარიშებული, აუდიომასალით დაფიქსირებულია. მთელი ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ქვეყანა დეტექტიური კინოფილმის გადაღების ყოველდღიურ პროცესშია ჩაბმული. თითქოსდა სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხი არ იდგეს ქვეყნის წინაშე ამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მძვინვარების დროს და ქვეყნის ერთი მესუთედის თუ მეოთხედის ოკუპაციის დროს.

ტყუილად არწმუნებენ თავის თავს ოპოზიციის ლიდერები, რომ აუდიოჩანაწერები ბატონების – გაჩეხილაძის, გამყრელიძის და თარგამაძის (შევარდნაძის

დროის შინაგან საქმეთა მინისტრი) შეხვედრისა გერმანიის დედაქალაქში მხოლოდ აუდიოჩანაწერებია. არა, ბატონებო, დღევანდელი ე.წ. დეტექტიური აუდიო-ვიდეო ჩანაწერების ტექნიკით, მათი გახმოვანება ყოველთვის შეუძლიათ ან თუნდ მონტაჟი. ისე რომ, ჯერჯერობით მოვლენათა განვითარების შემდეგ ეტაპზე, ახალ სიურპრიზსაც უნდა ველოდოთ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევა ოპოზიცია... თუ მთავრობას დასჭირდება, ჩარლი ჩაპლინის უხმო ფილმებიდან გადავლენ თანამედროვე ფერად კინო-ვიდეო-აუდიო ჩანაწერზე. ისე რომ, რამდენიც არ უნდა გვინდოდეს, მაინც ვერ გემშვიდობებით.

თუმცა პატიებას მოვითხოვ. ამ ხალხს ისე გაუგრძელდა კუკუდამალობანას თამაში, და ისეთ ეშხში შევიდნენ (შეტოპეს), რომ, ეტყობა, 2013 წლამდე ჩვენი დამშვიდების და დაწყნარების საშუალება გამორიცხულია. ამიტომ არავინ არ იცის, ხვალ ან ზეგ კიდევ რა სიურპრიზები გველოდება, როგორც სამთავრობო ჯგუფიდან, ისე ოპოზიციიდან?! ამიტომ აქ დავსვამ წერტილს. შემდეგში კი ერთად დავაკვირდეთ მოვლენათა მიმდინარეობას, რომელიც, იმედია, დინამიურად განვითარდება, ჩვენ ხომ ექსპანსიური ტემპერამენტის ხალხი ვართ?!

ოპოზიციისა და „ოპოზიციის“

ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური მდგომარეობის შეფასების დროს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ე.წ. საპარლამენტო „ოპოზიციის“ არსებობის ფაქტს. ამ „ოპოზიციის“ შექმნასა და მისი ოპოზიციურ ბლოკში ჩართვაში სამთავრობო ჯგუფს დიდი „ღვაწლი“ მიუძღვის. ეს ერთადერთი, რომ იტყვიან, წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობლების პოლიტიკურ ცხოვრებასთან შედარებით,

როდესაც მათ წინ გავუსწართ და მათზე ადრე შევქმენით უმართავი „ოპოზიციური“ მოძრაობა. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ამ ფაქტის შემდეგ დაიწყო ჩვენმა მეზობლებმა ანალოგიური „ოპოზიციის“ მემარჯვენე ფრთის შექმნა, მიიღეს კანონი საარჩევნო პროცენტების დაწვევის შესახებ და მრავალი სხვა, რაშიც გაიმეორეს ჩვენი მაგალითი. თორემ ისეთი ე.წ. ჯიბის პარტიები და ფრაქციები დუმაში ისედაც მრავალი ჰყავდათ: ჟირინოვსკის „როდინადან“ – მრონოვის „სამართლიანობის პარტიით“ დამთავრებული, რომლებიც ყველა მოსახვევში გაჰყვიროდნენ თავიანთი ოპოზიციონერობის შესახებ და ეს იმდენად დამცინავი და კარიკატურული იყო, რომ როგორც იქნა მიხვდნენ, ასეთი თამაშით ფონს ვერ გავიდოდნენ და მიიღეს ბრძნული გადაწყვეტილება – რამდენიმე მანდატი მომავალ პარლამენტში დაეთმოთ ე.წ. (უკვე) მემარჯვენეებისათვის, რამეთუ არა მარტო ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, არამედ კომუნისტური პარტიაც ისეთივე ოპოზიციური გახდა, როგორც ჩვენ ვართ – თქვენთან ერთად – ჩემო მკითხველო, ჩანკაიშის შთამომავლები. არადა, ასეთი ოპოზიციური პარტიის შექმნა, აუცილებელიც იყო ქართული პარლამენტარიზმის არსებობისათვის, რამეთუ საპარლამენტო არჩევნების სამთავრობო ადმინისტრირებით ჩატარების შემდეგ პარლამენტში სულ რაღაც 15 ადგილი დაეთმო ოპოზიციას, რომელმაც უარი განაცხადა პარლამენტის მანდატების მიღებაზე და ამიტომაც, ითვალისწინებდნენ რა ასეთ სავალალო შედეგს, სულ რაღაც ერთ თვეში შექმნილი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია პარლამენტში მოხვდა. აბა ეს რა არის, თუ არა ხალხისთვის თვალის ახვევა. წარმოიდგინეთ, პარტია, რომელიც საერთოდ არ არსებობდა, ქირობს ოფისს, ეწევა სააგიტაციო-პროპაგანდულ მუშაობას მასმედიაში და შედის პარლამენტში. მთავრობას ხანდახან ახსენდება პარტიების დაფინანსების წყაროე-

ბი (განსაკუთრებით, როცა მინიშნებებს ჩრდილოელ მეზობელზე აკეთებს). ამჯერად ერთხელაც არ დაინტერესებულან, რუსები რომ იტყვიან, „А на какие шиши“-ო. რატომ? იმიტომ რომ მათ ეს აწყობთ. ახლა არ შემეკითხოთ, რატომ აწყობთო, იმიტომ აწყობთ, ბატონო, რომ მისი პირმშოა და ფულიც მისია და ნუთუ გასაგები არ არის, რომ საკუთარი ბავშვი ყველაზე საყვარელია, მითუმეტეს, საკუთარი კი არა – ნაშვილები და ისეთი ნაშვილები, რომელიც უმადური არ არის და სამაგიეროს კეთილად გიხდის?! მართალია, ამის შემდეგ მთავრობას შეეკმნა იმის ილუზია, რომ უგულვებლყო არასაპარლამენტო ოპოზიცია და აპირებდა ხშირად დამჯდარიყო „მოლაპარაკებების“ მაგიდასთან ამ ე.წ. ოპოზიციასთან. მაგრამ ეს ილუზია ჩქარა გაქრა, რამეთუ არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ცივილიზებულ ევროპაშიც გაიგეს, თუ რას წარმოადგენს ეს ე.წ. „ოპოზიცია“, ასეთი და ამის მაგვარი „ოპოზიციები“ მათ თავიანთ ქვეყანაში არაერთი შექმნეს და დააარსეს, როცა ეს საჭიროდ მიაჩნდათ თავიანთი პარლამენტარიზმის განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ასე რომ, ახალი ამერიკა ამით ქართველებს არ აღმოუჩენიათ. უბრალოდ გაიმეორეს ეს გზა ერთი ორასი ან სამასი წლის შემდეგ.

ისე რომ, სამთავრობო გუნდს, როდესაც ის ვერ მიდის და არც სურს წავიდეს რაიმე კომპრომისზე არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, ყოველთვის ჰყავს რეზერვში და, ყოველთვის, როცა სურს გამოიძახებს ხოლმე თავის ოპოზიციას სასაუბროდ ან მოსადაპარაკებლად იმ საკითხებზე, რომელთა შესახებაც უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილება მიღებული აქვს. ამიტომაც ხშირად დიმილის მომგვრელია სერიოზული, დინჯი, წყნარი საუბარი ამ ოპოზიციონერებისა (განსაკუთრებით ქრისტიან-დემოკრატებისა, გუშინდელი არცთუ ისე ცუდი ჟურნალისტებისა), რომლებიც ახმოვანებენ კარგად, ლამაზად შეფუთულ სამთავრობო

გუნდის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ან პერსპექტიულ მიზნებს.

პირველი რაუნდი პრეზიდენტსა და არასაპარლამენტო აგრესიულ ოპოზიციას შორის ყაიმით დამთავრდა. ახლა კი, ალბათ, ხვალ ან ზევ, დაიწყება ძმაკაცების (მაპატიეთ, სამთავრობო ჯგუფის და „ოპოზიციის“) შეხვედრები, რათა შეათანხმონ „ოპოზიციასთან“ შეჯერებული რეორგანიზაციული საკითხები. მაგრამ არა მგონია, ამით საზოგადოება და მითუმეტეს, რადიკალურად განწყობილი ოპოზიცია დაკმაყოფილდეს. „ოპოზიციის“ გამოჩენილი ლიდერები, თარგამაძე, ახვლედიანი, ბაღათურია და სხვები „ბრძოლისათვის“ მზად არიან. ისეთი თვითდაჯერებით, ისეთი არტისტული გარდასახვით გეთავაზობენ თავიანთ პოლიტიკურ წინადადებებს, თითქოსდა ვინმე რამეს ეკითხებოდეს ან რაიმეს გადაწყვეტა შეეძლოთ.

ისეთი კურიოზული პარტიის შექმნა, რომელიც ყოფილმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარდელმა იკისრა და თავის მოადგილედ თუ გენერალურ მდივნად მიიწვია ბატონი ჩინოვნიკი მამრაძე, ყოველგვარ იუმორს აღემატება. ასეთი პარტიის და ასეთი ლიდერების „მოდვაწობის“ აღწერისათვის, ჩვენი კალამი ნამდვილად სუსტია, ამას საქართველოში მხოლოდ კლდიაშვილი და დუმბაძე თუ შესძლებდნენ, ხოლო ჩვენი ქვეყნის გარეთ ალბათ ჩეხოვი ან ამერიკელი ო'ჰენრი, მაგრამ ისინი ასეთ ცირკს ვერ მოესწრნენ, მათდა საბედნიეროდ, ხოლო ჩვენი ქართული პოლიტიკური იუმორი ყველასათვის გასაგები კი არა, ხანდახან ჩვენთვისაც გაუგებარია.

ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირა საქართველოში ვიზიტი და შუამავლის როლის შესრულება ევროსაბჭოს წარმომადგენელმა სპიბერსმა. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, კარგია, რომ ევროპას ვახსოვართ და ძალას არ იშურებს ჩვენი პოლიტიკური დაძაბულობის გასანეიტრალებლად, ამისათვის შუამავალიც კი

შეგვიცვალეს, რადგან ევროსაბჭოს წარმომადგენელი უნგრეთიდან ბატონი იორში ოპოზიციას უკვე არ აწყობდა, რაკი სააკაშვილის ლობირებაში დასდეს ბრალი. რა უშვერი სიტყვებით არ მოიხსენიეს და ახლაც არ იხსენებენ? ისიც კი „გამოქექეს“, რომ იორში უნგრელი კი არ ყოფილა, არამედ უნგრელი ებრაელი და ამის „ადმოჩენა“ ისე გაუხარდათ, თითქოს ამაში რაიმე ცუდი იყოს ან ვინმეს ჩრდილს აყენებდეს. არავითარი მაკომპრომიტირებელი ფაქტი ეს არ გახლავთ და ასეთი „მამხილებელი“ მასალის ნიშნისმოგებით გახშიანება ბულვარულ გაზეთში „ასავალ-დასავალი“, ნამდვილად სამარცხვინოა და ანტისემიტიზმის სუნი ასდის.

ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც ყოველთვის, ცივილიზებული ევროპა ან თავს იტყუებს, ან ჩვენ გვატყუებს, როცა აცხადებს, რომ ერკვევა ჩვენს ძალიან სპეციფიკურ ნაციონალურ ჰობში, ზოგიერთისთვის კი მანიაკალურ გატაცებაში, რასაც შიდა პოლიტიკური სიტუაცია ჰქვია, რადგან დრო არ ენანებათ და ხვდებიან ჯერ სამთავრობო უმრავლესობას, შემდეგ – რადიკალურად განწყობილ ოპოზიციას და აგრეთვე – ე.წ. „საპარლამენტო ოპოზიციას“, რომელსაც საზოგადოებაში და ხალხში არავითარი ავტორიტეტი და პოლიტიკური წონა არ გააჩნია, და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური პროცესების პროფანაციას უფრო ეხმარება, ვიდრე მათი დაძაბულობის განმუხტვას. სამაგიეროდ იქმნება დასავლეთისათვის ე.წ. დემოკრატიული წყობის იმიტაცია: აი, ნახეთ, ქვეყანაში არამარტო რადიკალური ოპოზიცია არსებობს, არამედ საპარლამენტო ოპოზიციაც, რომლის ქმედებებიც მიმართულია მთავრობასთან პოლიტიკური პროცესების დემოკრატიული წესით გადაწყვეტისაკენო. კარგი, ბატონო! კარგია თუ ცუდია, ეს შენ განსაზღვრე, რახან ამდენ ფულს ხარჯავ ამ იმიტაციისთვის, მაგრამ ჩვენ რას გვერჩი, ამდენ ტყუილებში რომ გაგვახვიე?.. ნამდ-

ვილად არ აქვს საზღვარი ზოგიერთი პოლიტიკოსის სწრაფვას პოლიტიკური ოლიმპისაკენ. საუბედუროდ, იძულებული ვართ, ვუსმინოთ ისეთ გენიალურ პოლიტიკოსებს, როგორებიც არიან თარგამაძე, ანიკაშვილი, ახვლედიანი, ბადათურია, რომლებიც სერიოზულად და წარბეჭეხრელად ამცნობენ ქვეყანას, თუ როგორ უნდა გამოვიდეს იგი პოლიტიკური ჩიხიდან. არადა, ამ ხალხმა ამ სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში ისე სწრაფად შეიცვალა თავისი პოლიტიკური შეხედულებები, რომ ვერ გაუგია საერთოდ, თუ აქვთ მათ რაღაც სტაბილურად გააზრებული პოლიტიკური სახე. ამ ბოლო წლებში ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება ისეთ სახეცვლილებებს განიცდის, რომ თუ ცოტათი მაინც მოაღუნე ყურადღება, მერე ვეღარ გაიგებ ამჯერად რა პლატფორმაზე დგანან ესა თუ ის პოლიტიკური მოღვაწეები. გუშინდელი პრემიერი ამტკიცებს, რომ ოპოზიციიაშია, გუშინდელი პარლამენტის სპიკერი არამართო ოპოზიციის ლიდერია, არამედ მისი ყველაზე რადიკალური ფრთის ლიდერი. გუშინწინდელი მინისტრები ხაინდრავა, ზურაბიშვილი – ერთ-ერთი „სასტიკი“ რადიკალები გახდნენ... და ა.შ. ამ ფონზე აბა რა გასაკვირია, ბატონ გიორგი თარგამაძის მეტამორფოზული სახეცვლილებები, ჯერ იყო და ა. აბაშიძის შვილობილი, ქალბატონ მაგულის ხატაპურებზე გაიზარდა, შემდეგ რეგიონალურ (აჭარის) პოლიტიკურ ცხოვრებაში აიღვა ფეხი, მერე „აღორძინების“ ლიდერი გახდა, მერე ოპოზიციური ტელეარხის „იმედის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელად მოგვევლინა და თავისი რეპორტაჟებით ავტორიტეტი მოიპოვა საზოგადოებაში. შემდეგ „გმირული“ ნაბიჯები გადადგა ტელეარხის დარბევის (გამოთიშვის) დროს, უფრო მოგვიანებით ბ. პატარკაციშვილისგან (მისი მეორე მამა-მარჩენალი) წამოვიდა და თვითნებურად შეწყვიტა „იმედში“ მუშაობა (აღბათ ქულების ჩათვლისათვის). შემდეგ ერთ თვეში პარტია ჩამოაყალიბა და ამ პარტიით პარლამე-

ნტში მოხვდა. ეს პარტია ახლა პოლიტიკური ცხოვრების ცენტრშია და ძალას არ იშურებს ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამყარებისათვის. ეს ხალხი სერიოზული სახით გვასწავლის უკვე „დემოკრატიის“ მშენებლობას. ისინი ხვდებიან ევროსაბჭოს, ევროკავშირის, ეუთოს და სხვა პოლიტიკური ცხოვრების ლიდერებს და სერიოზული გამომეტყველებით აუწყებენ მათ ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გზებს, რომლის სცენარებიც მათ სრულებითაც არ ეკუთვნით. ამ დღეებში ზემოხსენებული ევროემისარი შეხვედრია უმცირესობის ერთ-ერთ ლიდერს პაატა დავითაიას და ჰქონია მასთან ხანგრძლივი საუბარი ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის გადაწყვეტის გზებზე. კი, ბატონო, შენი საქმეა, სტუმარი ხარ და ვისაც გინდა, შეხვდი და ესაუბრე, მაგრამ აბა პ. დავითაია, გ. თარგამაძე, ჯ. ბაღათურია ან ალპინისტი გ. თორთლაძე რისი გადაწყვეტილების მიმღებნი არიან, რომ ამისათვის დროს კარგავ? მაპატიე, თუმცა შენცა გყავს უფროსები ბრიუსელში და რომ ჩახვალ, ხომ უნდა მოახსენო, რომ შეხვდი პოლიტიკური სპექტრის ყველა მონაწილეს, უფრო სწორად – თვალი უნდა აუხვიო უფროსებს. გასაგებია, შენც ხომ მოხელე ხარ, თანაც ევროპული რანგისა, მაგრამ მოხელე ყველგან მოხელეა და მანაც ხომ უნდა დაამტკიცოს თავისი „მუშაობის“ მაღალი კოეფიციენტი?!

ისე, კაცმა რომ თქვას, რას ერჩი ამ ხალხს? თავიანთ თბილ მდგომარეობას ბოლომდე ანაზღაურებენ გულმოდგინე შრომით და თავდაუზოგავად იღწვიან საქართველოში დემოკრატიული წყობის აღორძინებისათვის. შესანიშნავ იმიტაციას ახდენენ, ამაღლებენ ამით ქვეყნის საგარეო იმიჯს (აბა საშინაო იმიჯი ვის რაში სჭირდება?) და გულუბრყვილო ხალხს „თვალში ნაცარს“ აყრიან. ერთი რამეც კარგად აქვთ გათვითცნობიერებული ამ ე.წ. ოპოზიციონერებს: თუ ქვეყანაში

რაიმე პოლიტიკური ცვლილება მოხდა (რაც ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ რა ვიცით, ხალხნი ვართ და...), მაშინვე დადგება მათი პოლიტიკური მოღვაწეობის დროებითი დასასრული და არა ფიასკო, რამეთუ ცხოვრებაში ისეთი მოქნილნი არიან, რომ საქართველოში თუ არა, სადმე ევროპაში მაინც ამოყოფენ თავს – ემიგრაციაში მყოფ ოპოზიციონერებად. ასეთი პერსპექტივა, არა მგონია, მათ ძლიერ ახარებდეთ და ამიტომაც შესმატებილებულად თამაშობენ „ოპოზიციურ“ როლს.

მიტინგები მიმდინარეობს. რადიკალური მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომის შესახებ არ იცვლება. ამ დროს სამთავრობო და საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან ისმის ერთხმიანი შესმატებილებული მოწოდებები იმის შესახებ, რომ მზად არიან მოლაპარაკებებისათვის, კომპრომისისათვის, მაგრამ ასეთი „მოლაპარაკებები“ არაერთხელ ჩაატარეს, მიიტყუეს ოპოზიცია და არავითარ კარდინალურ გადაწყვეტილებაზე თანხმობა არ განუცხადებიათ. ასე იყო პრეზიდენტის არჩევნების წინა პერიოდში, ასე იყო საპარლამენტო არჩევნების დროსაც. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ისინი არასოდეს არ დათმობენ მართვის იმ ბერკეტებს, რომლებიც უხანგრძლიევებს მათ სიცოცხლეს.

1) არასოდეს არ დათანხმდებიან საარჩევნო სისტემის სრულ დემოკრატიზაციას (ე.ი. არჩევნების პროცესის კონტროლზე საზოგადოებისა და ოპოზიციის მხრიდან), რადგან პრაქტიკამ წინა არჩევნებისა უჩვენათ, რომ ასეთი კონტროლი რომ ყოფილიყო, ისინი ახალ მთავრობას ვერ შექმნიდნენ და პრეზიდენტის არჩევნებიც სხვა სცენარით წარიმართებოდა. ის კი არა, ყოველგვარად ნდობადაკარგული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თარხნიშვილიც კი არ გადაადგილეს თუნდაც დაწინაურების გზით.

2) როცა ბატონები წიკლაური, თარგამაძე, ბაქრაძე,

უგულავა, თევზაძე და სხვები სთავაზობენ ოპოზიციას მოლაპარაკების მაგიდასთან მისხდომას, ყოველივე ეს სასაცილოა, ვინაიდან ყველამ კარგად უწყის, რომ ეს ბატონები კი არა, ქვეყნის მეორე პიროვნება, პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძეც (რომელიც აცხადებს, რომ მზად არის მოლაპარაკებებისათვის) ვერაფერს ვერ შეცვლის და ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

იგივე მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი წინამორბედი, რომელიც „დამაჯერებელი“ სახით ვითომდა მოლაპარაკებებს ატარებდა, მოლაპარაკებებს, რომელიც დროში იწვლებოდა და არაფერს სწყვეტდა. ის კი არა, საპარლამენტო არჩევნების დროს ხომ იყო მიღწეული შეთანხმება, რომ 150 პარლამენტის წევრიდან 50 მაჟორიტარი და 100 პარტიული სიით უნდა არჩეულიყო?! მერე რა, შეასრულეს? რა თქმა უნდა არა! როგორც კი იგრძნეს საშიშროება, „არგუმენტების“ მოშველიებით გაზარდეს მაჟორიტარ დეპუტატთა სია. რატომ? იმიტომ, რომ მათი გათვლით დამარცხდებოდნენ. მერე ვინმეს შერცხვა ან გაწითლდა ვინმე, ასეთი უტიფარი ქმედების გამო?

დღეს 25 მაისია. ხვალ არასაპარლამენტო-რადიკალური ოპოზიცია, ქვეყნის თუ არა, სააკაშვილის მთავრობისთვის მაინც აპოკალიფსს გვპირდება. ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, დაველოდოთ ხვალინდელ დღეს, როგორც ბატონი გამყრელიძე შეგვპირდა, სიურპრიზების დღეს: „მოდით, ხალხო, სტადიონზე, სადაც ბევრი სიურპრიზი გელოდებათ“. არ ვიცი, რა სიურპრიზები იქნება: შეიძლება მთავრობის მიერ ჩამორთმეული მისი „მერსედესის“ ან სხვა 20 მანქანის „ვოლგოების“, „ფოლკსვაგენების“, „ტოიოტების“ და სხვათა საღატარეო გათამაშება? ანდა – ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ერთლარიან წყნეთის „დაჩას“ გაითამაშებენ? მე თუ მკითხავთ, თუ ამას გააკეთებენ, ნამდვილად ჭკვიანური გადაწყვეტილება იქნება, რადგან ჩემმა მტერმა

უსმინა ყოველდღე ხაინდრავას, ძიძიგურის, გაჩეჩილაძის, ბესელიას, დავითაშვილის და ზურაბიშვილის გაუთავებელ აპელაციურ ტირადებს. დროა, შეიცოდოთ ხალხი და ამ ორთვიან სანახაობას მრავალფეროვნება მიანიჭოთ. ეს ჩემი განუსხორციელებელი სურვილია, რომ იტყვიან, ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, თორემ დარწმუნებული ვარ, ამ ხალხს ზამთარში თოვლს ვერ მოსთხოვ!

ერთი უცილობელი შთაბეჭდილება გვრჩება მთავრობის და პრეზიდენტის ქმედებებზე. მართალია, რუსეთის მთავრობას თითქოსდა ყველაფერში ოპონენტობას უწევენ, მაგრამ თითქმის მთლიანად იმეორებენ მის საშინაო პოლიტიკას (აბა რუსეთის საგარეო პოლიტიკასთან ჩვენ ვინ მიგვახსუნივს!). რაში გამოისატება პოლიტიკის თითქმის „კოპირება“?

მოგახსენებთ:

1) ჯერ რუსეთში და შემდეგ საქართველოში შეიქმნა ე.წ. პრეზიდენტის ჯიბის პარლამენტი, ერთპარტიული და მთავრობის ყურმოჭრილი მონა. შეიქმნა მთავრობისა და პრეზიდენტის მიერ დანიშნული ოპოზიციური პარტიები რუსეთში (კომუნისტური, ლიბერალ-დემოკრატები, „სამართლიანობა“). საქართველოში – ნაციონალისტები ერთპიროვნულად ბატონობენ, ჩამოყალიბდნენ პარტიებად – ქრისტიან-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები, ბაღათურიას „ქართული დასი“, გია თორთლაძის ვითომ პარტია...

2) როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში, მთელ ელექტრონულ მასმედიაზე (რადიო და ტელევიზია) დაწესდა მთავრობის კონტროლი.

3) როგორც ჩვენმა მეზობელმა მოახდინა მთელი სამთავრობო აპარატის ცენტრალიზაცია (ანუ რეგიონების, ოლქების კრემლთან ერთპიროვნული დამორჩილება და ძალაუფლების ერთ ხელში კონცენტრაცია), ასევე საქართველოშიც, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ იგივე გაიმეორეს.

4) მოხდა ორივე მეზობლის სამხედრო ძალების მილიტარიზაცია.

5) გაძლიერდა ძალოვანი სტრუქტურების ზეწოლა საზოგადოებაზე, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე (მე მგონი, ამაში საკმაოდ გადავაჭარბეთ მეზობელს).

კიდევ მრავალი მსგავსება არსებობს. ერთია მხოლოდ, საქართველოს მთავრობას ხალხმა არ გაუმატოვლა. რატომღაც მისი ხალხი გაცილებით უკმაყოფილოა. ეს უკვე მთავრობის ბრალი არ არის, ეს თვისებები (დაუმორჩილებლობა, ამბოხი, ურთიერთქიშპობა), ეტყობა, ჩვენს ნაციონალურ გენში ძვეს, რამაც არაერთ ნაციონალურ კატასტროფამდე მიგვიყვანა. ასეა ახლაც. თითქოსდა არასაპარლამენტო ოპოზიცია ყველგან აცხადებს „ჩვენი ქმედებებით არავითარ საკონსტიტუციო ჩარჩოებიდან არ გამოვალთ“, – მაგრამ საქმით სულ სხვას აკეთებს. რაც შეიძლება, დაბავს სიტუაციას ქუჩების ჩაკეტვით, სარკინიგზო და საგზატკეცილო კომუნიკაციების გადაკეტვით, სპეციალურად იქმნება ისეთი პროვოკაციული სიტუაციები, რათა მთავრობა აიძულონ გაატაროს ძალისმიერი მეთოდები. აი, ამ სურვილით არის გაუღენთილი ოპოზიციის ქმედება, რამეთუ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მან იცის და დარწმუნებულია, სააკაშვილი და მისი მთავრობა მიტინგობანას თამაშებით ხელისუფლებიდან არ წავა. მაგრამ სხვა რა გზა დარჩენიათ, ისე შეტოპეს და იმდენი მტერი გადაიკიდეს, რომ თავის მიერ შექმნილი სიტუაციის მძევლებად იქცნენ. ყველაფერში ეტყობა, რომ მთავრობაც დიდი ხანია „ჩასაფრებულია“ იმ სიტუაციისთვის და „ნატრულობს“ იმ დღეს ან საათს, როცა არასაპარლამენტო ოპოზიციის მომხრეებს ნერვები უღალატებს და დაარბევენ მაღაზიებს ან „შევარდებიან“ რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში (პარლამენტი, პრეზიდენტის რეზიდენცია, მთავრობის სასახლე, ძალოვანი სტრუქტურების მოღულები და სხვა).

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვანო მერაბიშვილის უწყებები მთლიანად აკონტროლებენ ამ ტერიტორიებს. აი, მაშინ „გაიხარებენ“, ყოველივე ამ „საშინელებას“ – ოპოზიციის ძალისმიერ ქმედებებს – ვიდეოფირზე გადაღებულს – გამომამზეურებენ, ანახებენ, როგორც ქვეყნის მოსახლეობას, ისე საზღვარგარეთ და ისეთ დარბევას მოუწყობენ „ამბოხებულებს“, რომ 2007 წლის ნოემბერი ტკბილ მოგონებად დარჩებათ. ისე რომ, მიდის ნერვების თამაში: ვინ – ვის! ერთიც არის ყურადსაღები და ღიმილს იწვევს (რა თქმა უნდა, ცრემლნარევს), როცა ოპოზიცია თითქმის ტრაბახით ამცნობს საზოგადოებას: აი, ნახეთ, უკვე ორი თვეა, აქციებს ვატარებთ და არაფერი არ დაგვირბევიაო! რაა ამაში სატრაბახო? ის, რომ ვანდალიზმს არ ჩადიხარ? არ მოროდირობ?

აი, 26 მაისმაც ასე თუ ისე „მშვიდობიანად“ ჩაიარა. სტადიონზე შეიკრიბნენ, ორატორობაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს, გამყრელიძის ანონსირებული სიურპრიზიც მოვისმინეთ: ოპოზიციაში გაერთიანებულმა პარტიებმა ფიცი დადეს, რომ სააკაშვილის ტოტალიტარიზმი არასოდეს გამეორდებაო. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს პიონერულ ან კომკავშირულ ფიცს დებდნენ. თქვე კაი ხალხო, ქვეყნის პრეზიდენტები ინაუგურაციის დროს კონსტიტუციაზე ან ბიბლიაზე იფიცებენ ხალხის ერთგულებას და მეორე დღეს ავიწყდებათ, თქვენ კი დაახლოებით ორმა ათეულმა პარტიამ დადეთ ფიცი, რისი ფიცი, არ გააცინოთ ხალხი, დაიწყოს არჩევნები (საპარლამენტო და საპრეზიდენტო) და ისევ დასცხებთ ერთმანეთს, დღევანდელ „მეგობრებს“ იმდენ ცოდვებს გაახსენებთ, რომ იუპიტერი გაწითლდება. „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, – თქვენზეა ნათქვამი.

დღეს 25 მაისს პრეზიდენტმა, (როდესაც რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიებით აჯილდოვებდა ხალხს) ახალი ნოუ-ჰაუ გამოაცხადა: სახელმწიფო საზო-

გადოებრივი სათათბიროს შექმნა, რომელშიც, მისი სიტყვით, შევლენ ქვეყნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები, კულტურისა და მეცნიერების ღირსშესანიშნავი წარმომადგენლები, რომლებიც გამოიმუშავენ რეკომენდაციებს პარლამენტისთვის და მთავრობისთვის და, როგორც მან განაცხადა, მთავრობა და პარლამენტი მათ რეკომენდაციებს ყურად იღებს თავისი სამუშაოს გასაუმჯობესებლად. ე.ი. საზოგადოება ამ ორგანოს საშუალებით მოახდენს სამთავრობო სტრუქტურებზე ზედამხედველობასო. აი, როგორ შეიძლება რეკომენდაციებით ზედამხედველობის გატარება, ეს კი არ ახსნა, რადგან ალბათ მიხვდა, რომ შეტოპა...

ყოველივე ზემოთ თქმული დემოკრატიის თამაშია და მეტი არაფერი. თუკი საზოგადოებას კონტროლის დაწესება მართლაც გვინდა სამთავრობო სტრუქტურებზე, უფრო ეფექტური საშუალებები უკვე საუკუნეებზე მეტია გამოიმუშავებულია ცივილიზებულ ევროპასა და ამერიკაში და სჯობდა მათი მაგალითი შეგვესწავლა, სადაც ეს კონტროლი წარმატებით ხორციელდება კონსტრუქციული ოპოზიციის და არასამთავრობო საზოგადოებრივი ფონდებისა და სტრუქტურის მიერ.

ასეთი დემოკრატიზაციის იმიტაცია უკვე სამი თუ ოთხი წელია არსებობს რუსეთში, რომელსაც „Государственный совет“-ი ჰქვია და სადაც გაერთიანებულია ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები, კულტურის, სპორტის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების და სხვა დარგის ღირსეული წევრები – აკადემიკოს ველიხოვის წინამძღოლობით. ამ „совет“-ში, როტაციის წესით, ყოველ წელიწადს ხალისდება მისი შემადგენლობის თითქმის 50 პროცენტი. თავის დროზე ამ საბჭოში წევრებად მიწვეული იყვნენ ჩვენი თანამემამულენიც მხატვარი წერეთელი, ცნობილი ექიმი, აკადემიკოსი ბოკერია, ჟურნალისტი სვანიძე და სხვები, მაგრამ რად გინდა? დემოკრატიის იმიტაციისათვის კარგი შირმაა და მეტი

არაფერი, მათი რეკომენდაციები მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ყოველ შემთხვევაში, არასოდეს და არაფერში მათ თავისი გადამწყვეტი სიტყვა არ უთქვამთ. დამერწმუნეთ, ასევე იქნება საქართველოში, ოღონდ ერთის გამოკლებით, თუ რუსეთში ამ საბჭოს წევრობა რუსულ ინტელიგენციას დიდ პატივად მიაჩნია და სიამოვნებით თანხმდება ამ პოლიტიკურ თამაშში მონაწილეობაზე, საქართველოში ასეთი სათათბიროს შევსება ძლიერ გაჭირდება იმ ობიექტური მიზეზის გამო, რომ ვინც კი დღევანდელ საქართველოში მის სინდისს და ნამუსს წარმოადგენს და თავის საქმის პროფესიონალია, ისინი უკვე ან ოპოზიციაშია ან ჩუმადაა გარიყული. ასეთ სიტუაციაში ამ სათათბიროს ქვორუმი არ შეიკრიბება ან შეიკრიბება ისეთი ხალხისაგან, რომელსაც ვერ წარუდგენ, როგორც მის ნაღებს და სინდისს, რომელსაც იგი ენდობა, ამიტომაც ეს წინადადებაც ისევე ჩამოეკიდება ჰაერში, როგორც არაერთი მთავრობის შეპირება და ლოზუნგი. ისე გულახდილად რომ ვაღიაროთ, ნამდვილად „აბსურდის“ ქვეყანაში ცხოვრობენ ქართველები. ჯერ იყო და, ოპოზიციამ ისეთი ცირკი მოაწყო საზოგადოებრივი არხის შესასვლელთან, რომ გარკვეულად გაგვამხიარულა: რა იუმორისტული გადაცემა მოაწყო პარიზელმა ქალბატონმა ზურაბიშვილმა, როდესაც დაკითხვებს უწყობდა სამსახურში მისულ ჟურნალისტებს? თქვენი არ ვიცი და პირადად მე ძალიან მომეწონა კორესპონდენტის როლში ქალბატონი, ისიც მომეწონა (თურმე რა სამსახიობო ნიჭი ჰქონია?): ბატონმა გამყრელიძემ, რომელიც ჟურნალისტ ზურაბიშვილს გვერდით ედგა, თითქოსდა აქ არაფერი ხდებაო, უმანკო კრავის სახე მიიღო. რომ იტყვიან, კარგად მოფიქრებული და განხორციელებული სპექტაკლი ვნახეთ. თუ ვინმეს კითხვა დაეხდა იმის შესახებ, რამდენად კანონის ფარგლებში ხდებოდა ჟურნალისტთა სამოქალაქო უფლებების დარღვევა, რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე ქალბატონმა აგვის-

ნა, რომ ყველაფერი საქართველოს კონსტიტუციური სივრცის ფარგლებში ხდებაო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა ოპოზიციას და მთავრობას სხვადასხვა კონსტიტუციური ტექსტი გააჩნიათ და იქიდან ამონარიდებით გვასულელებენ. თანდათან ჩამოყალიბდნენ ამ საქმის დიდოსტატები, რომლებმაც წლების განმავლობაში დახვეწეს და პროფესიონალიზმის დონეზე აიყვანეს სიცრუის ისეთი განხილვა, რომელიც არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება. მაგრამ ეს მათ არ აღეგულებათ, რადგან თავისი თავი ძლიერ ჭკვიანად ან ყოვლისმცოდნედ მიაჩნიათ, ხოლო ხალხი – ბრბოდ. მთავრობის მხრიდან სხვადასხვა წლებში გამოირჩეოდნენ ბატონები ბოკერია, ბურჯანაძე, უგულავა, ნადირაძე, კირკიტაძე, კუბლაშვილი და მრავალი სხვა. ახლა ყველას ვერ ჩამოვთვლი, ბევრმა მათგანმა დისკრედიტებული ავტორიტეტის გამო საბრძოლო ასპარეზი მიატოვა, მაგრამ იტყვიან, „Святое место пустое не бывает“ და ამ საქმის უბადლო დიდოსტატი დ. ბაქრაძე ჩაერთო საქმეში და გვართობს ყოველდღე ტელევიზორიდან: მან განაცხადა, რომ შსს პასუხისმგებელმა და საზოგადოებისათვის ცნობილმა პიროვნებამ აუტეხა თავის თანამშრომლებს წყლის ბოთლებით წუწაობა და ისიც აპრილში, როდესაც ქუჩაში წვიმა მოდიოდა და ტემპერატურა ქალაქში სულ რაღაც 7-9 გრადუსი სითბო იყო. ხომ შეიძლებოდა, გაცივებულიყო ეს ხალხი ან სურდო დამართოდათ? ამ არეულობის დროს ეს შსს მუშაობის საბოტაჟად გამოიყურებოდა. ანდა სად, როდის, რომელ ქვეყანაში გინახავთ, რომ გენერალი თავის კაბინეტის აივნისა და წიგნიწავდეს ხალხს და ისიც 2-3 ლიტრიანი ბოთლებით, რომლებიც მის ხელში „მოლოტოვის კოქტეილებს“ უფრო გვაგონებდა, ვიდრე წყლის ბოთლს. ანდა, ამის ტელევიზიით დემონსტრირების შემდეგ, რომელ სახელმწიფოში დატოვებდნენ ასეთ ადამიანს სამსახურში? მაგრამ, ეტყობა, ჩვენ ისეთი სახელმწიფო გვაქვს, რომელიც

ლოგიკას არ ემორჩილება.

დღეს 2009 წლის 5 მაისია. რამდენადაც ვიცოდი, კომუნისტების დროს ეს დღე პოპოვის მიერ რადიოს გამოგონების დღედ იყო გამოცხადებული. მართალია, აღლუმებს არ ვატარებდით, მაგრამ ვდღესასწაულობდით. ტელევიზიით ამ დღეს ახალი ცირკი გამოაცხადეს სამხედროების ამბოხების შესახებ, და, რა თქმა უნდა, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების სახით: ერთი ახალგაზრდა, რომელსაც თურმე სულ რაღაც 20 წლის წინათ უმუშავია თავდაცვის სამინისტროში, ისიც ასმეთაურის თანამდებობაზე, ახლა თავის თანამოსაუბრეებთან (რომლებიც, რა თქმა უნდა, ეკრანზე არ ჩანან) გულუბრყვილოდ ლაყბობს, ზღაპრებს უყვება ვიდაცეებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ან ეს კაცია გიჟი, ან ჩვენ გვაგიჟებს. ჯერ ერთი, ისმის კითხვა, ასეთ რამეებზე საუბარი სიცოცხლისათვის საშიშია, მოღალატეობას ნიშნავს და თუ არ იცის ამის შესახებ, მაშინ გიჟი ყოფილა. ასეთ საუბრებს წინ უნდა უძლოდეს პროფესიონალური აგენტურული ოპერატიული საუბარი ამ „მოსაუბრეთა“ ე.წ. გადაბირების („კერბოვკის“) შესახებ. სხვანაირად ყოველივე ეს აბსურდია, გათვლილია უვიცეებზე. მართალია, ამ „პუტჩისტის“ მოსაუბრებას არ გვანახებენ, მაგრამ საუბრის წარმართვის, კითხვების დასმის ლოგიკური ანალიზით სჩანს, რომ ისინი საკმაოდ ახალგაზრდები, ყოველ შემთხვევაში, მაღალჩინოსნები კი არა, რაღაც ათმეთაურები ან ოცმეთაურები თუ იყვნენ. საქართველოში, სადაც დღეს ჯარისკაცზე მეტი რაოდენობის გენერლები „გეყავს“, ეს სასაცილო და დაუჯერებელია. ისე, თავისი ყალბი ავტორიტეტის ასამაღლებლად ეს კაცი აცხადებს: სულ რამდენიმე დღის წინ მცხეთაში (აღბათ რესტორანში) ვეთათბირებოდი 6-7 გენერალსო და ჩამოთვლის მათ გვარებს და სახელებს, რომლებიც თურმე „კრიშები“ ყოფილან ამ ამბოხებისა. ამბოხების, სამხედრო გადატრიალების დროს ასეთი ფუნქცია

საერთოდ არ არსებობს, ან მონაწილეობ, ან განზე დგახარ, მესამე არ არსებობს. ვინც ცოტა თუ მეტად იცნობს ამ გენერლებს, დაგვეთანხმებიან, რომ ისინი ისეთი ამბიციური, თავის თავზე შეყვარებული ხალხია, რომ ამ ჭიას (კაპიტანს) საუბარსაც კი არ დაუწყებენ და საერთოდ თუ გავითვალისწინებთ მათ პირად თვისებებს, მათი ერთ მაგიდაზე დასმა და ამ თემაზე საუბარი თითქმის წარმოუდგენელია, იმდენად გამოცდილნი და ფრთხილნი არიან პირად ცხოვრებაში და ეს ჭიადუა ამტკიცებს, ისინი ჩვენ გემფარველობენო. ჯერ ერთი, შე კაი კაცო, ასეთი მფარველები – „კრიშები“ ამბოხს რაში სჭირდება, ამბოხება (შეთქმულება) ძლიერ კონსპირაციულ დონეზე ჩასატარებელი ღონისძიებაა და მისი გეგმა მხოლოდ მისმა უშუალო მონაწილეებმა უნდა იცოდნენ. რაც უფრო მეტმა ხალხმა იცის ამის შესახებ, მით უფრო მეტი შანსი გაქვს ამბოხის ჩაშლისა. ეს ქმედება სრულებითაც არ არის ბავშვური თამაში, მას სავალალო დასასრული, როგორც წესი, თავის წაცლა ელოდება, თურქულად რომ იტყვიან – „სიქთირ ბაშკა“. თუ ვინმეს ზედმეტი „ბაშკა“ აქვს, ეს მისი პრობლემაა, ამ გენერლებს კი მგონი თავი ძლიერ უყვართ, რომ ვიღაც ასმეთაურის ბოდვებს არ გადაჰყენენ. უნიკალურია ამბოხის სცენარი: ჩვენ იქიდან მოვდივართ, ისინი აქ დაგვხვდებიან და ა.შ. საერთოდ უნიკალური ზღაპარია ფულის ჩამოტანა რუსეთიდან და შემდეგ საომარი ქმედებების დროს მისი „პიდისიატ ტისიხებად“ დარიგება. თქვენი არ ვიცი და მე ეს მხოლოდ ბოდვის სცენას მაგონებს. ვისია ფული, როგორ ჩამოაქვთ, რატრანსპორტით, ვის ჩამოაქვს, კერძოდ ვის ურიგებენ?! კარგი რა, დედიჯან, ბნელა? „შემოიტანენო ამ ფულს, მაგიდაზე დადებენო და ყველანი თქვენს პიატლესიტ ტისიანს მიიღებთო“. ალბათ იმის თქმაც საჭიროა, რომ ფულს ასე არავინ არიგებს, როგორც კანფეტებს არიგებენ საბავშვო ბაღში ნაძვისხესთან. აქამდე ვფიქრობ-

დი, რომ ყოველგვარ სიგიჟეს და აბსურდს საზღვარი ჰქონდა. ახლა, ამ სცენის და ამ საუბრის მოსმენის შემდეგ, დარწმუნებული ვარ საქართველოში ეს არ მომხდარა. ეჰ, რა უდროო დროს არ არის ცოცხალი ჩვენი სახელგანთქმული ფსიქიატრი ავლიპ ზურაბაშვილი? ანდა ე. შენგელიას ცნობილი ფილმის გმირები ამ ფონზე სრულებითაც არ მეჩვენებიან შერეკილებად. მათ უნდოდათ ჰაერში გაფრენა და გაფრინდნენ კიდევ. ის კი არა, ახლა მთელი მსოფლიო ფრინავს, მაგრამ ისეთი შიზოფრენიის და გაფრენის სიმპტომები, რომლებიც დღეს ჩვენთან არის ფიქსირებული, არსად დაფიქსირებულა. თუმცა ჩვენ ქართველები ხომ უნიკალურები ვართ ყველაფერში?!

ჩემო მკითხველო, ვერ მოვასწარი ამ სამაისო სატელევიზიო საჩუქრის განხილვა, რომ გამოაცხადეს, ახლა განახებთ გენერალ კობა კობალაძის (სახელმწიფო დანაშაულში ეჭვმიტანილის) დაკავების კინოფირსო. მართალი ვითხრათ, მოვემზადე დეტექტივის საყურებლად, სადაც ველოდებოდი აღმოსავლური ჭიდაობის იღეთებს, სროლას, დევნას, შემდეგ დაკავებას, მანქანების კორტეჟს, საყვირების ხმაურს, მაგრამ რად გინდა, კოეზი ნაცარში ჩამივარდა. პირველი კადრი: გენერალი დღისით-მზისით რომელიღაც სკვერში ხესთან ჩრდილში დგას, საათზე იყურება და ვიღაცას თითქოს ელოდებო. ყმაწვილი კაცი რომ იყოს, ვიფიქრებდი, პაემანზე დგას-მეთქი. მეორე კადრი: გამოჩნდა რამდენიმე ახალგაზრდა გაურკვეველი ფორმით თუ უფორმოდ, რომლებიც ერთმანეთს ხელს უშლიდნენ (ყველას სურს გენერალთან დაასწროს მისვლა). მესამე კადრი: ხელკავით მიჰყავთ პატიმარი მანქანაში ჩასასხდომად. არავითარი კონფლიქტი, არეულობა (ყველაფერი წინასწარ ჩაწყობილი სცენარია). ვიღაცას გაახსენდება, „იარაღი ხომ არა გაქვს“ და ერთ (მხოლოდ ერთ) ჯიბეში უფათურებს ხელს. შე კაი კაცო, ამ დათვივით კაცს წინააღმდეგობის გაწევა რომ სდო-

მოდა, ისე დაგახუჭუჭებდათ იქვე, რომ ვერ მიხვდებოდით, თუ რა ხდებოდა. შემდეგ გვანახეს, თუ როგორ შესმატკბილებულად მიდიან გენერალი და მისი თანმხლები პირები (პოლიციელები!) მანქანებისაკენ. რამდენიმე წუთში დიქტორმა გამოაცხადა დაპატიმრებული გენერალი შს სამინისტროში უკვე მიიყვანესო, ოღონდ დაავიწყდათ ეთქვათ, რატომ მიიყვანეს, დასაკითხად თუ მინისტრთან საპურმარილოდ?!

ერთი თხოვნა მაქვს შს სამინისტროს პრესსამსახურთან და მინისტრთან. ასეთი აბსურდები და ზღაპრების თემატიკა შეცვალონ, რადგან ისინი წარმატებით შეიძლება ჩაერთოს იუმორისტულ გადაცემაში „ვანოს შოუ“.

ნუთუ ერთ რამეს მაინც არ უფიქრდებიან შსს-ში? კერძოდ იმას, რომ ასეთი უნიჭოდ დადგმული სპექტაკლები რამდენიმე ხანში მათვე საწინააღმდეგოდ მუშაობს?!

თუმცა ძალიანაც კატეგორიულები ნუ ვიქნებით ჩვენს გადაწყვეტილებებში, რამეთუ ასეთი სპექტაკლებს კარგი რეჟისურა და სცენარი სჭირდება და, ეტყობა, ასეთი ბრწყინვალე რეჟისორი მთავრობას არ ჰყავს. იოსებ სტალინმა იცოდა, როდის – რა ვითარებაში შეექმნა გმირი – კერპი; როდის, რა ვითარებაში გადაეღოთ ესა თუ ის კინოფილმი; ყოველთვის იცოდა, თუ როდის რა სჭირდებოდა ხალხს. მაშინ, როდესაც უკრაინაში და ყაზახეთში შიმშილი მძვინვარებდა, გამოვიდა ფილმი „მელორე და მწყემსი“, 1937 წლების რეპრესიების დროს – „მხიარული ბიჭები“, ომის დროს – „ივანე მრისხანე“, „გიორგი სააკაძე“ და ასე სხვა მრავალი. ისე რომ, ამ ხალხმა სტალინი კი უარყო იდეურ ბელადად, მაგრამ ნებისთ თუ უნებლიეთ მაინც მისი შესანიშნავი მოწაფეები არიან: „Жизнь стала интереснее, жить стало веселее“-ო – დაუტოვა ანდერძი სტალინმა და ისინიც გვართობენ. სავსებით ვეთანხმები პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის აზრს, რომელმაც გა-

ნაცხადა: „რა პოლიტიკური კულტურა უნდა იყოს ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ორი პროფესორი, სამი პოლიტოლოგი და ხუთი ექსპერტი მოდის. ადამიანს, რომელსაც ინტერვიუს გარდა, არცერთი სტატია არ გამოუქვეყნებია, წიგნზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – შეიძლება პოლიტოლოგი ან ექსპერტი უწოდო“. ნამდვილად მესმის თქვენი გულის წუხილი, ბატონო სოსო, ისე შეგუძლოთ თამამად გაგვერცელებინათ ეს თქვენი ჩამონათვალი იმის შესახებ, თუ ამ პატარა საქართველოში რამდენი პარტია და დაჯგუფება არსებობს, რამდენი პოლიტიკოსი არსებობს, რამდენი პრეზიდენტობის კანდიდატი, რამდენი მინისტრობის სავარძლის მაძიებელი და ა.შ. მაშინ უფრო თვალნათლივ წარმოვიდგენდით ქართველთა მთელ უბედურებას, ჩვენი ხასიათის ამბიციურობას, იმას, რომ ცალ-ცალკე თითქოსდა ყველა ჭკვიანი ვართ და ერთად კი ვჭამთ და ვანადგურებთ ერთმანეთს, ყველას პირველობა გვინდა. ამ მანიაკალურმა სურვილმა, აი, უკვე 20 წელიწადია, დაანახვა მსოფლიოს, რომ სიმშვიდე, სიწყნარე, ევოლუციური განვითარება არ გვიწერია, ვერავითარ დემოკრატიულ კანონებს ვერა და ვერ ვემორჩილებით, არ მოგვწონს და, საუბედუროდ, ამ ტენდენციას ბოლო არ უჩანს.

ბატონო სოსო, თქვენ ბრძანეთ, ამდენი ექსპერტი და პოლიტოლოგი გვყავსო. სწორი ბრძანდებით, მაგრამ ისიც სწორია, რომ მათი სიმრავლე სრულებითაც არ ნიშნავს მათ პროფესიონალიზმს, პირიქით – იმდენად ამბიციურები არიან, რომ ერთხელ თუ თოფი დაიჭირეს ხელში, თავი უკვე სამხედრო ექსპერტად მიაჩნიათ და ა.შ. მიუხედავად ამ ექსპერტების სიმრავლისა, ერთსაც არ გაუანალიზებია, თუ როდის და რა თანამიმდევრობით ხდება მთავრობის და ოპოზიციის მიერ ერთმანეთზე მაკომპრომატირებელ მასალათა გაუონვა ან გამომზეურება.

აი, მაგალითად, 4 მაისს ნახევრად მძინარე ხალხს

ანახეს ვიდეოკადრები სამხედრო შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის მაიორ ღვალაძის აუდიო-ჩანაწერისა, სადაც მან, თითქოსდა აღსარებას იძლეოდა, ისე გვიამბო მთელი შეთქმულების შინაარსი და მისი შემადგენლობა. შემდეგ რა ხდება? მთელი დღე ამ კასეტას გვიტრიალებდნენ, რათა დავერწმუნებინეთ, რომ ამბოხება მზადდებოდა და შემდეგ გამოაცხადეს, ისიც მეორე დღეს, გუშინ საღამოს 11 საათზე მაიორი ღვალაძე დავაპატიმრეთ:

1) თქვე კარგო ხალხო, ეს მაიორი ან მთლად შტერი, ან გიჟი ხომ არ იყო: გაიგო რომ გამოამუღავნეთ, როგორც ამბოხების ერთ-ერთი მეთაური, და იჯდა სახლში და გელოდებოდათ, როდის მიხვიდოდით მის დასაკავებლად?

2) თუკი ამბოხი გამოაშკარავებულ იქნა (ამის დამადასტურებელი ვიდეოკასეტა მთელი დღის განმავლობაში ტელევიზორში იყო გამოკიდებული), ამ დროს, როგორც განცხადდა, მისი „კრიშა“ გენერალი კობა კობალაძე ქუჩაში თავისუფლად დასეირნობდა და კორესპონდენტებს ინტერვიუს აძლევდა, ხოლო როდესაც მისი „დაჭერის“ დრო დადგა, მშვიდად მივიდა სკვერში, დადგა ხესთან ჩრდილში და ელოდებოდა დაკავებას? დაკავების სცენაც დაუჯერებელია: დღისით-მზისით, ქალაქის ცენტრში, აკავენ გენერალს, ეკითხები, იარაღი ხომ არ გაქვსო, არ ჩხრეკ, ელემენტალურ უსაფრთხოების პირობებს არ იცავ, ისე ხელკავით, თითქოსდა შენი მეგობარია, მიგყავს მანქანისაკენ. ბატონო პინკერტონებო, ერთი დაუწერელი კანონი მაინც არ იცით დამნაშავის დაკავებისა, მე ვიტყვოდი – უბრალო დამნაშავისა კი არა, ქვეყნის დაღატოში, სამხედრო გადატრიალების მცდელობაში ეჭვმიტანილისა, ადამიანისა, რომლის ქმედებას შეეძლო სამოქალაქო დაპირისპირება გამოეწვია ქვეყანაში? ქვეყნისათვის და საზოგადოებისათვის საშიშ დამნაშავეს როდესაც აკავენ ბენ, იყენებენ გარშემო მყოფი საზოგადოების (ხალხ-

ის) უსაფრთხოების დაცვის მაქსიმალურ ღონისძიებებს. ერთიც აუცილებელია, ხელბორკილებს ასეთ ადამიანს მარტო იმისთვისაც კი არ ადებენ, რომ შეიძლება დაკავებისას წინააღმდეგობა გააგვიწიოს, არამედ:

ა) იმისათვის, რომ გამორიცხულ იქნას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.

ბ) გამორიცხულ იქნას ფიზიკური წინააღმდეგობა.

გ) გამორიცხულ იქნას თვითმკვლელობა (რაც არც თუ ისე იშვიათია ასეთ შემთხვევაში, რამეთუ ამ დროს ეჭვმიტანილი დიდ ფსიქიკურ და მორალურ ზეწოლას განიცდის და ამ დროს კაცმა არ იცის რას ჩაიდენს).

თუმცა გენერალი კ. კობალაძე ისე მშვიდად შეხვდა თავის დაკავებას, თითქოსდა პურ-მარილზე დაპატიუესო. ერთი შეკითხვა დასვა მხოლოდ, მანქანას რა ვუყო? მანქანას იქ რა უნდოდა, ეს ვერავინ ვერ გაიგო. შემდეგ კი, უფრო მეტი „უცნაურობებიც“ მოხდა. ასევე ყოველგვარი შიშისა და ემოციების გარეშე შეხვდნენ ამ ამბოხების გამოაშკარაებების ცნობას სამხედრო გადატრიალების სხვა მონაწილეებიც. კერძოდ, პოლკოვნიკები კრიალაშვილი, დადუნაშვილი და, რაც მთავარია, მუხროვანის ბატალიონის უფროსი, რომელთა შესახებ 5 მაისის დილაამდე ჩვენ არაფერი გაგვეგო. როგორ, მეამბოხებმა, ქვეყნის მოღალატეებმა, გაიგეს, რომ გამოაშკარაებულნი არიან, მათი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი უკვე დაკავებულია, ღმერთმა იცის, როდის დაასახელებს მათ და ისინი უმოქმედოდ არიან თავის სახლებში, იმის მაგივრად, რომ გათენებას კი არ დაელოდონ, არამედ სასწრაფოდ შეიკრიბონ იქ, სადაც მათი დასაყრდენი პუნქტია მუხროვანის სატანკო ბატალიონში და სადაც ეგულებათ მათი ერთ-ერთი დამცველი კაცი, ვის ხელშიც არის ჯერ კიდევ სამხედრო ძალა. ისინი მხოლოდ დილით (არ არის დასახელებული დრო) მოდიან თავისუფლად თბილისიდან მუხროვანამდე მანქანით, ისე რომ, გზაში არავინ

ხელს არ უშლით, და შედიან სამხედრო ბაზაზე. აი, აქ კი კიდევ ერთი უცნაურობაა: ვიდუოგადაცემაში აღიარა ბატალიონის მეთაურმა კრიალაშვილმა: შემომთავაზეს ამბოხი (თბილისისკენ სატანკო კოლონით გამგზავრება) და ამისათვის საკმაო ფულადი თანხა და მე განგაში გამოვაცხადეო. ე.ი. შეთქმულები იდეური ამბოხების მონაწილეები კი არა, ე.წ. „კომერციული“ მოსყიდული პუტჩისტები ყოფილან. თუ მათ დავუჯერებთ, მხოლოდ იმ საუბრის შემდეგ, რომელიც შემდგარა ბატალიონის უფროსსა და მის ორ გადამდგარ კოლეგას შორის, გადაწყვეტილა ამბოხი თუ დაუმორჩილებლობა, ეს კი პრინციპში სულ სხვადასხვაა – როგორც შინაარსით, ისე მოქმედების წესით. დაუმორჩილებლობას სრულებითაც არ სჭირდება სატანკო კოლონიის ბაზიდან გამოყვანა. აქ კი განგაშია გამოცხადებული. შემდეგ უფრო მეტი: ვიგებთ, რომ ყველამ (მთავრობამ) ეს უკვე გაიგო და ახლა გვიჩვენებენ, თუ როგორ მიემგზავრება პოლიციის სამხედრო ქვედანაყოფები მუხროვანში სამხედრო ბაზის ბლოკირებისათვის. შემდეგ უშედეგო მოლაპარაკებები, პრეზიდენტის ულტიმატუმში, რომელმაც ასევე მოლაპარაკება ვითომ ჩაატარა, მაგრამ ვისთან, არ ვიცით. რაც მთავარია, ის აქ არის და გულადი მხედართმთავრის იმიჯი „აღდგენილია“?!

როგორც მოგახსენეთ, ამ ისტორიაში ყველა ემორჩილება ერთ რეჟისურას: ერთნი არ მოქმედებენ, ვიდრე ბრძანებას არ მიიღებენ, მეორენი მოქმედებენ მაშინ, როდესაც ეს საქმეს (კინოგადაღებას) სჭირდება. საერთოდ არალოგიკურია, სამხედრო ნაწილმა განგაში გამოაცხადოს (ე.ი. სამხედრო ამბოხი) და ბაზის განლაგებაში დარჩეს, ვინაიდან ბავშვისთვისაც ცნობილია, რომ სამხედრო ტექნიკა ავტოფარეხში სულ სხვაა და გარეთ გამოყვანილი – სამხედრო წესის მიხედვით თავდაცვისათვის განლაგებული – სულ სხვა. ამ ხალხმა ქვეყნის დალატი თავიანთი პირველი ქმედე-

ბებით უკვე ჩაიდინეს და ახლა, ვითომ რა, ჯილდოებს ელოდებოდნენ? ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მუხროვანში და იქაური ბაზის მიმდებარე ტერიტორია უნახავს, დიდად გაუკვირდება ის ინფორმაცია, რომ დღისით, მზისით, მაშინ, როდესაც სამხედრო ბაზა მთლიანად გარშემორტყმულია საპოლიციო სამხედრო დანაყოფებით, ორი პოლკოვნიკი თითქოსდა აორთქლდა: გამოაცხადეს, გაიპარნენო, რაც ნაკლებად დასაჯერებელი ანდა საერთოდ დაუჯერებელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი იმ დილით იქ საერთოდ არ ყოფილან...

ერთი სიტყვა კიდევ უნდა ითქვას ე.წ. „გენერლების კრიშის“ შესახებ, რაც ჩვენი ანალიზით, ცუდად შეთხზული ზღაპარია, უბრალოდ რეჟისორს დასჭირდა ამ გვარების გახმოვანება, რომ სპექტაკლისათვის მეტი სიმძაფრე მიენიჭებინა, ისე რომ არ გამოსულიყო, როგორც 60-იან წლებში კუნძულ მადაგასკარზე მოხდა სამხედრო გადატრიალება – სამი სერჟანტის ხელმძღვანელობით.

დაველოდოთ მოვლენათა მიმდინარეობას: რითი დამთავრდება ყოველივე ეს და მივა თუ არა საქმე სასამართლომდე?

ერთიც გასათვალისწინებელია: თუ პრეზიდენტის ვადის გასვლამდე (2013 წლამდე) ჩატარდა ეს სასამართლო, მაშინ ეს სულ სხვა წესით ჩატარდება, თუ ოპოზიციის გამარჯვების შემდეგ, მაშინ:

– ერთი უცილობელია, იარაღის შესყიდვები, შეიარაღებული მზადება ოპოზიციისა – 9 აპრილამდე გვანახეს და შედეგი არ გამოიღო. აქციები უკვე ერთი თვე იქნება, მიმდინარეობს.

– აქციების პროცესში სამხედრო ამბოხის მცდელობაც ვიხილეთ, მაგრამ არავითარი კავშირი ამ ქმედებებისა ოპოზიციასთან არ განიხილება. აქ მთავარი მოქმედი პირები ჩრდილოელი მეზობლები და მათი ფინანსებია.

– აქციები მაინც გრძელდება. მოხდა პატარა სისხ-

ლის გამოშვება პოლიციის სამმართველოსთან. ვითომდა დაგეგმილია დიალოგი პრეზიდენტსა და ოპოზიციას შორის, რამეთუ ოპოზიციას სხვასთან საუბარი არა სურს. ეს გასაგებიცაა, რადგან მ. სააკაშვილის გარდა ამ ქვეყანაში არავინ არაფერს არ წყვეტს. მაგრამ როგორ დაითანხმებენ, რომ გადადგეს, ეს წარმოუდგენელი და დაუჯერებელია.

ყველაზე მეტად ამ დღეებში ხალხი გაახალისა და საერთოდ დიდი იუმორით ყოფილა დაჯილდოვებული ნინო ანზორეენა, როცა განაცხადა: გარდა პრეზიდენტისა – არავისთან მოლაპარაკება არ შეიძლება, რადგან არავინ არაფერს არ სწყვეტსო. რაო, არ გაგეცინათ? აბა გაიხსენეთ, გასული წლები, როცა ნინო ანზორეენა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, აწარმოებდა მოლაპარაკებებს ოპოზიციასთან. რა, ჰქონდა მას მაშინ რამე უფლებები, თუ რა? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ახლა თავისმა მწარე გამოცდილებამ გამოაფხიზლა, მითუმეტეს, ბარიერის მეორე მხარეს აღმოჩნდა და ამჯერად მის პირად ამბიციებს ასე აწყობს: აი, თუ კიდევ მოვა ხელისუფლებაში, მაშინ შეიძლება სხვანაირად თქვას და იცით რატომ? იმიტომ რომ, მაშინ მის ამბიციურ სულს ასე წარმოესახება. ერთი საბავშვო სათამაშო გამახსენდა – „Ванька-станька“. რაც უნდა აყირაო, არ ყირავდება, ყველა შემთხვევაში ჰორიზონტალურ მდგომარეობას ინარჩუნებს.

10 მაისს გამოცხადდა, რომ შედგება (როგორც იყო ვედირსეთ!) პრეზიდენტისა და ოპოზიციის ლიდერების შეხვედრა პოლიციის სამინისტროს თუ სამმართველოს ახალ შენობაში (არ ვიცი, ვინა ჰყავს მრჩეველებად ბატონ პრეზიდენტს, მაგრამ ამაზე წამგებიან ადგილს მტერიც კი არ ურჩევდა). უმჯობესი იქნებოდა, ასათიანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს შენობაში შეხვედრა, ვიდრე პოლიციის შენობაში. ასეთი რამ არამარტო ევროპის, არამედ მსოფლიო დემოკრატიის ისტორიას არ ახსოვს. თუმცა ისიც სწორია, რომ ჩვენ

დემოკრატიასთან არავითარი კავშირი არა გვაქვს, გარდა სიტყვების რახარუხისა. თითქმის ორი წლის განმავლობაში მთავრობა ამტკიცებდა, ას სამედიცინო დაწესებულებას ავაშენებთ საქართველოშიო. ასზე რა მოგახსენოთ, ერთი ან ორი მაინც ავაშენებია?! მართალია, საავადმყოფოების მშენებლობისათვის ფული ვერ გამონახეს, მაგრამ პოლიციის ახალი სუპერ-არქიტექტურის შენობით კი დაამშვენეს ქალაქი. ეს შენობა – მიმდებარე კეთილმოწყობილი რამდენიმე ჰექტარის ფართობით – ნამდვილად მოუხდებოდა სამკურნალო დაწესებულებას (მაგრამ ხალხისთვის ვისა სცალია?). ალბათ ჩვენ სწორად ვერ გავიგეთ, მთავრობამ რა გამოაცხადა, 100 საავადმყოფოს ავაშენებო, თუ 100 პოლიციის შენობას? ალბათ პოლიცია ჰქონდა მხედველობაში, რამეთუ ეს პირობა პირნათლად შეასრულა და მართლაც მთელი საქართველო „დამშვენდა“ ახალი სუპერ-პოლიციის შენობებით. თქვე კარგო ხალხო, საბავშვო ბაღები, ბაგები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, მოხუცთა თავშესაფრები და მრავალი სხვა სოციალური დაწესებულებები – ან განადგურებულია ან არა გვაქვს და თქვენ პოლიციის სამხარეო თუ რაიონულ სტრუქტურების შენობებზე ფიქრობთ, ციხეებს აშენებთ და ა.შ. ამას თუ კიდევ დავუმატებთ სამხედრო ხარჯებს, დავუმატებთ კარუსელებს, შადრევნებს, სპორტულ ნაგებობებს, მაშინ ადვილი მისახვედრია, თუ რატომ გყავს მშვიერი და მწყურვალი მოსახლეობა.

მაპატიეთ, ისევ გადავუხვიეთ თემას – „სამხედრო გადატრიალების“ თემას. თითქოსდა ყველაფერი „გარკვეული“ იყო, დასახელებული იყვნენ მემამბოხეები, მათი გუნდი, მათი „მოლაღატეობრივი“ ქმედებები და ა.შ. მაგრამ მთავრობას, ეტყობა, კიდევ სურს, ამ შოუთი ჩვენი გართობა. უფრო სწორად, როგორც ვატყობთ, იქ ნამდვილად არ იციან, რას აკეთებენ ერთნი და რას – მეორენი. ანდა თავის განცხადებულ ინ-

ფორმაციასაც არ უკეთებენ ანალიზს და ამიტომ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს აქვეყნებენ. 5 მაისს განაცხადეს, რომ „შეთქმულების“ ძირითადი მონაწილეები კრიალაშვილი და ოთანაძე დილით აღრე მუხროვანის ბაზაზე „დაიღუპნენო“, შემდეგ განაცხადეს – გაიპარნენო (საიდან და როგორ გაიპარნენ ალყაშემორტყმული ბაზიდან ამის შესახებ, მორცხვად გაჩუმდნენ). დღეს კი, 11 მაისს, „გამონახეს“ ვილაც ტაქსის მძღოლი, რომელმაც აღიარა, კრიალაშვილი, ოთანაძე და ოზგაიძე, თბილისში ამა და ამ ქუჩაზე ჩამისხდნენ მანქანაში და კასპამდე მივიყვანეთ. შემდეგ დაინახეს „უცხო მანქანა“ და გადმოხტნენ და გაიქცნენო. რა, კასპამდე სულ თავისი მანქანები ხვდებოდათ ტრასაზე, თუ რა? რას ნიშნავს „უცხო მანქანა დაინახეს?“ სასაცილოა, მაგრამ თავის არაპროფესიულობაზე სრულებით არ ეცინებათ. სასაცილო ან სატირალი ამ მთავრობის პინკერტონულ ქმედებაში ისიცაა, რომ 5 მაისს საერთოდ არ იცოდნენ, სად იმყოფებოდნენ „შეთქმულები“, თბილისში თუ მუხროვანში. კარგი ოპერატიული მეთვალყურეები ჰყოლიათ. „მოღალატეები“, თუ ისინი თბილისში იყვნენ, ერთდროულად მუხროვანშიც ხომ ვერ იქნებოდნენ და თუ მუხროვანის ბაზაზე არ იყვნენ, მაშინ ვინ იყვნენ ის ორი თუ სამი სამოქალაქო პირი, რომლებიც დილით ესტუმრნენ ბაზას და „აიძულეს“ ბატალიონის მეთაური ამბოხის განგაში გამოეცხადებია?! ანდა თუ ისინი სხვანი იყვნენ, მაშინ სად გააქრეს, რა, აორთქლდნენ?! ყველაზე სასაცილოა ამ „ვაი შეთქმულების“ ბოლო ქმედება: მანქანიდან გადმოხტნენ და გაუჩინარდნენო, ისიც დღისით-მზისით, ანდა სად მოხდა ეს, რა, არ იცოდა ტაქსის მძღოლმა ვინ მიჰყავდა, და თუ არ იცოდა, უცნაურად არ მოეჩვენა მგზავრების ქმედება?.. ეკ, კითხვები ბევრი ისმის, მაგრამ ასე ვატყობ, მთავარი დეტექტიური ისტორიები კიდევ წინ გველოდება. ვნახოთ და დაველოდოთ მოვლენებს. ჩვენი სახელოვანი

პინკერტონები არ მოგვაწყენენ. ერთი კითხვა კი აუცილებლად უნდა დაისვას: ამბოხის გამოცხადებამდე იყო თუ არა ცნობილი ამბოხების შემადგენლობა და თუ ცნობილი იყო, მაშინ რატომ არ იყვნენ ისინი მჭიდრო აგენტურულ-ოპერატიული მეთვალყურეობის ქვეშ? რა, ეს ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტრო მართლ აუდიო და ვიდეო მეთვალყურეობის საშუალებებს ფლობს, თუ კიდევ სხვა მეთოდებს იყენებს? ძალიან გთხოვთ, პატივი გვცეთ და როცა რამეს აცხადებთ, ცოტა დაუფიქრდით, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თქვენს გარდა ყველა ბნელია და უტუა ამ თქვენს „საგმირო“ საქმეებში. ისე, ასეთი უფასო გართობისათვის მადლობა მოგვიხსენებია...

P.S. ქართული ჯარის „ამბოხის“ თუ დაუმორჩილებლობის შესახებ ჩვენი შეხედულება უკვე დაწერილი მქონდა, როცა ტელევიზიამ 21 მაისს გაახმოვანა სამი ძირითადი მემბოხის დაკავების ოპერატიული მონაცემები თიანეთის გზატკეცილზე, რომლის დროსაც ერთ-ერთი პოლკოვნიკი კრიალაშვილი სროლის დროს დაიდუპა...

თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებებს დაგუჯერებთ, თითქოსდა ქებნაში მყოფი პირები ცალცალკე იმალებოდნენ, შემდეგ რაღაც მაგიური ძალით გაერთიანებულან და თბილისიდან სამარშრუტო ტაქსით მიემართებოდნენ „რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე“, სად და რომელ „რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე“, ეს ჩვენ მოგვანდეს, რომ მივხვდეთ, ალბათ სამხრეთ ოსეთში, აბა აფხაზეთში ხომ არა?! ანდა თუ მიემართებოდნენ, რა იმედი ჰქონდათ, რომ იქ შეუფერხებლად გადავიდოდნენ?! მანამ იქ მიაღწევდნენ, ნუთუ არ იყო სავარაუდო ქართული „ბლოკპოსტების“ გავლის საფრთხე?! ანდა რუსები რა, ხელგაშლილები მიიღებდნენ?! ასე რომ, ისმის არაერთი კითხვა, რომელზედაც პასუხი არ არის გაცემული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შეტყობინება ამ ოპერატიული ოპერაციის ჩატარების შესახებ ძლიერ ბუნდოვანია და გაუგებარი. ერთი რამ კი ცხადი გახდა: ეს უკვე თამაში არ არის, ერთი ათეული თუ მეტი სამხედრო დაკავებული, ოპერაციის დროს პოლკოვნიკი კრიალაშვილი გარდაიცვალა და ა.შ. ე.ი. ამბოხს ჯარში ნამდვილად ჰქონდა ადგილი, ოღონდ საკითხავია ის, თუ ვის მიერ იყო ის „ინსცენირებული“. საბჭოთა დაზვერვის და კონტრდაზვერვის არქივებში ბევრი დაღუპული მასალაა ინსპირირებული ოპერატიული ჯგუფების შექმნის შესახებ, და ეს მაგალითები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმატებით იქნა გამოყენებული პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამიტომ არ გამოვირიცხავთ, რომ ეს სცენარი კარგად დადგმული აგენტურულ-ოპერატიული ქმედება იყოს. როცა საჭირო დროს, საჭირო ადგილას (ე.ი. დროში და სივრცეში) სპეცსამსახურები შექმნიან ე.წ. „ცრუ ამბოხს“ ქვეყანაში სამხედრო თავდასხმის „ისტორიის“ შესაქმნელად. სავსებით დასაჯერებელია ის ვარაუდიც, რომ ამბოხების მეთაური კრიალაშვილი, ოთანაძე, ოზგაიძე, ღვალაძე და ბატალიონის მეთაური გრიგალაშვილი, ვილაცის ხელში ბრმად მართული მარიონეტები იყვნენ. მათ იღუპა მიაწოდეს და შემდეგ აკვირდებოდნენ პროცესების განვითარებას. უფრო სწორად, ეს პროცესები სპეცსამსახურის მიერ მართვადი იყო, და საჭირო დროს გამოამჟღავნეს. მაგრამ მათთან კონტაქტი ან ურთიერთქმედება რადიკალურად განწყობილი ოპოზიციის რომელიმე ფრთისა მაინც ვერ დააფიქსირეს. მერე რა მოხდა? აგერ არ არის ჩრდილოეთელი მეზობელი, რომელსაც როდესაც გინდა და რასაც გინდა, გადააბრალებ? მითუმეტეს, რომ ეს მეზობელიც, როცა მას სჭირდება, იმავე ხერხით გასუხიბს. ასე რომ, არცერთი არ ჩამოუვარდება ერთმანეთს.

„ისტორიაში“ დიდი გამომგონებლობა და ტვინის

დაძაბვა არ იყო საჭირო, ნებით თუ უნებლიეთ, გამოჩნდა ისეთი ოდიოზური თვითდაჯერებული „სამშობლოს მხსნელი“, როგორც რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენი ებრაელიც გახლავთ. თუ ამას დავამატებთ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორის გააქტიურებას (თავყრილობა ვენაში, მოსკოვში) და მათ კონტაქტებს რადიკალურად განწყობილი ოპოზიციის ზოგიერთი პარტიის ლიდერებთან, კერძოდ კ. გამსახურდიასთან, მაშინ ნათელი გახდება, რომ ვანო მერაბიშვილის ანალიტიკოსებს თვითონ ამ ხალხმა უკარნახა ამ ამბოხების ლიდერების დამფინანსებლების იდეა. ისიც ადვილად დასაჯერებლად ჟღერს, რომ ეს ხალხი არც ისეთი იდიოტები ან სულელები იყვნენ, რომ თავის ქმედებებს თვითშემოქმედებად გადააქცევდნენ. ის, რომ მეზობლები და მათი სპეცსამსახურები და მითუმეტეს – რეგულარული ჯარი მათ შეუერთდებოდათ გორის გადასახვევში, ქართული სპეცსამსახურის მიერ შემოგდებული სრული აბსურდული იდეაა, რაც მეტყველებს მათ პრიმიტიულ აზროვნებაზე, რამეთუ ასეთი ოპერაციები ასე ცალსახად არ იგეგმება. ყველაფერი მოსალოდნელი იყო, თუკი მოვლენები ისე განვითარდებოდა, როგორც ამის დამფინანსებლები (ქართული დიასპორა) გულისხმობდა ან სურდა. დაიჯერეთ, ეს ასეა, რადგან სპეცსამსახურები ასეთ ავანტიურაში ასე არ ებმებიან და ყოველთვის იტოვებენ სივრცეს და დროს თამაშიდან გამოსასვლელად, ე.ი. თავის კუდს ყოველთვის დამალავენ, მითუმეტეს ისეთი სპეცსამსახურები, როგორც ჩვენი მეზობლებისაა, რომლებიც აღიარებულია მსოფლიოში ერთ-ერთ ფრთხილ, გამოცდილ და დიდი პრაქტიკული შესაძლებლობის სპეცსამსახურებად. ამიტომაც საქმე რომ ჩაფლავდა, მათ დაუფარავად და ცხადად გამოაცხადეს, რომ ეს ქართული მხარის ინსინუაცია და ბოდვაა, რაც საუბედუროდ მართებულად ჟღერს და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ რაიმე საწინა-

აღმდეგო მასალას მერაბიშვილის სამსახური ვერ მოიპოვებს. შეიძლება ოთანაძემ, ობგაიძემ ან ღვალაძემ დაკითხვის დროს „აღიარონ“, რომ მათ კონტაქტი ჰქონდათ თავის ქართველ დამფინანსებლებთან, სადაც ესწრებოდა ალბათ პიროვნება სპეცსამსახურიდან, რომელმაც აღუთქვა მათ „დახმარება“. დარწმუნებული ვიყით, რომ ამ მითიური თანამშრომელის ნამდვილ სახელს ან გვარს ვერასოდეს ვერ გავიგებთ.

ყოველ შემთხვევაში, ერთი ფაქტი სახეზეა, ჩვენ შეიძლება გვიყვარდეს ან გვძულდეს, ეშმაკისეულად ვაცხადებდეთ ვანო მერაბიშვილს და მის სამსახურს, მაგრამ ერთი რამ უცილობელია: მან და მისმა თანაშემწეებმა შექმნეს საკმაოდ ძლიერი, მთავრობის „ერთგული“ („до поры до времени“) სპეცსამსახური, რომელიც ნამდვილად ანგარიშგასაწვევი გახდა არა მარტო კავკასიის სივრცეში, არამედ მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში. უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი საკმაოდ ეფექტურად და მიზანდასახულად მოქმედებენ, იმდენად ტოტალურია საზოგადოებაზე, ოპოზიციურ პარტიებზე და სხვა „დისიდენტებზე“ მეთვალყურეობა, რომ მათ საჭირო დროს და საჭირო ადგილას ყოველთვის აქვთ მამხილებელი მასალა, რომელსაც თავისი რეჟიმის დასაცავად „დროულად“, სპეციალურად თუ შემთხვევით გაახმოვანებენ ხოლმე. მართალია, ხანდახან შეცდომებსაც უშვებენ და საკმაოდ ხშირად პრიმიტივიზმსაც იჩენენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ბრძოლაში“ იძენენ გამოცდილებას. შეცდომები?! როგორც დიდმა ბელადმა სტალინმა ერთხელ თქვა, „შეცდომები იმ ხალხს არ მოსდის, რომლებიც არ მუშაობენ, შეცდომებზე სწავლა კი ძლიერთა ხვედრიაო“. არა გვაქვს უფლება, არ დაუუჯეროთ. რაც არ უნდა ითქვას, ის რომ გენიოსი და ჭკვიანი ადამიანი იყო, ამას ვერავინ უარყოფს.

დასკვნა ამ ჩვენი გაგრძელებული თხრობისა თუ სენტენციებისა ალბათ ისაა, რომ ბატონმა მერაბიშ-

ვიღმა და მისმა კომპანიამ საკმაოდ წარმატებულად დაგეგმა და განახორციელა (თუ გნებავთ შექმნა) თავის წიადში ეს ამბოხება, რომელიც თავიდან ბოლომდე მისი კონტროლის ქვეშ იყო და მის ბელადებს, როგორც მარიონეტებს (თოჯინებს), ის მართავდა და როცა საჭირო გახდა, „გამოააშკარავა“, ოპერატიულ ენაზე რომ ვთქვათ, ოპერატიულ-აგენტურული დაკვირვების საქმე რეალიზაციაში მოიყვანა. ამიტომაც მას სრულებითაც არ სჭირდებოდა ამ ამბოხების ბელადებთან, რომ იტყვიან, „შეკვრა“ ან მათი თანხმობა ამ ოპერაციაზე. ისინი უბრალოდ, ბრმად გამოიყენა და „განტყვების ვაცებად“ აქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მერაბიშვილის ხალხს (ამ ოპერაციის დამგვემავებს) სრულებითაც არ აწყობდათ ბატონების კრიადაშიშვილის, ოთანაძის, ობგაიძის დაკავება, ვინაიდან ისინი არავითარ გასაიდუმლოებულ ინფორმაციას არ ფლობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში თიანეთის გზაზე მათი დაკავების დროს, ახლა ერთი მოკლული კი არა, სამი ცხედარი ეყოლებოდათ. ისევ და ისევ მივმართოთ დიდ სტალინს: „არის ადამიანი – არის პრობლემა, არ არის ადამიანი – არ არის პრობლემა“. აბა ცოცხალი ოთანაძე ან ობგაიძე მათ რაში სჭირდებოდათ, თუკი მათი მოკვდინება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა ორმხრივი სროლის დროს ან სროლის დამთავრებისას?!

ეს სტრიქონები თხრობისა უკვე ჩამთავრებული მქონდა, როდესაც ინტერნეტში წავიკითხე შესანიშნავი რუსი ჟურნალისტის იულია ლატინინას ინტერვიუ რადიო „ეხო მოსკვაში“, რომელიც მან მისცა რადიოს 2009 წლის 9 მაისს. ნება მომეცით, გადაცემის შინაარსი შემოკლებით გითარგმნოთ, რადგან იგი თითქმის ბოლომდე ემთხვევა ჩემს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. ქაღალბატონი იულია ლატინინა იმდენად მიუკერძოებელი, მოუსყიდველი, ობიექტური, გაბედული ოპონენტია დღევანდელი რუსეთის სინამდვილისა, რომ

მას არ შეიძლება არ დაუფუჯეროთ. ამას გარდა, შესანიშნავი ანალიტიკოსია, ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სახეა რუსული დისიდენტური ჟურნალისტიკისა, არა მარტო რუსეთის სინამდვილეში, არამედ მთელ მსოფლიოში.

მაშ ასე: მოვუსმინოთ იულია ლატინინას, 2009 წლის 9 მაისს:

– სადამო მშვიდობისა რადიომსმენელებო, დღეს 9 მაისია, გამარჯვების დღე... ალბათ ყველაზე ღირს-შესანიშნავი და ყურადსაღები, რაც ამ კვირას მოხდა, არის საქართველოში გამოაშკარავებული და ჩახშობილი სამხედრო ამბოხის მცდელობა. მოხდა მრავალი დაპატიმრება, ქართულ ტელევიზიაში გახმოვანდა ამბოხებულთა მრავალი აღიარება, კერძოდ, აღიარებაზე წავიდნენ სპეცნაზი „დელტას“ ყოფილი მეთაური ვინმე ბატონი დვალაძე, მუხროვანის სამხედრო ბაზის უფროსი პოდპოლკოვნიკი მამუკა გორგიშვილი.

ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო აუდიო და ვიდეო ჩანაწერი, რომელიც აჩვენებს ქართული ტელევიზიით, იყო ყოფილი სამხედრო მინისტრის ბატონ ყარყარაშვილის კუთვნილი კასეტა, სადაც მან განაცხადა, რომ ადრე მიიღო ერთი უცნობისაგან – მისი აზრით მერაბიშვილის პროვოკატორისაგან – შეტყობინება იმის შესახებ, რომ მზადდებოდა ტერორისტული აქტი ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ, და იცით, რა არის საინტერესო? მისი განცხადებით, მან ეს ყველაფერი დაუყოვნებლივ შეატყობინა ვანო მერაბიშვილის უწყებას, სამინისტრომ კი ოპერატიულად დააპატიმრა ამ „ტერაქტში“ მონაწილე პირები. ხოლო ყარყარაშვილს სამინისტრომ მადლობა გადაუხადა საჭირო ოპერატიული ინფორმაციისათვის. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის იყო, რომ ყარყარაშვილმა ეს ინფორმაცია გაამჟღავნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხალხი მისი ინფორმაციის შემდეგ დააპატიმრეს, და ხოლო თვითონ იგი შინაგან საქმეთა

სამინისტრომ „გამოამჟღავნა“, როგორც ამ ამბოხის იდეური მხარდამჭერი ანუ მათი ე.წ. „კრიშა“.

აი, ახლა კი წარმოიდგინეთ შემდეგი სცენარი: მოდიან ჩემთან პროვოკატორები და მეუბნებიან: „ჩვენ გვინდა კრემლის აფეთქება“. რა თქმა უნდა, თუ მე მიმაჩნია, რომ ეს არის სპეცსამსახურების პროვოკაცია, მაშინ უპირველესად ეს ინფორმაცია უნდა მივაწოდო ლუბიანკას (ე.ი. სახელმწიფო უშიშროების სამსახურს) და უნდა მივაწოდო რაც შეიძლება სწრაფად, ყოველ შემთხვევაში, იმაზე ადრე, მანამ დაიწყება „ტერორისტების“ დაპატიმრებები, და არა იმის შემდეგ, რაც ყველაფერი ჩაივლის. და ამას დავმაღავე ჩემთვის საჭირო სიტუაციის დადგომამდე. ეს ისტორია ყარყარაშილის შესახებ კარგად ახასიათებს იმ იდიოტიზმის ატმოსფეროს და იმ იდიოტების ინტელექტუალურ დონეს, რომლებმაც ჩაიფიქრეს ეს „ამბოხება“. აი, ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ძალიან მოგვაგონებს იაკუტიელი შამანების ქმედებას, რომლებიც ქვეყნის სიმბოლო-გამოსახულების სანთლის ფიგურას ცეცხლთან აგდებენ და ფიქრობენ, მსხვერპლი დადნება და მოკვდებაო. თუმცა მსხვერპლი (საქართველო) არ კვდება, მაგრამ შამანი (რუსეთის მთავრობა) მაინც ჯიუტად ერთსა და იმავე ფუჭ მოძრაობას აკეთებს და იმავე ფუჭი ცეცხლის აღში აგდებს ამ სანთლის ფიგურას (საქართველოს), რომ ამით რაიმე მაინც დაუზიანოს მას, ყოველ შემთხვევაში, მას ამისა სჯერა.

მსმენელი იკითხავს, რა შედარებააო ეს, რა კავშირი აქვს ამ პროცესებთანო? გიპასუხებთ: უშუალო კავშირია, რადგან, აბა წარმოიდგინეთ, ვინ არის სპეცსამსახურ „დელტას“ უფროსი ვინმე ღვაალაძე, რომელიც ამბოხების ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა? ღვაალაძე არის ივორ გიორგაძის გაზრდილი და გაწვრთნილი ბოვეიკი. ვინ იყო გიორგაძე? ეს იყო საქართველოს უშიშროების მინისტრი, რომელიც შევარდნაძის მეთვა-

ლყურედ ჰყავდა რუსეთს საქართველოში. შემდეგ, როგორც გახსოვთ, გიორგაძე ტერორიზმში ამხილეს და რუსეთში გამოიქცა, სადაც ინტერპოლი უშედეგოდ ეძებს. დაახლოებით თხუთმეტი წელია, რუსეთის მთავრობა მასზე ამყარებს ან ამყარებდა იმედს, რომ ის საქართველოს პრეზიდენტად მოევლინებოდა. ჩემი აზრით, გიორგაძეს იმდენი შანსი ჰქონდა გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი, რამდენიც ცნობილ საერთაშორისო ტერორისტ რამონ მარკადერს (ვლადიმერ ილიჩს), რომ ის მექსიკის პრეზიდენტი გამხდარიყო.

ახლა მოგახსენებთ, თუ ვინ არის გ. ყარყარაშვილი – ვითომდა „ამბოხების“ თუ „არშემდგარი ამბოხების“ ერთ-ერთი მონაწილე თუ ლიდერი? იგი შევარდნადის დროინდელი სამხედრო მინისტრია, რომელსაც აფხაზეთში ომის დროს ძმა მოუკლეს და რომელმაც ემოციები ვერ შეიკავა და საქართველოს ტელევიზიით სუფთა წყლის ფაშისტური განცხადება გააკეთა, რომ „არ დაინანებს ასი ათასი ქართველის სიცოცხლეს, რათა ბოლომდე ძირფესვიანად გაანადგუროს ასი ათასი აფხაზი მოსახლეობა“ (სინამდვილეში აფხაზი მოსახლეობა დღევანდელ აფხაზეთში 60 ათასს თუ ითვლის). ამ განცხადებით მან შოკში ჩააგდო არა მარტო საქართველო და აფხაზეთი, არამედ მთელი ცივილიზებული სამყარო და მერე რა, არ შერჩა ეს ყველაფერი ხახვივით?! ამის შემდეგ ის აფხაზთა დაუძინებელი მტერი გახდა, და ყოველივე ამის შემდეგ ეს ადამიანი ჩამოვიდა რუსეთში უმადლესი განათლების მისაღებად, სადაც წარმატებით ააფეთქეს და მთელი სიცოცხლე ინვალიდის სავარძელს მიაჯახვეს.

კიდევ ერთი გმირი ამ ამბოხისა – ე.წ. „გენერალი“ კობა კობალაძე – საქართველოს ნაციონალური გვარდიის ყოფილი მეთაური. ვინ არის ეს ყოფილი „მხედრონის“ ლიდერი და პირწავარდნილი ბანდიტი? როცა მიხვდა, რომ „მხედრონს“ ძალა ეცლებოდა, სასწრაფოდ გადაბარგდა შევარდნადის მომხრეებში და

ჯილდოდ გვარდიის მეთაურობა მიიღო. ისიც გაიხსენეთ, რა საჯარისო ფორმირება იყო „მხედრონი“, რომელიც დაუფარავად ძარცვავდა ხალხს დღისით და მზისით. ეს კ. კობალაძე ქართველი მაიორი ევსუკოვია, რომელმაც სულ ახლახან უდანაშაულოდ სუპერმარკეტში 9 კაცი ამოხოცა და 15 სასიკვდილოდ დაჭრა.

ყველაზე საინტერესოა ის, რომ ეს „მეამბოხეები“ საქართველოს მმართველობაში ასლან აბაშიძის მოყვანას გეგმავდნენ. ეს ის ა. აბაშიძეა, რომელმაც აჭარაში, კერძოდ – ქობულეთში, ქარხანა ააშენა ჰეროინის საწარმოო წესით დასამზადებლად.

აი, ჩვენ ჩამოვთვალეთ საქართველოს სამხედრო ამბოხის „გმირები“. ესენი ყველა შევარდნაძის მემუარების „პატრიარქის შემოდგომიდან“ არიან აღებული. ეს წიგნი რომ ცნობილ ჩეხ იუმორისტ ჰაშეკს დაეწერა, მაშინ თითქოსდა ყველაფერი უფრო გასაგები იქნებოდა. მე მაქვს წინადადება, რომლითაც შემოვდივარ რუსეთის სახელმწიფო დუმაში, დაე, მათ ეს ოპერაცია საქართველოში ხელისუფლების შეცვლისათვის სახელგანთქმულ „დეკუტატს“, ტერორის დიდ სპეციალისტს ადამ დელიმხანოვს დაავალონ. ხომ გყავთ რუსეთში ადამიანი, რომელმაც რამდენიმე წარმატებული ტერაქტი ჩაატარა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ისე რომ, რუსეთი ღარიბი არ არის ნიჭიერი პასუხისმგებელი ადამიანებით, აბა ა. დელიმხანოვთან რა სახსენებელია ისეთი უნიჭო ხალხი, როგორიცაა გ. ყარყარაშვილი და კ. კობალაძე, რომელთაც თვითონაც არ იციან, რას აკეთებენ და რისთვის.

რამდენად დასაჯერებელია ის ფაქტი, რომ ეს „სამხედრო ამბოხი“ სპეცსამსახურების პროვოკაცია იყო?.. თუკი ამ ამბოხს ასეთი დებილები მართავდნენ, მაშინ ეს ვარაუდი სავსებით დასაჯერებელია. რას იზამ, როცა ეს სულელები თავიანთი უგუნური ქმედებებით თვითონ გივარდებიან კლანჭებში? რას იზამ და, უბრალოდ, შენს სასარგებლოდ უნდა მართო, მარ-

იონეტებად გახადო, რაც შესანიშნავად გააკეთა მერაბიშვილის უწყებამ. აფერუმ, ასეთ სპეცსამსახურს, მათ დაამტკიცეს, რომ თავისი საქმის პროფესიონალები არიან (ქართული სპეცსამსახური ჯერჯერობით ისრაელის „მოსადთან“ ვერ მივა, მაგრამ არც არაფერი აკლია მათ გამოცდილებამდე). რუსეთს არაფრით არ უნდა დაიჯეროს, რომ საქართველო შედგა, როგორც სახელმწიფო, რომ მან შექმნა ეფექტური უშიშროების სისტემები, რომლებიც ჩანასახშივე უვნებელყოფს რუსეთის განაზრახს. ალბათ უნდა დავიჯეროთ, რომ გათავდა საქართველოში დრო ძალისმიერი მეთოდებით მთავრობებისა და პრეზიდენტის შეცვლისა. ამას ახალი ხელისუფლება არ დაუშვებს. ამისათვის ჰყავთ მათ ვანო მერაბიშვილი და მისი გაწვრთნილი სამსახური, რომელიც, ვიმეორებ, ჯერჯერობით „მოსადი“ არაა, მაგრამ არც არაფერი აკლია „მოსადამდე“.

ჩემო მკითხველო, ერთი მაგალითიც უნდა გიამბოთ ინგლისის ისტორიიდან: მაშინ, როდესაც ინგლისის დედოფლის ელისაბედის სპეცსამსახურებმა მოინდომეს დედოფლის ოპონენტის დედოფალ მარია სტიუარტის მხილება სახელმწიფო დაღატში (რამეთუ სხვა ქმედებებისათვის მას სიკვდილით ვერ დასჯიდნენ, რადგან სამეფო ოჯახის წევრი იყო და დედოფალ ელისაბედზე (მეფის ბუშზე) მეტი უფლებები ჰქონდა ინგლისის სამეფო ტახტის დასაკავებლად), დაგეგმეს და წარმატებით განახორციელეს ე.წ. ლორდ ბაბინგტონის „შეთქმულება“, რომელსაც წარმატებული აგენტურული მცდელობით უკარნახეს იდეა დედოფალი მარია სტიუარტის ტყვეობიდან განთავისუფლებისა და შემდეგ ინგლისის დედოფლად მისი აღზევებისა. დედოფალზე შეყვარებული და მისი ერთგული ბაბინგტონი ადვილად წამოეგო ამ ანკესს და ბრმად, მარიონეტად ქცეული, გეგმავდა სპეცსამსახურის აგენტებთან ერთად ამ „სახელმწიფო გადატრიალებას“. ხოლო როცა მოვლენათა მიმდინარეობამ კულმინა-

ციას მიადწია, როგორც დედოფალი მარია სტიუარტი, ისე ლორდი ბაბინგტონი და მისი „შეთქმულთა“ ჯგუფი დააპატიმრეს, გაასამართლეს და, როგორც ვიცით, ჩამოახრჩვეს, რითაც თითქოსდა კანონის უზენაესობა დაიცვეს, რამეთუ დასაჯეს ქვეყნის მოღალატეები, ინგლისის დაუძინებელი მტრების ესპანეთისა და საფრანგეთის მსტოვრები და მათი ვერაგული ქმედებების გამტარებლები. ამ ისტორიის დედაარსი იმაში მდგომარეობს, ალბათ, რომ ეს პროცესები, თავიდან ბოლომდე მართული სპეცსამსახურების მიერ, სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ ლორდი ბაბინგტონი და მისი მომხრეები ან მარია სტიუარტი განტყვევების ვაცები იყვნენ. არა, ბატონებო, ისტორიის წინაშე ისინი ჩვეულებრივი შეთქმულები და მოღალატეები აღმოჩნდნენ. რატომ? უბრალოდ თავისი ქმედებების იდიოტიზმის გამო. აი, დაახლოებით ასეთი სურათი იკვეთება „ქართული ჯარის ამბოხების“ გარშემო.

იყო თუ არა იმის საშუალება, ანალიზით გაერკვიათ, რომ „ამბოხი“ წინა ინფორმაციული ხერხით მომზადდა? რა თქმა უნდა, იყო. გროვდებოდა სადაზვერვო მასალა, დაახლოებით ისეთი ან უფრო აშკარა, რაც აგვისტოს ომს უძღოდა წინ. ამ „ამბოხის“ ერთი თვით ადრე ინტერნეტის ყველა ოპოზიციურ ქართულ საიტზე განთავსებული იყო ღია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილის რეჟიმი 9 აპრილის გამოსვლების შემდეგ დაემხოვდა. ოპოზიციის თვითდაჯერება ამ საკითხში უაქვლაციო იყო. რატომ? ან რაღაც იცოდნენ, ან ვიღაცა რაღაცას შეპირდა. აბა სხვანაირად უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი სრული იდიოტები იყვნენ, თუ სჯეროდათ, რომ საპროტესტო მიტინგების ზეგავლენით აიძულებდნენ სააკაშვილს ხელისუფლება დაეთმო. რა მიანიშნებდა რაღაც სიმპტომატურ მოვლენებს? კერძოდ თუნდაც ის, რომ ცხინვალის რეგიონში მიდიოდა რუსული ჯარის ინტენსიური შევსება და გადაადგილებები. შავ ზღვაში მანევრირებდა

საქართველოს საზღვრებთან რუსული სამხედრო ფლოტი. როგორც რუსეთის სამხედრო ექსპერტები, ისე ქართველი ექსპერტები და, ასე წარმოიდგინეთ, სამხედრო პირები, ბატალიონ „ვოსტოკის“ ხელმძღვანელები თავიანთ ინტერვიუებში აფრთხილებდნენ მსმენელებს სამხედრო საფრთხის შესახებ, ე.ი. „ყველა გზა რომისკენ მიდიოდა“, ყველა წინაპირობა აჩვენებდა იმას, რომ რაღაც მზადდებოდა და ეს რაღაცა სამხედრო გადატრიალება იქნებოდა. ე.ი. ვიღაცა დაინტერესებული იყო ამ ინფორმაციის გაჟონვაში. ასე წარმოიდგინეთ, ინტერნეტის საიტებზე შვიდმეტრიანი ასოებით ეწერა ეს და მხოლოდ სუფელი თუ ვერ მიხვდებოდა, რომ რაღაცა მზადდება და ამიტომ გაჩნდნენ ქართული ამბოხის ლიდერები, კობალაძე, ყარყარაშვილი, დვალაძე და სხვები. ისე ჩემს აზრს თუ გაიზიარებთ, მოგახსენებთ: ყოველივე ეს – ცეცხლთან თამაშში, ამ ავანტიურის განხორციელება და რეალიზაცია განსაკუთრებით დაარტყამს მაინც რადიკალური ოპოზიციის იმიჯს, რადგან მათ დაიჯერეს ან მანიაკალურად სურდათ, დაეჯერებინათ ის, რაც აბსურდი იყო დღევანდელ საქართველოში – სახელმწიფო წყობის შეცვლა ქუჩაში მიტინგებით ან სამხედრო ამბოხების მცდელობით. ქართული სახელმწიფო ახლა სულ სხვაა და ამას არაფრით არ დაუშვებს. საბოლოოდ ერთსაც ვიტყვი (მართალია, ქართული ოპოზიცია გამინაწყენდება, მაგრამ სიმართლე მხოლოდ ერთია და ის უნდა ითქვას თუნდაც ჩემი ვარაუდის სახით): დღევანდელი ქართული რადიკალური ოპოზიცია ერთ-ერთი უპასუხისმგებლო ქმნილებაა. ერთი შეხედვით თითქოსდა ქართული „ხამასია“. გაიხსენეთ, რას აკეთებს „ხამასი“? ბომბავს ისრაელს. თუ ისრაელი პასუხობს, „ხამასი“ გაჰყვირის – ისრაელი ჩაგრავეს პალესტინასო, თუ ისრაელი დაბომბვებს არ უპასუხებს, მაშინ იტყვიან, ისრაელი სუსტიაო. ახლა წარმოიდგინეთ რას აკეთებს ქართული ოპოზიცია? ოპოზიცია ცდილობს

ძალის გამოყენებით აიღოს პოლიციის შენობა, სადაც დაპატიმრებულნი არიან ქვეყნისათვის საშიში პირები. თუ პოლიცია იცავს თავის შენობას და პასუხობს მიტინგს რეზინის ან პლასტმასის ტყვიებით, მაშინ გაჰყვრიან, ეს ხომ უსამართლობაა, კონსტიტუციის დარღვევა და ა.შ. და თუ არ ესვრის, მაშინ ამბობს, აი, ნახეთ რა სუსტი ხელისუფლება გეყავს – ხალხის ეშინიაო. ახლა თვითონ განსაზღვრეთ, რომელია ამ თეზისში სწორი და მართებული.

ერთი სიტყვით, ქართული რადიკალური ოპოზიცია თავის მოქმედებებში არ არის თანამიმდევრული. მაგალითად, ახორციელებენ პოლიციის შენობის შტურმს, ბლოკირებას უკეთებენ ტელეარხს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, პარლამენტს, აცხადებენ სარკინიგზო და საავტომობილო გზების ბლოკირებასაც, იმას კი არ უფიქრდებიან, რომ ეს ყველაფერი კანონის დარღვევაა. ამავე დროს მთავრობას უსპობენ საშუალებას დაიცვას სახელმწიფო და ქვეყანა ანარქიისაგან. განა გასაგები არ არის, რომ არცერთი სახელმწიფო (ხელისუფლება) არ დაუშვებს ამ ობიექტების დაუცველობას? ზუსტად ასეთი ქმედებებისათვის რუსეთის რამდენიმე ნაციონალ-ბოლშევიკი ციხეებშია გამწყვდებული, ხოლო მათი ლიდერი ედუარდ ლიმონოვი კი სახელგანთქმული პოლიტიკოსი გახდა, თუმცა, მასაც ახეხინეს რამდენიმე თვით „ვირის აბანო“. აი, ამიტომ ლიმონოვსა და მთავრობას შორის კონფლიქტში მე ხელისუფლების მხარეს ვდგავარ, ხოლო ქართულ ოპოზიციასა და სააკაშვილს შორის არჩევანში მე სააკაშვილს ვუჭერ მხარს, რადგან არ მსურს განმეორდეს მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ჩვენი ტრაგედია.

აი, დაახლოებით ესაა ჩემი აზრი ქართული „სამხედრო ამბოხის“ შესახებ. იმედია, სანამ გამოძიება ჩატარებს თავის სამუშაოს და საქმე სასამართლომდე მივა (თუკი ის საერთოდ მივა სასამართლომდე), ბევრი წყალი ჩაივლის და იქნება მოვასწრო ამ მონათხრო-

ბის გამოქვეყნება.

ყოველივე აქ თქმულიდან მხოლოდ ერთი ლოგიკური დასკვნის გამოტანა შეიძლება (და სხვათა შორის ამას არ სჭირდება დიდი სპეციალური ან ექსპერტული ანალიზი):

1) სამხედრო ამბოხი იყო დაგეგმილი და მასში მონაწილე სამხედროები ნებით თუ უნებლიეთ (უფრო მეტად – თავისი ნებით) წავიდნენ ამ სამხედრო ავანტიურაზე.

2) ქვეყნის გარეთ არსებული ქართული დიასპორა გარკვეულ წილად ამ ამბოხის სულისჩამდგმელი და დამფინანსებელი გახლდათ.

3) ჩრდილოეთის მეზობლების სპეცსამსახურმა ალბათ იცოდა ან გარკვეულ წილად არეგულირებდა ყველაფერს, მაგრამ ისე ფრთხილად და პროფესიონალურად, რომ მათ კვალს ვერავინ ვერასოდეს ვერ იპოვნის. ისე, კაცმა რომ თქვას, მათ ყველა შედეგი აწყობდათ სააკაშვილის რეჟიმის იმიჯის დაცემისათვის, და თუ მათთვის სასურველი შედეგი დადგებოდა, მაშინ ჩაეროვნენ ამ ავანტიურაში (მაგრამ ეს უკვე ფანტაზიაა).

4) უცილობელია, რომ სამხედრო ამბოხი გამოვლენილი იქნა ქართული სპეცსამსახურების მიერ მზადების პერიოდში და არ არის გამორიცხული შემდეგ გარკვეული ოპერატიული თამაშის ჩატარება, რაც რეგულირებულს ხდიდა ამ ამბოხს, ხოლო მათ მონაწილეებს – ქართველ სამხედროებს და მათ მფარველებს – მარიონეტებად (თოჯინებად) აქცევდა.

5) არ არის გამორიცხული, რომ ეს ამბოხი თავიდან ბოლომდე ინსცენირებული იყო თბილისიდან, შემდეგ მასში „ჩაითრიეს“ გარე ფინანსური და იდეური მფარველები. ეს თუ ასე მოხდა, აფერუმ და ტაში ვანო მერაბიშვილს და მის კანტორას. იგი კარგი მოწაფე ყოფილა ლავრენტი ბერიასი, რომელმაც არაერთხელ გააბითურა ფაშისტური გერმანიის სპეცსამსახურები

ჩაწყობილი ოპერატიული თამაშებით. ისე რომ, შეთქმულები კანონის მთელი უზენაესობით დაისჯებიან და ამაში თავის არაპროფესიონალიზმს და იდიოტურ თვითდაჯერებას უნდა „უმაღლოდნენ“. სხვები კი ხელს დაიბანენ და ყველაფერს უარყოფენ. მიდი შენ და დაუმტკიცე!

ასე თუ ისე, ცხელი გაზაფხულის დასასრული და საკმაოდ მცხუნვარე ზაფხული საქართველოს კლიმატურ პირობებში ნამდვილად არ განაწყობს მოსახლეობას მიტინგებისათვის. ალბათ ოპოზიციის ლიდერებიც თანდათან მიაშურებენ ზღვის სანაპიროებს ან მთიან ზონებს, რამეთუ თუ ქონებრივი ცენზით შევაფასებთ ამ ხალხზე ზრუნვით დადლილ პიროვნებებს, არცერთი არ გვესახება გადატაკებულ პროლეტარად (უნდა ვიფიქროთ, ამის მატერიალური საშუალება მათ საკმაოდ გააჩნიათ ფულადი დანაზოვის, ან უძრავი ქონების (აგარაკების) სახით).

ასევე დასვენება სჭირდება ხალხის ზრუნვით დადლილ სამთავრობო გუნდს. ისინიც ხომ „ხალხნი არიან“ და დასვენება, ძალთა მოკრება სჭირდებათ შემდეგი ბატალიებისათვის?! თუკი ოპოზიცია მოიძიებს თანხებს შემოქმედებითი დასვენებისათვის, იმედია სამთავრობო გუნდსაც არ გაუჭირდება, რადგან დღეს „ბურთი და მოედანი“ ე.ი. ბიუჯეტი მათ ხელშია.

ისე რომ, ერთი-ორი თვე შედარებითი სიმშვიდის მორატორიუმი დამკვიდრდება. თავს გაგვახსენებენ დაახლოებით აგვისტოსათვის, როცა აღინიშნება ომის ერთი წლისთავი. მანამდე, იმედია, საზოგადოება გაეცნობა ევროკავშირის კომისიის (ტალიაინი) დასკვნის შედეგებს. თუ როგორი იქნება ამ დასკვნის შედეგები, ამას დრო გვიჩვენებს. ისე, როგორც ევროპულ დიპლომატებს სჩვევიათ, ისინი ალბათ „არც მწვადს დაწვავენ და არც შამფურს“, ე.ი. კონფლიქტის ორივე მხარეს გაკიცხავენ, მიუთითებენ და სავარაუდოა, გაიმეორებენ რუსეთის მიერ ძალისმიერი მეთოდების გადა-

ჭარბებას და სეპარატისტთა დამოუკიდებლობის აღიარების შეცდომას. ღმერთმა ქნას, რომ ჩემი ვარაუდი არ გამართლდეს, ღმერთმა ქნას... მაგრამ ერთი რამ ცნობილია: ჩვენი ინტერესებისათვის არავინ არ გადაიჭრის ვენებს და ყველა იმოქმედებს თავისი სისტემის ინტერესებიდან გამომდინარე. საუბედუროდ, ამ პოლიტიკურ აქსიომას ან ბრმად ვივიწყებთ ანდა ბავშვური გულუბრყვილობით თავს ვაჯერებთ, რომ ეს ასე არაა. თუმცა ალბათ სამთავრობო გუნდის პოლიტიკურ ინტერესებში შედის ის, რომ ხალხი დააჯეროს დასავლეთის თუ ამერიკის მიუკერძოებელ დამოკიდებულებაში. ნამდვილად კარგად მესმის ზოგიერთი კეთილშობილი ერისშვილის გულისტკივილი იმის შესახებ, რომ საქართველოში არ არის და არ ყალიბდება ძირითადად ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული მთავრობა, მაგრამ ეს ხალხი „სამწუხაროდ“ ივიწყებს ისტორიულ სინამდვილეს: დღეს უკვე XXI საუკუნეა, გლობალიზაციის ეპოქა, კომუნიკაციების ზებუნებრივი განვითარების ეპოქა. ასეთ ვითარებაში, საუბედუროდ, შესუსტებულია ეროვნული ინტერესების გამტარებელ მთავრობათა თუ სისტემათა არსებობა. ამის ნათელი მაგალითია ევროპის მრავალი ქვეყანა (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, იტალია, ესპანეთი და მრავალი სხვა), სადაც თითოეული ქვეყნის მოსახლეობის უკვე 10 პროცენტი არა ადგილობრივია, თუმცა ქვეყნის ხელისუფალნი მოქალაქეები არიან, და თანდათანობით ქვეყნის ამა თუ იმ მმართველობაშიც კი გვევლინებიან (ამის ნათელი მაგალითია ეთნიკურად უზნურული წარმოშობის საფრანგეთის პრეზიდენტი სარკოზი). გერმანიის ბუნდესტაგის 10 თუ 15 დეპუტატი ეთნიკურად თურქია, საფრანგეთის ეროვნული კრების შემადგენლობაში დაახლოებით სამი ათეული დეპუტატი წარმოშობით ეთნიკურად არაბია (მაროკოდან, სუდანთან თუ ალჟირიდან) და კიდევ მრავალი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება. ისე რომ, ამ პროცესებს

ჩვენც ვერასგზით ვერ გავეპყვეით. ჩვენ ამ პატარა პლანეტის – დედამიწის, რომელიც ესოდენ დიდი გვეგონა, ერთი მცირე ნაწილაკი ვართ. ამიტომ, სამწუხაროდ, განწირული ვართ იმისათვის, რომ დიდი ზესახელმწიფოს ინტერესების დაპირისპირების არიალში ვიყოთ, მათი გლობალური ინტერესების გათვალისწინებით ვიმოქმედოთ. ამიტომაცაა საჭირო უფრო მეტი დაკვირვება, სიმშვიდე, ანალიზის უნარი, ფიქრი და აზროვნება ჩვენს მომავალზე, რამეთუ როგორც ერთმა ძლიერ ჭკვიანმა კაცმა (ინგლისელი ჩერჩილი) თქვა, „მთავარია, როცა არენახე ორი სპილო ერთმანეთს ებრძვის, შემთხვევით მათ ფეხებში არ მოჰყვე, თორემ აუცილებლად გაგჭყლეტენო“. ალბათ ეს გამონათქვამი და ეს პოლიტიკური ცხოვრების აქსიომა ჩვენ ქართულ სინამდვილეს უფრო შეეფარდება, ვიდრე 40-იანი წლების ინგლისის ჯერ კიდევ იმპერიის სინამდვილეს. მაგრამ ბატონი უისტონ ჩერჩილი გახლდათ ფრიად განსწავლული და ბრძენი პიროვნება, რომელმაც თავისი იმპერიული სნობიზმი უგულვებულო და მოკრძალებით იწინასწარმეტყველა თავისი ქვეყნის განვითარების პოლიტიკური ვექტორი. აბა დააკვირდით და გაანალიზეთ 40-იანი წლების შემდეგ ინგლისის სახელმწიფოს განვითარების გზა ამ განვლილ 70 წელში და მიხვდებით, რომ მისი პოლიტიკური შთამომავლები ისევე, როგორც კონსერვატორები და ლეიბორისტები, თითქმის პირნათლად და სწორად ასრულებენ თავიანთი ქვეყნის ლიდერის ანდერძს. და თუ დღეს ინგლისი ისევე და ისევე ძლიერია, ეკონომიურად განვითარებულია, ეს იმიტომ რომ ფეხებში არ მოჰყვა „სპილოებს“ – საბჭოთა კავშირს და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რითაც გარკვეულწილად შეინარჩუნა თავისი ქვეყნის სიძლიერე და თვითმყოფადობა.

ერთიც უნდა ითქვას, ასე გააზრებულად, მიზანდასახულად რომ გაატარო ქვეყნის საშინაო და საგარეო

პოლიტიკა, დიდი ფიქრი, დიდი სიდინჯე, ანალიზის უნარი და წინასწარ გათვლილი ნაბიჯების გადადგმა საჭირო. აი, ასეთ ცხოვრებას კი ჩვენ არა ვართ შეჩვეული, გველუპავს იმპულსურობა, სიჩქარე, არ ვიცით ერთმანეთის მოსმენა ან არ გვინდა მოვისმინოთ განსხვავებული აზრი, რამეთუ ყველა ჩვენგანს ჩვენი თავი ყველაზე განსწავლული და ყველაზე ჭკვიანი გვეგონია, ყოველ შემთხვევაში, ალბათ ყოველ მეათე ქართველს ჰგონია, რომ შესძლებს პრეზიდენტობას, პრემიერობას თუ მინისტრობას. რა ვქნათ, ალბათ ეს ჩვენი დამღუპველი გენია და, რადგანაც ამდენი პრეზიდენტი, პრემიერი თუ მინისტრი ქვეყანას არ სჭირდება, ვჭამთ ერთმანეთს, ვებრძვიტ, ვებმებით გაუთავებელ პოლემიკაში, დისკუსიებში, შემდეგ მიტინგებში, მანიფესტაციებში და ა.შ. და ა.შ.

ერთმა, ალბათ ყველა დროის და ყველა ხალხის სახელგანთქმულმა და წარმატებულმა წარმოების ხელმძღვანელმა (დღევანდელი ტერმინოლოგიით მენეჯერმა), პოლიტიკისაგან შორს მდგომმა ამერიკელმა პენრი ფორდმა (უფროსმა) თქვა: „ოცნება არის ყველაზე ძნელი სამუშაო, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია და ამიტომაც ძალიან ბევრს არ უყვარს ეს მძიმე სამუშაო“. საუბედუროდ ჩვენში ასეთნი უფრო მეტნი არიან, ვიდრე საჭიროა და ამიტომაც შედეგი არ აყოვნებს და წინსვლისა და პროგრესის მაგივრად ერთმანეთთან დავით უფრო ვართ დაკავებულნი, ვიდრე ერთმანეთის მოსმენით, მხარში ამოდგომით და ერთიანად საქმის კეთებით. რას იზამ, თუ გადავხედავთ ჩვენ ისტორიულ წარსულს, თითქმის ყოველთვის ამით ვიყავით დაკავებულნი. საერთოდ, დამპყრობელის იმპერიალისტური პოლიტიკა ყველგან და ყოველთვის ეფუძნებოდა ერთ თეორიულ და პრაქტიკულ პოსტულატს – „გათიშე და იბატონე“. ამის ნიადაგი კი ყოველთვის იყო საქართველოში. ისე რომ, ხშირად მტერსაც არ სჭირდებოდა ამ აქსიომის დანერგვა ხალხ-

ის შეგნებაში, ჩვენ თვითონ ვაძლევდით ამის საბაზს და მიზეზს. ის კი წარმატებით იყენებდა ჩვენ გენეტიკურ ნაკლს. საუბედუროდ, ასე იყო არაბების, მონღოლების, თურქების, სპარსელების ჟამს და ასე გაგრძელდა რუსეთის იმპერიის ბატონობის დროსაც. მართო იმის გახსენება რად ღირს, რომ როდესაც რომელიმე მეფე გარდაიცვლებოდა, ყაენის, ხონთქარის, შახის, თუ სულთანის კარზე, როგორც წესი, გარდაცვლილი მეფის რამდენიმე შვილი ცხადდებოდა სამეფო რეგალიების მისაღებად, უკვე დაქუცმაცებული ქვეყნის მმართველობის წარმართვისათვის. როგორც ვთქვით, მტერი ამით წარმატებით სარგებლობდა და გვყავდა ხშირად კახეთში ერთის მაგივრად ორი ან სამი მეფე, ქართლში ასეთივე სურათი გახლდათ, ხოლო იმერეთის მეფის მმართველობა ქუთაისით და მისი შემოგარენით თუ განისაზღვრებოდა. რამდენიმე პრეტენდენტის არსებობა საუკუნეების განმავლობაში წარმოშობდა ქიშპობას, შიდა ომებს, რაც იმდენად ასუსტებდა ქვეყანას, რომ მისი მმართველობა დამპყრობლებს საჩქმეს უადვილებდა და ამიტომაც საუკუნეების განმავლობაში მიდიოდა ეს ქიშპი და დაუმორჩილებლობა. რატომღაც არ გვინდა გავისხენოთ: როდესაც XIX საუკუნის დასაწყისში გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფე დავითი (ქართლ-კახეთის ამ პატარა სახელმწიფოსი), რუსეთის იმპერიასთან იმდენი სამეფო პრეტენდენტი გამოჩნდა მეფე ერეკლეს შვილებისა და შვილიშვილების სახით, რომ რუსეთის საიმპერიო კანცელარიაც კი ვერ გაერკვა ან არ ისურვა ამაში გარკვევა და მოიმიზეზა, რომ სამეფო ტახტის პრეტენდენტები შიდა არეულობას და საომარ მოქმედებებს გამოიწვევდნენ და უბრალოდ ერთი ხელის მოსმით გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართლ-კახეთის სამეფო. თუკი ირანის შახს და თურქეთის სულთანს აწყობდათ, რომ ქვეყანაში რამდენიმე მეფე ყოფილიყო, რაც შიდა არეუ-

ლობის მიზეზი იყო და რაც უადვილებდა მათ მმართველობას და მუდმივი არბიტრის როლს თამაშობდა ამ შემთხვევაში, რუსეთის ძლიერ იმპერიას სრულებითაც არ აწყობდა გაუთავებელი შიდა ქიშპობა, ლოკალური ომები და ერთი ხელის მოსმით ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო. ერთი კი გაიმართლა თავი, „რა ვქნათ, თქვენ თვითონ ქართველები ვერასოდეს ვერ შეთანხმდებით“. საუბედუროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ამაში გარკვეული სიმართლეც იყო და ისიც ჩვენი არასწორი ქმედებების შედეგი გახლდათ. თუკი აღმოჩნდება ისეთი სკეპტიკოსი, რომელიც არ დაიჯერებს ჩვენს აზრს, ვურჩევთ წაიკითხონ ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორია“ ან მართალია ფრიად გაზვიადებული ემოციური დატვირთვით აღსავსე ისტორიული ნაწარმოები „უქარქაშო ხმლები“, სადაც, ავტორის ტიტანური მცდელობის მიუხედავად ჩვენი ისტორიის იდეალიზაციისა, მაინც ვერ აუარა გვერდი ჩვენს ერთ დიდ ეროვნულ უბედურებას – ქიშპობას, ერთმანეთის მოსმენის უგულვებელყოფას, ერთმანეთის ჯინაზე ქვეყნის ინტერესების იგნორირებას და მრავალ სხვა ნაკლოვანებას თუ განზრახ მტრულ ქმედებებს, რამაც დაამხო ქართული სახელმწიფოებრიობა. სამწუხაროდ, ყოველთვის გვიჭირდა საერთო ინტერესებისათვის გაერთიანება, ერთ მუშტად შეკვრა და გარეშე მტრებთან ერთიანი ბრძოლა. ის კი არა, ქართული სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელს დავით აღმაშენებელს არაერთი ბრძოლა გადახდა შიდა მტრების – ურჩი ფეოდალების დასამორჩილებლად და დასათრგუნავად. საკმაოდ არადემოკრატიული მეთოდებიც გამოიყენა – სიკვდილით დასჯა, თვალების დათხრა, ენის ამოკვეთა. სხვა მეთოდებით ვერაფრით ვერ შესძლო ოპონენტების დამარცხება. შემდეგში, მისი მემკვიდრეების დროს, თუკი საქართველოში სიმშვიდე დამკვიდრდა, ეს მხოლოდ იმის მანქვენებელი იყო, რომ ცენტრალიზებული მეფის ხელისუფლება საკმაოდ

ძლიერი გახლდათ და ურჩი ფეოდალები – ზოგნი ერთგულებით და ზოგნი შიშის ძალით – იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ ხელისუფალთ. მაგრამ საკმარისი იყო, ეს ძლიერი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი მოშლილიყო (მტრების შემოსევების გამო), რომ ქვეყანას ისევ შიდა არეულობა მოიცავდა და, რამდენადაც პარადოქსულადაც უნდა ედერდეს, მცირეოდენი მშვიდობიანი პერიოდების გარდა, ქვეყანა თითქმის ხუთ-ექვს საუკუნოვან ქაოტური ქიშპობის ატმოსფეროში გაეხვეოდა. ისიც ალბათ დიდი პარადოქსია, რომ ამ სიტუაციაში ერი გადარჩა, შეინარჩუნა ენა, სარწმუნოება და დაკნინებული მამული...

არსებობს ერთი აქსიომა და მისი ავტორი ისევ და ისევ ქართველი გახლავთ – ი. სტალინი, რომელმაც აღნიშნა ერის ჩამოყალიბების აუცილებელი კრიტერიუმები: ენა, ტერიტორია (მამული) და სახელმწიფოებრიობა. რა თქმა უნდა, როგორც ნომერ პირველი ათეისტი, იგი ვერ აღიარებდა სარწმუნოების აუცილებლობას, მაგრამ ეს ახლა ხომ მაინც ნათელია – როგორც აუცილებელი პირობა ერის თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობისათვის. აქედან გამომდინარე თითქოსდა ყველა პირობა არსებობს ქართული ეროვნული თვითმყოფადობისა, მაგრამ, ყველა ამ წინაპირობის გარდა, სანამ არ იქნება ეროვნული ერთიანობა, ერთმანეთის მოსმენისა და განსჯის უნარი, სანამ ერი თუ ბერი არ შეიკვრება ერთ მუშტად გარეშე და შინაურ მტრებთან საბრძოლველად, სანამ მტერი იპოვის ჩვენს რიგებში დასაყრდენს (მეხუთე კოლონას), სანამ არ შევქნევით და არ შევისისხლხორცებთ დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ელემენტარულ მოთხოვნილებებს, სანამ არ შევქნევით საპარლამენტო დისკუსიებს, სანამ არ ჩავატარებთ როდისმე სამართლიან და არა გაყალბებულ არჩევნებს, არ მოვახდენთ სასამართლოს რეფორმას, საარჩევნო სისტემის რეორგანიზაციას, სანამ მანია-

კალურად აღარ ჩავეჭიდებით სახელისუფლებო სავარძლებს და ყოველ ოთხ თუ ხუთ წელიწადში სამთავრობო გუნდის შეცვლა არ გახდება ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესი და ამ ყველა პირობებიდან გამომდინარე არ შეიქმნება დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო სისტემა – მანამ საშველი არ დაგვადგება. მართალია, ამას დრო უნდა, ევროპის ბევრმა ქვეყანამ ამ ეტაპების გავლას საუკუნეები მოანდომა, მაგრამ ახლა XXI საუკუნეა – განვითარებული კომუნიკაციების, გლობალური ფსიქოლოგიის ერაა და ჩვენ არა გვაქვს იმ ფუფუნების საშუალება, რომ ამ პროცესებს საუკუნეები დავუთმოთ. კაციშვილმა არ იცის, რა გველის არამარტო ჩვენ, არამედ მთელს ჩვენს პლანეტას ტერორიზმის, ატომური იარაღის თანდათანობით გავრცელების გამო (ჩრდილოეთი კორეა, ირანი, პაკისტანი), არასტაბილური ქვეყნების გაუთვალისწინებელი ქმედებების, განუწყვეტელი ლოკალური ომების (ისრაელი-პალესტინა), სეპარატიზმის და სხვა ავადმყოფობათა გამო, რომლითაც მოცულია მთელი მსოფლიო.

ხშირად ვისხენებთ, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანააო საქართველო. ამიტომაც იმედია, საღი გონება გაიმარჯვებს, დავმშვიდდებით, დავწყნარდებით, გავერთიანდებით საერთო მიზნების გარშემო, თანდათანობით დავიწყებთ დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას, განვავითარებთ ქვეყნის ეკონომიკას, მეცნიერებას, განათლების სფეროს, სპორტს, ტურიზმს, გაიყვანთ გზებს, ავაშენებთ ხიდებს და გვირაბებს, ჰიდროელექტროსადგურებს და ა.შ. აი, მაშინ ნამდვილად აღსდგება ეროვნული თვითმყოფადობა, ეროვნული სიამაყე, ეროვნული თვითშეგნება და რა ვიცით, შეიძლება უფრო უმტკივნეულოდ აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა. რა თქმა უნდა, მტერი ამას არ დაგვაცდის, ყველანაირად შეგვიშლის ხელს, მოგვიწყობს ათასი სახის პროვოკაციებს, მაგრამ თუკი

ეროვნულ მთლიანობას, სულიერ სიმტკიცეს შევინარჩუნებთ, მაშინ ყველა სირთულეს გადავლახავთ ამ ეკლიან გზაზე.

არ მინდა და არც შემიძლია იმის წარმოდგენა, თუ რა გველოდება წინააღმდეგ შემთხვევაში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

არასაპარლამენტო ანუ რადიკალური ოპოზიცია

არცთუ ისე ღრმა ანალიზით შეიძლება დავსვათ ერთი კითხვა, რას წარმოადგენს და ვის წარმოადგენს დღევანდელი არასაპარლამენტო, რადიკალური ოპოზიცია? არაერთხელ გაუღერდა და საზოგადოებისათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ მათი უმრავლესობა მხარში ედგა სააკაშვილს „ვარდების რევოლუციის“ დროს და ხელს უწყობდა და ყოველმხრივ ეხმარებოდა მას (საკაშვილს, უვანიას, ბურჯანაძეს) ხელისუფლებაში მოსვლისათვის. მაშინ ისმის კითხვა, რა მოხდა, რა არის ამ „განხეთქილების“ დედააზრი, მივიღებდით თუ არა ამ მძაფრ ოპოზიციას, სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რომ სხვანაირად მოქცეულიყო? პირველი და მთავარი მისი „შეცდომა“ (ნებისთენე უნებლიეთ) იყო ის, რომ თავისი გუნდის გარკვეული ქვოტა (მაშინ ტრიუმფირატი შეთანხმებით მუშაობდა) მან შეარჩია არა პროფესიონალიზმის გათვალისწინებით, არამედ პირადი ერთგულებით. ამიტომაც „აიყვანა“ მთავრობაში და პარლამენტში თავისი დაცვის მუშაკები: კირკიტაძე, რურუა, ბექაური, ვინმე ბრეგვაძე და სხვა და, რა თქმა უნდა, თავისუფლების ინსტიტუტის სოროსელი ბიჭები და გოგონები.

იქნებოდნენ თუ არა დღეს ოპოზიციაში ძმები გაჩეხილაძეები – მომღერალი „უცნობი“ და მისი ძმა „გრე-

ჩიხა“, კომუნისტური საზოგადოების ფრიალ წარმატებული, შეძლებული ოჯახის შვილები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში? „გრეჩისა“ ხომ მისი საარჩევნო შტაბის უფროსი გახლდათ, ხოლო „უცნობი“ მისი პიარ კამპანიის წარმმართველი ესტრადაზე და საზოგადოებაში. დამთავრდა არჩევნები, სააკაშვილი გაპრეზიდენტდა და რა მიიღეს „ღვაწლმოსილმა“ ძმებმა? არაფერი! არავითარი ხელმოსაკიდი თანამდებობა, ის კი არა, მას შემდეგ, რაც პირველი ოპოზიციური განწყობა გამოხატეს, დაიწყო მათი გარკვეული „შევიწროება“, რაც მთავარია, მათი ბიზნეს-ინტერესების გაფართოება კი არა, შეზღუდვა. ამას კი ძმები არავის აპატიებდნენ და მითუმეტეს – უმადურ „ძმაკაცს“! ეს ოპოზიციური „ბრძოლა“ უფრო მეტად იყო ამ ხალხის ბიზნეს-ინტერესებით განპირობებული, გაველენათა სფეროების ხელში ჩაგდების მცდელობა და მეტი არაფერი, პოლიტიკაში ხელმოცარული ხალხის განწირული შებრძოლება ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად.

სამწუხაროდ, ხალხის ინტერესები – როგორც ერთისთვის, ისე მეორისათვის – მხოლოდ მეორე ან მესამე პრობლემაა. ისინი თუ მოვლენ ხელისუფლებაში, ისევ დაიწყებენ სამთავრობო ძალოვანი სტრუქტურების გაძლიერებას თავიანთი ხელისუფლების გახანგრძლივებისათვის ისე, რომ იტყვიან: „Яблоко от яблони далеко не падает“, ანუ ორივენი ერთი ხის ერთი ოჯახის პროდუქტები არიან და ახალს არაფერს არ უნდა ველოდეთ.

შევეცადოთ გავაანალიზოთ და მოდულირების წესით ჩამოვაყალიბოთ ერთი კანონზომიერება ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმოშობისა ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. რატომ მიიღო სააკაშვილმა და მისმა სამთავრობო გუნდმა პირველი დღეებიდანვე რადიკალური, უფრო სწორად – ხელისუფლებაში მოსვლის მანიაკალური იდეებით შეპყრობილი

ოპოზიცია? ჩვენი აზრით ეს განაპირობა ერთმა მთავარმა მიზეზმა: ნებსით თუ უნებლიეთ ბატონ პრეზიდენტის „შეცდომაში“ მთავრობის ფორმულირებისას. როგორც გახსოვთ, პირველ ხანებში ოპოზიცია ასეთი რადიკალური არ გახლდათ, რამეთუ მთავრობაში ძირითადად თავმოყრილი იყვნენ სამი პოლიტიკური მიმდინარეობის (სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე) მიმდევრები (თანაგუნდელები). თავდაპირველად ეს გარემოება გარკვეულ წილად აბალანსებდა ძალთა თანაფარდობას. მაგრამ, საუბედუროდ, როგორც ადრე მოგახსენეთ, არცერთ ეპოქაში და სახელმწიფოში რევოლუციური მეთოდით მოსულ მთავრობას – პოლიტიკურ ტრიუმფირატებს და დუეტებს – დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიათ. როგორც ყოველთვის, მათ შორის მალე გამოიკვეთება გამორჩეული ლიდერი – ქარიზმატული პიროვნება, რომელიც თანდათან იპყრობს ხელისუფლების მართვის ბერკეტებს. გაიხსენეთ, სამთავრობო კარუსელების შემდეგ, როგორ მიადწია სააკაშვილმა იმას, რომ ძირითად სტრუქტურებში მხოლოდ და მხოლოდ „თავისი ხალხი“ „გაემწესებინა“. როგორც გახსოვთ, ამას გარკვეული დრო დასჭირდა. შემდეგ „შემთხვევით“ გარდაიცვალა თუ დაეხმარნენ გარდაცვალებაში პრემიერ ჟვანიას. მისმა მცირერიცხოვანმა სამთავრობო გუნდმა მის კეთილისმყოფელ პატრონს გაცემა არ აცალა, ისე შეჰფიცა ერთგულება ახალ პატრონს და, რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ უფიქრია მთავრობას სავარძლების დატოვება. ე.ი. თავისი „ერთგულებით“ და „დუმილის პარიტეტის“ დაცვით შეინარჩუნეს სამთავრობო კაბინეტები. არავინ არ იცის, როგორ „ამდერდებიან“ ისინი, თუკი ამის საშუალება მიეცემათ?! ჯერჯერობით კი „ჯელტმენური“ შეთანხმებით თანამშრომლობენ მთავრობაში და იღწვიან ქვეყნის და, რა თქმა უნდა, ხალხის კეთილდღეობისათვის.

ტრიუმფირატიდან დარჩა დუეტი (სააკაშვილი, ბურჯანაძე) – ნამდვილად არათანაბარი პოლიტიკური

წონისა და ქარიზმისა. მოჩვენებითი სიღინჯით, წყნარი, დაყენებული ხმით (არც თუ ისე იშვიათად – მაინც გაღიზიანებული რიტორიკით) ნ. ბურჯანაძე ცდილობდა ეჩვენებინა საზოგადოებისათვის, რომ ხელისუფლება დაბალანსებულია, იშვიათად მაგრამ მაინც ისმოდა გამონათქვამები – „ქალბატონ ნინოსთან შეთანხმებით“, „ქალბატონ ნინოს აზრის გათვალისწინებით“ და სხვა. შემდეგ კი, ერთ მშვენიერ დღეს (მითუმეტეს – პრეზიდენტის მეორედ არჩევის შემდეგ), ეს საკენკიც გაქრა და ყველასთვის ნათელი გახდა, თუ ვინ იყო ამ ქვეყანაში ე.წ. „ხაზეინი“. თავისი მოჩვენებითი „სისადავით“ და „თავმდაბლობით“ ნ. ბურჯანაძე ამასაც „გადაიტანდა“, მაგრამ როცა პარლამენტის ფორმირების დროს მისი ქვოტირებული სიები მინიმუმამდე შეამცირეს, ეს უკვე ყოველგვარი პოლიტიკური კვლავობის დამთავრებას ნიშნავდა. უბრალოდ, გააგებინეს, რომ „მაგრმა თავის საქმე უკვე გააკეთა და მავრი უნდა წავიდეს“. ისეთი „გამჭრიახი“ პოლიტიკოსისათვის, როგორც ქალბატონი ნინოა, ამის მიხედვით არც თუ ისე ძნელი იყო და ისიც წავიდა, მაგრამ მთლად ხელმოცარული ხომ არ წავიდოდა? თან გაიყოლა ერთ ლარად ღირებული რამდენიმე კექტარი წყნეთის მიდამოები, მასზე განლაგებული აგარაკით, თავისი სამთავრობო დაცვით და მანქანით... მაგრამ აქაც თუ ცოტა უფრო ღრმად ჩავუკვირდებით ამ „დუეტის“ განხეთქილების მიზეზებს, არც თუ ისე ძნელი მისახვედრი იქნება, რომ ამ გაყრას უფრო სხვა პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა. გავიხსენოთ ქალბატონ ნინოს ვიზიტები ევროპაში და ამერიკაში, სადაც იგი, ხშირად თავდაჯერებული – დამოუკიდებელი ქვეყნის ერთ-ერთ ლიდერად წარმოაჩენდა თავს, და ევროპულ თუ ამერიკულ სტრუქტურებში უკვე გარკვეულ ალტერნატიულ ლიდერად განიხილებოდა. „რკინის ლედის“ ტექნიკის აჩრდილი ოცნებებში მაინც არ ასვენებდა ამ ქალბატონს და ეს მაშინ, როდესაც სა-

აკაშვილის რეიტინგი საზღვარგარეთ თანდათან ეცემოდა, მისი გადამეტებული შემტვეი ქარიზმის, დიპლომატიური ეთიკის უგულვებელყოფისა და მოუსვენარი ფეთქებადი ხასიათის გამო. ამას ისიც დაემატა: ქალბატონმა ნინომ თითქმის „აიძულა“ პრეზიდენტი გადაეყენებინა თანამდებობიდან საგარეო საქმეთა მინისტრი ქალბატონი ს. ზურაბიშვილი, თითქოსდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის, სინამდვილეში კი იმისათვის, რომ ქალბატონ სალომეს სახით კონკურენტი ესახებოდა, და „კაპრიზულად“ გაიტანა თავისი: „ერთ ბუნავში ორი დათვის“ ყოფნა არ შეიძლებოდა. სინამდვილეში, როგორც პრეზიდენტი, ისე მისი გარემოცვა, შესანიშნავად მიუხვდა ქალბატონ ნინოს ჩანაფიქრს და რადგან ეს გადაწყვეტილება მასაც აწყობდა, შეუსრულა ეს „კაპრიზი“ პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ჯერ კიდევ საჭირო იყო იმ პოლიტიკურ ვითარებაში. ამით პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა ორი კურდღელი „დაიჭირა“: მთავრობიდან მოიშორა მართლაც დამოუკიდებელი, თავის თავში დაჯერებული საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო შემდეგში, როცა ამის დრო დადგა, სამთავრობო ბერკეტებს მოაშორა ე.წ. ქართველი ტეტიჩერი – ნ. ბურჯანაძე, და ამით ეგონა, ყოველგვარ ილუზიებს გაპრეზიდენტებისას მოუსპობდა ამ ქალბატონს. მაგრამ ან თავს იტყუებდნენ ან თავს აჯერებდნენ, რომ ეს ასე იქნებოდა, რამეთუ ქალბატონი ნინო არც თუ ისე უბრალო პიროვნებაა, როგორც მათ ეჩვენებათ ან ჰგონიათ. ცოტა ხანი დაისვენა, დამშვიდდა ქალბატონი ნინო და მთავრობამ მიიღო ის, რაც მიიღო: ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული და ლიდერად დაბადებული ოპოზიციონერი, რომელიც მართლაც არაფერზე დაიხვეს უკან თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ისე, კაცმა რომ თქვას, თავისი წარსული ბიოგრაფიით ასეთი პოლიტიკოსს ნულოვანი პერსექტივა უნდა ჰქონდეს, მაგრამ პოლიტიკა რომ ბინძურია,

ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ნ. ბურჯანაძის პოლიტიკაში ხელმეორედ მოსვლამ: სადაც საჭირო იყო, ბოდიში მოიხადა, სადაც საჭირო იყო, ორი-სამი ცრემლი დაღვარა, შემდეგ ოპოზიციის დაფინანსება იკისრა და ოპ, ღმერთო, რა სასწაულებს არ ჩაიდენ: გუშინდელი სამკვდრო-სასიცოცხლო ოპონენტები, გამყრელიძე, კაციტაძე, გუნცაძე, გაჩეჩილაძე, ხაინდრავა და, რაც მთავარია, ს. ზურაბიშვილი, ახლა უკვე მისი „მეგობრები“ გახდნენ და ერთად აკეთებენ საერთო „სახალხო საქმეს“. საზოგადოებას (ხალხს) ალბათ ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეს იმ პირვნებების, რომელთა მოქმედებებშიც გარკვეულად (დაუფარავად) მოსჩანს სახელისუფლებო ძალაუფლების ხელში ჩაგდების მანიაკალური სწრაფვა. ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში ასეთები მრავლად გვყავს წარმოდგენილი. თუკი ადრე ასეთთა რიცხვი ბატონებით: დავითაშვილით, ძიძიგურით, ხაინდრავათი, კაციტაძით, გამყრელიძით და სხვებით შემოიფარგლებოდა, ახლა გამოიკვეთა ორი შეურიგებელი ოპოზიციის წევრი და ორივე ქალბატონი – ნ. ბურჯანაძე და ს. ზურაბიშვილი.

როგორც ცნობილია, ქალბატონი სალომე დაბადებულია მსოფლიო მოდის ცენტრში პარიზში, და ფიცი თუ პირობა დაუდია, რომ არ შეიცვლის ჩაცმულობის დიზაინს, სანამ პრეზიდენტს არ გადააყენებს... კიდევ კარგი ბედი გვქონია ქართველებს, რომ ამ ქალბატონმა სხვა რაიმე ფიცი არ დადო, თორემ რევოლუციონერებმა ადელეზების და ექსტაზის დროს შეიძლება ისეთი ფიციც დადონ, რომ შემდეგ ან სანანებელი გაუხდეთ ანდა უბრალოდ სასაცილონიც აღმოჩნდნენ. მაგალითად პალესტინის განმათავისუფლებელი ფრონტის ხელმძღვანელმა ყოფილმა ტერორისტმა არაფატმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში დადო ფიცი, რომ ტანს არ დაიბანდა და ტანსაცმელს არ გამოიცვლიდა, სანამ არ მიაღწევდა პალესტინელ-

თა გათავისუფლებას ისრაელის ე.წ. ოკუპაციიდან, არ ჩამოაყალიბებდა პალესტინის დამოუკიდებელ სახელმწიფოს და არ განდევნიდა ისრაელის სახელმწიფოს პალესტინის ტერიტორიიდან (?). დამერწმუნეთ, უცნაური ფიცი, მაგრამ ფიცი – ფიცი და შესრულებას მოითხოვს. არაფატი ოპონენტებმა ეს ინფორმაცია არაერთხელ გაახმოვანეს, მაგრამ რამდენად ასრულებდა ამ ფიცს ბატონი არაფატი, არავინ იცის. შეუიარაღებელი თვალთაყ ჩანდა, რომ ბატონი არაფატი ყოველთვის სამხედრო ფორმაში დადიოდა და მხოლოდ თავსაბურავებს თუ იცვლიდა. ისე რომ, გარკვეულ წილად გადარჩენილები ვართ, რომ ქალბატონმა აღელებების დროს ტაქტი გამოიჩინა და რაღაც ექსტრემალური ფიცი არ დადო. ისე ი. გრიგოლიას ტელეგადაცემაში უაპელაციოდ განაცხადა: „ოპოზიციამ 107 დღის საპროტესტო აქციებით ნახევარი (!) საქმე უკვე გააკეთაო“ და, გახარებულმა ამ თავისი „გონებამახვილური აღმოჩენით“, ყელიდან მოიხსნა მოდური შარფი და ინგა გრიგოლიას აჩუქა (აღბათ უნდა ვირწმუნოთ, რომ შემდეგში ქალბატონი ინგა ამ ისტორიულ რელიქვიას ქართველ ხალხს არ დაუკარგავს და იმედია, მოვა დრო და შემდეგში ახლად დაარსებულ სააკაშვილის სახელობის ოკუპაციის მუზეუმს გადასცემს).

ისე, მადლობის მეტი რა გვეთქმის ქალბატონ ზურაბიშვილის მიმართ, რა კარგი და მშვენიერი დიპლომატიის „მასტერკლასი“ ჩავგიტარა ქართველ ტელემედიკოსებს. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯ. ბაიდენის თბილისში 24 საათიანი ვიზიტის დროს თითქმის ყველა წინადადება, აზრი თუ ფიქრიც კი გაგვიშიფრა ისეთი ინტერპრეტაციით, რომელიც აწყობს ოპოზიციას და განსაკუთრებით ქალბატონ ნ. ბურჯანაძეს. ასე შეხმატკბილებულად რომ ემუშავათ მაშინ, როდესაც ორივე ეს ქალბატონი სამთავრობო სტრუქტურებში წამყვან თანამდებობებზე

გახლდნენ, ამით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდნენ ქართველ ხალხს და, ასე წარმოიდგინეთ, თავის თავსაც, რადგან შეიძლება თანამდებობაც შეენარჩუნებინათ გარკვეული დროით მაინც. ასეთი „გააზრებულ“ ახსნა-განმარტება ბაიდენის ვიზიტისა ვერავინ ვერ შესძლო, თითქმის „გადაუჯოკრეს“ მთავრობის ოპონენტებს ქვეყნის გარეთ, რადგან თუ შევადარებთ მათ „ნაცოდვილარ“ პიარ მასმედიის ანტიქართულ ოპუსებს, ქალბატონი სალომეს ანალიზი გაცილებით შთამბეჭდავია და პრეზიდენტ სააკაშვილის ხატოვანი სიტყვით რომ ვთქვათ, ეს მისთვის „წელს ქვემოთ მტკივნეულ დარტყმას უდრიდა“.

ჩვენდა საბედნიეროდ, ქალბატონ ზურაბიშვილის კვლევები ჯ. ბაიდენის ვიზიტის შესახებ გაცილებით გვიან გახმაურდა, ხალხმა ოპერატიულად ვერ გამოიყენა ქალბატონ ზურაბიშვილის „აღმოჩენები“. ამით ერთი რამ მაინც დამტკიცდა, რომ ქალბატონი ზურაბიშვილი არავითარი მზვერავი არ არის, თორემ შეფეხს ადრეც მიაწვდენდა ასეთ მნიშვნელოვან „ინფორმაციას“. ისე არა ვართ ბოლომდე მართალი, მთლად ნუ დავუკარგავთ დამსახურებებს: ერთხელ ხომ „გახსნა“ საშინელი საიდუმლოება იმის შესახებ, რომ ქართველები (ანუ სააკაშვილის მთავრობა) თურმე თვითონ ბომბავს თავის თავს, თვითონ ამოთხარეს ღრმული და იქ ჩააგდეს ბომბიო, ახლა კი პანიკას ტყეხნო. ასეთი უნიკალური აღმოჩენა ქართული პროვოკაციისა ჯერ ისტორიას არ ახსოვს. ისე, თუ გავიხსენებთ, ასეთი პროვოკაციული ეპიზოდები ხდებოდა მეორე სამამულო ომის დროს:

1) როცა გერმანელებმა გადააცვეს პოლონელ ტყვეებს პოლონეთის სამხედრო ფორმა და იმიტირება გააკეთეს პოლონელების მიერ გერმანიის საზღვრის დარღვევისა – რაც მიზეზი გახდა პოლონეთის ანექსიისა და მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა.

2) პარტიზანული მოძრაობის დაწყებისა და გაღვივ-

ბისათვის საბჭოთა ჯარისკაცებს გადააცვეს გერმანული ვერმახტის სამხედრო ფორმა და მოახდინეს რამდენიმე დასახლებული პუნქტის ბარბაროსული ლიკვიდაცია უკრაინაში და ბელორუსიაში, რამაც შემდეგში დიდი ანტიგერმანული მუხტი შექმნა ხალხში და დასაბამი მისცა საბჭოთა ხალხის პარტიზანულ ომს ოკუპანტების წინააღმდეგ.

ისე რომ, ქალბატონ ზურაბიშვილს აქ არაფერი ახალი არ უთქვამს. რა გიკვირთ, ხალხო, ეს ქალბატონი ხომ ფრანგული დიპლომატიური სკოლის გაზრდილია, ისევე როგორც ფრანგული დიპლომატიის კორიფე ტალეირანი. „წარბსაც არ შეხრის, სახეზე არცერთი კუნთი არ შეუთამაშდება“ (აკადემიკოსი ტარლე), თუმცა ხანდახან მაინც „იჭრება“, განსაკუთრებით, როცა უხერხულ კითხვებს უსვამენ, ხმა აუკანკალდება, სახე აელეწება, უშვებს ქართულ მეტყველებაში შეცდომებს. ეს კი ნამდვილად არ ეკადრება ამ დონის დიპლომატს, როგორც ისიც არ ეპატიება, როდესაც ბაიდენტან სასაუბროდ მოწვეულ ბავშვებს მათხოვრები უწოდა. რას იზამ, პარიზისა და რომის სალონებში გაზრდილი ქალბატონისთვის ძნელია დევნილი ბავშვების ფსიქოლოგიის გაგება.

ერთი კითხვაც გვექნება ქალბატონ სალომესთან: აი, მაშინ, იპოდრომზე რომ განაცხადა „ქაჯები მოდიანო“, ამ ქაჯებში მისი ხელისუფლებიდან განდევნის აქტიურ მონაწილეს ქალბატონ ნ. ბურჯანაძესაც გულისხმობდა თუ არა? თუ მაშინაც საიდუმლოდ „მეგობრობდნენ“ და საერთო დიდ საქმეს აკეთებდნენ (საქართველოს ათავისუფლებდნენ სააკაშვილის რეჟიმისაგან)?

ნ. ბურჯანაძის ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გახმოვანდა იმ დღეს ი. გრიგოლიას გადაცემაში, ისე, სხვათა შორის, აქცენტების გამახვილების გარეშე შემოაპარა გულმავიწყ ქართველ ტელემაყურებლებს, გვაუწყა იმის შესახებ, რომ 2007 წლის ავადსახსენებელ

7 ნოემბერს ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მთავრობას არ მოეხდინა საპროტესტო აქციების დაბევა, რომ მაშინ აქტიურად იღწვოდა ოპოზიციასთან მოლაპარაკებებისათვის, მაგრამ პრეზიდენტი და სამთავრობო ჯგუფი უგულვებელყოფდნენ მის ამ „საპროტესტო“ აქციებს, არ უსმენდნენ, არ უჯერებდნენ, ის კი არა, მოლაპარაკების დროს მიღწეულ შეთანხმებებს არ ასრულებდნენ და უფრო მეტიც – ამისათვის მას „პანიკორად“ ნათლავდნენ: „მე ვიყავი ერთადერთი მთავრობაში, ვინც ოპოზიციასთან მოლაპარაკებებს მოითხოვდაო“. თუმცა თუ რამე მოლაპარაკების გამართვა სურდა, იქვე არ ჰყავდა მისაღებში ერთ კვირაზე მეტ ხანს მოშიმშილე ოპოზიციის წარმომადგენლები?! ის კი არადა, ავადსახსენებელი პლედოც კი არ გაიმეტა მათთვის.

ახლა გავიხსენოთ მეორე შეურიგებელი მებრძოლი ოპოზიციისა, ყოფილი თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი, ერთ დროს პრეზიდენტის პირადი „მეგობარი“ და „თანამებრძოლი“. რაც არ უნდა სხვა მიზეზები ვეძებოთ მათი განხეთქილებისა, ალბათ ყველაზე რეალური მაინც ერთი დაგვრჩება: ძლიერ მოერგო ბატონი ოქრუაშვილი თავის სამინისტროს, მართლაც დღე და ღამეს ათენებდა ქართული ჯარის აღორძინებისათვის, ითვისებდა ამისათვის გამოყოფილ (საქართველოს პირობებში) დიდ ფინანსებს (მართალია, როგორც ახლა ამბობენ, რაღაცა მილიონები ხელზე ეწებებოდა ან ჯიბეში იღექებოდა), მაგრამ ამას ახლა ამბობენ, მაშინ ეს არავის ახსოვდა. როგორც წინა თხრობის დროს მოგახსენეთ, თუ ერთი ქალბატონი ტექნერობას აპირებდა, არ არის გამორიცხული (და სავსებით დასაშვებია), რომ ამბიციური და თვითდაჯერებული მინისტრის გონებაში აღმოცენებულიყო ოცნება ბონაპარტიზმისა და ტუხახევსკის „სამხედრო ამბოხება“, და ეს იმ ფონზე, როდესაც საზოგადოება თანდათან ხვდებოდა, რომ „მეფე შიშველია“. ასეთ ფონზე პრეზი-

დენტს და მის ნაცრისფერ კარდინალებს (მერაბიშვილს, ბოკერიას, უგულავას) სრულებითაც არ აწყობდათ ქართველი ბონაპარტის გამოჩენა პოლიტიკურ სცენაზე, თავის დროზე უკარნახეს პრეზიდენტს მოახლოებული საშიშროების შესახებ და ნაპოლეონ ოქრუაშვილი თავის „საყვარელ საქმეს“ მოაშორეს. ხოლო რომელიმე სხვა სამინისტროს ხელმძღვანელობა ოქრუაშვილმა თავმოყვარეობის შელახვად ჩათვალა, რითაც თითქმის დაარწმუნა პრეზიდენტი და მისი გარემოცვა თავის ამბიციურ ზრახვებში. ისე რომ, ხალხო, გიხაროდეთ: დემოკრატიათ გაიმარჯვა და ქართველი ხალხი გადაურჩა კიდევ ერთ უბედურებას, ახალი XXI საუკუნის ქართველი ბონაპარტის აღზევებას და გახელმწიფებას. ისე ხუმრობა ხუმრობაა და თუკი ბატონი ოქრუაშვილი ერთ „პატარა“ სამხედრო ამბოხს ან სამთავრობო გადატრიალებას ჩაიფიქრებდა ან განახორციელებდა, აი მაშინ გენახათ არეულობა და სისხლის ღვრა. ისე რომ, იხეიმეთ და იხარეთ, ხალხო – დიდ უბედურებას გადაურჩით! არ ვიცი, ახლა, მონმარტრის ვიწრო ქუჩების კაფეებში ან ტრიუმფალურ თაღთან ყავის მირთმევის დროს თუ მოსდის ეს აზრები ემიგრანტ მინისტრს?! საინტერესოა, რას ფიქრობს, ხომ არ ნანობს, რომ დროზე არ განახორციელა თავისი ბონაპარტისტული მიზნები ანდა საერთოდ არც კი მოსვლია ეს აზრები?! ჩვენ კი რაღაც ფანტაზიებს აყვევით და თუკი ეს ასეა, ბოდიში მოგვიხდია, იმედია გვაპატიებს. მე მგონი, ოცნებისათვის არ სჯიან და, მითუმეტეს, ისეთი დემოკრატი, როგორც ბატონი ოქრუაშვილია, შეგვინდობს. ისე ერთი კი გვაინტერესებს და თუ გვიპასუხებს, კარგი იქნება: საიდან იშოვა ფინანსები ოფისის საყიდლად, პარტიის ჩამოყალიბებისათვის, მისი დაფინანსებისათვის, პარიზში ოჯახთან ერთად უზრუნველი ცხოვრებისათვის? თუკი ამაზე პასუხს არ გაგვცემს, იძულებული ვიქნებით, დაგუჯეროთ მთავრობას, რომ მინისტრს მისი სამსახურე-

ბრივი მოვალეობის შესრულების დროს რაღაც ფული თვითნებურად ეწებებოდა ხელზე ან ჯიბეში ელექტრობოდა. ასეთი სასწაულებიც ხდება და ესეც „დასაჯერებელია“, მითუმეტეს, თუკი ამის დაცვისათვის გამოყოფილია ერთ-ერთი თანამედროვე, გამოჩენილი იურისტი, ადვოკატი ეკა ბესელია, რომელიც ხშირად კანონს ისე კერავს, როგორც აწყოფს მის პოლიტიკურ თვალსაზრისს.

რადიკალური ოპოზიციის თვალსაჩინო წამყვანი ბირთვის პორტრეტული გაღერვა სრული არ იქნება, თუკი აქ არ დაუშმატებთ იმ ხალხს, რომლებიც ადრე სამთავრობო გუნდში იმყოფებოდნენ და შემდეგ რომ იტყვიან „ამოვარდნენ ალბომიდან“: მხედველობაში მყავს ბატონები გ. ხაინდრავა, ი. ალასანია, ს. ზურაბიშვილი და სხვები.

ახლა კი შევეცადოთ გავიხსენოთ სხვა „ოპოზიციონერების“ პოლიტიკური გზა – „ვარდების რევოლუციის“ ხელშეწყობიდან რადიკალური ოპოზიციის პლატფორმამდე:

1) ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი ასეთი მეტამორფოზისა ვახლავთ მგზნებარე ოპოზიციონერი, ორატორი, პრეზიდენტის ნათელ-მირონი, წარსულში მისი უახლოესი მეგობარი (აბა ისე სხვანაირად რატომ მონათლინებდა შვილს), ბატონი კ. დავითაშვილი. არაერთხელ გაუღერდა მის მიერ, რომ მან აქტიური როლი ითამაშა „ვარდების რევოლუციის“ წარმატებაში და რომ მხარში ედგა სააკაშვილის რევოლუციას „ბობოქარ“ დღეებში. არა გვაქვს უფლება, არ დაუუჯეროთ ბატონ დავითაშვილს და თუ ეს ასეა, მაშინ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მას ჰქონდა შეთავაზება დაეკავებინა რომელიმე მინისტრის პოსტი, მაგრამ პოლიტიკური გარიგება ვერ შედგა, რადგან შეთავაზებული პოსტები არ შეესაბამებოდნენ მის ამბიციებს. როგორც ცნობილია, მისი პრეტენზიები ვრცელდებოდა მხოლოდ ორ სამინისტრო პოსტზე – შინაგან საქმეთა მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის პოსტებზე.

ტრისა და თავდაცვისა. აი, ეს სამინისტრო პორტფელები კი მან ვერ მიიღო, სხვაზე არ დათანხმდა და პრეზიდენტმა მიიღო ის, რაც მიიღო – მთავრობის დაუძინებელი ოპონენტი. ისმის მხოლოდ ერთი კითხვა: რა იქნებოდა და სად იქნებოდა დღეს რადიკალური ოპოზიციონერი დავითაშვილი, მისი სამინისტრო ამბიციები რომ დაეკმაყოფილებინა პრეზიდენტს? გამომდინარე მისი ხასიათიდან, შეიძლება დავუშვათ, რომ იგი სამთავრობო ჯგუფს დიდხანს არ შერჩებოდა და ალბათ გაიზიარებდა ბურჯანაძის, ოქრუაშვილის, ხაინდრავას, ალასანიას და სხვათა ბედს და დღეს სავარაუდოდ მაინც ოპოზიციაში აღმოჩნდებოდა. შეიძლება ვცდებოდეთ და დღეს გვეყოლებოდა სამთავრობო ჯგუფის მგზნებარე დამცველი და ადვოკატი. კჰ, შეიძლება აქაც ვცდებოდეთ?! რა ვქნათ, ძნელია ასეთი იმპულსური პოლიტიკური გზის გათვლა ან გაანგარიშება.

2) არაერთხელ გაცხადდა, რომ ძმები გაჩეჩილაძეები „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში ასევე მხარში ედგნენ პრეზიდენტს და ენერგია და ძალა არ დაიშურეს მისი პოლიტიკური აღმავლობისთვის. ხოლო ლევან გაჩეჩილაძე კი, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, არჩევნების დროს მისი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გახლდათ. ბოდიშს მოვიხდი და პატიებას გთხოვთ, მინდა ავუხსნა მკითხველს: ჩემი პირადი მაგალითიდან (ორჯერ გახლდით რუსეთის ფედერაციის ორი უდიდესი ოლქის გუბერნატორის არჩევნების შტაბის წევრი, ხოლო ერთხელ – შტაბის უფროსის მოადგილე), თუ რას ნიშნავს, იყო პრეზიდენტობის კანდიდატის ან გუბერნატორის კანდიდატის საარჩევნო შტაბის წევრი, არაფერს ვამბობ იმ პასუხისმგებლობაზე, რაც აკისრია შტაბის უფროსს. ჯერ ერთი და, შტაბის წევრებად ირჩევენ მხოლოდ ძლიერ სანდო და ერთგულ ადამიანებს. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ღლიალობის მხრივ გადიოდნენ ფილტრაციას უშიშ-

როების სამსახურის მიერ. ეს არის საკმაოდ დიდი ორგანიზაცია სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისა – დაწყებული ჟურნალისტებიდან, ფოტოგრაფებიდან, პირადი დაცვიდან, ფინანსისტებიდან, ეკონომისტებიდან, და სხვა მრავალი სპეციალობის ადამიანებიდან, და ყოველივე ამას ხელმძღვანელობს შტაბის უფროსი. როგორც მოგახსენეთ, მასთან აკუმულირდება ყველა ინფორმაცია, ხელმისაწვდომი თუ ოპერატიულად მოპოვებული, ინფორმაცია სხვა კანდიდატების შტაბების მუშაობის შესახებ. აქვე ხდება ანალიტიკური ცნობების შედგენა, პროგნოზების გაანგარიშება, პერიფერიებში მიმდინარე პროცესები და სხვა მრავალი. აქ მიიღება გადაწყვეტილებები, იგეგმება პიარკამპანიები, ანტიქმედებები სხვა კანდიდატების ქმედებებზე და ა.შ. რაც მთავარია, მხოლოდ შტაბის უფროსმა და პირადად კანდიდატმა იცის შემომდინარე თუ გამდინარე ფინანსების წყაროების შესახებ (ეს ინფორმაცია, როგორც წესი, სასტიკად გასაიდუმლოებულია). ე.ი. მთელი საიდუმლო სამზარეულო შტაბის უფროსის ხელშია მოქცეული. შტაბის უფროსი უნდა იყოს კარგი ორგანიზატორი, მენეჯერი, ფინანსისტი, ადმინისტრატორი, კადრების შერჩევის დიდოსტატი, დიპლომატი. უნდა იცოდეს კარგი დაწყობილი და აწყობილი საუბარი, უნდა ჰქონდეს მოსმენის უნარი და, რაც მთავარია, მოკლე დროში საჭირო რაციონალური გადაწყვეტილების მიღება. საჭირო და დროული რეკომენდაციების გამომუშავება და მიწოდება კანდიდატისათვის, დაშვებული შეცდომებიდან დასკვნების გამოტანა, მათი აღმოფხვრის მეთოდები და მრავალი სხვა თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოვებული. ვიმეორებ და კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ, რომ ასეთ თანამდებობებზე კანდიდატები, როგორც წესი, ყოველთვის ნიშნავენ ყველაზე სანდო ხალხს, ახლობელს, რომელსაც ენდობიან, როგორც თავის თავს, რადგან თვეების განმავლობაში თითქმის შიშვლდებიან ამ

კაცის თვალთახედვაში. ეს კი არც თუ ისე ადვილია და ამას ყველას არ ენდობიან.

რა ხდება შემდეგში (ჩვენს შემთხვევაში – წარმატებული არჩევნების შემდეგ)? როგორც წესი, საარჩევნო შტაბის უფროსი, არჩევნების დამთავრების შემდეგ კანდიდატის მიერ ინიშნება ერთ-ერთ პასუხსაგებ სამთავრობო თანამდებობაზე. ძირითადად შტაბის უფროსი იმიტომ ხარჯავს ამდენ ძალას და ენერგიას, რომ ამისათვის შემდეგში მიიღოს სათანადო კომპენსაცია. აბა ისე ალტრუისტი ამ ქვეყნაზე გიჟის გარდა არავინ არ არის. კომპენსაცია ფულადი სახით გამორიცხულია. ჩვენს შემთხვევაში, ბატონი გაჩეჩილაძე იმ დროს ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესმენი გახლდათ და ასეთი განწყობილებით ის იქ სამუშაოდ არ მივიდოდა.

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილი მაშინაც გარშემორტყმული იყო არც თუ ისე უნიჭო გარემოცვით და მან შტაბის უფროსად ლ. გაჩეჩილაძე აირჩია, ესეც ბევრის მთქმელი ფაქტია. შტაბის უფროსს პიარკამპანიაში ნამდვილად ეხმარებოდა მისი უმცროსი ძმა, საზოგადოებისათვის ცნობილი სახე, მომღერალი „უცნობი“, გარკვეულ წილად ესეც დიდი დახმარებაა, თანაც ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც თითქმის ყველა ერთმანეთს იცნობს.

ახლა, როდესაც ლ. გაჩეჩილაძე აცხადებს, კ. თარგამაძესთან შეხვედრის დროს მივიღე საინტერესო ინფორმაცია, თუ როგორ და ვისგან ფინანსდებოდა „ვარდების რევოლუცია“ ან მისი საარჩევნო კამპანიებიო, ეს განცხადება მხოლოდ დიმილს თუ იწვევს, რადგან მან თარგამაძეზე უკეთესად იცის ეს საკითხები და თუ ამას არ ახმოვანებენ არც საპრეზიდენტო გუნდი და არც ბატონი ლევანი, აი ეს დამაფიქრებელი საკითხია... ვარაუდი ერთია – ორივეს არ აწყობს ამ ინფორმაციის გამომჟღავნება (ჯერჯერობით მაინც).

დამთავრდა არჩევნები, სააკაშვილი გაპრეზიდენტდა და მერე რა მოხდა? რატომ გაიარა მათ შორის შავმა კატამ? რატომ არ შეასრულა დანაპირები პრეზიდენტმა? არადა, ასეთი პირობა ალბათ ნამდვილად არსებობდა, აი ამის შესახებ კი ჩვენ და საზოგადოებამ არაფერი არ ვიცით. პრეზიდენტი ჩუმადაა და არ ახმოვანებს ამ ინფორმაციას. ასეთსავე პოზიციას ინარჩუნებს ლ. გაჩეჩილაძე. „ადრე თუ გვიან ყველა საიდუმლო გამომჟღავნდებაო“, – ამბობს სოკრატე და ჩვენ რა უფლება გვაქვს, არ დაუფუჯვროთ.

ის კი არა, ნაცვლად იმისა, რომ დანაპირები შეესრულებინა და მადლიერების გრძნობით რაიმე ამბიციების შესაფერისი თანამდებობა ებოძებია, პირიქით მოხდა: მას შემდეგ, რაც ძმებმა დაიწყეს სამთავრობო გუნდის და პრეზიდენტის კრიტიკა, ისინი შეავიწროვეს და შეზღუდეს. ამან კი მათი მოთმინების ფიალა აავსო და მივიღეთ ის, რაც უნდა მიგველო – პრეზიდენტის და მთავრობის შეუპოვარი, უდრეკი, რადიკალური ოპოზიციის ლიდერები, რომლებმაც თბილისში მაინც მოუგო საპრეზიდენტო არჩევნები პრეზიდენტს.

უნდა დავიჯეროთ და დასაჯერებელია ის განცხადებები, რასაც აცხადებენ ძმები გაჩეჩილაძეები, რომ ისინი ბოლომდე იბრძოლებენ, რომ იტყვიან, „საფლავშიც ჩაყვებიან“, რადგან მათი ბრძოლა სიკვდილსიცოცხლის ზღვარზეა. უკანდასახევი ხიდები ორივე მხარემ დიდი ხანია ააფეთქა. ყველაფერი ეს გასაგები იქნებოდა – გენეტიკური თვისებებიდან გამომდინარე – შურისძიების სენით შეპყრობილი ადამიანებისაგან, მაგრამ ერთი რამეა სატირალი: ყოველივე ეს ხალხს მიეწოდება – მათზე ზრუნვის დროშით. ცხადია, გაჩეჩილაძეებმა ვერავითარი სამოქმედო გეგმა ეკონომიური და საგარეო პოლიტიკისა ვერ წარადგინეს, დეკლარირებით კი ჯერ არავის მოუპოვებია კეთილდღეობა. ეს მხოლოდ დემაგოგია!

3) ასევე უმადურად მოექცა და თითქმის „გადააგდო“ პრეზიდენტმა ძმები ბერძენიშვილები: არ დაუფასა ის „ღვაწლი“, რაც მათ ჩადეს თავიანთი ენერგიული პოლიტიკური ქმედებებით „ვარდების რევოლუციაში“, და აგრეთვე, რაც მთავარია, აჭარის „შემოერთებისათვის“, სადაც ბერძენიშვილები გადაუჭარბებლად ფლობდნენ პოლიტიკურ რესურსებს და არაერთხელ გააუფერეს, რომ აჭარის შემოერთება და იქ ცენტრალური ხელისუფლების იურისპრუდენციის აღდგენა მათი პირადი ავტორიტეტის გავლენით მოხდა. შეიძლება ეს ასეც იყოს, ანდა ამის გამორიცხვა ნამდვილად არ შეიძლება. მთავარია ის, რა მიიღეს ამის შემდეგ: არაფერი, ის კი არა – სამთავრობო ჯგუფმა და თვით პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაეშორებიათ ძმები ბერძენიშვილების პოლიტიკური თუ პირადი გავლენა აჭარის რეგიონისაგან. არადა, არ არის გამორიცხული, რომ ისინი თავიანთი „ღვაწლისათვის“ სხვა შედეგს მოელოდნენ, თუნდაც იმას, რომ ერთ-ერთი (სავარაუდოდ უმცროსი ძმა) აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი გახდებოდა. მაგრამ ასე არც უფიქრია და არც არასოდეს ფიქრობდა პრეზიდენტი. მას სრულებითაც არ სჭირდებოდა აჭარაში შედარებით დამოუკიდებელი პოლიტიკოსი, რომელიც თავისი ამბიციებით და პოლიტიკური წონით შეეცდებოდა შედარებით დამოუკიდებელი ხაზი გაეტარებინა აჭარაში, რაც მალე გამოვლინდა მას შემდეგ, რაც ძმებმა მკვეთრად გაილაშქრეს ავტონომიის საკონსტიტუციო უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ. პრეზიდენტს სრულებითაც არ სჭირდებოდა ახალი ბეი ან ხანი (და ისიც აბაშიძის შემდეგ) და ამიტომაც ამ ორ საკმაოდ ცნობილ პოლიტიკოსს არჩია მისი გუნდის წევრი, მისი სურვილების და გადაწყვეტილებების უსიტყვო შემსრულებელი, ბატონი ვარშალომიძე, რომელიც, რა თქმა უნდა, თავისი წარსულით და ავტორიტეტით ძლიერ

შორს დგას ბერძენიშვილებისგან. აქაც, როგორც წინა შემთხვევაში, გამართლდა უკვედავი უ. შექსპირის სიტყვები: „მაგრმა გააკეთა თავისი საქმე, მაგრი უნდა წავიდეს“. აი, ასეთ უმაღურობას ძმები ბერძენიშვილები არავის აპატიებდნენ და როდესაც გაირკვა მთავრობისა და პრეზიდენტის მიდგომა მათი პერსონების მიმართ, ისინი თანამებრძოლებთან ერთად შეურიგებელ რადიკალურ ოპოზიციონერებად გადაიქცნენ და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მანამდე არ შესწყვეტენ ოპოზიციურ მოღვაწეობას, სანამ არ მიადწევენ თავიანთ მთავარ მიზანს – პრეზიდენტის გადადგომას. ძმები იქცნენ უკომპრომისო, შეურიგებელ რადიკალურ ოპოზიციონერებად – ნ. ბურჯანაძესთან, გ. ხაინდრავასთან, კ. დავითაშვილთან, დ. გამყრელიძესთან და სხვებთან ერთად. ჩვენი შეხედულებით სწორედ ეს ოპოზიციონერები ქმნიან ძირითად რადიკალურ სპექტრს, რომლებსაც შეიძლება დავამატოთ ახლად გაოპოზიციონერებული ი. ალასანია და აგრეთვე – შედარებით დამოუკიდებელი პოლიტიკური მიმდინარეობის ლიდერები კ. შარტავა, გ. ხანიკიძე („ეროვნული ფორუმი“) და სხვანი. მათ გარკვეულ წილად ემატებათ ე.წ. „მეორე ეშელონის“ ოპოზიციონერები: ნაჭყებია, კაციტაძე, მელაშვილი; რესპუბლიკური პარტია (უსუფაშვილი, ხიდაშელი), კონსერვატიული პარტია (ძიძიგური, ხაინდრავა, კუკავა, ბათიაშვილი) და კიდევ მრავალი სხვა პოლიტიკოსი, რომლებიც უფრო ანტიურაჟის როლს „თამაშობენ“, მაგრამ საკმაოდ ამაბიციური პიროვნებები არიან და არავინ იცის, გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციაში თავს როგორ გამოავლენენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ უმრავლესობას ლიდერობის პოზიციაში გამოსვლისათვის არც პოლიტიკური წონა და არც ქარიზმა არ ჰყოფნით. ამ რადიკალურ სპექტრში ხანდახან არჩევნების დროს მაინც გამონდებოდა საქართველოს პოლიტიკური სცენისათვის საკმაოდ ოდიოზური, თითქოსდა წესი-

ერი, დინჯი, კარგი დახვეწილი მანერების მქონე, ახალგაზრდა პოლიტიკოსი გია მაისაშვილი, რომელსაც გარკვეული დისონანსი შეჰქონდა ამ გარემოცვაში. არ არის გამორიცხული, რომ ის თავისი ქცევით და დიალოგის წარმართვის წესით მსმენელებს ესახებოდათ XXII-ე საუკუნის ქართველ პოლიტიკოსად, იქ, სადაც იქნებოდა მართლაც დემოკრატია, სიმშვიდე და სიწყნარე, მაგრამ ქართულმა პოლიტიკურმა რეალობამ ეს ახალგაზრდაც მალე გამოიყვანა მწყობრიდან და იმდენი უძახეს „მორცხვი“ პოლიტიკოსი ხარო, სანამ ტრიბუნიდან უწმაწური სიტყვები არ წამოაცდენინეს. იქნებ მას ეგონა ამით პოლიტიკურ იმიჯს მოიმატებდა, მაგრამ ამან უკურეაქცია მოახდინა. ნამდვილად არ ელოდნენ არც ოპოზიციონერები და არც პოზიციის წარმომადგენლები – „დედიკოს ბიჭის გახულიგნებას“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „საქართველოს მუშათა – ლეიბორისტული პარტია“, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ერთი ფიურერის (მაპატიეთ – ლიდერის) შ. ნათელაშვილის პარტიაა და რეიტინგით ჯერჯერობით მაინც ყოველთვის გადალახავს ხოლმე საპარლამენტო არჩევნების ბარიერს. მათი ამბიციები გადაჭარბებულია და მათ მიერვე გაზვიადებული, რეალობას მოკლებული, თუმცა დიდი ხანია უნდა გამოეტანათ დასკვნები იმის შესახებ, რომ ამ საუკუნეში მაინც მათ პოლიტიკურ ამბიციებს პერსპექტივა არ გააჩნია. რომ არა ასეთი ამბიციები, ისინი თავისუფლად გაითქვიფებოდნენ დღევანდელი საქართველოს ნაციონალთა უმრავლესობის პარლამენტში და მართლაც განასახიერებდნენ საპარლამენტო ოპოზიციას, მემარცხენეებთან ერთად. ჩვენ გვგონია, რომ ეს უფრო სასარგებლო იქნებოდა როგორც მათი პარტიული მომავლისათვის, ისე ქართული პარლამენტარიზმის განვითარებისთვის. ყოველ შემთხვევაში, მაყურებლისათვის გაცილებით საინტერესო იქნებოდა საპარლამენტო სხდომების ყურება და მოსმენა, როცა ტრიბუნასთან მივი-

დოდნენ ამ პარტიის წარმომადგენლები. განსაკუთრებით მოსაწონია სცენა (ან სცენარი), როცა ტელევიზიით ეს პარტია აკეთებს რომელიმე პოლიტიკურ განცხადებას: თითოეული შტრიხი გაანგარიშებულია. ტრიბუნასთან შესანიშნავი დემაგოგი ორატორი (პარტიის ლიდერი), მარჯვნივ და მარცხნივ მისი პარტიაგენოსები, რაღაც განსაკუთრებული დგომის წესით, დოინჯებით, ჯმუხის სახეებით, ყველა იქ დგას, სადაც უნდა იდგეს პარტიული იერარქიის სიის მიხედვით. არ ვიცი, მკითხველო, ეს გათვლილი სცენები თქვენ რას გახსენებთ, პირადად მე კი 30-40-იანი წლების ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის პარტიული ლიდერების შეკრებას, რა თქმა უნდა, მათთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ანტურაჟის გარეშე.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ნომერ მეორე რადიკალურ ოპოზიციონერთა შორის ბატონ ი. წერეთელს, რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო ახლოს არ იკარებენ დღევანდელი ოპოზიციონერები. ოდესღაც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მგზნებარე ორატორი, ქართველი მარატი, დღეს თითქმის დაივიწყეს. არც მასმედია ანებიერებს მას ყურადღებით, ხანდახან თუ დაიბეჭდება გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მისი მცირე ციტატები გაზეთის სპეციალურ რუბრიკებში, მაგრამ იმ მცირე საგაზეთო მასალებიდანაც ჩანს, რომ ამ ბატონს ცხოვრებამ არაფერი არ ასწავლა, ჯერ კიდევ ვერ დამშვიდდა მისი დაუოკებელი ტრიბუნის ენერგია, მისი პოლიტიკური ამბიციები და ახლაც თავის თავზე შეყვარებული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს.

არცთუ ისე შორს წავიდა თავის ყოფილი თანაგუნდელებიდან ერთი ქალბატონი, წარსულში მეუღლესთან ერთად ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირინა სარიშვილი, რომელიც ასევე ამ სამთავრობო გუნდის რადიკალური მოწინააღმდეგეა, მაგრამ წლების განმავლობაში ამ ქა-

ლბატონის პოლიტიკურმა განცხადებებმა იმდენი გაცემა გამოიწვია ხალხში, რომ საბოლოოდ დააკარგვინა რაიმე პოლიტიკური წონა. პოლიტიკურ არენაზე ყოფნის დაუოკებელმა სურვილმა ეს ადამიანი კომუნისტური წყობის დისიდენტობიდან ჯერ ე. შვეარდნაძესთან დაახლოვა, შემდეგ ი. გიორგაძესთან მიიყვანა. არა მგონია, დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში ეს ქალბატონი სერიოზულ ლიდერად განიხილებოდეს. იმდენად ნათლად ჩანს მის გვერდით აჩრდილი მისი მფარველისა და მამა-მარჩენალისა, რომ დღევანდელმა რადიკალურმა ოპოზიციამაც კი ის ახლოს არ გაიკარა, ბატონ ირაკლი წერეთელთან ერთად.

ერთხელ უკვე ვთქვი და მხოლოდ მოკლედ გავიმეორებ: ე.წ. საპარლამენტო ოპოზიცია – თარგამაძე, ვეფხვაძე, გიორგობიანი, დავითაია, თორთლაძე, მრავალპარტიამოვლელი ბაღათურია და სხვები ისეთი ოპოზიციონერები არიან, როგორც მე ვარ ჩანკაიშის შთამომავალი.

რა თქმა უნდა, ასევე ოპოზიციაში „ბინადრობენ“ ე.წ. პატარა (ჯუჯა) პარტიების წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა საქართველოში თითქმის 130-ს აღწევს და ალბათ ამ მონაცემებით პროცენტულად მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილიც გვიკავია, რომლებიც ამღვრეულ წყალში თავისი პოლიტიკური პლატფორმის წარმოჩენას უფრო ცდილობენ. თუმცა მათ შორისაც არიან პიროვნებები, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური ამბიციებით რადიკალური ოპოზიციის ლიდერებს არ ჩამორჩებიან. მათ შორის ალბათ განსაკუთრებული ადგილი უკავია ყოფილ კომკავშირულ – პარტიულ ფუნქციონერს, შემდეგში შვეარდნაძის „დემოკრატიული“ საქართველოს დროინდელ იმერეთის გუბერნატორს ბატონ თ. შაშიაშვილს, რომელმაც თავისი მენტორული გამოხედვით და პრესაში განცხადებებით (ძირითადად გაზეთ „სასავალ-დასავალში“, თავისი თავი დაარწმუნა, რომ პრეტენზია აქვს

ეროვნული ლიდერის მანტიაზე. ამიტომაც ანათემას გადასცა მისი ყოფილი შეფი და მამა-მარჩენალი ე. შევარდნაძე, რომელმაც თავის დროზე ვერ „შენიშნა“ მასში ეს გამორჩეული თვისებები და არ წარმოაჩინა იგი თავისი ხელისუფლების მემკვიდრედ. ამიტომაც დღიდან ახალი ხელისუფლების მოსვლისა, რომ იტყვიან, კრიჭაში უდგას მთავრობას, პრეზიდენტს, რამეთუ ვერ უპატიებია, რომ ისინი მართავენ (და ისიც ასე უნიჭოდ) იმას, რაც მისი ღრმა რწმენით მას უნდა ეკუთვნოდეს. რა თქმა უნდა, მასაც დაავიწყდა ერთი რამ: თავისი ასეთი ამბიციები ჯერ ხალხთან უნდა შეეთანხმებინა... თუმცა, რა ქვეყნის მმართველის პოსტის პრეტენზია უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომელმაც ვერ გაიმარჯვა ქუთაისში მაჟორიტარული საპარლამენტო არჩევნების დროს, რა თქმა უნდა – საარჩევნო ხმების „გაყალბების გამო“.

ის, რაც ახლა მოგახსენეთ, არის ჩვენი მცირე მცდელობა ჩამოგვეყალიბებინა რადიკალური არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერთა სპექტრი, ჩვენი ვერსიებით, ვარაუდებით, შედარებითი ანალიტიკური მეთოდით, გაგვეცა ან გვეცადა – გაგვეცა პასუხი ერთ-ერთ მთავარ კითხვაზე – ვინ, როგორ, როდის, რა პოლიტიკური ბიოგრაფიით, რა პოლიტიკური ტვირთით თუ წონით, რა ამბიციებით, რა მიზნით, – მოვიდა დღევანდელ რადიკალურ ოპოზიციაში, გაგვერკვია ჩვენთვის მაინც, რანი იყვნენ ისინი გუშინ და როგორი მეტამორფოზის შემდეგ გახდნენ – ვინც დღეს არიან და, რაც მთავარია, რამდენად ადეკვატო მათ ქვეყნის, ხალხის, დემოკრატიული მშენებლობის ბედი. როგორც ვიცით და ხშირად გვესმის როგორც პოზიციიდან (მთავრობის გუნდიდან), ისე ოპოზიციიდან, რომ ორივენი მხოლოდ ამ იდეებით ცხოვრობენ, და რომელია მათ შორის მართალი და მტყუანი, ამის გაგება ნამდვილად ძნელია. გავა დრო და ისტორია ყველას და ყველაფერს ალბათ თავის ადგილს მიუჩენს, იმედია, როდისმე მაინც

გაირკვევა, ვინ როდის და რაში იყო მართალი ან მტყუანი, მაგრამ მანამ ეს ადამიანები ამას გამოარკვევენ, საშიშია ხელში არ შემოადნეთ თვით ქვეყნის სუვერენიტეტი და ამ ქვეყნის სუვერენი ე.ი. ხალხი.

როგორც მოგახსენეთ, ოპოზიციის ლიდერთა ჯგუფი ძლიერ დიდია, მრავალი ფსიქოლოგიური ინდივიდებისაგან შედგება, სხვადასხვა ტემპერამენტით, ცხოვრების წესით, ორატორული ნიჭით, ქარიზმით, პოლიტიკური ამბიციებით და სხვა. ერთი სიტყვით, ამ პოლიტიკურ ქვაბში ისეთი აჯაფსანდალი დუღს, რომ არასოდეს არ იცი, კერძს რა სუნი აუვა ან საერთოდ თუ გამოდგება კვებისათვის. ისე რეალურად იმდენი კონგლომერატია ერთმანეთში არეული, რომ მართლაც პერსპექტივაში ვერ წარმოიდგენ, მათი გამარჯვების შემთხვევაში საერთოდ რას მივიღებთ. სავარაუდოდ, თუ პირველი ბრძოლა საერთო მტრის – პრეზიდენტისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ გამარჯვებით დააგვირგვინეს, აი, მაშინ რა მოხდება? ერთი კი უნდა ვიცოდეთ: არავინ არაფრის დამთმობი არ იქნება, ყველა გააპიარებს თავისი იდეების გამარჯვებას, და ერთმანეთს ისე დაერევიან, რომ „ძალი პატრონს ვერ იცნობს“. აი, მაშინ ბევრი რამ სანატრელი გაგვიხდება. იმის მაგივრად, რომ თანდათანობით – ევოლუციური – კანონმდებლური ცვლილებების მეშვეობით აიძულონ მთავრობა – შეიმუშაოს მყარი დემოკრატიული საარჩევნო სისტემა, მიიღოს და დაამტკიცოს ქვეყნის კონსტიტუცია, კანონიერების და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ჩაატაროს დემოკრატიული რეფორმები – ეს ხალხი მანიაკალური დაჟინებით მხოლოდ სახელმწიფო სისტემის შეცვლას მოითხოვს: პრეზიდენტი გადადგეს და შემდეგ ჩვენ ყველაფერს წყანარად, მშვიდად ჩავატარებთ. არ ვიცი, ხალხო, ეს ზღაპარი თქვენ გჯერათ თუ არა, ერთი ვიცი, რომ ხანდახან ფანტაზია და ზღაპარიც უნდა ემორჩილებოდეს რაღაც კანონზომიერებას, ხოლო ოპოზიციის

მიერ გაუღერებული ეს ზღაპარი უბრალოდ უტოპიაა. ვინაიდან ერთი რამ უცილობელია – ასეთი პოლიტიკური აჯაფხანდალი ვერასოდეს ვერ წარმართავს ერთიან საქვეყნო პოლიტიკას, ვერასოდეს ვერაფერში ვერ შეთანხმდებიან. დაიწყებენ გაუთავებელ დისკუსიებს, ნადავლის განაწილებას, ძალთა თანაფარდობის შეცვლას, ყოველივე ეს კი მოახდენს ოპოზიციის ლიდერთა შორის რევოლუციურ სელექციას, სანამ მათ შორის არ გამოიკვეთება მკაფიო ლიდერი – თავისი მტკიცე ნებისყოფით და არ დაამყარებს ერთპიროვნულ მმართველობას „ქვეყნის გადასარჩენად“, ამას კი ქართულ ენაზე დიქტატურა ჰქვია, რამეთუ ჩვენი ქართული სინონიმი ამ ტერმინისა არ გაგვაჩნია. ასეთი ისტორიული მეტამორფოზები კაცობრიობამ არაერთხელ გამოიარა – დაწყებული რომის იმპერიიდან: ინგლისი (კრომველი), საფრანგეთი (ნაპოლეონი), რუსეთის იმპერია (ლენინი, სტალინი), გერმანია (ჰიტლერი) და კიდევ მრავალი სხვა. ისე რომ, ეს ჩემი სცენარი პოლიტიკურ მოვლენათა განვითარებისა ვინმეს თუ აბსურდულად მიაჩნია, დამერწმუნეთ, ძლიერ სცდება. ქართველები საერთოდ პოლიტიკაში ძლიერ ნიჭიერები ვართ, ამ პატარა ერმა მსოფლიოს აჩუქა არაერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომლებმაც, ჩვენი კი არა, მსოფლიოს რუკაც კი შეცვალა. ისე რომ, ერთ პატარა „ნაპოლეონსაც“ გავაჩენთ ჩვენი უჭკუობით და მერე გვიან იქნება. ამ პროცესებში შეიძლება ხალხი საერთოდ გადაგვიშენეს ან ამოწყდეს, ეს კი სახელმწიფოებრიობას მოსკობს...

ჩვენ მომავალ „უბედურებას“ მთლიანად ვერ წარმოვიდგენთ, თუ არ ვიტყვით მთავარს: ეს მთავრობა და პრეზიდენტი არსად წამსვლელი არ არის. თუკი წასვლა უნდოდათ და პოლიტიკური გამხედლობა ან ნამუსი გააჩნდათ, ალბათ გასული წლის აგვისტოში უნდა წასულიყვნენ, მაგრამ რომ წასულიყვნენ, სად წასულიყვნენ? – ოპოზიციის მიერ უკვე გამზადებულ საპა-

ტიმოვებში თუ სად? მე შენ გეტყვი, ვინმე მისცემდა მათ საშუალებას დაბრუნებოდნენ თავიანთ გაათმაგებულ თუ გაასმაგებულ ბიზნესებს თუ მამულებს?! არა, ბატონებო, ასეთი პერსპექტივა მათთვის გამორიცხვული რომ არის, მათ ეს შესანიშნავად იციან, რამეთუ თავიანთი მმართველობის თითქმის ხუთ წელიწადში იმდენი შეცდომა დაუშვეს, რომ ასეთ ჩვენს მიერ იდეალიზირებულ „გადადგომას“ არავინ არ ჰპირდება. ამიტომაც შეკრული არიან ერთ გუნდად, რადგან იციან ჩვენი წესი – „სისხლი სისხლის წილ“. ვარაუდი ერთია: ამ ბრძოლაში გამარჯვებული არ შეიძლება იყოს. თუკი არ დათმობენ ხელისუფლებას, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უნდა მოხდეს – მომიტინგეთა დარბევა, ოპოზიციის ლიდერთა დაპატიმრება, ე.ი. სამოქალაქო დაპირისპირება ანუ სამოქალაქო ომი. აი, კიდევ ერთ სამოქალაქო ომს ქვეყანა ნამდვილად ვერ აიტანს და გარეშე ძალებსაც ეს უნდათ.

ისე რომ, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი გამოსავალი გვაქვს – ემოციების, ენერჯის დაოკება, სიმშვიდე, სიწყნარე და ეროვნული თანხმობა. მაგრამ ამის ჰორიზონტები ჯერ შორეულ მომავალშიც არ ჩანს.

ახლა კი ვეცადოთ „მივხედოთ“ ჩვენს უბედურ ხალხს – ობიექტს ამ პოლიტიკური ბატალიებისა.

საპროტესტო აქციებზე და მიტინგებზე გამოსული ხალხის შემადგენლობა, ისევე როგორც ამ აქციის ლიდერების მრავალფეროვნებაც, ერთმანეთს ემთხვევა. ისე, ე.წ. ლიდერების რაოდენობის (პირველი, მეორე და მესამე) დათვლას თუკი შევძლებთ, ისინი არანაკლები 150-200 ადამიანის ჯგუფს შექმნიან, რაც თავისუფლად ეყოფა ერთი კარგი მანიფესტაციის ჩატარებას. რას იზამ, ჩვენ გენეტიკურად ხომ ყველა ლიდერები ვართ?! ისე, გამოკითხვები რომ ჩავატაროთ (მოსახლეობას შორის), დარწმუნებული ბრძანებოდეთ, რამდენიმე ასეულ პრეზიდენტობის, პრემიერო-

ბის და მინისტრობას სავარძლების მაძიებლების სიას მივიღებთ.

მაინც ისმის კითხვა: რატომ იკრიბებოდა და, შესაძლებელია, შემოდგომის დადგომასთან ერთად ისევ შეიკრიბოს რამდენიმე ათეული თუ ასეული ათასი ადამიანი მიტინგებზე?!

პირველი და ყველაზე მთავარი მიზეზი მაინც არის მოსახლეობის გაუსაძლისი სოციალურ-მატერიალური პირობები, უმუშევრობა. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა დაკარგა სტიმული ცხოვრებისა, ხვალინდელი დღის უპერსპექტივობამ გამოიწვია აპათია, მძიმე სტრესი გონებრივი შემეცნებისა. საუბედუროდ, რუსეთის მიერ ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადებამ (მიუხედავად მთავრობის უარყოფისა) გამოიწვია უმუშევართა მკვეთრი ზრდა. ყველას არა აქვს საშუალება ლეგალურად თუ არალეგალურად დასაველეთის ქვეყნებში სამუშაო ემიგრაციისა, რუსეთი კი აქვე იყო, რაღაც პერსპექტივა მაინც არსებობდა იქ გახიზვნისა და სამსახურის შოვნისა. მშვიერმა კუჭმა ასე თუ ისე პატრიოტული აღტკინება მეორე გვერდზე გადადო, იქ, რუსეთში მას შეჩვეული გარემო ელოდებოდა, ასე თუ ისე ენასაც ფლობდა, ასე თუ ისე იცოდა მათი ზნე-ჩვეულებები, გარკვეულ წილად ნათესავთა და მეგობართა წრეც ეგულებოდა და ა.შ. ერთ მშვენიერ დღეს კი ყველაფერი ეს მოისპო. რამდენიც არ უნდა ამტკიცოს მთავრობამ, რომ რუსულმა ემბარგომ არ დააზიანაო ქვეყნის ეკონომიკა, ეს მხოლოდ ზღაპარი იქნება. ისეთი დიდი ბაზრის დაკარგვას, როგორც რუსეთი გახლდათ, არ შეიძლება ჯერ კიდევ ძირითადად კონკურენტუნარო ქართული საექსპორტო საქონელის გასაღებისათვის ზარალი არ მიეყენებინა. ყოველივე ეს კი მკვეთრად აისახა ქვეყნის ბიუჯეტზე. მის ფინანსებზე. ყოველწლიურად საქართველოდან მეზობელ ქვეყანაში სეზონურად თითქმის ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი გაედინებოდა, რომლებიც რუსეთში გამო-

მუშავებული ფულით ინახავდნენ ოჯახებს. მსოფლიო კრიზისმა არც რუსეთს დააყენა კარგი დღე, იქ მცხოვრებ ქართველთა უმრავლესობას მკვეთრად შეუმცირდა შემოსავალი, რომ იტყვიან, თავიანთი თავის შენახვაც კი გაუჭირდათ.

ასეთ ფონზე არავეისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ხალხს აქვს მიზეზი პროტესტისა, უკმაყოფილებისა და ისიც ამ უფლებას მთლიანად იყენებს. ამას კიდევ დაემატა სიცრუე სამთავრობო არჩევნების შეპირებისა. გაიხსენეთ ლოზუნგები – „შევექმნათ სამუშაო ადგილები“, „საქართველო სიღარიბის გარეშე“, „საქმე ლაპარაკის მაგივრად“ და მრავალი სხვა, რომლებიც არა მარტო არ შესრულდა, არამედ უფრო დამძიმდა ომის შედეგად და ახალი დევნილების გაჩენით. ეს ყველაფერი კი საერთო ჯამში ადამიანის ღირსების შეურაცხყოფაა, მისი დამცირებაა. ყოველივე ამას არ შეეძლო არ შეექმნა საპროტესტო მუხტი ადამიანური ღირსების დასაცავად.

დამეთანხმებით, ძალიან ძნელია ჯერ კიდევ ჯანმრთელი, ენერგიით სავსე ადამიანისათვის მთელი დღე მხართემოზე წოლა, როცა თავში განწირული ფიქრები გიტრიალებს, ცოლ-შვილი მშიერი გყავს, ინფლაცია სულ მატულობს, ცხოვრება ძვირდება და არსად არავითარი გამოსავალი არ ჩანს. ამ სიტუაციაში სრულებითაც არ არის გამორიცხული, რომ ხალხმა არა მარტო საპროტესტო მუხტი გამოხატოს მიტინგებით, არამედ მიმართოს უკიდურეს ზომას სახალხო ბუნტისა, და თუ ეს ჯერჯერობით ასე არ მოხდა, გარკვეულ წილად ალბათ ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ოპოზიციის ლიდერთა ერთმა ჯგუფმა არ მოუწოდა ხალხს უკიდურესი ზომისაკენ, ამბოხისაკენ. არავინ იცის, რითი დამთავრდებოდა ყოველივე ეს...

სრულებითაც გასაკვირი არ იყო, რომ რადიკალურმა ოპოზიციამ ამ ხალხის სახით საიმედო დასაყრდენი იპოვა და მუდმივმოქმედი (თითქმის სამი თვის გან-

მავლობაში) აუდიტორია შეკრიბა, მითუმეტეს, საწყალ ხალხს თუ ცოტაოდენ გასამრჯელოსაც შეპირდები და უფულოდ აჭმევ და ასმევ. იმის უარყოფა, რომ ყოველგვარი მანიფესტაციები და მიტინგები და ისიც ამდენი ხნის განმავლობაში, გარკვეულ დაფინანსებას არ მოითხოვენ, მტკნარი სიცრუეა. პატრიოტული, ეროვნული აღტკინებით ჩატარებული უანგარო მიტინგებისა და მანიფესტაციების დრო წარსულს ჩაბარდა. ახლა ყველაფერი საბაზრო ეკონომიკას ემორჩილება. ყოველივე აქ თქმული სრულებითაც არ არის დამახასიათებელი მხოლოდ საქართველოს სინამდვილისათვის, ასეა რუსეთში, ასეა ბალტიისპირეთში, უკრაინაში და, ასე წარმოიდგინეთ, ეკონომიკურად განვითარებულ დემოკრატიულ დასავლეთის ქვეყნებშიც კი. მანიფესტაციები, ჩუმი თუ ხმაურიანი, როგორც წესი, პარტიული ფუნქციონერების მიერ დაქირავებული ხალხის ინიციატივით ხდება. მიტინგებს კი მეტი თანხა სჭირდება. ისიც ცნობილია და დროში და ფინანსებში ზუსტად გამოთვლილია, თუ რა ღირს ესა თუ ის ქმედება სცენარით – დროშების ტარება, პლაკატებით მსვლელობა ან დგომა, შეძახილები და მრავალი სხვა, ჩვენს სინამდვილეში – საკნებში მორიგეობა, ღამის თევა და მრავალი სხვა. ამბობენ, ამ სამი თვის განმავლობაში თბილისში დაახლოებით რამდენიმე ასეული რკინის გისოსებიანი საკანი განთავსდაო. ვინ დათვალა მათი ღირებულება, თუ ისინი ციდან ჩამოცვივდნენ?! დარწმუნებული ვართ, ყველა მათგანს აქვს თავისი მატერიალურ-ფინანსური ღირებულება, მხოლოდ ერთი კითხვა ისმის – საიდან „გაჩნდა“ ეს ფული?! თვითონ აღიარეს, „საკნებში ხალხს ჭამა და სმა ხომ სჭირდებაო“ და მერაბიშვილის კანტორამ მაშინვე გვანახა ვიდეოჩანაწერი, თუ როგორ და ვის მიერ ფინანსდებოდა ყოველივე ეს. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ მიზნად დავისახეთ ყოველივე ამ ქმედების დისკრედიტაცია. არა, სრულებითაც არა, ჩვენ მხოლოდ

ფაქტს აღვნიშნავთ. ყველივე ეს არამარტო ჩვენი – არამედ კაცობრიობის პოლიტიკური ცხოვრების დღევანდელი სინამდვილეა, ასევე ხდება ამერიკაში, ევროპაში, აზიაში თუ აფრიკაში.

აი ასეთი შემადგენლობის იყო და არის დაახლოებით იმ ხალხის საპროტესტო მასა, რომელიც ამ თვეებში იკრიბება ძირითადად თბილისში. ეს ის მასაა, რომლის სახეებსაც საზოგადოება არ იცნობს. ეს ხალხია, განაწყენებული, ღირსებააყრილი, მოტყუებული, ღარიბი, მშიერი, უმუშევარი, სასოწარკვეთილებამდე დამუხტული უსახო მასა.

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც პრეზიდენტმა (არ ვიცით, რომელმა თანაშემწემ თუ მრჩეველმა უკარნახა) გაახმოვანა ერთი თეზისი დაახლოებით შემდეგი შინაარსისა: რა თქმა უნდა, მიტინგებზე ხალხი შეკრიბა ქვეყანაში ჯერჯერობით არსებულმა ძირითადად სოციალურ-ეკონომიურმა პრობლემების გადაუწყვეტლობამ და ეს ჩვენც ვიცით და გვესმისო და მთელი მთავრობის მუშაობა მიმართული არის ამ პრობლემების გადასაწყვეტადო. ამის გაკეთება ასე სწრაფად არ შეიძლებაო. შემდეგ (ვინმე ხომ უნდა იყოს დამნაშავე, თვითონ და მისი მთავრობა ხომ არ იქნებიან ამაში დამნაშავენი?) მისთვის ჩვეული ფრაზეოლოგიით შეუკურთხა წინამორბედს და იმ მთავრობას ქვეყნის განადგურებისათვის, თუმცა მისი წინამორბედის წასვლის შემდეგ უკვე საკმაოდ დიდი ხანი გავიდა და ბევრი რამის გამოსწორება ან შეცვლა შეიძლებოდა, მიზანდასახული, სწორად გათვლილი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებით და არა იარაღის უღარუნით. მაგრამ ამაზე არაფერი უთქვამს ან დაავიწყდა, ან არ ისურვა. ჩვენი აზრით და მისი ლოგიკიდან გამომდინარე, სიმართლე უფრო მეტად მეორე აზრში ძეგს. შემდეგ განაცხადა, საერთოდ რის გამოც გაისარჯა: დღეს ქუჩაში პროტესტის გამოსახატავად გამოსული ხალხის უმრავლესობა არის ამ

მთავრობის მიერ გატარებული რეფორმებისა და ანტიკორუფციული რეფორმებით განაწყენებული – მექრთამეობაში და კორუფციაში მხილებული საშუალო და უმაღლესი რგოლის მოხელეები. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ასეთი ხალხი მართლაც არსებობს და ალბათ არა ერთი ათასი და თუ მათ ოჯახის წევრებსაც მოვიაზრებთ, რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, მაგრამ რამდენიც არ უნდა ვითვალთ მათი რაოდენობა, ათეული ათასი მაინც არ გამოგვივა (ისე, როგორც ეს მთავრობას სურს) და ამიტომ ვურჩევდით, რეალობას უფრო საღი თვალებით შეხედოს და ერთხელ მაინც აღიაროს ის, რის გამოც არის ძირითადად განაწყენებული, დაჩაგრული და ღირსებაწართმეული ხალხი. უპირატესად ესაა მშვიერი, ლტაკი, მათხოვრად ქცეული და არა ისინი, ვისაც პრეზიდენტი მოიაზრებს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას: იმ ხალხის ძირითად მასაში, რომელიც ბოზოქრობს მიტინგების დროს, ყველაზე აგრესიული, გარკვეული შურისძიების სურვილით შეპყრობილი, ალბათ სწორედ ის მასაა, რომელსაც პრეზიდენტი გულისხმობდა და ამიტომაც მათი ყოფნა მასებში ძლიერ საშიშ მუხტს წარმოადგენს. არასოდეს არ იცი, ეს მასა რა პროვოკაციული გამოხედომის ინსცენირებას მოაწვობს – ხალხის საპროტესტო მუხტის დუდილის ტემპერატურის ასაწევად. ეს ის საშიში მასაა, რომელიც არაფერზე არ დაიხვეს უკან, მისთვის ყოველგვარი არეულობა, ქაოსი დასაშვებია და მისაღები, რადგან იგი მიმართულია მთავრობისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ. საერთოდ შურისძიების გრძნობას ხომ ზღვარი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, დემერტის წყალობით, მიმდინარე პროცესები ლოგიკას ასე თუ ისე ექვემდებარება. ეს კი ერის გადარჩენის ერთ-ერთი პირობაა. მაგრამ არ ვიქნებოდით მართლები, თუ არ შევამჩნევთ, რომ ამ ხალხის ტალღაში წვიმაში თუ მზეში დგანან საზოგადოები-

სათვის საკმაოდ ცნობილი სახეები, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები, მწერლები, ჟურნალისტები, ზ. გამსახურდიასა თუ ე. შევარდნაძის სამთავრობო სტრუქტურების ყოფილი მაღალჩინოსნები, ახლანდელი მთავრობის წრიდან „განდევნილი“ მინისტრები და სხვები. ამ ხალხის პერსონალური ჩამოთვლა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან იგი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. რამდენიმე გვარიც რომ ჩამოვთვალოთ, საკმარისი იქნება, წარმოვიდგინოთ მასშტაბურობა ამ ანტისამთავრობო ინტელიგენციის საპროტესტო მუხტისა: ნ. გაფრინდაშვილი, ჭ. ამირეჯიბი, ო. მეღვინეთუხუცესი, ა. ჯაფელიძე, მამა-შვილი შენგელაიები, გ. ლორთქიფანიძე, მ. ლორთქიფანიძე, ვ. ლორთქიფანიძე, რ. ამაშუკელი, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მთელი რედაქცია მისი რედაქტორით, ლ. ჯაფარიძე, ნ. ჭანკვეტაძე და მრავალი სხვა. ჯერჯერობით „ჩემ ოპოზიციამ“ იმყოფებიან შემოქმედებითი კავშირები – მწერლებისა, მხატვრებისა, კომპოზიტორებისა და, რა თქმა უნდა, მეცნიერებათა აკადემია – მისი უკვდავი აკადემიკოსებით, რამეთუ გარკვეული სტატუს-ქვო მათი შემორიგებისა მთავრობამ მოახდინა. რაც სურდა, ჩამოართვა (უძრავი ქონება), საარსებო რაღაც წყაროები შეუნარჩუნა და ისინიც გაჩერდნენ, ელოდებიან მოვლენათა განვითარებას, რომ შემდეგში თქვან თავიანთი სათქმელი ან ისევ გაჩუბდნენ, თუკი მთავრობა გაიმარჯვებს.

არ იქნებოდა სწორი, თუ საპროტესტო მუხტით განწყობილ ინტელიგენციაში არ შევამჩნევდით ერთ კანონზომიერებას: ზოგიერთ წარმომადგენელს ამ მთავრობასთან და პირადად პრეზიდენტთან თავისი პირადი ანგარიში აქვს, მაგრამ აბა ამას როგორ გაამხელებენ. როგორც ყველა „ჭეშმარიტი პატრიოტი“, ყოველივე ამას ქვეყნის ხსნისა და ხალხზე ზრუნვის მოტივით ასაბუთებენ, როგორც ტრიბუნასთან, ისე ტელევიზიით და გაზეთის მეშვეობით.

გაზეთი ვახსენეთ და არ შეიძლება არ შევეხოთ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ დიდ ღვაწლს ანტისამთავრობო მუხტის აგორებაში და ანტისაპრეზიდენტო სინდრომის დანერგვაში. არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ვკითხულობთ ამ გაზეთს და ერთი რამ ცხადია: ასეთი უკომპრომისო ბრძოლა მან მთავრობას და პრეზიდენტს გამოუცხადა იმ ცნობილი ინციდენტის შემდეგ, როდესაც საგადასახადო სამმართველომ ეს რედაქცია და სხვა რედაქციები გამოასახლა (გამოყარა) მათ მიერ არენდირებული შენობიდან. როგორც ოფიციალურად განცხადებული იყო, გამოსახლებების მიზეზი გახლდათ ის, რომ „ასავალ-დასავალი“ და მისი მეზობელი სხვა რედაქციები, აგრეთვე ერთ-ერთი ტელეარხი, წლების განმავლობაში არ იხდიდნენ არენდით განკუთვნილ თანხას. ისმის კითხვა: თუ ეს მართალია, რაც არავინ არ უარყო, მაშინ რა გასაკვირია, რომ მეპატრონემ მისი კუთვნილი ტერიტორიის დაცლა მოითხოვა. თუკი ქირაობ, კეთილი ინებე და ქირის ფასი გადაიხადე, – აი, ეს კანონია და არა ვილაცის ახირება, და თუ წლების განმავლობაში გადასახადს არ იხდი, რაც არ უნდა კეკლუცი და მომხიბლავი თვალები გქონდეს, გამოგასახლებენ.

ამ ფაქტის შემდეგ ატყდა, მაგრამ რა ხმაური ატყდა: გამოგვასახლეს, გამოგვიყარეს ქუჩაში აპარატურაო, ავეჯიო და მრავალი სხვა. რა თქმა უნდა, ამაში მთავრობა დაადანაშაულეს და პრეზიდენტიც. ყველაფერს ამას ისევ პოლიტიკური სარჩული დაუდეს: მათი განმარტებით – ისინი გამოასახლეს პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზეზით, რადგან სამთავრობო გუნდის და პრეზიდენტის სისტემის კრიტიკას აწარმოებდნენ, რაც გარკვეულ წილად სინამდვილეს შეეფერება. მაგრამ ალბათ მთავრობის ქმედებებიც გასაგებია: შე კარგო ადამიანო, ჩემს ბინაში ცხოვრობ, წლების განმავლობაში ბინის ქირას არ მიხდი და კიდევ თავხედურად მლანძღავ და მაგინებ?

აღბათ მსოფლიოში არ მოიძებნება რომელიმე პერიოდული გამოცემა (გაზეთი), რომლის ფურცლების თითქმის 90 პროცენტი დაკავებული იყოს სამთავრობო გუნდის და ქვეყნის პრეზიდენტის ლანძღვით და გინებით. ამდენი ლანძღვის და უშვერი სიტყვების განთავსებით ეს გაზეთი აღბათ გინესის წიგნშია შესატანი. ასეთი მრავალრიცხოვანი კრიტიკული, ხშირად გადაუმოწმებელი ან ჭორების სახით გავრცელებული ინფორმაციების გამოქვეყნების შემდეგ საქართველოში დემოკრატიული პრესის აღორძინებაზე უნდა ვისაუბროთ და არა მის შევიწროვებაზე. არა მგონია, ცივილიზებულ სამყაროში არსებობდეს ასეთი გამოცემა, ვერცერთი თავმოყვარე მთავრობა ასეთ ლანძღვა-გინებას ვერ აიტანდა და დახურავდა ასეთ ბულვარულ გაზეთს.

არ ვიცი, აღბათ საქართველოში მასშედის მარეგულირებელი კანონი არ არსებობს. უბრალოდ მათთვის ყველაფერი დასაშვებია. დაუსჯელობის სინდრომი უფრო მეტ თავსედობას იწვევს და ისინიც, რომ იტყვიან, „უბერავენ“.

გაზეთის ყოველ გამოცემაში აკუმულირებულია თითქმის 90 პროცენტზე მეტი მთავრობისა და პრეზიდენტის ლანძღვა, გინება, უშვერი ქუჩური ტერმინოლოგიით. დღიდან დღემდე ერთი და იგივე კორესპონდენტები გ. გიგაური და ჯ. ხუბუა, რედაქტორის პოლიტიკური პოეზიის ნიმუშები, თითქმის ერთი და იგივე რესპოდენტების ინტერვიუები: შაშიაშვილი, წიგწივაძე, სარიშვილი, ამაშუკელი, ჯაფარიძე, ჭაჭუა, ჯაველიძე, ხაინდრავა, სანიკიძე, ჩარკვიანი და მრავალი სხვა – ხელისუფლების და პრეზიდენტის რადიკალური ოპონენტები. ყოველივე ეს გადადის გამოცემიდან გამოცემაში და არაფერი ახალი არ გვესმის: რაიმე ალტერნატიული გზის ძებნის მცდელობა, რომელიმე ანალიტიკური ან სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება, მძიმე სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ჩიხიდან გა-

მოსავალის ძებნა, ამ კვლევისათვის სერიოზული პროფესიონალების მოწვევა, სადისკუსიო თემატიკა და მრავალი კიდევ სხვა, რაც უნდა ხდიდეს გაზეთს მიმზიდველს მკითხველისათვის, ხოლო მის იმიჯს სოლიდურობას მატებდეს. გაზეთის დევიზი ერთია: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“. ეჰ, მათ მტრობას ვინ ჩივის, ეს კრიტიკოსი (ან თავისი დამოუკიდებელი აზრის მატარებელი და გამომხატველი) ერის მტერია ან ცვერუს და სუკის აგენტი.

ნათქვამია „კარგ მოქმელს კარგი გამგონე უნდაო“. რამდენიც არ უნდა ეცადო, არა მგონია, გაშიფროთ ზოგიერთი რადიკალური ოპონენტის ქართული სალანდლავი „სიტყვათა კონა“. გაუგებარია, ვინ და რას ერჩის ან ვინ არის დაინტერესებული პოეტ რ. ამაშუკელის ფიზიკურ განადგურებაში, არადა ასეთი „საფრთხე“ ალბათ ნამდვილად არსებობს, აბა ტყუილად ხომ არ აცხადებს ადამიანი, „მე თქვენ ცოცხლად არ ჩაგბარდებით, თქვე თახსირებო, მე თქვენი დაუძინებელი მტერი ვარ! ეკლესიაში შევალ და საშვილიშვილოდ დაგწყევლით! კაცის წყევლის გეშინოდეთ, თქვე უპატრონობო“.

ახლა დავმშვიდდეთ და „კარგად გავიგოთ“, რას ამბობს პოეტი „მე თქვენ ცოცხლად არ ჩაგბარდებით“. ვინ იჭერს და ვის აქვს ასეთი ბოროტი განზრახვა. რამდენადაც ვიცით, მთავრობას ჯერჯერობით ამის სურვილი ან განზრახვა არ გამოუმჟღავნებია. ის უბრალოდ იგნორირებს როგორც გაზეთ „ასავალ-დასავალს“, ისე ბატონ რეზოს. სიტყვა „თახსირებიც“ გასაგებია, მაგრამ რამდენად უხდება მისი გამოყენება პოეტს, ეს მისი ნებაა. „მე თქვენი დაუძინებელი მტერი ვარო!“ – აცხადებს ადამიანი, ესეც გასაგებია და მისაღებია – როგორც აპელაცია, ლოზუნგი, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუ აგვიხსნიდა, რატომ და როგორ მივიდა ბატონი რევაზი ამ პოზიციამდე. რაც თავი გვახსოვს, ეს ადამიანი, მსოლოდ კომუნისტური წყობის დროს გრძნობდა

თავს კომფორტულად, შემდეგ არც გამსახურდიასა და კოსტავას (ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას) წყალობდა. რომ იტყვიან, დროშების ფრიალით არ შეხვედრია მათ მოსვლას ხელისუფლებაში. შემდეგ, რამდენადაც ვიცით, ასპარეზზე გამოჩნდა ე. შევარდნაძის გახელისუფლების შემდეგ და ერთგულად ემსახურა ხალხს და მთავრობას კულტურის მინისტრის მოადგილის პოსტზე. „ვარდების რევოლუციის“ „ქარიშხალმა“ ისევე ჩრდილში მოაქცია. ისეთი ამბიციური კაცისათვის, რომელიც გამუდმებით იმეორებს „იცოდეთ, მე რეზო ამაშუკელი ვარო“, ეს ნამდვილად აუტანელია. კი, ბატონო, ვიცით რომ რეზო ამაშუკელი ხარ, მაგრამ მერე რა? აბა ბაგრატიონ-მუხრანსკი, გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ილია, აკაკი და გალაკტიონი რომ არა ხარ, ჩვენ ისედაც ვიცით, ბატონო, და ამას რატომ გვახსენებ ყოველ წუთში. არა მგონია, ეს თქვენს ინტერესებში შედიოდეს. „ეკლესიაში შევალ და საშვილიშვილოდ დაგწყევლით – კაცის წყევლის გეშინოდეთ, თქვე უპატრონოებო!“ – მართლმადიდებელ ქრისტიან კაცს ეკლესიაში სიარულს ვინ დაუშლის, მაგრამ წყევლის თუ საეკლესიო ანათემის ეკლესიის თაღებში გაუღერება ნამდვილად აღემატება ბატონ რეზოს, როგორც რიგითი მოქალაქის, მართლმადიდებლის უფლებებს. ასეთ გადაწყვეტილებებს წინათ საეკლესიო კრება ან მისი დავალებით სინოდი იღებდა და ისიც იშვიათი გამონაკლისის სახით, განსაკუთრებით საშიში ეროტიკოსების წინააღმდეგ (კალვინი, ლუთერი და სხვა). არადა, რისთვის უნდა გააკეთოს ეს ეკლესიამ, მთავრობის წევრები და პრეზიდენტი ბატონ რევაზზე ხშირად დადიან ეკლესიაში, ანთებენ სანთლებს, ღოცულობენ, აღიარებენ საეკლესიო კანონებს და, არა მგონია, ამაშუკელზე ნაკლები ქრისტიანები იყვნენ. ამავე დროს ისევე, როგორც ბატონი რეზო, ყოველდღე გულში მჯიღს ირტყამენ და აცხადებენ, რომ რასაც აკეთებენ, „ხალხისთვის

აკეთებენ“ და მხოლოდ ხალხზე ზრუნვით ცხოვრობენ. ასე რომ, ჩვენ ეს ფრაზაც ვერ გავიგეთ, ალბათ „კარგი გამგები ვერა ვართ“. ისე, რამდენადაც ვიცით, საერთოდ ქალმა რომ იცის წყევლა, არა მგონია, ისეთი კაცმა იცოდეს, „დედაკაცის წყევლის გემინოდეთო“, – ამბობს ხალხი. ისე ინდივიდუალურად ვერავის პირს ვერ ამოუკერავ და თუ უნდა კაცს წყევლა, რა ვქნათ, იწყევლოს, ამით თუ გულის მოიოხებს, თორემ აბა წყევლა რა კაცის საქმეა, არ ვიცი. ისე, ერთი რამ ცხადია: ყოველდღე რომ კაცს უძახო – გიჟი ხარო, სამკურნალო ხარო და ის ყურადღებას არ გაქცევდეს, ცოტა უხერხულ მდგომარეობაში იყენებ თავს. ასეთი ღანძვა-გინებით თვითონ მიდიხარ იმ „გიჟის“ დონემდე და კაციშვილმა არ იცის, ვინ უფრო ადრე გახდება სამკურნალო ასათიანის №10-ში.

ისე, მთავრობა და პრეზიდენტი ძალიან ხშირად აძღვევენ ე.წ. „ჩათვლის ქულებს“ ოპოზიციას თავისი გაუთვლელი (ეს ცოტა რბილად არის ნათქვამი) ქმედებებით. ხალხისთვის გარკვეულ წილად გასაგები იყო მთავრობის სხდომები და პარლამენტის კომიტეტების გასვლითი სესიები პროვინციებში: ბათუმში – ბობოყვათის რეზიდენციაში, ზუგდიდში – დადიანების სასახლისა თუ ბოტანიკური ბაღის ფონზე, კახეთში – წინანდალში, ა. ჭავჭავაძის სასახლის ეზოში, ვენახში – მევენახეებთან, ქუთაისში – ე.წ. მშენებარე სამრეწველო ცენტრში და სხვაგან. ყველა ამ სხდომებისა და სესიების ჩამოთვლა ნამდვილად გაგვიჭირდება: კანონმორჩილ ხალხს ესმოდა, რომ 9 აპრილის შემდეგ „აგორებული“ საპროტესტო მიტინგების გამო, საკნების ქალაქის შექმნით, სირცხვილის კორიდორების ფუნქციონირებით და სხვა მრავალი აქციებით, პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი თავის ქვეყანაში დევნილის როლში აღმოჩნდა და, რომ ეჩვენებინათ, ქვეყანა ანარქიაში არ არის ჩაფლული (თბილისის გარდა, კიდევ არის საქართველო), სამთავრობო ჯგუფი იძუ-

ლებული გახდა, ისეთი ღონისძიებებისათვის მიემართა, რათა რადიკალური ოპოზიციის მიერ საპროტესტო აქციის დუდილის ტემპერატურა – ძალისმიერ დაპირისპირებამდე არ მიეყვანა, რაც გარკვეულ წილად ალბათ ოპოზიციის ოცნებას ან მიზანს წარმოადგენდა (ეკ, ნეტავ ეს შესაშური მოთმინება პრეზიდენტს და მთავრობას აგვისტოში გამოეჩინა, მაგრამ ეს ახლა მხოლოდ ოცნებად რჩება, რამეთუ ორმხრივი ნერვების ომში ნამდვილად წამგებიანი აღმოჩნდა მათი გადაწყვეტილება სეპარატისტული ტერიტორიის ძალისმიერი შემოერთებისა). პრეზიდენტისა და მთავრობის პიარ-მენეჯერებმა მთავრობის სხდომა პრეზიდენტს მშენებარე სასტუმროს ერთ-ერთ სართულზე ჩაატარებინეს და ყოველივე ეს ხალხს ტელევიზიით ანახეს. ასეთ რჩევას მხოლოდ მტერი თუ მისცემდა კაცს. მერედა, შენ რა, თავი სად გაბია, რომ ასეთ მრჩევლებს უჯერებ და ქვეყნისა და მსოფლიო საზოგადოების სასაცვილოდ იხდი თავს.

ჯერ ერთი, ასეთ სიმაღლეზე და ისიც მშენებარე ხარახოებზე, როგორ ავიდა ხალხი (მთავრობა)? რას ნიშნავს, რომ ახალგაზრდები არიან (მგონი, მთავრობაში მხოლოდ ერთი ჰყავთ ხანდაზმული და ის ალბათ სპეციალური ლიფტით აიყვანეს), ხალხის სიყვარული და მასზე ზრუნვა სად არ აიყვანს კაცს? მერედა, რომ დაუჩემებია ოპოზიციას, მშენებლობის გარშემო მუშები სულ სპეცნაზელები და კუდის თანამშრომლები იყვნენ, თქვე კაი ხალხო, მთავრობის წევრები სიცოცხლის ასეთ რისკზე მიდიოდნენ, სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები არ იყო დაცული, უბედური შემთხვევისაგან არ იყვნენ დაზღვეული და რა გიკვირთ, მათაც ხომ ოჯახები აქვთ და ცოლ-შვილი ელოდებათ სახლში? ის კი არა და, პრეზიდენტისა და მთავრობის დაცვის სამსახური პროფესიულად რომ მუშაობდეს, აუცილებელი იყო, როდესაც მთავრობის სხდომა მიმდინარეობდა, ზღვის

აკვატორია ჩვენს გემებს (ბოდიში, კატერებს) დაეკავებინათ, ხოლო საჰაერო სივრცე ქართულ МИГ-ებს დაესერა ან ვერტმფრენები მაინც გამოეყენებინათ. ნამდვილად გადავრჩით, რომ ჩრდილოეთელმა მტერმა არ გამოიყენა ეს ობიექტურად მისთვის სასარგებლო სიტუაცია და არ გაანადგურა ჩვენი მთავრობა. არადა, ამისათვის არც ომი დასჭირდებოდა და არც დიდი მზადება. ჩვენ თვითონ ჩავიგდეთ თავი ასეთ მდგომარეობაში (მთავრობა მყავს მხედველობაში).

აფერუმ არასაპარლამენტო რადიკალურ ოპოზიციას, კარგად და ძლიერად გამოიყენა თავის პიარკომპანიებში პრეზიდენტის და მთავრობის ეს „ნოუჰაუ“, ისე რომ, გვაცინეს ერთმაც და მეორემაც, ერთმა თავისი ქმედებით და მეორემ თავისი იუმორით.

აქაც ცოტა გადაამლაშეს, რადგან მოუხდათ ერთი კომუნისტური ლეგენდის თუ სინამდვილის გადაკეთება და ამ მაგალითთან მისადაგება. ბატონმა რ. ამაშუკელმა თავის ინტერვიუში ერთი ბოლშევიკი ათეისტი ეკლესიის სახურავზე აიყვანა და იქიდან აძახებია, აი, ხომ ხედავთ, სად ვარ და საიდან ვყვირივარ სახალხოდ, რომ ღმერთი არ არსებობსო და მერე რა, ღმერთი არაფერს მიშაგებსო. მერე თითქოსდა იქ შეკრებილ ხალხს ეთქვას მისთვის – „მეტი რა უნდა გაგიკეთოს. გაგიუბუღხარ და ეს არისო“. ისე, მითოლოგიასაც თავისი პირველწყაროები აქვს და მინდა შევასხენო ბატონ რევაზს, რომ სინამდვილეში (ასე ამტკიცებენ მას 30-იანი წლების საქართველოს სუკში დაღეპილი მასალები) ეს ეპიზოდი ნამდვილად მოხდა ქუთაისში: ვინმე ვაღია (ვაღერიან) ბახტაძეს (იყო ასეთი „გამოჩენილი ბოლშევიკი“ საქართველოში, რომელიც 1937 წელს თავად ბოლშევიკებმა დახვრიტეს, როგორც მამია ორახელაშვილის თანამოაზრე და თანამებრძოლი) დავალებული ჰქონდა ჩაეტარებინა ქუთაისში ანტირელიგიური – ათეისტური მიტინგი, მან (ე. ი. ვ. ბახტაძემ) დაავალა კომკავშირლებს და მათ ჩამოუტანეს წყალ-

წითელაზე არსებულ მოწამეთას ეკლესიიდან წამებული ძმების დავითისა და კონსტანტინეს წმინდანაშთები (სხვათა შორის, ქართველებმა დამპყრობელი არაბებისაგან ძლივს გადაარჩინეს და მიწას მალულად მიაბარეს ამ ქართველი პატრიოტების ნაწამები გვამები) და ამ მიტინგზე ანტიქრისტიანული „რეის“ წარმოთქმის დროს, 1929 წლის 5 ნოემბერს (ოქტომბრის რევოლუციის მე-12 წლისთავის ორი დღით ადრე) მგზნებარე ორატორმა ბოლშევიკმა ვალია ბახტაძემ რამდენიმეჯერ წამებულითა წმინდა ნეშტი – ბარძაყის ძვალი – დაარტყა ტრიბუნას და თან ამაყად განაცხადა: „აი ნახეთ, ხალხო, თქვენს მიერ წმინდანად აღიარებულ ძვლებს რას ვუშვები და სადაა თქვენი ღმერთი, თუკი იგი არსებობს, რატომ ვერაფერს მიშაგებსო“. ექსტაზში შესულ ბოლშევიკს ეს ბარბაროსული ქმედება რამდენჯერმე გაუმეორებია ხალხის დასანახად. ხალხი თურმე გაჩუმდა, მერე გაისმა ერთ-ერთი მოქალაქის შეძახილი: „გაუგიჟებისარ ღმერთს და მეტი რა უნდა გიქნასო“. ამ შეძახილზე ხალხს ხარხარი აუტეხია. მიტინგი ჩაშლილა, ხალხი დაშლილა.

ბოლშევიკ ვალია ბახტაძეს ყოფილ მენშევიკ ფილიპე მახარაძისაგან კარგა მაგარი სილა დაუმსახურებია. НКВД-ს მსტოვრებს გამოუძიებიათ ეს საქმე და დაუპატიმრებიათ „გაბედული“ ენაკვიმატი ოპონენტი – გვარად და სახელად ბიქტორ სალუქვაძე სოფელ საფიხსიიდან. როგორც გამოძიებით გამოაშკარავდა, ეს საწყალი კოლმეურნეობაში შესვლის მოწინააღმდეგე ყოფილა. განუკულაკებიათ ერთი ძროხის და ორი ხბოს პატრონი და რევოლუციურ ტროიკას ცნობილი „58“ მუხლით (სამშობლოს მოღალატის მუხლი) გაუსამართლებიათ და 1929 წლის 5 დეკემბერს დაუსვრეტიათ. ისე რომ, ამ სამთავრობო სხდომის ეპიზოდმა ჩვენი ცხოვრების სხვა ფაქტებიც გაგვახსენა. ადრე ამ „საგამომძიებლო“ მასალებს ვკითხულობდი. აქ იყო

დასმენა გლეს სალუქვაძისა, დაპატიმრების ოქმი და ტროიკის გადაწყვეტილება. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ენამოსწრებული გლესი სალუქვაძე სრულებითაც არ იყო „დამნაშავე“ და საერთოდ, როგორც მას განუცხადებია, დაკითხვის ორფურცლიან ოქმში, იმ დღეს საერთოდ არ იმყოფებოდა ქუთაისში და ყანას თოხნიდა. НКВД-ს და პარტიას ხომ უნდა გამოეკვლინებინა სამთავრობო მიტინგის ჩაშლის ორგანიზატორი?! ისე რომ, სინამდვილეში ვინ უთხრა ბოლშევიკ ვ. ბახტაძეს, ღმერთს გაუგიჟებინარო, მე მგონია, ჟამთა სვლამ მიწაში წაიღო, ისევე როგორც ამ თხრობის გმირი გლესი ბიქტორ სალუქვაძე. მაგრამ ჩვენს გმირს ანტისაბჭოთა (დისიდენტურ) დამსახურებას ნუ დაუუკარგავთ და უსახელო გმირს თავის ადგილი მიუუჩინოთ, რომ დარჩეს ხალხის მესხიერებაში.

ისე რომ, ბატონო რევაზ, მოდით, ჩამოვიყვანოთ ის საწყალი, თქვენს მიერ ეკლესიის სახურავზე (აღბათ გუმბათზე) აცოცებული ალპინისტი-ბოლშევიკი, ვინაიდან წარმოდგენელია ასეთ არაკომფორტულ სიტუაციაში მას რაიმე ანტირელიგიური „რეჩი“ წარმოეთქვა და დავუშვათ ის მიწაზე. რაკი ბოლშევიკი იყო, აღბათ შემდეგაც მოასწრებდა იგი რამე სხვა ცოდვის ჩადენას და ამით დაფუბრუნოთ ჩვენს უსახელო გმირს – დახვრეტილ ბიქტორ სალუქვაძეს მისი უნებლიეთ თუ შეგნებულად ნათქვამი სიტყვა – მოსწრებული ფრაზა, რითაც თვითონაც გაუბედურდა და ოჯახიც გადააყოლა ამ საქმეს. თქვენ, ბატონო რევაზ, ქართული სიტყვის ოსტატი ბრძანდებით. აღბათ კარგად იცნობთ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას და მაგალითების მოძებნა ამ თქვენს ჩვეულ სტიქიაში არ გაგიჭირდებათ. ისე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მონათხრობი ეპიზოდით თქვენთვის შეიძლება ასე დეტალურად არ იყოს ცნობილი, მაგრამ ეს საპატიებელია, თქვენ ხომ სუკში არ მსახურობდით, რომ შეხება გქონოდათ ასეთი სახის დოკუმენტებთან?! ისე, ბატონო რევაზ, ღმერთმა

პოეტის ნიჭით დაგაჯილდოვან და ამ ასპარეზზე უფრო გამოადგებოდით თქვენს ხალხს, მაგრამ, ეტყობა, ამბიციებმა პოლიტიკაში ჩაგროთო. კაცობრიობას ერთი ექვენ პოტიეც ეყოფოდა. თუმცა მისი გამეორება მაინც შეუძლებელია. ამ კაცმა თავისი თავი იმით მაინც უკვდავეო, რომ მსოფლიოს ჩაგრულ პროლეტარიატს რევოლუციური ჰიმნი დაუწერა, რაც შემდეგში, წარმოიდგინეთ, დემოკრატიული საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ ჰიმნად იქცა. თუმცა ცდას ნუ მოვაკლებთ, იქნებ თქვენც გამოგივიდეთ, აკი განაცხადეთ – „მადრაძემ ამათ ჰიმნი დაუწერაო“. თქვენ კი, როგორც განაცხადეთ, აპირებთ პანაშვილებისათვის გამოსაყენებელი ტექსტის შექმნას. ალბათ მეტად საჭირო საქმეა, თუ მთავრობამ და პრეზიდენტმა თავის გასვენებისათვის არ გამოიყენეს, შეიძლება ხალხმა აიტაცოს და გამოიყენოს. ხომ იცით, ყველა სიკვდილის შვილები ვართ და არ გვაწყენს კიდევ ერთი მკვორული ქართული საპანაშვიდო ჰიმნი.

ბატონო რევაზ, ამ 3-4 წელიწადში დაწერილმა თქვენმა პატრიოტულმა ლექსებმა, ჩვენი აზრით, ერთი 40-50 წლით მაინც დაიგვიანა. მაშინ თქვენ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ნიჭიერი პოეტი ბრძანდებოდით. ახლა იმას როგორ დავიჯერებთ, რომ მაშინ თქვენ ყველაფერი მოგწონდათ, მაგრამ ასეთ აგრესიულ განწყობილებაც არ გქონიათ. დარწმუნებული ვართ, რომ მაშინ ასეთი ლექსები იმ შაბნელ კომუნისტურ ეპოქაში ქვემეხივით გავარდებოდა და თქვენ სახელს არა მარტო საბჭოთა კავშირი, მსოფლიოც გაიცნობდა. მართალია, თქვენ რამდენიმე ათეული წლით ციმბირის ტრამალების დასათვალიერებლად გაგიშვებდნენ მივლინებაში, მაგრამ შემდეგში, თქვენი ბობოქარი ხასიათის თვისებებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ, რევოლუციურ პათოსს არ უღალატებდით, შემდეგ ისევ გადასახლებები, ციხეები, ბაღანდები, მაგრამ დასასრული ბრწყინვალე იქნებოდა – გვეყოლებოდა

ქართველებს ერთი ნობელის ლაურეატი, ისიც პოეზიაში, ანდა – მშვიდობის დაცვის განხრით. თორემ გამოგვიჭედეს ყურები ამ რუსებმა პასტერნაკო, სოლჟენიცინო, ნაბოკოვიო და სხვა. აქედან – ჩეხებმა ჰაველიო... აი მაშინ არავითარი პრობლემა არ ექნებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, საპრეზიდენტო ტახტი ალბათ ასეთ გმირებს უნდა დაეკავებინათ. აბა სად იქნებოდნენ მაშინ ეს გამსახურდიები, კოსტავეები, ბერძენიშვილები, ჩხეიძეები, კაკაბაძეები თუ მრავალი სხვა. ახლა იტყვიო, ეს რა ზღაპარს გვიყვება ეს კაციო, მერე და რა გიკვიროთ, ქართველები საერთოდ ზღაპრების ქვეყანაში არ ვცხოვრობთ?

ამ ცხოვრებაში ყველაფერი შედარებითია, – ამბობს ხალხი, და თუ ეს ასეა, მაშინ როგორ შეიძლება თავისუფალი ადამიანი შეურიგდეს სისხლისმღვრელ რეპრესიებს: 1953 წლის ბერლინის აჯანყების ჩახშობას, 1956 წლის ბუდაპეშტის ამბოხის ჩახშობას, 1956 წლის თბილისის ახალგაზრდობის ამოხოცვას, 1961 წლის ნალჩიკში მუშათა ამბოხის სისხლში ჩახშობას, 1968 წლის პრადის ამბოხის ჩახშობას, 1971 და 1981 წლების პოლონეთის ამბოხების ჩახშობას, 1979 წლის ავღანეთის ავანტიურას და კიდევ და კიდევ სხვა კომუნისტურ სისხლიან ავანტიურებს? ისე რომ, საბჭოთა ხალხი გამობრძმედილი იყო დიქტატურის მიერ თავისუფლების ჩახშობის, ტოტალური დევნის და მეთვალყურეობის სისტემაში. და იგი – გაჩუმებული, დაჩაგრული, დამცირებული – უდრტვინველად იტანდა ამ დამცირებებს და ჩვენ ამ სისტემის პროდუქტები ვიყავით. არასამართლებრივად მიგვაჩნია ვინმეს გაკიდვა იმის გამო, თუ რატომ არ აიმაღლა ამ საშინელი ტერორის დროს ხმა, მაგრამ ერთის აღნიშვნა მაინც შეიძლება: თუკი ყველაფერი შედარებითია და შეფარდებითია ამ ცხოვრებაში, მაშინ დემოკრატიისაკენ მიმავალი გზაც არც ისე მოკლეა და ამ გზას

გავლა უნდა, არ შეიძლება, საუკუნეების განმავლობაში მონური სულის მატარებელმა ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძო და შესძახო: „მე თავისუფალი ვარ!“ სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება, მონურ სულისკვეთებას წვეთწვეთობით უნდა თვითშეგნებიდან განდევნა, საჭიროა ახალი თაობის გამოზრდა და არა ერთის ან ორის, ალბათ სამი თაობის მაინც. თუმცა ამ გზაზე შეცდომები ბევრია, ზოგიერთი თითქმის კატასტროფულია, მაგრამ მაინც ახლის ძიების სუნთქვით არის გაუღენთილი. თუმცა რა პატიებაზე და რა მიტევებაზეა ლაპარაკი, როდესაც ქვეყანა თავზე გვენგრევა, ტერიტორიები ანექსირებულია, ხალხს სიდატაკეში და გაჭირვებაში უხდება ცხოვრება და ა.შ. და ამის მთქმელიც მართალია, მართალია თავის გულისტკივილში, მართალია თავის კეთილშობილურ ემოციებში, მის გამოსატკეპოში, მაგრამ, ისევ მაგრამ, თუკი ზემოთ რაც ჩამოვთვალეთ, ყოველგვარი სისაძაგლე, რაც გადაგვხდა, ავიტანეთ, ალბათ ცოტაც უნდა გავძლოთ, ცოტაც უნდა მოვითმინოთ, მაგრამ ვაი რომ სიმშვიდის, გამძლეობის უნარი დაგვარგეთ: ერთ დღეში ან თვეში გვინდა სამოთხის აშენება. ისიც მართალია, რომ საშუალო ასაკის ან ხანშიშესულ ადამიანთა უმრავლესობა შეიძლება ყოველივე ამას ვერ მოესწროს, მაგრამ ჩვენი ახალი თაობა ხომ მოესწრება, იქნებ მათი მომავლისათვის ღირს თავის განწირვა. ისიც აღსანიშნავი და ყურადსაღებია, რომ აგრესიულად და რადიკალურად განწყობილ ხალხში ძირითადად არიან ის პიროვნებები, რომლებიც კომუნისტური წყობის დროს თავს კომფორტულად გრძნობდნენ.

ბატონმა ბაიდენმა მოსწავლეთა სასახლეში შეხვედრის დროს დევნილ ბავშვებს უთხრა: „თქვენ ძალიან ჭკვიანი და განათლებული პრეზიდენტი გყავთო“. ამ პატარა ერთწინადადებიან ფრაზას თუ გავშიფრავთ, რა თქმა უნდა, სადისკუსიოდ ორი სიტყვა გამოიკვეთება: ალბათ სიტყვა „ჭკვიანი“. ამ სიტყვის შინაარსს

ძლიერ ტევადი გაგება აქვს და ყველას თავისი შეხედულება აქვს, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა და რა კომპონენტებს უნდა ფლობდეს ადამიანი, რომ მას ჭკვიანი უწოდო. მეორე სიტყვა „განათლებული“ უფრო მეტად ექვემდებარება პოლემიკას. სიტყვა „განათლებული“, მრავალმხრივად განათლებული, ენციკლოპედიურად განათლებული და სხვა განმარტებები მრავალ შინაარსობრივ კომპონენტს შეიცავს და მას ხშირად პიროვნების მამებლობისათვის უფრო ხმარობენ. რა თქმა უნდა, რამდენიმე უცხო ენის ცოდნა, შესანიშნავი დიქცია, ლოგიკის უნარი სტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რომ ადამიანს ჭკვიანი და განათლებული უწოდო, მაგრამ ძლიერ პირობითად. კაცობრიობის ისტორიაში იყო ერთი გენიოსი, რომელსაც არც სათანადო ლოგიკური დიქცია გააჩნდა, არც ორატორობის ნიჭით იყო დაჯილდოვებული, არც უცხო ენებს ფლობდა (გარდა ქართულისა და რუსულისა), არც პრესტიჟული უნივერსიტეტები დაუმთავრებია, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრების წესით დაამტკიცა, რომ გენიალურად ჭკვიანი და განათლებული პიროვნება გახლდათ და კარგად ერკვეოდა ისტორიაში, ლიტერატურაში, პოეზიაში, ხელოვნებაში, კინოხელოვნებაში, ფსიქოლოგიაში, ენათმეცნიერებაში და მართლაც ენციკლოპედიური განათლებით გამოირჩეოდა (აღბათ მიხვდით, ვისზეც არის საუბარი – ი. ბ. სტალინზე) და ამას მისი დაუძინებელი მტრები და ოპონენტებიც აღიარებდნენ. მაგალითად ისიც კმარა, რომ 1953 წელს ინგლისის იმპერიის ლომმა პრემიერ-მინისტრმა უისტონ ჩერჩილმა განაცხადა: „დროა დავისვენო, გადავდგე, რადგან არავინ დარჩა, ვისთანაც პაექრობა ღირდეს“.

რა თქმა უნდა, ბატონი რევაზი ვიცე-პრეზიდენტის ამ გამონათქვამებს უყურადღებოდ ხომ არ დატოვებდა და გაჩნდა მისი მორიგი ლანძღვა „ასეთი უსაქციელო და გაუნათლებელი ადამიანი, როგორიც სააკაშ-

ვილია, მე არ მინახავსო“. ასეთი ასაკოვანი კაცისაგან ნამდვილად დაუჯერებელი განცხადებაა, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ადამიანი, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ჩერნენკოს და მათი უფრო „პატარა“ პარტიული ფუნქციონერების თანამედროვეა.

„ბაიდენი კი არა, დავით აღმაშენებელი რომ ადგეს საფლავიდან და სააკაშვილს ხელი გადახვიოს, მე ვერ შემაცვლევინებს აზრსო“. ბატონო რევაზ, აქ კი ნამდვილად გადააჭარბეთ თქვენს სიჯიუტეში. ნუთუ საფლავიდან აღმდგარი მეფე დავითიც არ არის თქვენთვის ავტორიტეტი და თქვენი აზრი აქსიომაა, რომელიც გარჩევას არ ექვემდებარება? თუმცა რა გვიკვირს, ისე ხშირად იმეორებთ „მე რეზო ვარ ამაშუკელიო“, რომ ამაში ეჭვის შეტანა ალბათ უტაქტობა იქნებოდა. უბრალოდ თუ განგვიმარტავთ, რას ნიშნავს ეს გამოთქმა, გაგვიხარდება და დაგვამწვიდებს. ისე, ბატონი ჯაბა იოსელიანიც კი არ იმეორებდა ასე ხშირად, მე ჯაბა ვარ იოსელიანიო, თუმცა მას რომ ეთქვა, უფრო გასაგები იქნებოდა, რატომ და ვის გასაგებად ამბობდა ამას.

„პრეზიდენტს ორი გრამი ტვინი არა აქვს თავშიო“, – ეს მეტისმეტი მოგივიდათ. „ორი გრამი ტვინი“, ალბათ კალიებსაც გააჩნიათ. ისე მეცნიერებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ ადამიანის თავის ტვინის მოცულობით მისი ნიჭი არ განისაზღვრება. არიან პატარა ტვინის მოცულობის გენიოსები – სტალინი, ლენინი, ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი და სხვა მრავალი და დიდი მოცულობისა და წონის ტვინის მქონე დეგენერატები: ალბათ გახსოვთ საწყალი პლექსანოველი კიკა, ან ავლაბრელი აშოტა? თუმცა ასეთი პიროვნებები საკმაოდ იყვნენ პოლიტიკაშიც.

„ჩემს თვალწინ მოხდა ყველა უბედურება, რაც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ჩაიდინაო“, – განაცხადეთ თქვენ, ბატონო რეზო. მაპატიეთ და შეგახსენებთ, თქვენს თვალწინ არ მოხდა 1956 წელს თბილისის მიტინგების სისხლიანი ჩახშობა, 1957 წელს ბუდაპეშტის აჯან-

ყების სისხლში ჩახშობა, 1968 წელს ჩეხოსლოვაკიის აჯანყება, 1971 წელს ავღანეთი, 1982 წელს ავადსახსენებელი თვითმფრინავის გატაცება – ხალხის მსხვერპლი, შემდეგ სასამართლო?! თუკი იმასაც გავიხსენებთ, რომ ქართული ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა წერილიც კი მისწერა საქართველოს კომუნისტური პარტიის მაშინდელ პირველ მდივანს ამხ. შევარდნაძეს შეწყალების შესახებ, – აი, მათ სიაში რატომღაც თქვენ არ ახსენდებით ხალხს. ისე რომ, ბატონო რევაზ, თქვენს ხანგრძლივ ცხოვრებაში ბევრი უსამართლობის, სისხლის, დარბევის მოწმე ბრძანდებით და თუ მხოლოდ ახლა იმაღლებთ ხმას ქვეყანაში არსებული უსამართლობის წინააღმდეგ, მაპატიეთ და მხოლოდ ეს იწვევს ჩვენს გაკვირვებას. მართლაც დიდი ხანი დასჭირდა ღმერთს იმისათვის, რომ თქვენში გაეღვიძებინა სამართლიანობისათვის მებრძოლი ჯარისკაცი.

ისე, რამდენადაც გვახსოვს, ერთ თქვენს თანამედროვე პოეტს იორამ ქემერტელიძეს ეყო გამბედაობა და 1979 წელს საბავშვო ჟურნალ „დილაში“ (რომელსაც რედაქტორობდა მუხრან მაჭავარიანი) დაბეჭდა ეზოპეს ენით დაწერილი ლექსი-იგავი „დიალოგი ექვსი წლის შვილთან“, რომლისთვისაც ის მართალია არ გაუციმბირებიათ, მაგრამ ბევრი უსიამოვნო წუთები განიცადა. თუმცა ერთი დადებითი შედეგიც მოუტანა ამ ლექსმა: ავტორი – როგორც პოეტი – საკმაოდ ცნობილი გახდა ქართველი მკითხველისთვის. ლექსი, რომელიც საყმაწვილო ჟურნალში დაიბეჭდა, ხელიდან ხელში გადადიოდა, ჟურნალის ტირაჟი მთლიანად გაიყიდა, ბიბლიოთეკებში ის ფურცელი გაიცრიცა და საერთოდ ჟურნალ „დილას“ ეს ნომერი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. 2004 წლის გაზაფხულზე რუსთაველის პროსპექტზე, ოპერის თეატრთან, გადასასვლელში ერთ-ერთ დახლზე აღმოვაჩინე ეს ნომერი ჟურნალისა, რომელიც 10 ლარად შევიძინე. აი,

ასეთი და სხვა მრავალი პოეტური თუ პროზაული „გმირობის“ თანამედროვეც ბრძანდებით, ბატონო რევაზ. არაფერს ვამბობთ, რომ ალბათ ხელი მიგიწვდებოდით მაშინდელ ე.წ. სამიზდატებზე, მეტროპოლებზე, ანდა თქვენი კოლეგების მიერ არაღვალაურად გამოცემულ ჟურნალებზე, თუმცა მაშინ თქვენ ამ თემებზე არ დაფიქრებულხართ, ისე იყავით თქვენი შემოქმედებით დაკავებული.

ხალხური გამოთქმაა – „ყვავს კაკალი რომ გააგდებინო – ისიც კარგიაო“. ასეთ გამოთქმას ესადაგება სამთავრობო ჯგუფის და ნაციონალთა უმრავლესობის პოლიტიკური დათმობა – ქალაქ თბილისის მერის არჩევნების შესახებ. ისე რომ, 2010 წლის მაისში დედაქალაქში მძიმე შეტევითი პოლიტიკური ბატალიები გველოდება. თუმცა საკითხავი ერთია – რა საარჩევნო სისტემაზე დაყრდნობით აპირებს ხელისუფლება ამ არჩევნების ჩატარებას, რადგან ბატონი თარხნიშვილის კანტორამ თუ ჩაატარა ეს „არჩევნები“, ნაციონალთა კანდიდატის გამარჯვება გარანტირებული იქნება დაახლოებით 2-დან 5 პროცენტამდე მაინც. ხოლო ოპოზიციამ თუ ისევ დაუშვა ის შეცდომა, რაც არაერთხელ თავისი ამბიციების გამო ჩაიდინა (მხედველობაში გვაქვს საარჩევნო რეფორმაში მონაწილეობაზე უარის თქმა), მაშინ, დამერწმუნეთ, ნაციონალები და სამთავრობო ჯგუფი ვენებს არ გადაიტრის და საკმაოდ უმტკივნეულოდ მიიღებს საჭირო ჩათვლის ქულას და მიიღებს სავსებით ლეგიტიმურ დედაქალაქის მერს. ისე, რომ ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი! თუ იცი ფეხბურთის ფინტები და ილეთები, მოდი და თავი გამოიჩინე. ისე, სამწუხაროდ, ეს გამოთქმა მძიმე ასოციაციებს იწვევს, რადგან საქართველოში უკვე დიდი ხანია დაავიწყდათ რა არის ფეხბურთის თამაში და ისიც ასევე ხელისუფლების მიერ დანიშნული ნო-

დარ ახალკაცის ბრძნული მმართველობის გამო. არ ვიცი, კიდევ როგორ უნდა ჩააფლავოს ამ ადამიანმა ჩვენი ფეხბურთის განვითარების საქმე. რომ წავიდეს, სინდისის ქენჯნის სინდრომი გამორიცხულია, რადგან სინდისი რომ ჰქონდეს, იმ გახმაურებული ფეხბურთის ფედერაციის სხდომის შემდეგ წავიდოდა, არ გახდებოდა საქართველოს კულტურისა და სპორტის ყველა დროის საუკეთესო მინისტრის გოკა გაბაშვილის მარიონეტი და არ დაინიშნებოდა ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ, იმ ფედერაციის თავმჯდომარედ, საიდანაც ერთი კვირის წინ სამარცხვინოდ გააძევეს... მაპატიეთ, მაგრამ, რა ვქნა, მეც თქვენსავით ქართული ფეხბურთის ერთი გაუბედურებული გულშემატკივარი გახლავართ.

ახლა კი ვეცადოთ დავუბრუნდეთ ჩვენს თხრობას. თუკი პოლიტიკურ ძალთა იმ თანაფარდობით ვიმსჯელებთ, რომელიც 2008 წლის იანვრის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების დროს მივიღეთ, მაშინ ოპოზიციას გამარჯვების დიდი შანსი გააჩნია. ამას თუ დავუმატებთ, 2009 წლის აპრილში აგორებულ საპროტესტო ტალღას, ეროვნულ სტადიონზე შეკრებილ სახალხო შეკრების სცენარის გაგრძელება გამოგვივა და ალბათ ეს არჩევნები თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით უპრეცედენტო იქნება თანამედროვე საქართველოს ისტორიაში, რადგან თუკი გავიხსენებთ, პირველი პრეზიდენტის გამსახურდიას არჩევა თითქმის პროგნოზირებული იყო. ე. შევარდნაძის არჩევა კი – კონგლომერატი – განპირობებული, დაშინებული და დამშეული ხალხის რეაქციით – ოღონდ ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა დამყარებულიყო, რასაც ხელს უწყობდა ამ პიროვნების მაშინდელი ავტორიტეტი არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ გარეთაც. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ვის შეიძლება შეეცანა ეჭვი მ. სააკაშვილის გამარჯვებაში?! აი, 2008 წლის იანვარში კი ბევრი ეჭვი დაიბადა და ეს

ექვები გარკვეულ ფაქტობრივ ნიადაგზე აღმოცენდა.

მაგრამ რად გინდა? – სიმართლეს ვერასოდეს ვერ გავიგებთ და ეს ექვები და ვერსიები ჩვენთვის და ისტორიისთვის ექვებისა და ვერსიების ღონეზე მთავრდება.

აი, რას ნიშნავს ტოტალიტარიზმი, რას ნიშნავს გაყალბებული არჩევნები. ეს ნიშნავს პოლიტიკურ ძარცვას, ქურდობას, ხელისუფლების „ფარულ“ უზურპაციას, თუ გნებავთ, ამას „ჩუმი სახელისუფლებო გადატრიალება“ ჰქვია. თითქოსდა ამ დროს ქვემეხები ღუმან, სამოქალაქო დაპირისპირებამდე საქმე არ მიდის, მაგრამ ის ხალხი, ვინც ამას სჩადის თავის ხალხს ჰპარავს მის ძირითად უფლებას – თავისუფალი არჩევანის უფლებას. რა თქმა უნდა, ეს სახელმწიფო დალატია, მაგრამ აბა გაიხსენეთ ვინ, როდის და სად დაუსჯიათ ამ მიზეზით?! ასეთი პრეცედენტები მსოფლიო ისტორიაში ან არ არსებობს, ან თუ არსებობს, ისიც იმ გამონაკლისით, რომ ოპონენტმა გაიმარჯვა და თავის რევოლუციურ გამარჯვებას იურიდიულ-კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი უნდა მოუძებნოს. სამწუხაროდ, ასე იყო და ასე იქნება ჯერ კიდევ დიდხანს ამ ცოდვილ დედამიწაზე.

ასე არ იყო საბჭოთა კავშირში, როდესაც ე.წ. „სტალინური კონსტიტუციის“ საფუძველზე, 1936 წელს, პირველი არჩევნები ჩატარეს. განა ამან დაუშალა სტალინს და მის დამქაშებს – 1937 წლის რეპრესიები ჩაეტარებინათ? რა თქმა უნდა, არა. 1936 წლიდან რამდენი არჩევნები ჩატარეს კომუნისტებმა 1990-1991 წლებამდე და მერე რა, რომელიმე არჩევნები იყო ლეგიტიმური თუ რა? ანდა – ახალი რუსეთის სინამდვილეში რამდენი დემოკრატიული, ლეგიტიმური არჩევნები ჩატარდა?!

ასეთი საკითხები რომ აღელვებდეს სხვადასხვა ქვეყნების პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებს, მაშინ ისინი დიდი ხანია პოლიტიკურ ხარაკირს ჩაიდენ-

დნენ.

ანდა რა საარჩევნო სისტემის დემოკრატიულობაზე შეიძლება ლაპარაკი სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ბელორუსიაში, მოლდოვაში, შუა აზიის საპრეზიდენტო მონარქიულ რესპუბლიკებში?! ისე რომ, ჩვენც ხომ ამ სახლის – საბჭოთა სინამდვილის შვილები (ბარტყები) ვართ და ამ კომპლექსების მატარებელი. სიტყვით ყველა აცხადებს საბჭოთა სინამდვილის კრიტიკულ მიდგომას, მაგრამ სინამდვილეში (მითუმეტეს ხელისუფალნი), რაც მოსწონთ, იმ სინამდვილიდან თავისუფლად გადმოაქვთ ჩვენს სინამდვილეში, ოღონდ ახალი „დემოკრატიული“ შეფუთვით.

ისე, ნება მომეცით, ერთი კანონიერი კითხვაც დავსვა – რატომ გვაძლევენ მხოლოდ თბილისის მერის არჩევის უფლებას? ქუთაისელებმა, ბათუმელებმა, თელაველებმა, ფოთელებმა ან ზუგდიდელებმა და სხვა სამხარეო თუ რაიონულმა „დედაქალაქებმა“ თუ ცენტრებმა რა დააშავეს? თუ ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისი ექსპერიმენტად გამოიყენეს, არა მგონია, თბილისში ოპოზიციის გამარჯვებამ მთავრობას მშვიდი ცხოვრება შეუქმნას 2013 წლამდე მაინც. მაშინ რაშია საქმე? ვაი რომ ამ დათმობამ მეტი უი არ შეგვეყაროს და ეს ფიცხი ხალხი სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მიგვიყვანოს?!

ერთხელ უკვე ვახსენეთ რუსი პოეტის ნეკრასოვის ციტატა ლექსიდან „რკინიგზა“. გავიმეორებთ თქვენი ნებართვით: „დასანანია, რომ იმ მშვენიერ დროს ცოცხალი არ ვიქნებით, ჩემო ბიჭუნა, როგორც მე, ისე შენ“. ასეა ჩვენი საქმე, სამწუხაროდ, თორემ ალბათ დადგება ისეთი დრო და საქართველოში ჩატარდება თავისუფალი-დემოკრატიული არჩევნები, როგორც ქვემოდან ზემოთ, ისე ზემოდან ქვემოთ.

როგორი არჩევნები გვაქვს მხედველობაში? განვიხილოთ ასეთი მოდელი ადგილობრივი არჩევნები-

დან – პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებამდე:

1) ადგილობრივი არჩევნები – არჩევითობა სოფლის მამასახლისიდან (საკრებულოდან), რაიონული, სამხარეო საკრებულოებით, ქალაქების მერების თუ პრეფექტების ჩათვლით, სამხარეო გუბერნატორების არჩევით.

2) პარლამენტის არჩევა პარტიული და მაჟორიტარული წესით – შეფარდებით 50-50 პროცენტზე, ყველა სამხარეო საარჩევნო უბნებიდან მოსახლეობის (ამომრჩევლების) პროპორციულობის დაცვის წესით.

3) პრეზიდენტის არჩევა – საყოველთაო სახალხო არჩევნების წესით.

4) ისეთი საარჩევნო სისტემის (კანონმდებლობის) მიღება, რომელიც გამორიცხავს არჩევნების გაყალბებას (ფალსიფიცირებას).

5) დამოუკიდებელ, ნეიტრალურ, მიუკერძოებელ დამკვირვებელთა მონაწილეობა არჩევნების დროს (ამ საქმეში საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო დამკვირვებლების მოწვევა).

6) არჩევნების ყველა დონეზე, ყველა პარტიული წარმონაქმნის თანაბარუფლებიანი მონაწილეობა. ადმინისტრაციული რესურსების დაყვანა მინიმუმამდე (რამეთუ მათი მოსპობა ჩვენს სინამდვილეში ფაქტიურად ფუჭი ფანტაზია იქნება).

7) სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მიღწევა, ყველა სააპელაციო დარღვევების დროული და ობიექტური განხილვა (ისე, რა თქმა უნდა, ესეც ფანტაზიაა, მაგრამ ჩვენ ხომ ოცნებებს აყვევით და გთხოვთ მოგვიტევოთ).

8) ქვეყანაში არსებული ე.წ. მეოთხე ხელისუფლების (მასმედის) სრული დემოკრატიული თავისუფლება. ჟურნალისტებისათვის მათი პროფესიულ საქმეში ხელის შეშლის აღმოფხვრა, მათი უშიშროების დაცვა სახელმწიფოს მიერ.

9) კონსტიტუციური უფლებებისა და მოთხოვნილე-

ბათა სრული დაცვა. თუკი რომელიმე პარტია თუ ლიდერი დაარღვევს ასეთ წესს, გავუხსენოთ მათ ჩვენი მამა-მარჩენლების მაგალითი – ნიქსონი და უორტერგეითი და გავაძევოთ არჩევნების მართონიდან.

10) ერთხელ და სამუდამოდ დავამკვიდროთ პოლიტიკური დამარცხების (დროებით მაინც) აღიარების პრეცედენტი და ყველა დონეზე – დაწყებული ადგილობრივი არჩევნებიდან საპრეზიდენტომდე – ვისწავლოთ პოლიტიკურ-დემოკრატიული არჩევნების შედეგების საჯაროდ ცნობა, ანუ მიუფლოცოთ ოპონენტს გამარჯვება.

ჩვენი ნაციონალური ხასიათიდან თუ გენეტიკური თვისებებიდან გამომდინარე ერთ რამეში დარწმუნებული უნდა ვიყოთ: ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, იქნება და იარსებებს ისეთი ხალხი, რომლებიც მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები იქნებიან. ასეთ ხალხს ცივილიზებულ ენაზე პოლიტიკური ოპოზიცია უნდა ერქვას და არა ხელისუფალთა (პრეზიდენტის) პირადი მტრები. ალბათ ოდესმე მაინც უნდა ვისწავლოთ ოპოზიციური კორექტული ბრძოლის წესები – თუნდაც ჩრდილოვანი სამთავრობო კაბინეტის შექმნით, რომელსაც ექნება ალტერნატიული, ლოგიკური, პოლიტიკურად გამართული – სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა ქვეყნის განვითარებისა და რომელიც იქნება მომავალი არჩევნების განხილვის საგანი. ამდენი უბედურების შემდეგ ნუთუ არ მოვიდა დრო, რომ მივხვდეთ ერთ აქსიომას – თქვენ და ჩვენ ყველას ერთი სამშობლო გვაქვს და პირადი ამბიციების გამო მისი ბედი არ უნდა გავწიროთ. ისეთი პატი არა ერისშვილებს (როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ასევე მისი ეთნიკური შემადგენლობის მრავალფეროვნების გამო) უფლება არ გვაქვს სხვანაირად მოვიქცეთ, თორემ „მტერს არ სძინავს“-ო და დასუსტებულ, დაჩაგრულ, გათიშულ საქართველოში ისე, როგორც XV საუკუნე-

ში, რამდენიმე პატარა საქართველოს კი არ მივიღებთ (ქართლის, კახეთის, იმერეთის, აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის სახით), არამედ სულ სხვა დაქუცმაცებულ პროვინციებს, რომლებსაც თითქმის არაფერი ექნებათ საერთო სიტყვა ქართულთან და საქართველოსთან. ალბათ დროა გადავიწეროთ პირჯვარი, ვახსენოთ ღმერთი მაღალი და ერთად ვაკეთოთ ქართული საქმე, რასაც საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტი, ეროვნული დამოუკიდებლობა ჰქვია...

ხშირად ამბობენ, ძალაუფლება და ფული ყველაზე მეტად ყრვანის ადამიანსო. ხანდახან ამ აქსიომურ გამოთქმას შეაბრუნებენ ასე, ფული და ძალაუფლება ყველაზე მეტად ყრვანის ადამიანსო. ცხოვრებამ არაერთხელ დაამტკიცა ამ გამონათქვამის სისწორე და არაერთი საკაცობრიო მაგალითი არსებობს ამისა. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიმართლესთან უფრო პირველი ფორმულაა ახლოს: ძალაუფლება და შემდეგ ფული ყრვანის ადამიანის სულიერ სამყაროს, რამეთუ უახლოესმა ისტორიამ გვანახა, რომ ვერც მულტიმილიარდერი ოლიგარქი ხოდორკოვსკი გადაარჩინა ფულმა, როდესაც რუსულმა სახელმწიფომ გადაწყვიტა მისი ჩაძირვა, და საქართველოში ვერც ოლიგარქი ბ. პატარკაციშვილი გადაარჩა. ორივე შემთხვევაში ეს იმიტომ მოხდა, რომ ორივემ გადაწყვიტა, რადგან ფული ჰქონდათ, ხელისუფლების სადავეებიც მოეპოვებინათ. ეს კი მათთვის საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა, რადგან ხელისუფლებას ასე ადვილად არ სთმობენ, მითუმეტეს, თუ მათ ხელში არის ძლიერი სადამსჯელო სტრუქტურები. ამით იმის თქმა გვინდა მხოლოდ, რომ ხალხის მიერ არჩეულ (მოჩვენებით თუ სინამდვილეში არჩეულს, ამას გადაამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს) პრეზიდენტს, პრემიერს, მერს, გუბერნატორს და სხვას პათოლოგიურად არ უნდა ეშინოდეთ შემდეგი არჩევნების დროს ძალაუფლების დაკარგვისა ანუ გადარჩევისა, მათი გადადგომა არ უნდა უტოლდებოდეს მათ ფიზიკურ განადგურებას. ასე ხდება

ყველგან, სადაც ქვეყნებმა და მისმა ხალხმა დემოკრატიული პრინციპების სტაბილურობას მიაღწიეს. გაიხსენეთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რამდენი კანცლერი გამოიცვალა გერმანიაში, რამდენი პრეზიდენტი საფრანგეთში, რამდენი პრემიერი – ინგლისში, და მერე რა, დასრულდა იმ ქვეყნის ლიდერების სიცოცხლე? სრულებითაც არა, ქალბატონი ტეტჩერი გადადგომის შემდეგ გახდა ბრიტანეთის ლედი, საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტებმა მიიღეს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოები, დანიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნატოს გენერალური მდივანი გახდა, გაეროს გენერალური მდივნები ამ პოსტის დაკავებამდე თავიანთ ქვეყნებში პრეზიდენტები და პრემიერები იყვნენ და კიდევ სხვა მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია. თუმცა არის გამონაკლისები, კერძოდ – სამხრეთ კორეაში, სადაც დააპატიმრეს ქვეყნის ყოფილი სამი პრემიერი გამოვლინებული კორუფციულ მახინაცოებისათვის. გადადგა ისრაელის პრემიერი, რადგან მის წინააღმდეგ აღიძრა (მისივე ქვეყნის სასამართლოს მიერ) სისხლის სამართლის საქმე – კორუფციაში მონაწილეობისათვის. ასეთივე არასახარბიელო ბედი ეწია იტალიის ყოფილ პრემიერს, შემდეგ პრეზიდენტს, შემდეგ სენატორს ანდრე ანოტის, რომელიც საპყრობილეს გადაურჩა იმიტომ, რომ ხანშიშესული ადამიანია (90 წელზე მეტისაა) და ისიც რისთვის, – იტალიის ცნობილ მაფიოზებთან კავშირის გამო. ადრეც ვთქვით და ახლაც უნდა გავისხენოთ თუ რისთვის გადადგა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ნიქსონი, რომლის ჩუმი ნებართვით სასმენი აპარატურა დაუმონტაჟეს ოპონენტი პარტიის შტაბს, სასტუმრო „უოთერგეიტში“. როგორც იტყვიან, ვერავითარმა წინა დამსახურებებმა ვერ უშველა ამ ხალხს. უბრალოდ გააჩრეს პოლიტიკური ასპარეზიდან. ასეთი პოლიტიკურ-დემოკრატიული წესების ჩამოყალიბებას დრო სჭირდება, ხალხის მენტალიტეტის რეფორმირება, კანონის უხეინავსობისადმი მორჩილება. სამწუ-

ხაროდ, ჩვენ კიდევ დიდი დრო გვაქვს გასაველი. ასეთი რამ ერთი დეკრეტით არ წყდება.

თუ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შექმნი შენი კლანი (დაჯგუფება), დაამკვიდრე დაუსჯელობის სინდრომი, თუკი შემჩნეული ხარ კორუფციაში, უკვე უკან დასახევი ხიდები აღარა გაქვს, ცხადია, ასეთი ხელისუფალი, „ხავს ჩამოეკიდები“, რომ გადაირჩინო თავი. შენი სიცოცხლე ახლა უკვე პოლიტიკურ კარიერასთან არის შერწყმული. პირველის დაკარგვა მეორის დაკარგვას ნიშნავს (სამწუხაროდ, არა მარტო შენი – არამედ შენი ჯგუფისა თუ კლანისა). ეს კი უკვე თამაში და ხუმრობა არ არის, ვინაიდან ასეთი ხელისუფალი არა თავისი ბედის (კარიერის) ინდივიდუალური გადამწყვეტია, არამედ იმ კლანის მძვეალი, რაც ძლიერ ნერვიულ დაძაბულობას განაპირობებს. ასეთი „განწირული ადამიანისათვის“ აზრი არა აქვს, თუ ვინ გამოიტანს მისთვის განაჩენს, არჩევნებში გამარჯვებული ოპოზიციის გუნდი, სახელმწიფო მანტიით შემოსილი მოსამართლე თუ მისივე კლანის მიერ დანიშნული ან დაქირავებული ქიღერი. სწორია ხალხი, როცა ამბობს, რა მნიშვნელობა აქვს, თუ რა ტემპერატურა ჰქონდაო მომაკვდავს სიკვდილის წინ. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, სიკვდილამდე ჯანმრთელი იყავი თუ ავად, მთავარია, სიცოცხლე შეგენარჩუნებინა და გადარჩენილიყავი.

ისე, ტყუილად დავაშინეთ ხალხი ამ ჩვენი საარჩევნო სისტემის პერსპექტიული მოდელით. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ასეთი საარჩევნო სისტემის ამოქმედებამდე ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის და კაცის შვილმა არ იცის, თუ სად ვიქნებით იმ დროს თვითონ ჩვენ. ისმის კითხვა – მაშინ რა გვადელებს? შვილები, ბატონებო, შვილიშვილები, ე.ი. მომავალი თაობა. ჩვენ ხომ წავგვართვეს ბავშვობა, ყმაწვილკაცობა, შემდეგ საქვეყნო რობოტიზაციას გადავურჩით და ნუთუ ეს არ გვეყოფა?! მართალია, რასაც ვამბობთ, ჯერჯერობით უტოპიაა, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ოც-

ნების უფლებას მაინც ნუ მოგვისპობთ.

ისე, ერთიც უნდა ითქვას: ერთმა ჩვენმა მეზობელმა და მისმა პრეზიდენტმა 90-იან წლებში (მრჩევლების ზეწოლით, თორემ თვითონ დემოკრატიასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა) გადაწყვიტა დემოკრატიული ექსპერიმენტის ჩატარება თავის დიდ ქვეყანაში და სიმთვრალეში წამოსცდა: „აიღეთ და შეისრუტეთ თქვენი სუვერენიტეტი, რამდენის გადაყლაპვასაც შესძლებთო“. მერე კი ბევრი ინანა, მაგრამ ჩიტი უკვე გაფრენილი იყო გალიიდან. ესეც არ იკმარა და თავისი დეკრეტით (!) გამოაცხადა დემოკრატიულ რელსებზე გადასვლა, თავისი დიდი ქვეყნის შიგნით არსებული კიდევ პატარა ქვეყნების პრეზიდენტების საერთო სახალხო არჩევა, ქვეყნის გუბერნიებში – გუბერნატორების ხალხის მიერ არჩევა, მერების არჩევითობა და მრავალი სხვა სიახლეები, რისთვისაც მრავალსაუკუნოვან მონობაში მყოფი თავისი ხალხი სრულებითაც არ იყო მზად და დაიწყო, მაგრამ რა ქაოსი დაიწყო... ცენტრალური ხელისუფლება ჯერ არ ერეოდა ამ რევოლუციური გარდაქმნების რეფორმების მართვაში, მაგრამ როცა გონს მოეგო, უკვე გვიან იყო და უკვე არავინ არაფერს ეკითხებოდა. ასე, სულ რაღაც 5-7 წელიწადში, მიიღო თითქმის დაშლილი და დანაწევრებული ქვეყანა, ეროვნულ რესპუბლიკებში კლანური მმართველობა, გუბერნიებში კრიმინალი გუბერნატორები, შემთხვევითი პიროვნებები: მსახიობები, მხატვრები და, ასე წარმოიდგინეთ, მაგები, წინასწარმეტყველები და შამანები. ეს კი არა და, ამ ხელისუფალმა თანდათან თავის დედაქალაქზეც დაკარგა კონტროლი, რადგან მის ხელისუფლებაში მოვიდა ადამიანი, რომელიც უკვე მისი ძალაუფლების ოპონენტად და კონკურენტად იქცა. ამან კი უკვე არა მარტო მას, არამედ ქვეყნის მთლიანობას შეუქმნა საშიშროება! რომ იტყვიან, საქმე სახუმაროდ არ იყო. მხოლოდ ერთგული ოლიგარქების დახმარებით შეინარჩუნა ხელისუფლება, შემდეგ ჯანმრთელობის გამო

(ალკოჰოლის გადამეტებული მიღების გამო) იძულებული იქნა, ხელისუფლება „ნებაყოფლობით“ დაეთმო „არჩეული“ მემკვიდრისათვის. ამ დანიშნულ მემკვიდრეს რამდენიმე წელიწადი დასჭირდა ცენტრალიზირებული ძალაუფლების აღდგენისათვის, ხელისუფლების (ძალაუფლების) მართვის აღდგენისათვის. ისიც ყურადსადები უნდა იყოს, რომ ე.წ. დასავლეთის ქებაზღაპარმა დემოკრატიაში ხელი კი არ შეუშალა მას ამაში, არამედ თავისი უმოქმედობით, ხელსაც უწყობდა, რადგან იცავდა თავის ეროვნული უშიშროების ინტერესებს, ვინაიდან არ აწყობდა ასეთი ქვეყნის დაშლას, რომელსაც თავის სამხედრო არსენალში აქვს რამდენიმე ათასი ბირთვული იარაღი და ბალისტიკური რაკეტები. ასეთმა დაშლამ ასეთ დიდ ტერიტორიაზე შეიძლება გამოიწვიოს არაერთი ათეული (80-ზე მეტი) საერთაშორისო სახელმწიფო სუბიექტის შექმნა – თავისი ბირთვული შეიარაღებით, ბალისტიკური რაკეტებით, და სხვა შეიარაღებით ე.ი. ახალი პაკისტანი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, ავღანეთი, ერაყი და სხვა. ისე რომ, ნიუ-იორკის 11 სექტემბერი, ესპანეთში რკინიგზის აფეთქება თუ ლონდონის ტერაქტები, კარგ მოგონებებად დარჩება. არავის არ სურდა და არ სურს ასეთი თავგანწირვა გლობალური დემოკრატიის პრინციპების დამყარებისათვის. ასეთი სულებები, ჩვენდა საბედნიეროდ, არ არსებობენ, არავის არ სურს მოჰყვეს ამ ნანგრევებში, რომელიც მოჰყვება ამ მსოფლიო კატასტროფას.

მაპატიეთ გამეორებისათვის და ყველა პოლიტიკური სისტემის რეფორმისათვის საჭიროა წინაპირობები: ჩვენ კი ჯერჯერობით ასეთი წინაპირობები რეფორმების ჩატარებისათვის, გარდა ზეპირი შეპირებებისა, არა გვაქვს. ვგულისხმობთ სასამართლო რეფორმას, საარჩევნო სისტემის რეფორმას, მასმედიის შესახებ დემოკრატიული კანონის მიღწევას, მის გადაქცევას მართლაც ე.წ. მეოთხე ხელისუფლებად ე.ი. თავისუფალი

მედია – სისტემის შექმნას და რაც მთავარია, ახალი კონსტიტუციის მიღებას, რომელმაც უნდა დააკანონოს და იურიდიული საფუძველი დაუდოს ამ რეფორმებს – არა დეკლარირების სახით, არამედ კონკრეტული, მიზანმიმართული კანონმდებლობის სახით.

ორი პირობა არსებობს, რომლებიც განაპირობებენ იმას, რომ ეს პროცესები დროში გაიწველება: ჯერ ერთი, რა რეფორმებზეა ლაპარაკი, თუკი ჯერ ახალი კონსტიტუცია არ მიგიღია? რომელს ვეყრდნობით – ძველს თუ ახალს? კონსტიტუციის ტექსტის შედგენაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურები და ე.წ. იგივე ხელისუფლების მიერ „დანიშნული“ არასამთავრობო „ორგანიზაციები“ და იგივე მათი ე.წ. საპარლამენტო ჯიბის ოპოზიცია. ეს თავყრილობა, რა თქმა უნდა, ისეთ კონსტიტუციას წარმოადგენს, რომელიც სამთავრობო მმართველ ძალას მოეწონება. ისევ ატყდება ერთი დავიდარაბა მთავრობასა და რადიკალურ ოპოზიციას შორის. ეს გამოიწვევს ამ საკონსტიტუციო ტექსტის კოსმეტიკურ ცვლილებებს. შემდეგ? შემდეგ ჩვენი დამჯერე პარლამენტი ამ კონსტიტუციას მიიღებს და ე.წ. საპარლამენტო ოპოზიცია ატეხავს „ჭიქაში ქარიშხალს“, აბა ხომ უნდა დაუმტკიცონ ხალხს და მთავრობას თავიანთი „ოპოზიციურობა“. ცხადია, ასეთ ოპოზიციას რადიკალური ქუჩის ოპოზიცია არ სცნობს. დაიწყება საპროტესტო აქციები, მიტინგები, მანიფესტაციები და თუკი აქამდე რადიკალური ოპოზიციის თვალთახედვით გვყავდა არაღეგითი მურად არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი, ამის შემდეგ გვექნება, მათი აზრით, ასეთივე გაყალბებული კონსტიტუცია, ვინაიდან ნაკლებად დასაჯერებელია, რომ კონსტიტუციის მიღების საკითხი მთავრობამ მოსახლეობის რეფერენდუმზე გამოიტანოს.

ბოლოსიტყვა

ჩვენს ქუჩებში ოქროსფერი ოქტომბერიც დადგა. დამეთანხმებით, საქართველოში წლის ყველა დროს თავისი სიბლი და მიმზიდველობა გააჩნია. მაგრამ შემოდგომა მაინც სხვა არის. ერთხელ თუ მაინც გადაგიხედავთ თბილისის ბოტანიკური ბაღისთვის ოქტომბერში. ე.წ. კომკავშირის ხეივნიდან, გარწმუნებთ, ეს ღვთაებრივი სურათი ყოველთვის თან გაგყვებათ, სადაც არ უნდა იყოთ ან ცხოვრობდეთ. ეჰ, თავი დაანებოთ ბუნების ბრწყინვალეობას, ნოსტალგიურ ჩვენებებს, ჩვენი ბავშვობის მოგონებებს და ისევ ჩვენს მწარე სინამდვილეს მივაკითხოთ. შემოდგომა ჩვენს სამშობლოში არამარტო მოსავლის მოკრეფისა და დაბინავების დროა, არამედ ანგარიშია მთელი წლის ნაამაგარისა და შრომისა. ამბობენ, წელს ბარაქიანი ქართული მიწა ღირსეულად დააჯილდოვებს უხვი მოსავლით კახელ მევენახეებს, აჭარელ თუ გურიის მეციტრუსეებს, იმერელ მესიმინდეებს, სამეგრელოს თხილის წარმოების მუშაკებს და ქართლელ მეხილეებს. ღმერთმა ქნას, ჩვენც ეს გვინდა და ამაზე ვლოცულობთ, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველება, თუკი ჩვენი ყოფის სულიერი საზრდო ვერ მოვიპოვეთ, ვერ მივაღწიეთ ერთიანობას, ურთიერთშორის თანხმობას, ერთმანეთის მოსმენის უნარის გამომუშავებას, ანუ თუ ვერ დავაღაგეთ შიდა ქართული დიალოგი.

სამწუხაროდ, ამ საქმეში ჯერჯერობით დასამშვიდებელი არაფერი გვაქვს. როგორც ეტყობა, ისტორიის მწარე გაკვეთილებმა არაფერი გვასწავლა. შორს წასვლა არ დაგჭირდებათ, ამ მწარე ისტორიული სინამდვილის გახსენებისათვის, სრულებითაც არ არის საჭირო „ქართლის ცხოვრების“ ფოლიანტებისა და ივანე ჯავახიშვილის აკადემიური წიგნების კითხვა, უბრალოდ გადიკითხეთ მწერალ ლ. სანიკიძის გაზღაპრებული

ვერსია საქართველოს ისტორიისა – „უქარქაშო ხმლები“ და რას არ წაიკითხავთ: გურულებისა და მეგრელების გაუთავებელი „ომები“, იმერლებისა და გურულების თუ მეგრელების „ომები“, თავდასხმები აფხაზეთზე თუ პირიქით, აფხაზთა – იმერეთზე, რაჭა-ლეჩხუმის „ომები“ იმერეთში თუ გურიაში და შემდეგ დატყვევებული ცოცხალი ძალის (ანუ ქართველების) უმოწყალო გაყიდვა მონობაში და ა.შ. სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში დიდგორი, მარაბდა, კრწანისი, ბახტრიონი და სხვა საგმირო საქმენი ერის გამთლიანებისა და ერთიანი ძალით მტერთან შერკინებისა – არც თუ ისე ხშირად გვახსოვს. ამიტომაც მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ურთიერთმოშურნეობის სენი ვერა და ვერ აღიკვეთა ჩვენს ქართულ ურთიერთობებში და ეროვნულ თვითშეგნებაში.

მალე ისტორიის საკუთრება გახდება 2009 წელიც, ისევე როგორც 2008 წლის აგვისტო, 2007 წლის ნოემბერი, როგორც 1993 წლის სექტემბერი, 1990 წლის დეკემბერი და სხვა. დაგვრჩება მხოლოდ მწარე მოგონებები, უარყოფითი განცდები, ემოციები და ერთი მეხუთედი დაკარგული ტერიტორიები, ეროვნული აშლილობა, მიუტევებლობა, ქიშპობა, ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის უკომპრომისო ბრძოლა და სხვა.

როგორც იყო, ევროსაბჭოს კომისიამ „გვადირსა“ თავისი „ობიექტური“ დასკვნა ათას ფურცელზე დაწერილი თალმუდი, სადაც დაწვრილებით აღწერა კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. არ დაეხარათ ისტორიული ფურცლების გადაფურცვლა, ზოგიერთი ქართველისათვის ყურად სასიამოვნო ფაქტების გახსენება, მაგრამ ამით რა? – ყოველივე ამას ვინმე (რაც მთავარია, ადრესატი) წაიკითხავს ან ყურად იღებს? იმედი არ გქონდეთ, მათთვის ახალი ამერიკა არავის აღმოუჩენია. იმას, რასაც აკეთებდნენ, გჯეროდეთ, გააზრებულად და გამოთვლილად აკეთებდნენ და ამით მიადწიეს მათთვის სასურველ შედეგს. შენ კი, გაერ-

თანებული ერების ორგანიზაცია ხარ, ევროსაბჭო, ევროპარლამენტი თუ საქართველო, რამდენიც გინდა, წერე და იკითხე შენს მიერვე შეთხზული რეზოლუციები თუ მემორანდუმები, ეს შენი პირადი პრობლემებია. რაც მთავარია, ამ ათასფურცლიან დასკვნაში დაიწერა ის, რაც საჭირო იყო, თუ ვინ გამოჰკრა ხელი პირველად ჩახმახს...

შემოდგომაც დადგა. ნესტიან, ცივ შემოდგომას და სუსხიან ზამთარს პოლიტიკური გამოსმაურება სჭირდება. იმედი ვიქონიოთ, რომ „ოპოზიცია“ ბევრ სიურპრიზს უმზადებს ხალხს. ისიც უნდა გეგვჯეროდეს, რომ მუსიე ფუშესათვის (ანუ ვ. მერაბიშვილისათვის) მათი განზრახვები ალბათ უკვე ცნობილია (ალბათ პრეზიდენტიც საქმის კურსშია). საინტერესოა მხოლოდ ერთი, თუ რა დასკვნები გამოიტანეს აპრილის სამთვიანი დაპირისპირების შემდეგ „მოწინააღმდეგე“ მხარეებმა? რა შოუ დაიდგმება თბილისის ქუჩებში, თუ ტელე და რადიო არხებზე და ა.შ. ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, დაველოდოთ და „გავერთოთ“, ამას თუ გართობა ჰქვია. ალბათ ზოგს ცრემლებიც მოერევა ჩვენი უსუსურობის გამო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთები უმცირესობაში იქნებიან. ისმის კითხვა: გამოვა თუ არა ხალხი ასეთი ოპოზიციის ლიდერების მოწოდებებით ქუჩაში? ალბათ გამოვა. შეიძლება იმდენი არა, რამდენიც აპრილში და მაისში, მაგრამ მაინც გამოვა. ჩვენში ხომ სეირის ყურებაც ზოგიერთისათვის „კაიფია“. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი სტრუქტურა ამას ყველაფერს დააფინანსებს, მაშინ რატომაც არ გამოვა ხალხი. თბილად ჩაიცმევენ, ცოტას გადაჰკრავენ, და მთელი დღე სიდედრისა და ცოლის ყურებას არ ურჩევენიათ 10-15 ლარიანი გასამრჯელოთი რუსთაველზე ისეთი „სახალხო არტისტების“ ხილვა და მოსმენა, როგორებიც არიან ქალბატონები: ბურჯანაძე, ბესელია, მადამ ზურაბიშვილი; ბატონები: ძიძიგური, დავითაშვილი, სანიკიძე და მრავალი სხვა. მარ-

თავია, მათ შორის ვერ ვიხილავთ საორატორო ხელოვნების კორიფეებს: ნათელაშვილს, შატბერაშვილს, კირთაძეს, კუკავას, ბადათურიას, მაგრამ მოთმინება ვიქონიოთ, ვეახლოთ მათ ოფისებში და იქ მოვისმინოთ მათი მუზნებარე აზრები.

ასე რომ, არ მოიწყინოთ, წინ კიდევ მრავალი სანახაობა გველოდება.

სარჩევნო

წინასიტყვა	3
კეისარს კეისრისა	8
„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“	20
ოპოზიცია და „ოპოზიცია“	206
არასაპარლამენტო ანუ რადიკალური ოპოზიცია .	254
ბოლოსიტყვა	312